

ჭემალ ფოცხვერია



ვიღრე ღათჳს ეძინა

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება

ჯემალ ფოცხვერია

ვიღრე ღათჳს ეძინა

„ჩვენი მწერლობა“
თბილისი
2016

რედაქტორები:

**როსტომ ჩხეიძე
ეკა ბუჯიაშვილი**

ოპერატორი:

თამარ ჩიხლაძე

დიზაინი:

**კახაბერ ფოცხვერია
ნატო გურგენიძე**

© ჯემალ ფოცხვერია. ვიდრე დათვს ეძინა

ამ წიგნს ვუძღვნი ჩემს მეუღლეს, ლიანა იაშვილს

შინაგანად და გარეგნობით ლამაზს, თავმოყვარე, ამაყ, სუფთა, გამჭვირვალე გრძნობებისა და კეთილშობილური ბუნების მატარებელ ადამიანს, უღალატო და ერთგულ მეგობარს, შესანიშნავ დედასა და ბებიას...

ვისაც კი ოდნავი შეხება ჰქონია მასთან, ვიცი, დამეთანხმებიან და ზედმეტად ამაღლებულ ხოტბად არ ჩამითვლიან მის ამ პიროვნულ შეფასებებს. ასეთ ადამიანთან თანაცხოვრება ძნელიც იყო და ადვილიც იმიტომ, რომ ჩემს ცხოვრებაში ამ მისი ხასიათის თვისებების კრიტიკიუმების გაუთვალისწინებლად, მას ფაქტიურად ვერ წარმოედგინა ცხოვრება... სხვა შემთხვევაში მასზე უბედური არავინ იქნებოდა.

ცხოვრება კი, როგორც მოგეხსენებათ, ხშირად ეკალბარდებით, წინააღმდეგობებით, შურითა და ღვარძლით არის სავსე.

მე არ მქონდა იმის უფლება, რომ დამემსხვრია ეს მისთვის ჩვეული სამყარო, რომელიც მან შექმნა. ასეთ ადამიანთან ცხოვრება ყოველთვის მასუფთავებდა როგორც პიროვნებას...

მასთან ცხოვრება ადვილიც იყო, რადგან ყოველთვის იცოდი და იცი, რომ გვერდით უღალატო, ერთგული მეგობარი გყავს.

და აი, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია ერთად ვართ... ერთად ვიყავით ჭირშსა და ლხინშიც, ერთად გადავიტანეთ ჩვენი ცხოვრების უდიდესი ტრაგედია — ჩვენი შვილის — გიას სიკვდილი.

არც კი ვიცი რით დავეხმარე მას იმ მძიმე დღეებში, მაგრამ ერთი კი ფაქტია — ლიანა რომ არა, მე პირადად ამ დღეებს ვერ გავუძლებდი, სულ მეშინოდა სულიერად არ დავცემულიყავი, მაცდუნებელ ბახუსს არ გადავყოლოდი და მასში არ ჩამეხშო ჩემი განწირული სულისკვეთება. ლიანა აღმოჩნდა ის პიროვნება, რომელმაც გარკვეულწილად თავისი დედობრივი განცდების გამო უბედურება თავის თავში ჩაახშო და მე, სულიერად ალბათ უფრო სუსტ პიროვნებას, ნება არ მომცა დავცემულიყავი...

ვიდრე მაღალ ღმერთს ჩვენთვის ჯანმრთელობა და სიმხნევე მოუცია, ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ და კახასა და მისი ოჯახისთვის (შვილიშვილებისთვის) ვიზრუნოთ...

ჯემალ ფოცხვერია
2016, 16 აპრილი (ლიას დაბადების დღე)



შენი თვალები ისეთი ლამაზია,
რომ მინდა მოგეფერო, დედა,
შენი ხელები ისეთი ლამაზია,
რომ მინდა, დაგიკოცნო, დედა!

გია ფოცხვერია
1981-1982 წ., თბილისი

შენზე ვლოცულობ და მენატრები
ლონდონში წვიმს და არ დგება დარი
როცა ჩამოვალ, ჩემო დედიკო,
ერთი თხოვნა მაქვს,
სახლის გამილო მე ცოდვილს კარი.

გია ფოცხვერია
2005 წ., ლონდონი

დედიკო ჩემო, ხატებავ ჩემო,
ყველას პატრონო და მეგობარო,
ჩემი სურვილი მხოლოდ ერთია,
რომ ჩაგეხუტო გა მოგეფერო!

კახა ფოცხვერია
2016 წ., თბილისი

ღამის ტრფიალმა ტალღად მაქციოს,
იად მოსულო ამ ქვეყანაზე,
ანდაზად თქმულო,
ნაზო ასულო,
ამაღლებულო ჩემსა ფიქრებში,
იქნებ მომხედო და დამაპურო,
არ შეიძლება? მზერით გამათბო,
შემდეგ ღიმილით წაილო გული,
მით თვით ქალღმერთო...
იად მოსულო
ღალი ბუნებით
იის ასულო... იის ასულო.

ჯემალ ფოცხვერია
1979 წ., თბილისი

გენერალსიმუსის პორტრეტი!

1963 წლის შესანიშნავი, ჯერ კიდევ ნაკლებად მცხუნ-
ვარე ზაფხულის დღეებია.

სიცოცხლე გვიხარია ახალგაზრდებს, პატარა ამბავი კი
არ ხდება, ინსტიტუტს ვამთავრებთ, როგორც იქნა,
„მივასიკვდილე“ ჩემი „გენიალური“ სადიპლომო შრომა. ახ-
ლაც მახსოვს — ან რა დამავიწყებს — თემაზე „თუჯის
ჩამოსასხმელი ქარხნის პროექტი“.

ასე გულგრილად ნუ შეხედავ, მკითხველო, სათაურის
უბრალოებამ არ შეგაცდინოს და არ იფიქრო, ასეთი ქარხ-
ნის დაპროექტება იოლი რამ იყოს. სამშენებლო ნაწილის
გარდა, პროექტირდება მისი ძირითადი საამქრო, თუჯის
ჩამოსასხმელი დანადგარები, დამხმარე საამქროები (მათ
შორის, მექანიკურიც), სათავსოები და საწყობები, დამხ-
მარე რკინიგზა — სადგურიდან ქარხნამდე — წარმოიდგი-
ნეთ, მუშებისათვის განკუთვნილი საშხაპეები, გარდერო-
ბი და ათასი სხვა წვრილმანიც... რომ მისმა კოლექტივმა,
კომუნისტური იდეებით გამსჭვალულმა და შრომისმოყვარ-
ემ, ღირსეულად შეასრულოს პარტიისა და საბჭოთა
მთავრობის დავალებანი და „ბედნიერი საბჭოთა ხალხი-
სათვის“ კიდევ უფრო გაზარდოს თუჯის წარმოება ერთ
სულ მოსახლეზე.

თანამედროვე მკითხველს ამ სტრიქონების ნაკითხვისას
აღბათ სახეზე ღიმილი გაუკრთება, მაგრამ... იყო დრო, ჩვე-
ნი ცხოვრების ასე ხუთი-ექვსი ათეული წელიწადი, როდეს-
აც თბილისის ძირითად ქუჩებსა და გამზირებზე კოკა-კო-
ლის, პამპერსების, ლუდისა და ნოუთბუქების ელექტრონუ-
ლი რეკლამები კი არ ციმციმებდნენ, არამედ თითქმის ყვე-
ლგან - გზაჯვარედინებზე, შენობის სახურავებსა და ფასა-

დებზე გადაჭიმული იყო „შთამაგონებელი“ ლოზუნგები, მაგალითად ასეთი: საბჭოთა ხალხმა თავისი დაუზოგავი კომუნისტური შრომით მიაღწია იმას, რომ საბჭოეთში ერთი წლის განმავლობაში გამოიმუშავებული თუჯი ერთ სულ მოსახლეზე ამდენ და ამდენ ტონას უტოლდება, ფოლადი - ამდენს, ქვანახშირი ხომ იმდენი მოვიპოვეთ, მსოფლიოს ყველა ქვეყანას გავასწარითო და ა.შ.

ეს ყველაფერი ხდებოდა მაშინ, როდესაც საბჭოთა მოსახლეობის მამრობითი სქესის დიდ ნაწილს ჩვეულებრივი ე.წ. „ტილეგრეიკები“ და პირშეცვლილი კოსტიუმები ეცვა — რასაც იმით შეატყობდით, რომ პიჯაკის ჯიბეები მარცხენა მხარეს კი არა, მარჯვნივ იყო განლაგებული — ხოლო ჩვენი ლამაზი გოგონები და ქალები ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ კაბებში იყვნენ გამოწყობილნი და მაშინდელ პარიზის, ლონდონისა თუ ევროპის სხვა ქვეყნის მანდილოსნებთან შედარებით, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან მოკრძალებულად გამოიყურებოდნენ...

რა ვქნათ, ასეთი იყო საბჭოთა ხალხის ხვედრი, რუსული დათვივით რომ ეძინა, იმ საბჭოთა ხალხისა, მაგრამ ჩვენ, ახალგაზრდები, მაინც ბედნიერნი ვიყავით; სიცოცხლე გვიხაროდა და სულ არ დაგიდევდით, რომ ქვეყანა არა მარტო მსუბუქი მრეწველობის, არამედ კვების პროდუქტების ნაირსახეობითაც ვერ დაიკვებნიდა.

ერთი სიტყვით, ამ მილიონობით ტონა თუჯს, „საამაყოდ“ რომ გვქცეოდა ყველას, უნდა მიმატებოდა ჩემ მიერ დაპროექტებული ქარხანაც, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ამ დიპლომის დაცვის შემდეგ არცერთ ჭკუათმყოფელს არ მოსვლია აზრად ჩემი „გენიალური“ პროექტის ხორცშესხმა, თორემ ქარხნის გამართვა-ამუშავებას ვინ ჩივის, იმის მეშინოდა, ჩემი ქარხანა პულტის შეერთებისას არ აფეთქებულიყო და შემდეგ ეს ყოველივე დამპროექტებლის (ანუ თქვენი მონა-მორჩილის) დივერსიულ აქტად არ მიეჩნიათ. სრულებითაც არ მაძლევდა ხელს ახალგაზრდა კაცს ციმბირის ტრამალებში გადასახლება. მამაჩემის სამსახურის

გამო ისედაც წელიწადზე მეტი კოლიმას დედაქალაქ მაგდანში მქონდა გატარებული და აქ, ჩემს მწვანე, მზიან და მადლიან მინაზე მერჩივნა ცხოვრება.

ერთი სიტყვით, დავიცავი დიპლომი ფრიადზე.

ისეთი გულუბრყვილო გახლდით, რომ, ჭორების მიხედვით, განაწილებას ველოდი რომელიმე კათედრაზე ან სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, ბოლოსდაბოლოს, ავჭალის თუჯის ჩამოსასხმელ ქარხანაში... თუნდაც რუსთავში, ქართული მეტალურგიის დედაქალაქში, მაგრამ... ჩემი გულუბრყვილო ვარაუდები რესპუბლიკის საზღვართან დამრჩა, როცა ივლისის ბოლოს გამოაცხადეს, რომ საქართველოში ისეთი „გენიოსი მეტალურგის“ ადგილი, როგორც მე გახლდით, არ იყო და ბაქოში, ფიზიკის ინსტიტუტის ნახევარგამტარების ლაბორატორიაში გამამწესეს უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად და აზერბაიჯანული მეტალურგიის „ასაშენებლად“.

როგორც შემდეგ გავარკვიე, ჩემი ჯგუფისა თუ კურსის მეგობართა მშობლებსა და ნათესავებს ზაფხულის იმ ცხელ დღეებში მუხლჩაუხრელად, და იქნებ „მუხლმოხრითაც“, ეზრუნათ იმისათვის, რომ თავიანთი შვილები და ახლობლები საქართველოში დაეტოვებინათ სამუშაოდ. ასეთ მფარველთა დახმარებით, უმეტესობამ კიდევ მოახერხა ეს, ხოლო მე და ჩემსავით „უპატრონოებს“, რომლებსაც „ზემთ“ ვერავინ გვიშუამდგომლა, ბაქოში, უკრაინაში, ზოგსაც ციმბირში, ჩელიაბინსკსა თუ მაგნიტოგორსკში და, ვინ იცის, კიდევ სად გვიკრეს თავი.

დიპლომის გადაცემისას დეკანატი მკაფიოდ, გარკვევით და ქართულ ენაზე ამიხსნეს:

— უშედეგო იქნება ყოველი შენი მცდელობა საქართველოში სამუშაოს პოვნასთან დაკავშირებით. განაწილებული ხარ ბაქოში და თუ იქ არ გაემგზავრები, თანაც უსათუოდ ორი წლით, დიპლომი ჩამოგერთმევაო.

— ორი წლით რატომ-მეთქი? - ვიმედოვნებდი, რომ უფრო ადრე დავიძვრენდი თავს, მაგრამ... ისიც ნათლად

ამიხსნეს, რომ „მე, როგორც საბჭოთა ახალგაზრდას, რომელზეც მთავრობამ ამდენი ფული დახარჯა უმაღლესი განათლების უფასოდ მიღებისათვის, უნდა მომეხადა ჩემი პატრიოტული ვალი „დიდი საბჭოთა ქვეყნის წინაშე“.

მათი ლოგიკა შეუვალი, ტონი კი ისეთი მტკიცე იყო, რომ გადავწყვიტე, ბედს შევგუებოდი და მალევე აზერბაიჯანის დედაქალაქში გავემგზავრე შრომითი კარიერის დასაწყებად.

ახლა რასაც გვიამბობთ, ჩემს ფანტაზიას არ მიაწეროთ, ყველაფერს გულწრფელად გიყვებით.

ჩავედი აგვისტოს ბოლოს ბაქოში.

მეორე თუ მესამე დღეს ვესტუმრე აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის სამდივნოს, რომლის სისტემაშიც შედიოდა აზერბაიჯანის ფიზიკის ინსტიტუტი და... აი, იქ რაც მითხრეს, გამაოგნებელი აღმოჩნდა ჩემთვის — გასაგებად, ოღონდ ამჯერად რუსულ ენაზე ამიხსნეს, რომ ფიზიკის ინსტიტუტის მშენებლობა ერთ წელიწადში დასრულდებოდა, შემდეგ დაიწყებოდა მისი ინფრასტრუქტურისა და ლაბორატორიების მონყობა და, დაახლოებით, ორი წლის შემდეგ მზად იქნებოდა სრული ფუნქციონირებისათვის.

ცხადია, ლოგიკურად გაჩნდა კითხვა:

— მე აქ ორი წელიწადი რა ვაკეთო უსახლკაროდ და უმუშევრად-მეთქი?... თუკი არ გჭირდებით, უარი თქვით ჩემს განაწილებაზე და მშვიდობიანად დავბრუნდები ჩემს საქართველოში-მეთქი... თქვენთვისაც კარგი იქნება და ჩემთვისაც-მეთქი...

სამდივნოს მიმღების უფროსმა მრავალმნიშვნელოვნად გაიცინა და მიპასუხა, დაახლოებით ასე:

— ჩემი ნება რომ იყოს, ახლავე გაგიშვებდი უკან, მაგრამ ეს ჩემს ძალებსა და უფლებამოსილებას აღემატება. აქ გაგანაწილეს, ამიტომ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ შენს სამსახურზე. გამოსავალი ერთია, ხელშეკრულებას გავაფორმებთ ბაქოს თუჯის ჩამოსასხმელ ქარხანასთან და

იქ იმუშავებ, დაახლოებით, წელიწადი ან ცოტა მეტი, ვიდრე ფიზიკის ინსტიტუტი აშენდება, შემდეგ კი, როცა დავიწყებთ ინსტიტუტის ლაბორატორიების აწყობას, ჩვენთან გადმოვიყვანოთ.

მივხვდი, რომ კამათს აზრი არ ჰქონდა, რადგან ესენი ვერაფერს გადაამწყვეტდნენ. სამაგიეროდ, იქვე მომცეს ორი თვის ხელფასი, ამინაზლაურეს მგზავრობის ხარჯები და, ჰოი უცნაურობავ, რაკი ქარხანას საერთო საცხოვრებელი არ ჰქონდა, გამომიცხადეს, რომ რაიმე ფართის გამოყოფამდე უნდა მეცხოვრა თითქმის ქალაქის ცენტრში მდებარე სასტუმრო „აზერბაიჯანში“.

გავიქეცი თავქუდმოგლეჯილი.

შესანიშნავად მიმიღეს. მახსოვს, ადმინისტრატორმა აზერბაიჯანულად უთხრა მისაღებში მომუშავე ქალს:

— ზაირა, ამ ბიჭს ის ერთი ოთახი მიეცი, მესამე სართულზე, დაე იცხოვროს, თანაც გურჯია, ისინი ჩვენი ძმები არიანო.

მეც არ დავაყოვნე და აზერბაიჯანულად ვუპასუხე:

— სალოლ ამი, სალოლ ხანუმ-მეთქი.

ამაზე სულ გადაირივნენ. ჩემი სახელი რომ გაიგეს, სხაპასხუპით ამიხსნეს, რამდენი სახელოვან მუსლიმს ერქვა ჯემალი და რომ ეს სიტყვა არაბული „ჯამალ“-იდან (ლამაზი) წარმომდგარიყო.

მოკლედ, რაც კი აზერბაიჯანული სიტყვების მარაგი მქონდა, ყველა გადმოვაფრქვიე და იმ დღიდან სასტუმრო „აზერბაიჯანის“ საპატიო სტუმრად ვიქეცი. ყოველთვის საგულდაგულოდ მილაგებდნენ ოთახს, ხანდახან დეიდა ზაირა ხილსაც კი მიწყობდა მაგიდაზე. დიდად ვემადლიერები ასეთი თბილი მიღებისათვის, ღმერთმა აცხონოს მათი კეთილი სულები.

თხრობა რომ არ გამიგრძელდეს, გეტყვით, რომ რამდენიმე დღეში მოვინახულე აზერბაიჯანის ფიზიკის ინსტიტუტის მშენებარე ფლაგმანი. ჯერ კიდევ საძირკველს ასხამდნენ და რა იმედიანდაც უნდა შეგეხედა ვითარებისათვის,

იმედითვე ვერ განგანყოფდა და ალბათ მას რომ დავლოდე-ბოდი, ახლაც ბაქოში უნდა მეყურყუტა.

თავს არ შეგანყენთ ჩემს „დიდ შრომით“ მიღწევებზე თხრობით ბაქოს თუჯის ჩამოსასხმელ ქარხანაში, ერთს კი გეტყვით, რომ ეს „გმირობანი“ დიდხანს არ გაგრძელდება, დედაჩემისა და მისი ბიძაშვილის, გიორგი ჯაბუას — 1962-1965 წლებში საქართველოს სოვნარხოზის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, შემდგომში მსუბუქი მრეწველობის მინისტრი, პროფესორი და კათედრის გამგე — ერთობლივი ძალისხმევით, სულ რაღაც ექვს-შვიდ თვეში დამაბრუნეს თბილისში, სოვნარხოზში სამუშაოდ. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, დედაჩემს უთქვამს ბიძია გიორგისთვის: თუ ბავშვს არ ჩამომიყვან, შენს კაბინეტში „შიშშილობის“ აქციას გავმართავო.

ისე დაშინებულა ბიძია, რომ მისივე თანდასწრებით დაურეკია თავისი კოლეგისათვის ბაქოში, მე კი ფაცხაფუცხით მომცეს ორი თვის ხელფასი, ამიღეს ბილეთი და სასწრაფოდ გამომიშვეს საქართველოში, ღრმად დარწმუნებულემა, რომ ვერ გამოვადგებოდი აზერბაიჯანის რესპუბლიკის კომუნიზმის მშენებლობას და ვერც იქაურ მეტალურგიას ვახეირებდი საჭიროებისამებრ. თუმცა ეს მერე მოხდება, ჯერ კი:

სასტუმროში ვცხოვრობ ქალაქის ცენტრში.

ყოველ დილით სამსახურებრივი ავტობუსით მივდივარ ქარხანაში. ვასხამთ თუჯს, ვანანილებთ ყალიბებში, რომლებსაც ვუგზავნი დამხმარე საამქროებს დასამუშავებლად; იწერება ხელფასი, ხანდახან პრემიაც, სამ-ოთხ თვეში ოსტატი უბნის უფროსის თანაშემწედ დამანიანურეს. ვარ რა... ფული მუდმივად არ მყოფნის, რადგან ვერ ვიზოგავ, მაგრამ მაინც ბედნიერად ვცხოვრობ. ეგ არის, მენატრება თბილისი, ჩემი მეგობარ-ამხანაგები და, რაც მთავარია, დედა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ყმანვილკაცი ვარ. მის წერილებს ერთი-ორი დღე არ ვხსნი, რადგან ვიცი, ისეთი სევდა იქნება მათში, ისეთი მონატრება და

კითხვები: რამე ხომ არ მტკივა, ხომ არ მშია ან მცივა - ბაქო ხომ ქარების ქალაქია... ვნანობ, რატომ არ შევინახე ეს წერილები, ახლა რომ მახსენდება, თვალზე ცრემლი მადგება. რაც ბავშვობაში სიმკაცრე გამოეჩინა სანყალ დედაჩემს ჩვენი აღზრდისას, ახლა ერთიანად გამქრალიყო და ისე თბილად და ტკბილად, ისეთი დაუზოგავი და მოუზომავი სიყვარულით ამოეხვია ეს სიტყვები, რომ ახლაც მათობს ამ წერილების მოგონება.

ერთ მშვენიერ შაბათ დღეს მე და ჩემმა თბილისელმა მეგობრებმა, მივლინებით რომ ჩამოვიდნენ ბაქოში ძველი 420 მარკის „მოსკვიჩით“, კარგად შევუბერეთ სასტუმროს რესტორანში. კვირა დღეს კი შევედი ბიჭებთან, ჩაი დავლიეთ, ამოვიბრუნეთ ჯიბეები და აღმოვაჩინეთ, რომ გაფხეკილები ვართ. ვასიკომ, ჩვენში ყველაზე უფროსმა, ბრძნული აზრი გვითხრა:

— აქ ხურდა იმდენია, ეყოფა დეპემის გაგზავნას ბაბუა-ჩემისთვის, რომ სასწრაფოდ ბენზინის ფული გამომიგზავნოს. ჭკვიანი კაცია და იქნებ საჭმლისთვისაც დაამატოსო. ახლა ბაკში ცოტა ბენზინი მაქვს, ფული კი ალბათ ხვალ ან ზეგ იქნება და მანამდე, ძალიანაც რომ გვინდოდეს, აქედან ვერ წავალთო. დანარჩენი ხურდით ვიყიდოთ ერთი კარგი საზამთრო, აქ კი ჯემალის იმედი მაქვს, მისი მსახიობური ნიჭის, ჩაუთათრულებს და შეიძლება უფასოდაც მოგვცენ, მერე კი რამე იქნებაო.

ეს კი სიმართლე იყო. ვიდრე ბაქოში ვიყავი, სამიდან ორ საზამთროს მჩუქნიდნენ, სირცხვილიაო, - ამბობდნენ, გურჯი ბიჭია და ფეშქაში იყოსო.

ვასიკომ კი თავისი გამოსვლა ასე დაამთავრა:

— მოკლედ, გალლეტილო ქართველებო, გეპატიჟებით საკურორტო ქალაქ ბილგიაში, ბაქოდან 30-35 კილომეტრში. იქ მივირთვით საზამთრო, შემდეგ ბატონი ჯემალი თავისი თათრულით ჩაუვარდება ფეხებში ხანუმა ზაირას ან ბიძია ხალილს და რაღაც თანხას ისესხებსო, - თან გამომხედა და საყვედურით, - რა იყო, რა გრჯიდა, რალა გუშინ გაუს-

ტუმრე ის შენი ვალიო.

ერთი სიტყვით, ნაბახუსევნი და მშიერ-მწყურვალნი წავედით საზამთროზე, რომელიც მართლაც გვიფეშქაშეს. 15-20-კილოგრამიან საზამთროს ნესვიც მოაყოლეს და გავეშურეთ საკურორტო ქალაქ ბილგიაში. გზაში აზერ-ბაიჯანული თონის პურიც ვიყიდეთ, ასე რომ, მთლად მშივრები არ დავრჩებოდით.

ერთსაც მოგახსენებთ:

იმ წლებში ბაქოში ზღვის წყალი ისეთი დაბინძურებული გახლდათ მაზუთითა და ნავთობით, რომ ვერ იბანავებდით. იყო ერთი-ორი სამოქალაქო პლაჟი, მაგრამ იქაც კი წყალში ჩასული ევროპული გარეგნობის ადამიანი ამოსვლის შემდეგ შესაძლოა აფრიკელი ჰგონებოდი ვინმეს. ამიტომაც წავედით საბანაოდ ბილგიაში.

სად იყო მაშინ მწვანეთა საზოგადოება „გრინპისი“, ხომ დააქცევდა ქვეყანას, მაგრამ ნურას უკაცრავად, „გრინპისის“ ბაქოსთან ან, საერთოდ, საბჭოთა კავშირთან რა ხელი ჰქონდა. ამ „დიადი ქვეყნის“ „დიადი ხალხი“ მზრუნველ ხელისუფალთ გარშემორტყმული ვყავდით რკინის ფარდით, კაპიტალიზმის მავნე ჩვევებით რომ არ გავხრწნილიყავით. ჰაერიც სუფთა გვექონდა, ზღვაც და საკვებიც, აი, კაპიტალიზმი კი „ლპებოდა“, და „ლპებოდა“, ოღონდ ეგ იყო, დროდადრო „ფარდის“ იქიდან რალაცნაირი იდუმალი და შეუცნობელი სურნელი მოჰქონდა შემთხვევით მონაბერსიოს, სურნელი, რომელიც სულაც არ ჰგავდა გახრწნილისას...

როგორც იქნა, ჩავედით ბილგიაში.

იმ დროისათვის მგონი პირველად ვნახე ასეთი მშვიდი და წყნარი ზღვა. მისი ლურჯი ზედაპირი თითქოს გაყინულიყო ან ამოდენა სივრცე სარკით დაეფარათ და ცა იხედებოდა მასში...

შევედით წყალში. მგონი, სექტემბერი იდგა, მაგრამ წყალი ძალიან თბილი მომეჩვენა. დიდი მოცურავე არ გახლდით, მაგრამ რამდენიმე ათეულ მეტრზე კი სიამოვნებით

გავცურავდი, მაგრამ... იმ დღეს ეს ჩემთვის და მეგობრებისთვის ეს შეუძლებელი გახდა.

აკი მოგახსენეთ, წყალში შევედით-მეთქი, განვვლეთ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რამდენიმე ათეული მეტრი, მაგრამ წყალს სიღრმე არ ემატებოდა. უკან მოვიხედე და ისეთ მოცურავეს, როგორც მაშინ გახლდით, ლამის გული შემიღონდა, ისე შორს დარჩა ნაპირი, წყალი კი მხოლოდ მუხლებამდე გვწვდებოდა. რა გვექნა, არ ვიცოდით. კაციშვილმა არ იცოდა, წინ რა გველოდა და ამიტომ თავი შევიკავეთ ექსპერიმენტებისაგან, ბავშვებივით ვიჭყუმპალავეთ და ცოტა დაღონებულნი გამოვბრუნდით ნაპირისაკენ.

ე.წ. პლაჟი სასტიკად „კეთილმოუნყოფელი“ იყო, მოყვითალო ქვიშით დაფარული. ამოვანწყვეთ ჩვენი „მდიდრული“ სანოვაგე, ერთ დიდი საზამთრო, ერთიც ნესვი და აზერ-ბაიჯანული თონის პურები. მაშინ აღმოვაჩინე, რომ საზამთრო პურთან ერთად საკმაოდ გემრიელი რამ ყოფილა. ხომ გაგიგონიათ: როცა გზია, ბაბაია, ცივი მჭადიც შექარაიო, მერე ჩავსხედით ჩვენს „ლიმუზინში“ და უკან ბაქოში დაბრუნება გადავწყვიტეთ. ზღვიდან მოშორებით, ორმოცდაათიოდ მეტრში მდებარე სამიკიტნოებიდან მწვადების სუნი მოჰქონდა ნიავს, მაგრამ ამაყად გავუძელით, იქით არ მიგვიხედავს. ჩვენი „მოსკვიჩი“ ჩვეული თუხთუხით, ნელა მიიკვლევდა გზას წყლითა და წვიმით გაჟღენთილ ქვიშაზე.

უცებ მანქანამ „ბუქსაობა“ დაიწყო, ვერაფრით წინ ველარ წავიდა, რამდენადაც ცდილობდა ვასიკო სიჩქარის მომატებას, მით უფრო ვეფლობოდით ქვიშაში. მეტი რა გზა გვექონდა, გადმოვედით, ვანვებოდით გახვითქულნი, ის ჩვენი საზამთროც ყელში გვიჭიპჭიპებდა ნაბახუსევით, მაგრამ პირველი მცდელობა ვერ გამოდგა შედეგიანი. სიგარეტებს მოვუკიდეთ და მომავალი „ბრძოლისათვის“ ვემზადებოდით, რომ დავინახეთ, როგორ მორბოდა ჩვენკენ ახლომდებარე სამიკიტნოდან, დაახლოებით, 5-6 ახალგაზრდა მა-

მაკაცია, ზოგი მაისურითა და მისი ამხანაგით, ზოგიც სა-
ცურაო საცვალში გამოწყობილი. ერთი ის გავიგე, **FX** მან-
ქანააო — ე.ი. საქართველოს ნომრებიანი მანქანა -
ქართველები იქნებიან და დავეხმაროთო.

ვინც არ იცის ან დაავინებელი აქვს, შევახსენებ, რომ 60-
იან წლებში თბილისში ცოტა მსუბუქი ავტომობილი დადიო-
და, ამიტომ კერძო მფლობელობაში არსებულ მცირერიცხ-
ოვან მანქანებს მხოლოდ ორი რუსული ასო ეწერა სანომრე
ნიშნად. აბრევიატურის ორი ასოდან **Г Грузия**-ს ნიშნავდა,
აი **X**-ს მნიშვნელობას დღესაც ვერ ვხსნი. არ ვიცი ეს
რუსულში მაინცდამაინც არასასურველი და არაკეთილხ-
მოვანი ასო საკავშირო **ГАИ**-მ რატომ შეარჩია ამდენი რეს-
პუბლიკიდან მაინცდამაინც საქართველოსთვის.

მოცვივდნენ ეს ახალგაზრდები, ერთად შევეჭიდეთ
„ლიმუზინს“, რომლის ორი უკანა ბორბალიც თითქმის ბო-
ლომდე სველ ქვიშაში ჩაფლულიყო, ამოვართიეთ მანქანა,
გავეცანით ერთმანეთს. მასპინძლებმა შორს, მთებში ჩაფ-
ლული სოფელი ბილგია დაგვანახეს, იქიდან ვართო, და
გვთხოვეს, დავწვეოდით იქვე, სამიკიტნოში გაშლილ სუ-
ფრაზე.

ჩვენს მშვიერ კუჭებს დიდი ხვენწა არ დასჭირვებიათ,
ისიც არ ვიცოდით, გაფხეკილი ჯიბეების გამო ბაქოში რა
გველოდა, რას გვინყალობებდა ღმერთი სადილად ან ვახ-
შამად და გავყევით.

სახელდახელო სუფრაზე დაგვხვდა სხვადასხვა ბოსტ-
ნეული, ყველი, ღვეზელები და, რა თქმა უნდა, მწვადი,
ცოტა შეცივებული.

მართალი გითხრათ, ერთი სული მქონდა, როდის გადა-
ივლიდა ეს გაცნობის მღელვარება და ფორიაქი, მაგრამ
ერთმა შუა ხნის მამაკაცმა ოფიციალტს უბრძანა: ხომ ხე-
დავ, რა სტუმრები გვყავს საქართველოდან და სასწრაფოდ
სუფრა გადაახალისეო. აგვაცალეს ეს ჩვენი სანოვაგე და
ხელახლა განყვეს, ჩანს, ნასუფრალებზე არ მიგვიწვიეს,
როგორც საპატიო სტუმრები.

შემდეგ აღმოჩნდა, რომ სოფელ ბილგის საშუალო სკ-
ოლის პედაგოგები იყვნენ, დასვენების დღეებში, ჩვეუ-
ლებრივ, ზღვაზე საქეიფოდ რომ იკრიბებოდნენ ხოლმე.
ცხადია, მხოლოდ მამაკაცები, იქ არცერთი აზერბაიჯანე-
ლი ქალბატონი არ გვინახავს, მაშინ ჯერ კიდევ შემორჩე-
ნილი იყო ტრადიციული ადათ-წესები.

სიტყვა სიტყვას მოჰყვა... ჩვენამდეც უკვე შექეიფიანებ-
ული მასპინძლები ცდილობდნენ, რითაც შეეძლოთ პატივი
ეცათ.

ამ დროს წამოდგა ჩვენი „ძმა“, ვასიკო, ბოდიში მოიხადა
სუფრასთან, მივიდა დახლიდართან, გადმოაღებინა სამი
შამპანური, ორი შოკოლადის ფილა, ერთი თეფში გაავსო
ვაშლითა და მსხლით, ოდნავ შებრუნდა ჩვენგან და... რამ-
დენიმე წამში მის ხელში გაიელვა ლენინისთავიანმა კუპი-
ურამ - ოცდახუთი მანეთი, ინჟინრის მთელი თვის ხელფა-
სის მეოთხედი გადაუხადა მედუქნეს, სამი მანეთი უფეშქაშა
და მასთან ერთად გამოეშურა ჩვენი სუფრისკენ. ალბათ
ღმერთის წყალობით იყო, მე და ჩემს მეგობრებს იმ წამებ-
ში მოულოდნელობისგან მოღრეცილი ყბები სამუდამოდ
ასე რომ არ დაგვრჩა და ხეიბრებად არ ვიქეციით.

ვიღიმებოდით - თან გაოგნებულნი და თან, ცოტა არ
იყოს, ამაყნიც, რომ იმ სუფრაზე მთლად მათხოვრებით
არ ვისხდებოდით. ვასიკო ჩვენკენ არ იყურებოდა, მის გა-
მომეტყველებაში მხოლოდ ერთს თუ ნაიკითხავდი, აბა, რა
გეგონათ, ვასიკო რის ვასიკოა, შავი დღისთვის საყვარელი
ლენინის „პორტრეტს“ ჯიბით არ დაატარებდესო.

ამაზე მთლად გადაირივნენ მასპინძელი აზერბაიჯან-
ელნი. აკი მოგახსენეთ, ცოტაოდენი აზერბაიჯანული მაშინ
გამეგებოდა და ვსაუბრობდი კიდევ, რადგან ბავშვობა
აბანოთუბანში, აზერბაიჯანელთა გარემოცვაში მქონდა
გატარებული. მესმოდა, როგორ იწონებდნენ მის საქციელს.
ხომ გითხარი, ქართველები ნამდვილი ვაჟკაცები არიან და
არაფერი ეშლებათო. დასტურად ხშირად ამბობდნენ სიტყ-
ვა „ქიშ“-ს, რაც მათ ენაზე, ასე ვთქვათ, კაცურ კაცს ნიშ-

ნავს.

ქეიფი გაგრძელდა. თამადობა ხელიდან ხელში გადადიოდა. ერთი სიტყვა მეც ვითხოვე. ღრმად ჩავისუნთქე, მოვიკრიბე მთელი ჩემი ცოდნა, ნიჭიერება და აზერბაიჯანულად წარმოვთქვი ამ ხალხის კულტურული მემკვიდრეობის დიდი სახელების, კომპოზიტორების — სოლტან გაჯიბეკოვის, რაუფ გაჯიევის და სხვათა, მომღერალ რაშიდ ბეიბუთოვის, აღმოსავლეთის დიდი მგოსნის — ნიზამი განჯელისა და სხვათა სადღეგრძელო.

ახლა მარტო ვასიკოს კი არა, მეც პირდაღებულნი მომჩერებოდნენ ჩემი მეგობრებიც, მასპინძლებიც და მთელ სამიკიტნოში მსხდომი აზერბაიჯანელებიც... სიტყვა დამთავრებული არ მქონდა, რომ წამოხტა სუფრიდან ასე ოცდათხუთმეტიოდე წლის კაცი, გულში ჩამიხუტა და, ამიერიდან ჩემი ძმა ხარო, მითხრა. კიდევ რამდენ ხანს ვისხედით, არ მახსოვს, მგონი, ერთ თუ ორ საათში ჩემმა ახალმა ძმობილმა, სახელად იბრაგიმმა, მთელი სუფრა ბილგიაში (ტექსტის ჩამოყალიბების დროს განსაკუთრებულად ვცდილობდი სწორად დამენერა სიტყვის მეორე ასობგერა „ი“, რათა არ შემშლოდა და სიტყვა „ბელგია“ არ მეხმარა! მაშინ ჩემს მკითხველთან ერთად სულ სხვაგან აღმოვჩნდებოდით...), თავის ოჯახში მიგვიწვია: ახლა იქ გავაგრძელოთო. ჩვენ უკვე იმ ზღვარზე ვიყავით, აღარაფერი რომ გაკავებს, მით უმეტეს ასეთ გულწრფელ მიპატიჟებაზე უარს ხომ ვერ ვიტყვოდით, მხიარულად ავიშალეთ, ჩავსხედით მანქანებში და გავყევით. იბრაგიმმა მთხოვა, პატივი დამედო და მის მანქანაში ჩავმჯდარიყავი.

გზა როგორ გავიარეთ, არ მახსოვს.

მანქანიდან გამოსულელებს გვეგონა, როგორც ჩვენთანაა მიღებული, მასპინძელი ეზოში შეგვიძღვებოდა, მაგრამ იბრაგიმმა ყველას დალოდება გვთხოვა კართან, თვითონ კი სასწრაფოდ შეიჭრა ეზოში „ბირ მინუტ, ბირ მინუტის“ ძახილით, ანუ ერთი წუთითო. მეტი რა გზა გვქონდა, დაველოდეთ.

ჩვენთან ერთად მყოფ სხვა აზერბაიჯანელებს რომ შევხედე, გუმანით მივხვდი, რომ იცოდნენ, რას მოიმოქმედებდა იბრაგიმი.

მართლაც, რამდენიმე წუთში ეზოში გაისმა ცხვრის ბლავილი. გაიღო კარი, გამოვიდა იბრაგიმი თავის ჯალაბობასთან ერთად - მშობლები, ცოლი და ხუთი შვილი ჰყავდა. ორ ახალგაზრდას ხელში აეტატებინა საშუალო ზომის ცხვარი. გააღეს ალაყაფის კარი, ცხვარი ზღურბლზე დაანვინეს და იბრაგიმს ხანჯალი მიანოდეს.

მან მე მიმიწვია გვერდით. პატარა სიტყვაც წარმოთქვა აზერბაიჯანულად, დაახლოებით ამ შინაარსის:

— ალაჰის წყალობით მე, იბრაგიმი, და ჩემი ოჯახი ჩვენი სახლის ზღურბლის გადაკვეთისას ვწირავთ ამ ცხვარს ჩემს ძმობილს, ჯემალსო. მერე ხელის რალაცნაირი, რიტუალური მოძრაობით მოჰკვეთა თავი და ფეხებთან დამიგდო...

ვერ გეტყვით, სიამაყით ავივსე ამის შემყურე-მეთქი. ცოტა ბარბაროსულიც მეჩვენა ეს სურათი, თუმცა... ის ცხვარი ადრე თუ გვიან თავის „სასუფეველს“ მაინც ჰპოვებდა იბრაგიმის სახლში, თანაც ადათი ადათია... და შევეცადე თავი შემეკავებინა ჩემი განცდების გამოხატვისაგან.

შემდეგ მთელმა ოჯახმა შინ შეგვიწვია. მოზრდილ აივანზე უკვე სუფრა იშლებოდა, ჩვენ კი გამოგვიტანეს ეზოში მაგიდა სკამებით და წარდის თამაში შემოგვთავაზეს. დაახლოებით ათნი ვიყავით. საიდანლაც მეორე წარდიც გამოჩნდა და გავმართეთ „ჩემპიონატი“, ოლიმპიური წესით, სადაც წამგები თამაშს ეთიშებოდა.

ეზოში ისეთი ჟრიაღი იდგა, ბავშვობაში რომ მახსოვს ფეხბურთის თამაშისას. იყო ხუმრობა, ნაქეზება, აღფრთოვანება... საერთოდ, უნდა ითქვას, რომ წარდი აზერბაიჯანში უფრო პოპულარულია, ვიდრე საქართველოში. ლითონის ჩამოსასხმელ ქარხანაში მუშაობისას სულ რალაც ნახევარ წელიწადში ორი ტურნირი გაიმართა გრძელ და მოკლე წარდში და უნდა გენახათ, გამარჯვებულები ისე ამაყ-

ობდნენ, როგორც მსოფლიო ოლიმპიურ ჩემპიონებს შეკფერით.

ისე, აზერბაიჯანელები გრძელ ნარდს უფრო სწყალობენ, ქართველებისგან განსხვავებით, რომლებიც მოკლე ნარდს ვამჯობინებთ.

ამ მხიარულობაში არც კი ვიცი, რა დრო გავიდა, ალბათ ორიოდე საათი და აივანზე გაშლილ სუფრასთან მიგვიპატიჟეს. ქართულ სამზარეულოსთან შედარებით, მწირი სანოვაგით იყო განწყობილი – ძირითადად იმით, რაც შემონირული ცხვრისაგან „გამოდნებოდა — მწვადი და რაღაც წვნიანი, რომელსაც ბიშბარმა ერქვა. ბადრიჯნი და პომიდორიც ჩვენ თვალწინ იწვოდა სახელდახელო კოცონზე.

აი, უკვე ორმოცდაათ წელზე მეტი გავიდა იმ დღიდან, მაგრამ დღესაც მახსოვს იმ მწვადების სურნელი და გემო. ესვამდით აზერბაიჯანულ კონიაკსა და შამპანურს და ამიტომაც სასმელი სწრაფად გვეკიდებოდა. თამადა არავის აურჩევია და ერთგვარი ნებართვის ალების შემდეგ ყველას გვექონდა საკუთარი ორატორული ნიჭის გამოვლენის საშუალება.

ჩემმა ჯერმაც მოაწია.

დავლოცე ერთგულეობა, მეგობრობა, ურთიერთგაგება, რაც შეიქმს შემდეგ სიყვარულს და ყოველივე ამის დასტურად ზეპირად წავიკითხე ნიზამი განჯელისა და ომარ ხაიამის თითო რობაი, აქიდან ნიზამისა - აზერბაიჯანულად, ჯერ კიდევ ყმანვილკაცობაში რომ მასწავლა ჩემმა მეზობელმა ფოლად გაჯიევმა.

ყველაფერს ელოდნენ სუფრასთან მსხდომნი, მაგრამ ამას არა. იბრაგიმი და მისი მეგობრები რიგრიგობით წამოიშალნენ, ხელს მართმევდნენ და მეხვეოდნენ. მისი მამაც მოვიდა, ასე ორმოცდაათიოდე წლის კაცი, მაშინ მოხუცი რომ მეჩვენებოდა. გადამეხვია და მითხრა:

— აი... აი, სალოლ ჯემალ, ჩოლ სალოლ!..

ჩემი მეგობრები კი განცვიფრებულნი მომჩერებოდნენ: ეს ბიჭი მგონი წინასწარ ემზადებოდა აქ ჩამოსასვლელად

და ასეთი სიტყვის სათქმელადო.

როგორც იყო, ფორიაქი დაცხრა. ამ დროს იბრაგიმი იყვირა:

— მე ვიცი, რაც უნდა გავაკეთო, ახლავე მოვალ, სულ რაღაც ათი-თხუთმეტი წუთით დაგტოვებთო.

ჩაირბინა კიბეები და თავის „ჟიგულში“ ჩაჯდა.

ატყდა ხმაური, განევ-გამოწევა, მშობლები უშლიდნენ, სად მიდიხარ, შვილო, ასეთი ნასვამი, რაიმე ხიფათს არ გადაეყარო.

არაფერმა გაჭრა. იბრაგიმი მხოლოდ ერთს გაჰყვიროდა „ẏ ñê ð̇ i̇ ð̂ë ä̂r“ -ო, ჩემს ძმა ჯემალს ერთი სიურპრიზი უნდა გავუკეთოო.

მართალი გითხრათ, თითქოს გამოვფხიზლდი. რაღაცნაირი უხერხულობის გრძნობა დამეუფლა, ჩემ გამო ცუდს არაფერს გადაეყაროს ნასვამი კაცი-მეთქი, ამ „სიურპრიზმაც“ ცოტა არ იყოს დამაფრთხო, წაყვანა შევთავაზე, მაგრამ უარი განმიცხადა, თან ერთ-ერთი მეგობარი იახლა და წავიდა.

რაღა გაეწყობოდა, ნელ-ნელა აივანზე ავედი. რაღაცნაირმა სიჩუმემ დაისადგურა, თუ ვინმე დაილაპარაკებდა მასპინძლთაგან, ისიც უხერხულობის გასაფანტავად, თორემ ყველას გუნება წაგვიხდა. დამერწმუნეთ, ძნელია ლოდინი, როდესაც არ იცი, შენ გამო რა მოხდება. ეს ფიქრიც ამეკვიატა: ისეთი კარგი დღე იყო, ცუდად არ დამთავრდეს-მეთქი... ის 15-20 წუთი პირადად ჩემთვის სამინლად გაინელა, მაგრამ, საბედნიეროდ, გაისმა „ჟიგულის“ თუხთუხი და იბრაგიმი შემოგრიალდა ეზოში.

მანქანის სახურავზე თეთრ მიტკაღში შეხვეული დიდი ნივთი ედო, სიგრძით სამ და სიგანით ორ მეტრამდე. ფერწერული ტილო მეგონა, ალბათ ნიზამი განჯელის პორტრეტი-მეთქი, ვიფიქრე, რაკი სწორედ მისი რობაის წაკითხვას გამოეწვია აღფრთოვანება. ამოვიდა აივანზე იბრაგიმი, მომიახლოვდა და სწრაფად დაიწყო მიტკლის შემოხსნა. მოუთმენლობისაგან სული დამელია. როგორც იქნა გახსნა

და... რას ვხედავ:

ჩვენ თვალწინ სულ რაღაც ორიოდ წლის წინათ უარყოფილი „მამა-მაცხოვრის“, საბჭოთა ხალხის ბელადის, გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის ძე სტალინის პორტრეტი იდო.

ასეთი პორტრეტი იქნებ ჩემს თანამედროვეებსაც არ ახსოვდეთ - სტალინი გენერალისიმუსის ფორმაში, შავი ლაკის ჩექმებით და ხელში ჩიბუხით. მხატვრის ჩანაფიქრით, თითქოს შენკენ მოდიოდა ბელადი, ამაყი, თავდაჯერებული ნაბიჯით.

იბრაგიმი მოვიდა, გადამეხვია, გადამკოცნა და საზეიმოდ გადმომცა საჩუქარი. თან დააყოლა, მხოლოდ ჩემს ძმას თუ ვუძღვნიდი ასეთ ძვირფას რამეს, 1956 წელს თბილისში, სტალინის ძეგლთან დატრიალებული ტრაგედიის მონაწილეს და თვითმხილველსო.

აი, აქ კი გამახსენდა, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამის მიზეზი - სამიკიტნოში ლექსივით რომ ჩამომერაკრაკებინა ჩემი თავგადასავლები, მათ შორის ამ მოვლენებზეც.

რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო, ნათქვამია და აგერ, საკუთარ თავზე მენწვინა ამ სიტყვების ჭეშმარიტება.

ერთით კი დაინტერესდა:

— საჩუქარს თბილისში წაიღებ თუ აქ, სასტუმროში გექნება გულში ჩახუტებული?

ამ კითხვამ თითქმის გამომაფხიზლა.

ვგრძნობდი, საჩოთირო მდგომარეობაში აღმოვჩნდი.

ძღვენზე უარის თქმა იბრაგიმს სიკვდილს უდრიდა, მაგრამ იმაზე ფიქრი, რა უნდა მექნა ამ პორტრეტისათვის – ჯერჯერობით ვერ მომეფიქრებინა.

რაც შემეძლო თავი შევიკავე, ან კი რა უნდა მექნა. დიდი ჭიქით დავლიეთ ბელადის სადღეგრძელო. შემდეგ კიდევ საათი თუ ვისხედით სუფრასთან, მე უკვე საგონებელში ჩავარდნილი და გუნებაწამხდარი. შემდეგ გულუხვმა მასპინძელმა სტუმრები ერთ დიდ ოთახში დაგვაბინავა და

მშვიდი ძილი გვისურვა.

დავრჩით მეგობრები, სიცილისგან რომ იგუდებოდნენ, ხუმრობდნენ, ქოთქოთებდნენ და „მაბურთავებდნენ“:

— მგონი, ფულიც იშოვა ჯემალმაო; ბაქოში დიდი ბაზარი რომ არის, იქ წავიყვანოთ, სურათს გაყიდის და სახსარიც გაგვიჩნდებაო.

ათასი ასეთი რამ „იობის მოთმინებით“ ვისმინე, ვიდრე არ დაიღლებოდნენ და ხვრინვას ამოუშვებდნენ.

ამ ყურუმსალებს კი დაეძინათ, მაგრამ მე და ბელადს მთელი ღამე თვალი არ მოგვიხუჭავს... ასე შევხვდით ერთად განთიადს.

ერთსლა ვნატრობდი და ვეჭიდებოდი: იქნებ მასპინძელს ხვალ დაავინყდეს საჩუქრის გადმოცემა, ან სულაც ველარ შეელიოს ამ „ძვირფას“ ძღვენს-მეთქი, მაგრამ... ნურას უკაცრავად.

დილით ცოტაოდენი ნავიხემსეთ, თითო კონიაკიც ჩავურტყით, ეზოში გამოვიხედე და... რას ვხედავ: უკვე ჩემი კუთვნილი ბელადის პორტრეტი მასპინძლებს ღამაზად შეუხვევიათ იმავე ნაჭერში და ბანრით მიუმაგრებიათ ვასიკოს მანქანის სახურავზე.

გამოვემშვიდობეთ და წამოვედით...

მთელი გზა ბიჭებს ხმა არ ამოუღიათ, ალბათ დამინდეს, იფიქრეს, თავისი „გაჭირვებაც“ ეყოფაო, და აღარ მეხუმრებოდნენ.

ათი-თერთმეტი საათი იქნებოდა, სასტუმროში რომ მივედით. იქაურობა თითქმის ცარიელი დაგვხვდა, რადგან ძველი მდგმურები წინა დღეებში წასულიყვნენ, ახლების ჩასახლება კი ჯერ არ დაწყებულიყო. ფრთხილად ჩამოვხსენით ჩემი საჩუქარი და ციმციმ ავიტანეთ მეორე სართულზე, ისე, რომ არავის არ დავუნახივართ და გავუბეზრებიათ კითხვებით: რა მიმქონდა, სად და რატომ? რუდუნებით მოვათავსეთ კარადის უკან და დავიშალეთ: მე - სამსახურში, ვასიკო და მისი მეგობარი კი სამივლინებო საქმეებზე.

გულუბრყვილოდ კი მეგონა, რომ სასტუმროში ნივთი „კონსპირაციულად“ შევიტანეთ, მაგრამ... მის ფხიზელ მუშაკებს სრულებითაც არ დარჩენიათ შეუმჩნეველი ჩვენი საექვო ფუსფუსი. ისიც უნდა ითქვას, რომ „აზერ-ბაიჯანი“ შედიოდა „ინტურისტის“ სასტუმროთა ქსელში, რომელსაც თურმე სუკ-ი ემსახურებოდა. ცოტა მოგვიანებით, ასე ხუთ წელიწადში, საკმაოდ კარგად გავიგე, რას ნიშნავდა ეს „მომსახურება“ — ასეთ სასტუმროებში პერსონალის 90% ან მეტიც სუკ-ის აგენტებისა და ნდობით აღჭურვილი პირებისაგან შედგებოდა, რომელთაც არაფერი გამოეპარებოდათ.

სალამოს, როცა დავბრუნდი, მორიგემ მამცნო, რომ სასტუმროს დირექტორს უნდოდა ჩემთან საუბარი: გულმა რეჩხი მიყო, გონებაში გავფილტრე ჩემი ქმედებანი, სასტუმროს შიდაგანანესის ათეულობით პუნქტი თითქოს არ უნდა მქონოდა დარღვეული. ახლავე ვეახლები-მეთქი, ვუთხარი და ჯერ ჩემს ოთახში ავედი, გამოვაცურე გენერალისიმუსის პორტრეტი და დაუკვირვებლადაც მივხვდი, რომ ვილაცას გაეხსნა, მერე ისევ შეეკრა, თუმცა ისე საგულდაგულოდ ველარ, როგორიც გამომატანეს იბრაგიმის ოჯახიდან.

შევედი დირექტორის კაბინეტში, სადაც ასე 55-60 წლის ჭალარა, საკმაოდ სიმპათიური მამაკაცი დამხვდა, ჩემზე ცოტა უფროს ახალგაზრდასთან ერთად, დირექტორმა თანაშემწედ რომ წარმიდგინა.

მაშინ იქ არაფერი მეუცნაურა, მხოლოდ მოგვიანებით, როცა თვითონ გავხდი სუკ-ის მუშაკი, მივხვდი რა „თანაშემწეც“ ესწრებოდა ჩვენს საუბარს.

— ჩემო ჯემალ, ხომ იცი, როგორ გვიყვარხარ ყველას. უკვე მესამე თვეა ჩვენთან ცხოვრობ, არაფერი ცუდი შენზე არ გვსმენია, მაგრამ დღეს, დალაგებისას, კარადის უკან გადამალული პორტრეტი აღმოაჩინეს შენს ოთახში. მხოლოდ ის მაინტერესებს, როგორ მოხვდა შენთან და აწი რას უპირებო.

მშვიდად და წყნარად ავუხსენი, რაც შეიძლება მოკლედ, რომ სტუმრად ვიყავი მეგობარ აზერბაიჯანელებთან, რომლებმაც პატივისცემის ნიშნად მაჩუქეს სურათი და, თუ ნებას მომცემდა ალი ხალილოვიჩი, პორტრეტს სასტუმროს ან პირადად მას ვუსახსოვრებდი.

— ო, არა, ჩემო ჯემალ, ერთი თუ ორი პორტრეტი ბელადისა ამ სასტუმროშიც ეკიდა. ყოფილი დირექტორი სტალინის პიროვნების კულტის უარყოფის შემდეგ არ დაემორჩილა ზემდგომი ორგანოების განკარგულებას, დროულად არ ჩამოხსნა ისინი, რასაც შეეწირა კიდეც მისი კარიერა. არ მინდა, მსგავსი ბედი გავიზიარო.

მაშინ ახალგაზრდა თანაშემწეს შევთავაზე, თქვენ გაჩუქებთ-მეთქი. იმანაც უარი მტკიცა:

— შინ რომ მივიტანო, ისეთი სტალინისტი მამა და ბიძა მყავს, სამამულო ომის მონაწილეები, ხელებს დამიკოცნიან, მაგრამ ვშიშობ, რომელიმე სადღესასწაულო დემონსტრაციაზე შეიძლება ქუჩაში ააფრიალონ, ამას კი ჩემი კარიერა გადაჰყვებაო.

— რა ვქნა, ჩემო ჯემალ, კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ იმის უფლებასაც ვერ მოგცემ, სასტუმროში არაღეგალურად სტალინის პორტრეტი გქონდეს გადამალული, - მომიბრუნდა დირექტორი.

— ალი ხალილოვიჩ, რამდენიმე დღეში ჩემი მეგობრები ბრუნდებიან თბილისში, მოვხსნი ამ პორტრეტს ჩარჩოდან, გადავახვევ, შევფუთავ და გავატან დედაჩემთან-მეთქი.

„Í ãñî ÿ ãã ãî ï ï ðî ï ã ðãø ãí ãã“ - ასე შეფასდა ჩემი აზრი. გამოვედი კაბინეტიდან. იქ კი დავაბრეხვე, გავატან-მეთქი, მაგრამ ვერც კი წარმომედგინა, როგორ ვეტყოდი ამას ვასიკოს, სხვა თუ არაფერი, იმდენს დამცინებდა, შეიძლება იობის მოთმინებასაც ველარ გაეძლო. ან დედაჩემს რა „შავ ქვად“ უნდოდა გენერალისიმუსის პორტრეტი, იუმორადაც ვერ ჩათვლიდა, თუმცა ბიჭების ნასვლამდე კიდეც რამდენიმე დღე იყო დარჩენილი და ვიფიქრე, „Óðî ãã÷ãð ï ããðã“ - მეთქი.

შესაძლოა ფიქრობთ, რა საჭირო იყო ამდენი თავისმტკრევა და წვალეობა, ხომ შეიძლებოდა ეს ნივთი თუნდაც ბილგიადან ტრანსპორტირებისას მომეშორებინა ან ჩუმად გამეტანა სასტუმროდან და მომესროლა სანაგვეში, მაგრამ ასეთ თავხედობა და უნამუსობაც ვერ წარმომედგინა ჩემისთანა ახალგაზრდა კაცისაგან — თბილისში საპროტესტო გამოსვლებში ვმონაწილეობდი, სანაპიროზე სტალინის ძეგლთან რამდენჯერმე ლექსებიც წამიკითხავს, მათ შორის საკუთარიც. იქნებ უნიჭო, მაგრამ, ნოდარ დუმბაძის გმირის, ზურიკელა ვაშალომიძის არ იყოს, გულწრფელი, გულიდან ამოღებული. მახსოვს, ემოციები-საგან ისე სწრაფად წავიკითხე, დამსწრე საზოგადოება მხოლოდ იმას თუ გაარჩევდა, რომ ბელადს ეძღვნებოდა.

სალამოს, როცა ერთმანეთს შევხვდით, ჩემი ჯიბე კი იცით, რა „გახვრეტილიც“ იყო, მაგრამ ბიჭებმაც იმედი გამიცრუეს. რაღას ვიზამდი, მორჩენილი ორი-სამი მანეთით წავედი სასტუმროს ბუფეტში, რომ მეგობრების თხოვნით, ფუნთუშა და კეფირი მეყიდა, ან „ბორჯომის“ მინერალური წყალი, რაკი ერთიცა და მეორეც ნაბახუსევს შველოდა.

მივედი დახლიდართან, რომელიც შესანიშნავად მიცნობდა, სულ ცოტა, სამი თვე მისი ხან „მდიდარი“, უფრო ხშირად კი ღარიბი კლიენტი ვიყავი. მეცვა თეთრი მაისური და ცისფერი სპორტული შარვალი „დინამოს“ ემბლემითა და ორი თეთრი ზოლით. პროდუქტების ყიდვამდე მოვიკითხეთ ერთმანეთი, რაც მუსულმანურ სამყაროში მიღებულია. გავაბით მუსაიფი. ამ დროს დახლთან მოვიდა ერთი აზერბაიჯანელი, რომელიც ამხანაგებთან ერთად ბარში დილიდან კონიაკს სვამდა, მოგვესალმა და მომმართა: თუ შეიძლება, ერთი წუთით დაგვეწვიეთ და სუფრა დაგვილოცეთო. ჯერ თავაზიანად ვიუარე, მადლობა გადავუხადე, მაგრამ გულში ვფიქრობდი, მეტისმეტიც არ მომივიდეს და ეს კეთილი კაცი ხელიდან არ გამომეცალოს-მეთქი. მსუბუქად გამომდო ხელკავი და მეგობრებთან მიმიძღვა. საკმაოდ

სასიამოვნო პიროვნებანი აღმოჩნდნენ. ორი-სამი პატარა ჭიქის დაღვევის შემდეგ უკვე გავერკვიე, რომ ბაქოს „ნეფთჩის“ გულშემატკივარნი იყვნენ, ძალიან უყვარდათ თბილისის „დინამოც“. მეორე დღეს ამ ორ გუნდს შორის თამაში იმართებოდა, ქართველი ფეხბურთელები ჩვენს სასტუმროში განეთავსებინათ და ჩემი სუფრასთან მიწვევა ერთგვარი მეგობრული ყესტი იყო მათი მხრიდან.

უცებ ბუფეტში შემოვიდნენ მიხეილ მესხი და ჯემალ ზეინკლიშვილი, რომლებსაც ადრეც ვიცნობდი. როგორც მათი გულმხურვალე თაყვანისმცემელი, თბილად მივესალმე, ხელი ჩამოვართვი, მოვიკითხეთ ერთმანეთი. ჩემი ახალგაცნობილი აზერბაიჯანელები სახტად დარჩნენ და მისჩერებოდნენ არა მარტო საქართველოს, მთელი საბჭოთა კავშირის ფეხბურთის დიდოსტატებს. მათი გაცილების შემდეგ სუფრასთან დავბრუნდი, უკვე როგორც „ავტორიტეტული“ პიროვნება დიდი ფეხბურთში. ამასობაში ვასიკოს უფიქრია, ჯემალს შეაგვიანდაო და მომაკითხა ბარში, ოთარმა კი ორივე მოგვისაკლისა, მოგვძებნა და...

აზერბაიჯანელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ამჯერად მე მივედი ბარმენტთან და ვთხოვე, მალე ხელფასს ავიღებ და გაგისტუმრებ, ოღონდ სუფრაზე ერთი ბოთლი კონიაკი, ერთიც შამპანური და ორი ფილა შოკოლადი მოგვიტანე, რომ არ შევრცხვეთ-მეთქი. ახლავე, ჯემალჯან, ახლავეო, და პირნათლად შეასრულა ჩემი დავალება. სიტყვა სიტყვას მოჰყვა, ანეკდოტი ანეკდოტს, სადღეგრძელო სადღეგრძელოს. ცხადია, ძირითადი თემა მაინც ფეხბურთი იყო. აზერბაიჯანელმა ნაცნობებმა თითქმის ყველა ქართველი ფეხბურთელის გვარი იცოდნენ. ამ კორიფეებთან შედარებით, ბაქოს „ნეფთჩის“ გუნდი თავის შემადგენლობით ალბათ სუსტად გამოიყურებოდა, მაგრამ ყველამ კარგად ვუნწყოდით, რომ „ბურთი მრგვალია“ და ყველაფერი შეიძლება მოხდეს, თანაც თამაში ბაქოში იმართებოდა, ეიმედებოდათ გულშემატკივართა დიდი დახმარება და, სასწაულს თუ არა, რაღაც სასურველ შედეგს მაინც ელო-

დნენ.

მოვლენებს გავუსწრებ და მოგახსენებთ, რომ იმ მატჩს ყველა ერთად დავესწარი. პირველი ბურთი ბაქოელებმა გაგვიტანეს — მათმა ლიდერმა ბანიშევსკიმ. თამაში, ფაქტობრივად, თანაბარი ძალით წარიმართა. ჩვენ გულდათუთქულნი ვუმზერდით მოედანს. მეორე ტაიმის ბოლოს ანგარიში გავათანაბრეთ. აქ უკვე ჩვენ ვზეიმობდით. ამ სიხარულს უხეშად არავინ გამოპასუხებია. მატჩი რამდენიმე წუთში ფრედ 1:1 დასრულდა. ასე რომ, გულშემატივართა ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა. სადავო და გასაყოფი არაფერი გვქონდა და ეს მოვლენა კიდევ ერთხელ აღვნიშნეთ ბაქოს სანაპიროს ერთ-ერთ შესანიშნავ რესტორანში. ოღონდ ეს მერე მოხდება, ჯერ კი...

ისევ სასტუმროს ბარში ვსხედვართ. ბევრი ვისაუბრეთ ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხის ტრადიციულ მეგობრობაზე, შევეხეთ უახლოეს პოლიტიკურ მოვლენათა საკითხებს, სტალინის ფენომენმაც გაიჟღერა. არ ვიცი, დამთხვევა იყო თუ ჩვეულებრივი ამბავი 60-იანი წლების დასაწყისის აზერბაიჯანში, მაგრამ ამ ახალ ნაცნობებშიც თითქმის ყველა სტალინისტი აღმოჩნდა.

მათ შორის გამოირჩეოდა ერთი, სახელად მაჰმუდი, აზერბაიჯანის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი, მეცნიერებათა კანდიდატი, რომელსაც სამეცნიერო ხარისხი, თუ მეხსიერება არ მღალატობს, სწორედ სტალინზე ჰქონდა დაცული.

— იოსებ ბესარიონის ძე სტალინის როლი და ღვაწლი ამიერკავკასიის რევოლუციურ მოძრაობაში... — დაიწყო მან და აი, სწორედ მაშინ იყო, „გენიალურმა“ აზრმა რომ გამინათა გონებაც და პრობლემის გადაწყვეტის გზაც. იქ მყოფნი ჩემს საცხოვრებელ ოთახში დავპატიჟე. გამოვაცურე კარადის უკანა მხრიდან „ჩემი გენერალისიმუსი“, გავხსენი და საზეიმოდ ვაჩვენე დამსწრე საზოგადოებას მისი გრანდიოზული პორტრეტი, მერე ჩემი ქართველი მეგობრების გაშტერებული „სიფათებით“ ნახალისებულმა საზეიმო-

ღვე გადავეცი საჩუქრად ნამდვილ სტალინელს.

მის აღტაცებასა და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ერთი გადამეხვია, გადამკოცნა და: შენ ვინ ყოფილხარო, ეს რა პიროვნება გავიცნიაო, ჩვენ ძველი ფეხბურთელი და თბილისის „დინამოს“ გულშემატივარი გვეგონე, თურმე რა კაცთან გვქონია საქმეო, აი და აიო, იქნიეს თითი გამომცდელი ღიმილით, ასეთ პატივისცემას არასოდეს დაგივიწყებთო და ა.შ.

დაახლოებით საათის შემდეგ სასტუმროს მომსახურე პერსონალის ფხიზელმა თვალმა ისიც დააფიქსირა, როგორ აცილებდა სამი ქართველი ახალგაზრდა ხუთ აზერბაიჯანელს მიმდებარე მოედნამდე; როგორ მოათავსეს ქართველებმა „ვოლგაში“ რალაც დიდი, თეთრ ნაჭერში გადახვეული ნივთი; როგორ გადაკოცნეს ერთმანეთი სტუმრებმა და გამცილებლებმა... და მანქანა დაიძრა...

მკითხველს ალბათ აინტერესებს, ჰქონდა თუ არა ამ ისტორიას თავისი გაგრძელება.

ცხადია, ჰქონდა... ასეთი გაგრძელებაც ჩვეულებრივი ამბავი იყო საერთო საზღვრებში მოქცეული „დიდი საბჭოთა ქვეყნის ბედნიერი მოქალაქეებისათვის“.

თუმცა იბრაგიმსა და მაჰმუდთან მეგობრობა დღესაც გრძელდება.

ამ ორმოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში ერთმანეთს რამდენიმეჯერ შევხვდით, ხან თბილისში და ხანაც ბაქოში.

აი, გენერალისიმუსის პორტრეტს რა ბედი ეწია, ამით კი აღარ დავინტერესებულვარ.

საბჭოთა ხალხის გამოლვიძების, ანუ „დათვის გალვიძების“, შემდეგ ისეთმა ქართველებმა გადაიარა ჩვენს თავს, ამისთვის აღარავის ეცალა.

კამო და ლენინი

ჩემი მოგონებების არქივში რომ ჩავიხედე, მომეჩვენა, რომ 1969 წელს საქართველოში სრულად ვერ ავსახავდი, თუკი მკითხველს არ ვუამბობდი თბილისის სუნდუკიანის სახელობის სომხურ თეატრში მომხდარ კურიოზულ შემთხვევას.

ლენინი დას მზადებისას ერთმა დრამატურგმა თავი გამოიჩინა იმით, რომ დაწერა პიესა ლენინისა და კამოს, სომეხი ხალხის საამაყო შვილის, რევოლუციონერის, სტალინის თანაკლასელის თბილ ურთიერთობაზე, სათაურით „კრემლის კურანტები“.

მკითხველს, მითუმეტეს ახალგაზრდას, შევბედავ და გავახსენებ: სიმონ არშაკის ძე ტერ-პეტროსიანის (ფსევდონიმით კამო) ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ რუსული ენის გაკვეთილზე რამდენჯერმე შეშლია რუსული გამოთქმა მისი ო (ვის?) და უთქვამს მისი ო. გონებამახვილ იოსებ ჯულაშვილს ეს არ გამორჩენია და იმ დღიდან მეტსახელად დაარქვა „კამო“, რაც შემდეგ რევოლუციურ ფსევდონიმად გაჰყვა.

ეს ის კამოა, სტალინთან ერთად რომ მონაწილეობდა 1904 წელს თბილისის ერევნის მოედანზე (ახლანდელ თავისუფლების მოედანზე) მონყობილ ტერორისტულ აქტში, რათა დიდი რაოდენობით - მილიონი თუ მეტიც - რუსული საიმპერიო ფული გაეტაცებინათ. რევოლუციონერი ტერორისტები თავს დაესხნენ ფულის გადამზიდ ფაქტონებს, რომლებსაც რუსი კაზაკები იცავდნენ. ააფეთქეს ბომბები, რამდენიმე კაზაკი დახოცეს და თანხიანად მიიმალნენ.

ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ამბავი თვით ლენინთანაც ყოფილა შეთანხმებული, მაგრამ ბანკში ფული დაუნომ-

რავთ და, ფაქტობრივად, ვერცერთი მანეთი ვერ გამოუყენებიათ რევოლუციისათვის — პირველივე მცდელობისას შვეიცარიაში, სადაც ლენინი იმყოფებოდა ემიგრაციაში, დაუკავებიათ პირი, რომელსაც ამ ფულით რაღაცის ყიდვა სურდა და გამოძიების ბორბალიც სწრაფად დატრიალდა, გაჰყვნენ კვალს და სულ რაღაც ორი-სამი თვის შემდეგ გერმანიაში დააპატიმრეს ჩვენი „გმირი“.

თითქმის წელიწადი მიმდინარეობდა გამოძიება ამ ქვეყანაში. კამო ჯერ სრულიად შეუვალი იყო და არაფრით არ აღიარებდა წაყენებულ ბრალდებას, მერე კი სულიერად ავადმყოფის სიმულირება დაიწყო. გამოძიება იძულებული გახდა, ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე გაეშვა. ექსპერტიზა ორჯერ ჩაუტარდა. პირველმა კამო შეურაცხადად ცნო. დაინიშნა მეორეც, გამოცდილი გერმანელი ფსიქიატრების მოწვევით.

სხვათა შორის, ფსიქიატრიისა და ფსიქონალიზის სკოლა გერმანიაში ერთ-ერთი წამყვანი სამედიცინო დარგი გახლდათ. ჯერ მხოლოდ ზიგმუნდ ფროიდის ხსენება და ავტორიტეტიც საკმარისი იქნება ამის დასტურად. როგორც შემდეგ პრესაში გამოქვეყნდა, ამ გამოძიებას ევროპაში დიდი ინტერესი გამოუწვევია — პატარა საქმე ხომ არ იყო მილიონი რუსული რუბლის გატაცება, მითუმეტეს, რომ რუბლი განმტკიცებული იყო ოქროს ეკვივალენტით და ორი სახით გამოდიოდა - ოქროს მონეტებად და ქალაქის კუპიურებად.

როგორც საგამოძიებო მასალებით მტკიცდება, ექსპერტიზა თითქმის სამი დღე მიმდინარეობდა. კამომ ისე გაასავათა ეს გერმანელი პროფესორ-ფსიქიატრები, როგორც ამბობენ, ისეთ ფსიქიკური შემოღობის სცენებს დგამდა, რომ მისი კლასიკური არტისტიზმი მსოფლიოს განთქმულ მსახიობებსაც შეშურდებოდათ. გამოძიების მატთანის ჩანაწერები მოგვითხრობს, რომ ექსპერტიზისას კამოს ლაბორატორიაში პირდაპირ იატაკზე მოუსაქმებია და ფსიქიატრიის გერმანელ კორიფეთა თანდასწრებით დაუწყია

თავისი განავლის ქამა. ამ სურათის მონმე ექიმებს ის შეუ-
რაცხადად უცნიათ და შესაბამის კლინიკაში გაუგზავნიან
სამუდამო მკურნალობისათვის.

ასეთი ხრიკებით გადაურჩენია ამხანაგ კამოს თავი დახ-
ვრეცისა თუ ჩამოხრჩობისაგან.

მერე?..

მერე სოციალ-დემოკრატები თანამებრძოლს გაჭირ-
ვებაში ხომ არ მიატოვებდნენ — სტალინის შემუშავებული
გეგმით, ჩვენი კამო სულ რაღაც სამ თვეში გამოუპარები-
ათ საგიჟეთიდან და სხვა ქვეყანაში გადაუყვანიან ახალი
სახელითა და გვარით.

ასე რომ, ამხანაგი კამო რევოლუციამდე კიდევ ბევრჯერ
ემსახურა პირნათლად ბოლშევიკებს.

სხვათა შორის, ოქტომბრის რევოლუციისას აგორებულ
სამოქალაქო მოძრაობაში კამო თითქმის არ ჩანს — ალბათ
ტერორისტის ფუნქცია დაკარგა. ცნობილია, რომ 1923
წელს ის ირანში მიავლინეს სოციალისტური რევოლუციი-
სათვის ნიადაგის შესამზადებლად. მაშინ იქ დიდი და გავ-
ლენიანი სომხური დიასპორა ცხოვრობდა და ეგონათ,
სომეხი კამო ნამდვილ რევოლუციურ ქარიშხალს დაატრი-
ალებდა ირანში. რევოლუციური ქარიშხლისა რა მოგახსე-
ნოთ, მაგრამ მის თავს კი დატრიალდა ქარბორბალა, თანაც
ისეთი, რომ ძლივს გამოაღწია ცოცხალმა ირანიდან, ისიც
სომხური დიასპორის დახმარებით, თორემ თეირანში მის-
თვის სახრჩობელა უკვე გამზადებული ჰქონიათ.

1923 წლის ბოლოს კამო თბილისში ჩამოსულა, ბოლშე-
ვიკებს ბინა მიუციათ ახლანდელ მეტრო „რუსთაველის“
მიმდებარე ტერიტორიაზე. პენსიაც დაუნიშნავთ, თუმცა,
არაერთი დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, სახელმწიფო
სამსახურში არ გაუმწესებიათ. ამან, როგორც ამბობენ,
დაძაბა ურთიერთობები ბოლშევიკური საქართველოს მაშ-
ინდელ ხელმძღვანელობასა და ამხანაგ კამოს შორის. სტა-
ლინს ეკუთვნის ერთი „გენიალური“ გამონათქვამი:

„არის ადამიანი, არის პრობლემა, არ არის ადამიანი და

არ არის პრობლემა“.

ამ თეორიით, კამო საბჭოთა წყობისათვის ბალასტად
იქცა — პრობლემად, რომელიც ასე გადაიჭრა:

ამხანაგი კამო თურმე ხშირად სეირნობდა ველოსიპედით
თბილისში. მაშინ 350-ათასიან ქალაქში საზოგადოებრივი-
სატრანსპორტო საშუალება ჯერ კიდევ კონკა იყო, კიდევ -
ოცდაათი ველოსიპედი და ორ ათეულამდე მსუბუქი მანქა-
ნა, ისიც კომპარტიისა და მთავრობის პასუხისმგებელ პირ-
თა მომსახურებისათვის.

ერთ მშვენიერ დღეს ამხანაგი კამო სასეირნოდ გამოცხ-
ადა ველოსიპედით. ახლანდელ სასტუმრო „ივერიასთან“
არსებულ დაღმართზე, ტერორისტ ელბაქიდის სახელს რომ
ატარებს (რომელმაც თბილისში ბომბი ესროლა რუს გენ-
ერალ გრიაზნოვს და მოკლა) ეშვებოდა ჩვენი კამო, როცა,
დაახლოებით, ყოფილი ღვინის ქარხნის მიდამოებში საიდ-
ანლაც გამოჩნდა მსუბუქი მანქანა და...

ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ შეჯახება ცარიელ
ქუჩაზე შემთხვევითი არ იყო. კამო საავადმყოფოში მიყვან-
ამდე გარდაიცვალა თავზე მიღებული ტრავმის გამო, რად-
გან დაღმართი მაშინ ქვაფენილით იყო მოკირწყლული.

საქართველომ და მთელმა საბჭოთა ქვეყანამ ღირსეუ-
ლად დაიტირა თავისი სასახელო შვილი.

თბილისში ერთ ლამაზ ქუჩას, ავტოავარიიდან სულ
რაღაც ას მეტრში რომ მდებარეობდა, კამოს სახელი ეწო-
და. მისივე სახელი მიენიჭა ლითონჩამოსასხმელ ქარხანას
ერეკლეს მოედანზე, სადაც ახლა პარტია „ქართული ოც-
ნების“ და სახელმწიფო ბლოკის შტაბბინაა განთავსებული.
დამეთანხმებით, რომ კარგი დამთხვევაა.

თბილისსა და გორში დაიდგა მისი ძეგლები. ერთ მთა-
ვარ ქუჩას გორშიც დაარქვეს მისი სახელი. საბჭოთა კავ-
შირის საზღვაო ფლოტი შეივსო სამხედრო ფლაგმანით
„კამო“. ახლა ნუ ჩამომათვლევინებთ ყველაფერს, როგორ
უკვდავყო მადლიერმა საბჭოთა ხალხმა თავისი „დიდი“ შვი-
ლის ხსოვნა. მისი რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ

საბჭოთა კინოფაბრიკამ რამდენიმე ფილმიც გადაიღო...

რაკი კამო თავის დროზე შეურაცხადად ცნეს და საზოგადოებას სმენოდა ამის შესახებ, მისი სახელი არ მიუნიჭებიათ სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის.

ეჰ, რა ვქნა, ჩემო მკითხველო, ისევ სხვაგან გავაჭენე ჩემი „ბედაური“ და ძირითად თემას ველარ მოვუბრუნდი — კამო საინტერესო მოვლენა იყო და გვერდი ვერ ავუარე. ის ერთადერთი არ გახლდათ ოქტომბრის რევოლუციის გმირთა გალერეაში, მერე პირდაპირ ბოლშევიკურ მმართველობაში რომ მოვიდნენ და ამგვარი ბედი გაიზიარეს.

დავუბრუნდეთ ჩვენს პიესას ამხანაგ კამოსა და ბელადის თბილი რევოლუციური ურთიერთობის შესახებ.

ჯერ კიდევ თბილისში ვარ სტაჟირებაზე სუკ-ის ცენტრალურ აპარატში. ამჯერად ორი-სამი კვირით მიმავლინეს მეხუთე სამმართველოში, პოლიტიკურ კონტრაზვერვაში. ალბათ 1968 წლის დეკემბრის დასაწყისია. დაურეკიათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტიდან და უბრძანებიათ თუ უთხოვიათ გარკვევა, რატომ ჩაიშალა სპექტაკლი თბილისის სომხურ თეატრში, სადაც პრემიერიდან მესამედ უნდა გამართულიყო „კრემლის კურანტები“.

ეს პიესა იმდენად გახმაურდა მაშინ პრესაში, ტელევიზიასა და რადიოში, დიდი სურვილიც რომ არ გქონოდა მისი ნახვისა, გლობალური პროპაგანდის გამო გვერდს მაინც ვერ აუვლიდი. ადრე ის დაუდგამთ რუსთაველისა და მანჯანიშვილის თეატრებში და საქართველოს თითქმის ყველა დასი ვალდებული იყო, სცენაზე გაეცოცხლებინა ეს აქტუალური თემა, მიძღვნილი ბელადის დაბადების 100 წლისთავისადმი.

სუკ-ის ორ თანამშრომელთან ერთად გავემგზავრე ავლაბარში მდებარე სომხურ თეატრში. შენობა თითქმის უკვე დაცლილიყო მაყურებლისაგან, რადგან სპექტაკლი ერთი საათის წინ ჩაეშალა ვილაცას. დირექტორმა აგვიხსნა, რომ თეატრის საგრიმოროში ჰყავდათ ჩაკეტილი კამოს როლის

შემსრულებელი მსახიობი, ვისაც დებოში აუტეხავს და ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიუყენებია პირველ რიგში მჯდომი მაყურებლისათვის; ეს უკანასკნელი კი ადმინისტრატორის კაბინეტში მოეთავსებინათ. გავესაუბრეთ ჯერ მსახიობს, კამოს გრიმი ჯერ კიდევ რომ ეკეთა. მან განმარტა, რომ უკვე მესამე დღე იყო ასრულებდა როლს, რომელსაც მთელი ცხოვრება ნატრობდა, ხუმრობა ხომ არ გახლდათ მსახიობისათვის რევოლუციის რაინდის, სომეხი ხალხის საამაყო შვილის გაცოცხლება სცენაზე. თქვა ისიც, რომ მთელი სამსახიობო ნიჭი ჩაედო ამ როლში და უცებ... სიტყვით გამოუთქმელი ბოროტება მომხდარიყო - ერთი ხულიგანი მაყურებლის გამო სპექტაკლი პირველი დღიდან ჩაშლის ზღვარზე იდგა, რადგან თავისი გამოხდომებით დრამა კომედიად გადაექცია.

სინამდვილეში კი აი, რა მოხდა:

პიესის სცენარით, იხსნება ფარდა.

ისმის მოცარტის აპასიონატა, რომელიც ესოდენ უყვარდა ლენინს. შემდეგ სცენაზე „კრემლისეული“ ფანჯრებიდან ნელ-ნელა სინათლე შემოდის — თენდება... ბელადი თავის კაბინეტში მთელი საღამო მაგიდასთან იჯდა და ერთი პატრა ნათურის შუქზე მუშაობდა...

ისევ გადახვევა: სხვათა შორის, არ მსმენია, ლენინი გვიანობით თუ მუშაობდა, ის კი კარგად ვიცი, რომ სტალინი საღამოს 9-10 საათიდან გათენებამდე კაბინეტში იჯდა და გეგმავდა, როგორ გადაეყვანა თავის სისტემაზე მთელი საბჭოთა პარტიული ნომენკლატურა, მსოფლიოს ტერიტორიის მეექვსედი...

აი, უკვე სულ განათდა სცენა — დღის სინათლემ იმძლავრა, მაგრამ ლენინს ეს არ შეუმჩნევია და ჩვეული თავის ქიციინითა და მცირე რეპლიკებით წერს და წერს რალაცას გამალებით... ამ დროს კაბინეტის კარზე ვილაც ფრთხილად აკაკუნებს... ლენინს არც ეს ესმის, ჩართულია საქმეში. გაისმის კიდევ ერთი ფრთხილი კაკუნი, ბელადი არ გამოეხმაურება. მოკრძალებით იღება კარი. შემოდის კამო, გახ-

ევებულები და მოჯადოებულები დგას კართან და ტკბება ლენინის ხილვით (სპექტაკლში არ ჩანს, სად არის ამ დროს ლენინის მდივანი ლიდია ფოტიევა, ან დაცვა რატომ არ გადაელობა, ასე „ლლონტის ლორივით“ რომ შეაბიჯა ბელადთან, კამო ყოფილიყო თუ გინდაც). ამ სიჩუმეში რამდენიმე წამი გადის, ბოლოს, როგორც იქნა, თითქოს იგრძნო, თავს აწევს, შეხედავს კამოს, მკვირცხლად, ენერგიულად, როგორც სჩვეოდა — ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა კინოფილმებიდან და სპექტაკლებიდან ასეთ ლენინს ვიცნობდით — წამოხტება და ხელგაშლილი მიემართება მისკენ შეძახილით:

— ვა, დუ ეს, კამო? ვონცეს, ახპერჯან, ვონცეს (ეს შენა ხარ, კამო, როგორა ხარ, ძმაო, როგორ)?

კამოც გამოერკვევა ბელადთან პირისპირ შეხვედრის შოკიდან და აი, უნდა თქვას თავისი მონოლოგიც:

— ეს ემ, ლენინჯან, ეს ქეზ ცავატანემ, დუ ვონცეს, ვონცეს (მე ვარ, ლენინჯან, გენაცვალოს ჩემი თავი, შენ როგორ ხარ, როგორ)? — მაგრამ სიტყვა პირზე შეაშრება: ზუსტად ამ დროს პარტიერის პირველი რიგიდან გაისმის ფრაზა, რომელიც მსახიობს უნდა ეთქვა.

— მეგონა, სიბრაზისაგან გული გამისკდებოდა, — გვითხრა „კამომ“, - მაგრამ რა მექნა, თავი შევიკავე და გავიმეორე ჩემი მონოლოგი. ამ ინციდენტისას „ლენინმა“ ხომ გაიცინა უადგილო ადგილას, ეს კიდევ რა არის, მაყურებელთა დარბაზშიც გაისმა ტაში და სიცილი. ჩუმად ვათვალისწინებდი პარტიერს, მაგრამ აბა რა ვიცი, ან როგორ მივხვდებოდი, რომელი იყო ის არაკაციო.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, იმავე მიზანსცენის დროს იგივე გამეორებულა მეორე დღეს. ეს უკვე მეტისმეტი იყო. თუმცა მესამე დღეს ამ ფრაზის თქმის დრო რომ მოსულა, „კამოს“ მარცხენა თვალით შეუმჩნევეია, ან მოჩვენებია ის მაყურებელი და, როგორც კი მას მსახიობის მონოლოგი დაუწყია, ჩამხტარა პარტიერში, სწვდომია ყელში და გვარიანადაც გაუხილაქებია.

— კიდევ კარგი, გამომგლიჯეს ხელიდან, თორემ მივახ-

რჩობდი ამ ანტისაბჭოთა ელემენტსო.

სიმართლე გითხრათ, პირადად მე ბოლომდე ვერ გავიგე, რა იყო ამისთანა ანტისაბჭოთა ამ მაყურებლის ქმედებაში, მაგრამ როგორც პატარა კაცმა, ჯერჯერობით სტაჟიორმა, გაჩუმება ვარჩიე...

დავკითხეთ ადმინისტრატორის კაბინეტში გამომწყვდეული მაყურებელიც, რომელმაც ყველაფერი უარყო, არაფერი მითქვამს, ჩემთვის ვიჯექი და ყურადღებით ვაკვირდებოდი მიზანსცენასო. ის კი შესანიშნავად გაიხსენა, როგორ ჩახტა მსახიობი კამო პარტიერში, როგორ სწვდა ყელში და თან მთელი ხმით გაჰყვიროდა: შე გარენარო, შე ბოზო, არ დამანებებ თავსაო? თუ შენა ხარ კამო, ამოდი სცენაზე და შენ ელაპარაკე ამ შენს ლენინს და თუ მე ვარ, დამაცადე ვითამაშო ჩემი როლიო...

პარტიერში ერთი ალიაქოთი ამტყდარა, ამ მაყურებელსაც გამოუჩინდნენ დამცველები, გამოგლიჯეს ხელიდან მსახიობს, ერთი ალიყური და პანჩურიც უთავაზეს თურმე. ასე არ უნდაო, — სცენის კულისებიდან გადმომხტარან ამ მსახიობის კოლეგები და მეგობრები და გამართულა ხელჩართული ბრძოლა. მხოლოდ „ლენინს“ შეუნარჩუნებია თავისი ღირსება — სცენის შუაში იდგა გახვევებულ-გამტერებული და რაღაც „სხვა განზომილებიდან“ დაჰყურებდა ამ ალიაქოთს. შეიძლება მასაც სურდა თავისი კოლეგის გამოსარჩლება, მაგრამ ის ხომ ლენინს განასახიერებდა და საკუთარ თავს უფლება ვერ მისცა, ბელადის გრიმით ჩხუბში ჩართულიყო.

პატარა თათბირი ჩავატარეთ დირექტორის კაბინეტში ჩეკისტებმა, გავანალიზეთ მიღებული ინფორმაცია, რის შემდეგაც შევჯერდით იმაზე, რომ დაკავებული მსახიობი და მაყურებელი გაგვეთავისუფლებინა.

ჯგუფის უფროსმა დარეკა სუკ-ის ხელმძღვანელობასთან და მოახსენა, რაც მოხდა. იქიდან ჩვენი აზრი იკითხეს, დაახლოებით ერთ საათში დაგვიბრუნეს პასუხი. ამასობაში ალბათ პარტიის ცენტრალურ კომიტეტსაც შეატყ-

ობინეს ეს ამბავი და მათი აზრი ჩვენსას რომ დაემთხვა, „პატიმრები“ გაგვათავისუფლებინეს. ამით ჩვენი მისია დამთავრებულად გამოცხადდა და დავბრუნდით სამსახურში, სადაც გვითხრეს, რომ თეატრის ხელმძღვანელობას თვითონ გამოიძახებდნენ და დაელაპარაკებოდნენ.

დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, როდესაც დავამთავრე სწავლა სუკ-ის სპეცსკოლაში და მუშაობა დავინწყე უშიშროების ცენტრალურ აპარატში, სანდო წყაროდან — ამხანაგ ვასილ მჟავანაძის დაცვის მუშაკებისგან — გავიგე, რომ მაშინ ინაურს ტელეფონით ყურადღებით მოუსმენია ჩვენი საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელის პატაკი და მჟავანაძეს შუა ცეკას ბიუროზე რომ უთხოვია მისთვის ამ ამბის მოყოლა, ერთი კარგად უცინიათ, რაც მთავარია, არავითარი პოლიტიკური სარჩული არ გამოუკერებიათ ამ ინციდენტისათვის. გულუბრყვილონი არ იყვნენ, ეს კურიოზული შემთხვევა მსჯელობის საგნად რომ ექციათ და თავი სასაცილოდ გაეხადათ. ისიც გავიგე, რომ ერთი თვით სპექტაკლი მოუხსნიათ რეპერტუარიდან, შემდეგ განუახლებიათ და ახალი „კამო“ შემოუყვანიათ სცენაზე.

ეჰ, კამო, კამო, ნამდვილად არ სწყალობდა ამ კაცს ბედი, რევოლუციასა და ტერორს შესწირა თავი, ამისათვის თავიც მოიგიჟიანა და, რომ არ ითქმება, ისეთ რამესაც გაუსინჯა გემო, მაგრამ რა... მისივე ამხანაგებმა განირეს, „კამოიანა“ კი შექმნეს, მაგრამ საბოლოოდ ისტორიის სანაგვეზე მოისროლეს.

სხვათა შორის, ვისაც კი გაუსწორდნენ ბოლშევიკები, სიკვდილის შემდეგ საპატიოდ დაკრძალეს, ქვემეხების გრგვინვით, მათი სახელებისა და რევოლუციური ღვანლის უკვდავსაყოფად ფინანსები თუ შემოქმედებითი ენერჯიაც არ დაიშურეს.

ასეთი იყო მათი სტილი...

ასეთი იყო ის სისტემა...

...და „მეგობრობაც“ ასეთი სცოდნით მაშინ.

„ანტისაბჭოთა დივერსია“

1968 წელი იწურებოდა.

საბჭოთა მრავალეროვანი ხალხი, ქვეყანაში უკვე რომ აეშენებინა განვითარებული სოციალიზმის საზოგადოება, ახალ 1969 წელთან ღირსეულად შესახვედრად ემზადებოდა. ის კი სრულებითაც არ იყო ჩვეულებრივი — ვლადიმერ ლენინის საიუბილეო წლად გამოეცხადებინათ — დიდ ბელადს დაბადებიდან საუკუნე უსრულდებოდა. კიდევ გამოექვეყნებინათ კომუნისტური პარტიის საკავშირო ცეკასა და საბჭოთა მთავრობის ერთობლივი დადგენილება ამ თარიღის სათანადოდ აღსანიშნავად. მუშები და გლეხები, კოლმეურნეები ახალ-ახალ ვალდებულებებს იღებდნენ სოციალისტური შრომისნაყოფიერების გასაზრდელად, რათა სულ უფრო მეტი ჩაი, ღვინო და ციტრუსი ჩაბეარებინათ ქვეყნისათვის. ცხადია, ჩვენი მიწების ფართობით — სულ ცოტა არითმეტიკის ნიჭი მაინც თუ გქონდა — ადვილად გამოითვლიდი, რომ ასეთი მოსავლის მიღება, პრაქტიკულად, დიდი ხანია შეუძლებელი იყო, რადგან არც თეორიულად და არც მწარე რეალობით საქართველოს ამდენი დასამუშავებელი ჰქექტარი არც ჩაის, არც ყურძნის, ციტრუსისა თუ ბოსტნეულის მოსაყვანად, არ გააჩნდა. ასეთი შესაძლებლობებისათვის ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორია, სულ ცოტა, შავი ზღვიდან დარუბანდამდე უნდა ყოფილიყო გადაჭიმული, მაგრამ... კარგი ბიჭი იყავი და გეთქვა ეს, აბა!.. რომ იტყვიან, ციმბირი აქეთ დაგრჩებოდა. თუ ციმბირში არ გაგამგზავრებდნენ, სამსახურის გარეშე ნამდვილად დაგტოვებდნენ. ეს კი დიდ საყოფაცხოვრებო პრობლემებს შეგიქმნიდა.

ერთადერთი, რაც იქნებ მართლაც შეესაბამებოდა სინამდვილეს, თუჯისა და ფოლადის გამოდნობის მაჩვენებელი გახლდათ, რომელსაც დიდი ხანია გადაეჭარბებინათ ათეულობით ტონისათვის და ამას თვალნათლივ და სიამაყით გვაუწყებდნენ პროპაგანდისტული ბანერები. ოღონდ ერთი კითხვა კი ანუხებდა ხალხს: მაინც რა თავში იხლიდნენ ამ ასეულობით ტონა თუჯსა და ფოლადს, თუკი ღირსეული ცხოვრებისათვის ათასი ყოფითი რამ აკლდათ, იმ „დამპალი“ კაპიტალისტური წყობიდან კონტრაბანდად შემოტანილი ე.წ. „შმოტკების“ ყიდვა კი მხოლოდ პარტიულ საბჭოთა მოხელეებსა და ვაჭრობის მუშაკთა ოჯახებს თუ შეეძლოთ, და, რა თქმა უნდა, ე.წ. სამართალდამცავ მოხელეთა ოჯახებს, პროკურატურას, შსს-სა და სხვა სტრუქტურებში დასაქმებული ხალხის ოჯახებს.

ყოველივე ეს, ცხადია, ჩემს უკმაყოფილებასაც იწვევდა, მაგრამ... ხალხი მომთმენია... სულელი კი არ იყო ის ჩვენი „მამა“, იოსებ სტალინი, რკინის კედელს მიღმა მხოლოდ ერთეულებს რომ უშვებდა. სამაგიეროდ, ამით ხალხზე ზრუნავდა, რომ არ მოხიბლულიყვნენ იმ „დამპალი“ კაპიტალიზმის წიაღში შექმნილი „ფუფუნების“ საგნებით.

დიახ, საბჭოთა ხალხი მომთმენი იყო!.. ოღონდ არა მართო მომთმენი, ალბათ მიძინებულ იც. აბა, რას მივანეროთ ის ფაქტი, რომ 1968 წელს საბჭოთა ჯარების მიერ ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია მხოლოდ ოთხმა დისიდენტმა გააპროტესტა, ბოგორაზის ხელმძღვანელობით, და ისინიც სუკ-მა 5-10 წუთში „გაკოჭა“, შემდეგ გასაიდუმლოებულად 10-15 წლიანი პატიმრობა მიუსაჯა და გააციმბირა.

დიდი აკაკის სიტყვები რომ მოვიშველიოთ და განვავრცოთ მთელ საბჭოთაზე:

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და თუ როსმე გაიღვიძებსო...“

გულთმისანი კი აღმოჩნდა პოეტი – როცა ხალხმა რუსული დათვივით გაიღვიძა, სულ რაღაც 20 წელიწადში ხუხულასავით დაიშალა საბჭოთა წყობა, მას შემდეგ ატეხილმა

პატარ-პატარა სამოქალაქო ომებმა კი თითქმის შთანთქა არაერთი საბჭოთა რესპუბლიკისა და თვით დიდი მეტროპოლიის სოციალურ-ეკონომიკური ვექტორები. წლები გავიდა მას მერე და... გაკვირვებულ დასავლეთს ჯერაც ვერაფრით გაუგია, ახლა რა წყობით ვცხოვრობთ, რას ვაშენებთ და საერთოდ რა გვინდა ამ დალოცვილ ქვეყანაზე?!

ეჰ, რას იზამ, ეს წამხდარი კაპიტალიზმიც ალბათ მალე „გადაშენდება“, თავისი დიდგულობით, შურიტა და ღვარძლით. ჩვენ კი თხრობას დავუბრუნდეთ:

უკვე მოგახსენეთ, რომ 1969 წელი იყო.

საბჭოეთი ასეთი დიდმნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად ემზადებოდა და ჩვენ რა, განზე ხომ არ გავდგებოდით?!

მუშებსა და კოლმეურნეებს მხარი აუბეს საბჭოთა საქართველოს მეცნიერებმა, ლენინი დაზე იწერება სამეცნიერო წიგნები, „ლენინი და ქართული მეცნიერების გზა“, „ლენინი და ენათმეცნიერება“, „ლენინი და ინტერნაციონალიზმი“... „ლენინი და...“ „ლენინი და...“ ასე გაუთავებლად.

არ ჩამორჩნენ საბჭოთა საქართველოს ხელოვნებისა და კულტურის მუშაკებიც. ლენინის თემა მთავარია მათ „გენიალურ“ პოეტურ სიტყვაში, მხატვრულ ნაწარმოებებში, მუსიკალურ კომპოზიციასა თუ მხატვრულ „შედეგებში“. თუკი სულ მცირე ნიჭი მაინც გაქვს მხატვრული გამოხატვისა, და ცოტა მლიქვნელობისაც, გზა ხსნილია. ვინ გაგიბედავს, არ დაგისტამბოს და არ გამოგიცეს დიდი ბელადისადმი მიძღვნილ ეპისტოლეთა ასე „საშური“ გამოცემები?!

თუკი ეს წელი ჩემს რომელიმე თანამედროვეს ახსოვს, დამეთანხმება, რომ ლენინი დას პიკი და პროპაგანდა მარაზმამდე მივიდა... მაგრამ ვის სტკიოდა თავი ამაზე ხმის ასამაღლებლად?! პირიქით, მოეწყვნენ, მოირგეს ეს ვითარება და თავიანთი „გენიალური“ შედეგებით აავსეს ქვეყანა, ნაწარმოებებით, რომლებსაც ალბათ თითო-ორო-

ლა მკითხველი თუ ჰყავდა; მუსიკალური კომპოზიციებით, ერთი-ორჯერ რომ დაიკვრებოდა; მხატვრული ტილოებით, ერთჯერადად რომ გამოფენდნენ საექსპოზიციო დარბაზებში... და შემდეგ? სანაგვეში იყრიდა თავს, ან მაკულატურაში ბარდებოდა, რადგან 10 კილო მაკულატურაში დიუმას ერთ რომანს მიიღებდი ან სხვა მწერლის დეფიციტურ წიგნს.

შემდეგ თითქმის ყველაფერი მხატვრული თუ სამეცნიერო შრომის მაკულატურად იქცეოდა. არ იფიქროთ, რომ მაინცდამაინც 1991 წლის მერე, სსრკ-ს დაშლის შემდგომ, არა, ბატონო, ისინი იმავე დღეს მოისროლეს სანაგვეზე. უბრალოდ წარმოიდგინეთ, რამდენი ენერგია, თუნდაც ყალბი, და რამდენი ფული — ეს უკვე ნაღდი — დაიხარჯა ამაში. თუკი იმასაც ვიტყვით, რომ კომუნისტური წყობის პროპაგანდისათვის ათეულობით მილიონი, სულაც მილიარდები იფანტებოდა, მაშინ გამიგებთ და დამეთანხმებით, რომ საბჭოთა ხალხისათვის მაშინ არავის, საერთოდ არავის ეცალა.

სიტყვა გამიგრძელდა... იმ საიუბილეო წლის საბჭოთა სინამდვილის ფონის აღწერასა და გადმოცემას სიტყვა იქნებ მართლაც გრძელი სჭირდება, მაგრამ დამერწმუნეთ, კალამი დავაოკე, მოგონებები შევამცირე და მოკლედ გიყვებით, თორემ ამ გარდასულ დღეთა მოგონებანი უფროშორსაც წამიყვანდა. შემეშინდა კიდევ, რომ თხრობის მთავარ თემას ავცდებოდი...

ერთი სიტყვით, სტაჟირებას გავდიოდი საქართველოს სუკ-ის მრეწველობისა და ტრანსპორტის ქვეგანყოფილებაში.

არც ისეთი „ხვითო“ ვიყავი, ან გულუბრყვილო, დამეჯერებინა, რომ ამ სპეცსასწავლებლის კურსანტს იმავე წუთს შპიონების გამოსავლინებლად გამომიყენებდნენ ან ერთ ცოცხალ აგენტს მაინც მანახებდნენ. როგორც შემდეგ, მუშაობის გამოცდილებიდან მივხვდი, ჩემი კოლეგების უფროსი თაობის თითქმის 99%-ს მთელი თავიანთი სტაჟის

განმავლობაშიც არ უნახავთ ე.წ. კაპიტალიზმის მიერ შემოგზავნილი ცოცხალი შპიონი, რადგან მათი მუშაობის ძირითადი ენერგია მიმართული იყო საბჭოთა სინამდვილის მტრების გამოვლინებითა და გაუვნებელყოფით.

დილა იყო, დაახლოებით, ათის წუთები.

დამირეკა ჩემი სტაჟიორობის კურატორმა და მითხრა, რომ სასწრაფოდ უნდა მივსულიყავი სუკ-ის ავტოფარეხში, სადაც მელოდებოდა საგამოძიებო სამსახურის ჯგუფთან ერთად, რათა გავმგზავრებულიყავით თბილისის „ცენტროლიტის“ ქარხანაში, თუჯსა და ფოლადს რომ ადნობდნენ და, როგორც შეგვატყობინეს, რაღაც დივერსიული აქტი მომხდარიყო. სუკ-ში ყველაფერი იცოდნენ, ჰოდა, „გაახსენდათ“ ალბათ, რომ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიული ფაკულტეტი მქონდა დამთავრებული და ასეთი „დიდი სპეციალისტისა და მეტალურგის“ საგამოძიებო საქმეში ჩართვა დიდ სარგებელს მოუტანდა გამოძიებას.

მივედი ქარხანაში. მიგვიღეს დირექტორმა და მთავარმა ინჟინერმა. მათი დამწუხრებული სახეები ახლაც მახსოვს. ისეთი სინანულითა და გულისტკივილით გვიყვებოდნენ ინციდენტის შესახებ, რომ თავი პანაშვიდზე მეგონა. შემეშინდა, ემანდ ცრემლებიც არ წამსკდეს-მეთქი. მათი თქმით, ქარხანას დიდი და საპატიო დავალება მიუღია პარტიული ორგანოებიდან: ჩამოესხათ საბჭოთა ბელადის, დაახლოებით, ათასი ან მეტი — გეგმისთვის ხომ უნდა გადაეჭარბებინათ — ბიუსტი, ორი სახის: ლენინი ბავშვობაში და ლენინი უკვე ბელადად შემდგარი.

გამოყვეს ლითონის ჩამომსხმელ მუშათა ბრიგადა, დამსახურებული და გამოცდილი მუშაკებით დაკომპლექტებული. აბა, ყველას ხომ არ ანდობდნენ ამ „საშვილიშვილო და საპატიო“ საქმეს. მხატვრებმა და მოქანდაკეებმა დაამზადეს ხის მოდელები, ჩამომსხმელები მთელი სამუშაო დღის განმავლობაში აკეთებდნენ ყალიბებს, წინა საღამოს გაუნანილებიათ კიდევ ყალიბებში გაფილტრული, მაღალი

ხარისხის თუჯი. იქვე, საამქროში აღუნიშნავთ პატარა, იმპროვიზებული მიტინგით ეს დიდი შრომითი მიღწევა და რამდენიმე ჭიქა ღვინითაც მიულოცავთ ერთმანეთისთვის. ხელმძღვანელობაც იქ ყოფილა - აბა პარტიისა და მთავრობის ამ დიდ დავალებას უყურადღებოდ ხომ არ მივატოვებდითო - შემდეგ კი დაშლილან, აი დილას კი...

— დილას სამსახურში მისულებმა კაბინეტშიც ვერ მოვასწარით შესვლა, რომ ჩამომსხმელ საამქროსთან შეკრებილი ხალხი დავინახეთ. მივედით და ... რას ვხედავთ... მთელი საამქრო თითქოსდა დაერბიათ, ასეთი რუდუნებით დამზადებული ყველა ყალიბი დაემსხვრიათ, თითოეულიდან ლითონს გამოეჭონა და ერთმანეთში არეულიყო ბელადის ფორმადაკარგული თავი და ყალიბის ნაწილები, ლითონის ჩონჩხებით (ყალიბს უნდა ჰქონდეს ჩასასხმელი, სხვადასხვა კონსტრუქციებთან მიმავალი და გამომავალი არხები). აი, ასეთი „დომხალის“ ფონზე, ჩემი ბრძანებით, მუშები დავშალეთ, საამქრო დაგვეტეთ, დაცვა დავაყენეთ და პარტიის რაიკომში დავრეკეთ. თქვენც ალბათ ისინი შეგატყობინებდნენ, რადგან სუკ-ში არ დაგვირეკიაო.

ცოტა ხანს ვითათბირეთ და შემდეგ დირექტორის, მთავარი ინჟინრისა და მისი თანაშემწეების ამალით წავედით საამქროში. არ მინდა უკვე მონაყოლით შეგანყინოთ თავი - ზუსტად ის სურათი დაგვხვდა, რაც გვიამბეს. საშინელი სანახავი იყო ამ ლითონისა და თიხის აზელილ, უფორმო ყალიბებში არეული დიდი ბელადის თავის, ყურების, თვალებისა თუ სხვა ნაწილების ყურება. ალბათ არავის არასოდეს ენახა ასეთი სურათი, წარმოუდგენელი მკრეხელობაც რომ იყო მაშინდელი კომუნისტური მორალისათვის.

ნამდვილად საცოდავად გამოიყურებოდნენ ქარხნის პარტკომი, კომკავშირის მდივანი, რაიონული პარტიული მუშაკები. რომ იტყვიან, გაქვავებული ჰქონდათ სახეები, არ იცოდნენ, რა ემოქმედათ, დაეტუქსათ ქარხნის ხელმძღვანელობა თუ გაჩუმება ერჩიათ.

დიდი შერლოკჰოლმსობა არ სჭირდებოდა, ერთი შეხედ-

ვითაც ნათელი გახლდათ, რომ ყალიბები სატრანსპორტო ამნეს მეშვეობით დაერბიათ თუ „დაებობათ“. აბა, ფეხით ამას ვერ იზამდი, კაი დღეც დაგადგებოდა, მიინვაგდი კიდეც კიდურებს. თანაც ყალიბებს საამქროს თითქმის ნახევარი ფართი ეკავა და პრაქტიკულადაც და თეორიულადაც შეუძლებელი იყო, ვინმეს შიშველი ხელით მოესწრო ამის გაკეთება.

ჩვენი „გამომძიებლებისა და ექსპერტების“ დასკვნით, მას შემდეგ, რაც სალამოს ხალხი დაიშალა, ვილაც „უკულმართმა“, ქარხნისა და საბჭოთა ხელისუფლების მტერმა და დამაქცეველმა, დივერსიული აქტის ჩასადენად, ამნეს ე.წ. „ხორთუმს“ მიამაგრა რალაც მძიმე ლითონის ტვირთი, შემდეგ ავიდა მანქანის კაბინაში და დაიწყო ყალიბების გეგმაზომიერი ნგრევა.

ასეთი გზით ამ სურათის შექმნას, დაახლოებით, საათი დასჭირდებოდა. საქმე ისაა, რომ მემანქანე, რომელიც ემსახურება ამნეს, იმ სალამოს საამქროში იყო და ხალხთან ერთად ეზეიმა ბელადის ყალიბების ჩამოსხმა მიტინგობანას შემდეგ, მერე კი სხვებთან ერთად გამგზავრებულა ქარხნის ავტოტრანსპორტით იქვე, ავჭალის მუშათა დასახლებაში. რომ იტყვიან, „რკინის ალიბი“ ჰქონდა. ამიტომ მასთან „ჭილაობაში“ ჯერჯერობით აზრს ვერ ვხედავდი. მაშ გამოდიოდა, რომ იმ „გარენარს“, ამის ჩამდენს, რალაც გზებით მოეხერხებინა ქარხანაში დარჩენა, ან სულაც სამსახურებრივად ევალეობდა ყოფნა „ცენტროლიტში“, რომელიც დიდ ქარხანად ითვლებოდა საქართველოს მეტალურგიულ მანქანათმშენებლობის მრეწველობაში.

საამქრო დავხურეთ.

დაცვა გავაძლიერეთ.

დავბრუნდით ქარხნის ადმინისტრაციაში.

პარტიული მუშაკები თავაზიანად გამოგვემშვიდობნენ და წავიდნენ.

ქარხნის ადმინისტრაციაში მე და ჩემს პრაქტიკის ხელმძღვანელს ორი ოთახი გამოგვიყვეს.

სუკ-ის საგამოძიებო ჯგუფიც წავიდა, რადგან იქ აღარაფერი ესაქმებოდა. ჩემი ინიციატივის გამო — თან წაგველო დანგრეული ყალიბებისა და ბელადის თავის უფორმო ნიმუშები, რომლებიც გამოძიებისას ნივთიერ მტკიცებულებებად გამოგვადგებოდა — საგამოძიებო ჯგუფის უფროსმა ვანო მინდელმა ერთი აღმაცერად და რალაცნაირად შესაბრალისად გამომხედა, სულელი თუ ვეგონე, შემდეგ გაიცინა, ხელი ჩაიქნია და გზა განაგრძო. წლების შემდგომ მივხვდი ამ უცნაური ქმედების მიზეზს — მხოლოდ ფსიქიკურად შერყეულს ან ზედმეტად ინიციატივიან ახალგაზრდა კაცს (მაშასადამე, მე) თუ მოუფიქროდა თავში ასეთი „იდიოტური“ აზრი: ამოელო, წაელო და შემდეგ ნივთმტკიცებად დაერთო საგამოძიებო მასალები-სათვის ლენინის ბავშვობისა თუ ზრდასრულობის პორტრეტთა გაურკვევლი ანაბეჭდები და კაბინეტში შეენახა, თანაც გაგანია ლენინიადს დროს.

რაკი ქარხანაში ჩემი თანაკურსელებიც მუშაობდნენ, პრაქტიკის უფროსს საამქროებსა და ლაბორატორიებში წასვლის უფლება ვთხოვე, რათა მათთან პირადი გასაუბრებით რაიმე ინფორმაცია მაინც მიმელო და შემდგომ მასალებისთვის დაგვეერთო. მაიორი დამეთანხმა, ახლა ტელეფონით ხელმძღვანელობას შენთან ერთად მოვასხენებ, რა ვნახეთ, რა დავასკვნით და შემდეგ წადიო. მივხვდი, ჩემი იქ ყოფნა იმიტომ უნდოდა, რომ მონმე ჰყოლოდა — „სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა“, ვინ იცის, რა მოხდარიყო და შარი არ მომდონო. აი, ასე თანდათანობით მეც უნდა ამეთვისებინა სუკში მუშაობის სტილი, ალბათ ესეც შედიოდა ჩეკისტად წრთობის სტაჟირებაში.

არ გასულა ალბათ საათი, რომ დირექტორის თანაშემწემ გადმომცა, თქვენი უფროსი გეძებთო. ასე რომ, თანაკურსელებთან საუბარი სასწრაფოდ შევწყვიტე.

— სამსახურში უნდა დავბრუნდეთო, — უფროსმა, — მგონი, იქ რალაც გადაწყვეტილება მიიღეს და მერე დავსახოთ ჩვენი გეგმებიო.

მივედით „კანტორაში“.

მიგვილო განყოფილების უფროსმა, რომელმაც კიდევ ერთხელ მოისმინა მაიორის პატაკი ქარხანაში მომხდარ ფაქტზე. შემდეგ მრავალმნიშვნელოვნად გადმოგვხედა და გვითხრა:

— ალექსი ინაურის ბრძანებით, ქარხანაში მივლენ შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკები, მოკვლევას და გამოძიებას, თუ საჭიროა, ისინი ჩაატარებენ, თქვენ კი თავისუფალი ხართ ამ საქმისაგან. არც რაიმე ოპერატიული ცნობის შედგენაა საჭირო, ისედაც ყველაფერი ნათელია — ვილაც გარენარმა ხულიგნური მიზნით ჩაიღინა ეს სისაძაგლეო.

მაიორი ხმის ამოუღებლად ადგა და დაბრუნდა თავის კაბინეტში. მეც ძუნძულით, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული გავეყვი უკან. ოთახში რომ შევედით, მითხრა: დღეს თავისუფალი ხარ, ისედაც ბევრი „იშრომეო“. რა ვიშრომე ასეთი და რით დავიმსახურე ამგვარი შეფასება, ვერაფერი გამეგო, თუმცა ფიქრები უფროსის ტელეფონის ზარმა შემანწყვიტინა. მაიორმა შემომხედა, მომეჩვენა, თითქოს ირონიულად გაიღიმა და მითხრა: ახლა პარტკომში გვიბარებენ და მერე წადი შინო. მივედით პარტკომში, პარტკომის მდივანსაც უპატაკა მაიორმა მოკლედ ქარხანაში მომხდარის შესახებ. ის თითქოს ყურადღებით გვისმენდა, მერე კი:

— პარტიის ცეკადან დამირეკეს, ინაურიც მესაუბრა და არ არის საჭირო ამ ფაქტის ფართო საზოგადოებისათვის გამომზეურება. შსს-ს აქვს დავალებული მისი მოკვლევა-გამოძიება და ალბათ უახლოეს ხანში გამოავლენს იმ „უუ-ლიკსო“.

გამოვედი და ფიქრებს მივეცი. უკვე ის კი არ მიკვირდა, რაც ქარხანაში მოხდა, არამედ სუკ-ისა და კომპარტიის მუშაკთა მიდგომა, საქმისადმი, მაგრამ უფრო კარგად დაფიქრების შემდეგ ყველაფერს მივხვდი:

მაშინ, 1969 წელს, როცა დიდი ბელადის საიუბილეოდ ასეთი დიდი საკავშირო ღონისძიებები ტარდებოდა, არავის

სჭირდებოდა ასეთი „ბინძური“ ფაქტის გამჟღავნება. ღმერთმა დაიფაროს და... იმ „დამპალ“ დასავლურ სამყაროს რომ გაეგო ამის შესახებ, ხომ მოგვეჭრებოდა თავი ყბადაღებული კაპიტალისტური სივრცის მასშტაბით.

აღბათ ეს იგულისხმებოდა ჯერ დაბნეული და შემდეგ გონზე მოსული საქართველოს კომპარტიისა და სუკ-ის ხელმძღვანელობის „გონივრულ“ გადანყვეტილებაში.

ჰქონდა თუ არა ამ ამბავს რამე გაგრძელება?

არა მგონია და მეც აღარ დავინტერესებულვარ.

აკი გითხარით, გაგანია 1969 წელი იყო და ამისთვის არავის ეცალა.

ბელადის იუბილის აღნიშვნამ, მისმა პროპაგანდამ პრესასა და რადიო-ტელევიზიაში ისეთ აპოგეას მიაღწია, რომ სანყალმა ხალხმა აღარ იცოდა, „თავი სად შეეფარებინა. დაიწყეს ამ იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო ტრანსლაციები საბავშვო ბაღებიდან, სკოლებიდან და პიონერთა სახლებიდან. ეს ყველაფერი უკვე სასაცილოც კი გახდა და კვიმატმა ქართულმა იუმორმაც არ დააყოვნა: ყველაფერს ლენინის სახელი დაერქვა და ბარემ საზოგადოებრივი ტუალეტებიც გავეხსნა მისი სახელობისაო.

არ გასულა ათი დღე, რომ სუკ-ში შემოვიდა აგენტურული შეტყობინება: ე.წ. ალექსანდროვის ბაღში (მაშინ კომუნარებისა ერქვა), იქ, სადაც ბორის ძნელადის (საქართველოს პირველი „კომსომოლას“) ძეგლი იდგა, 50-60 მეტრში ფუნქციონირებდა საპირფარეშო, სადაც ქარხნის თანამშრომლის მსგავს „ხულიგანსა“ და „გარენარს“ შეუტანია ლენინის პატარა ბიუსტი და ბავშვობის პორტრეტი და ისეთ ადგილზე მოუთავსებია, რომ საპირფარეშოს ყველა კლიენტი ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისას პირდაპირ იმ „ჭკვიან“ თვალებში უყურებდა დიდ ბელადს.

ასე მოგვიწყო ვილაცამ სუკ-ისა და პარტიის დაუკითხავად მამაკაცთა საპირფარეშოში მუზეუმი... ასევე ჩუმად, აგენტის საშუალებით — აბა, ოფიცრები ხომ არ ჩაერეოდ-

ნენ ამ „უღირს“ საქმეში — „საპატიოდ“ გამოვაბრძანეთ ლენინის ბიუსტი და პორტრეტი საპირფარეშოდან, შემდეგ კი ქალაქის თითქმის ყველა ასეთი დანესებულება „სარემონტო სამუშაოებისათვის“ დაიკეტა.

„რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“, ამიტომაც თბილისის მცხოვრებნი და მისი სტუმრები იძულებული შეიქნენ, ხშირად „მოენახულებინათ“ ქუჩის მოფარებული ადგილები, ბუჩქები და სახლის კუთხეები.

აი, ასეთი სავალალო შედეგი გამოიღო კიდევ ერთი „ხულიგანი-გარენარის“ ქმედებამ.

აბა, რა ეგონათ?!

1969 წელი იყო.

ლენინის საიუბილეო თარიღს აღნიშნავდა განვითარებული სოციალიზმის მშენებელი საზოგადოება.

ვისაც კი ოდესმე ჰქონია შეხება სოციალიზმის განვითარების თეორიასთან, მისთვის ნათელი იყო, რომ განვითარებულ სოციალიზმში ან სოციალისტურ ქვეყანაში ყველაფერი თავსაყრელად უნდა გქონდეს. მარტო ამის განცხადება კი ხალხის დაცინვა და სოციალიზმის თეორიის დისკრედიტაცია იყო...

ქუთაისი და მილიციის ზემდეგი ჩიტანი!

საქართველოს თითქმის ყველა რეგიონს თავისი გამორჩეული, იუმორით დაჯილდოებული ხალხი ჰყავს. ჩემი აზრით, ეს მათემატიკური აქსიომაა... ენაკვიმატ გურულებს, მათი დიდი პოლიტიზირებულობის გამო, პოლიტიკურ იუმორში ალბათ ვერავინ შეეცილება. ეს ფაქტი ნამდვილად გურულების ცხოვრების ნაწილია. გახსოვთ ჯერ კიდევ მეფის რუსეთის იმპერიის დროინდელი ანეკდოტი „...გურულმა გაყო ხელი თურმე ფანჯარაში და თქვაო, მე ამ მთავრობის დედაო, კიდევ წვიმა მოდისო“. თუმცა, ვერავინ გაიგო ამ იუმორის შინაარსი. რა კავშირში იყო ბუნებრივი მოვლენა — წვიმა მთავრობასთან. თუმცა, რა ექნა, გურულს გულზე მოაწვა მთავრობის უნიათობა და ხომ უნდა ეთქვა რამე. თუნდაც სულ ახალი პოლიტიკური ანეკდოტები გავიხსენოთ, როცა ჩვენმა სახელოვანმა მთავარდოსარდლის მოადგილემ, თავდაცვის მინისტრმა უადგილოდ და უტაქტოდ იხუმრა მასზე არანაკლებ იუმორით დაჯილდოებულ ბიზნესმენ დეპუტატზე გოგი თოფაძეზე: „...რაო, ეა კაცი კიდევ დეპუტატიო?“ — იხუმრა და პასუხი მიიღო კიდევ. ისეთ ტალახში ამოთხვარა თავმომწონე დეპუტატმა, რომ დარწმუნებული ვარ, ერთი ათჯერ მაინც იწინა ქალბატონმა მინისტრმა „რატომ არ გამიხმა ეს ენა, ასე რომ ვიხუმრეო“. მართალიც არის ქალბატონი, ენა რომ გაეჩერებინა, თვითონაც ბევრს მოიგებდა და თავის პარტიულ ინტერესებსაც არ ავნებდა. ასე რომ, გურული იუმორი უკვდავია! თუმცა, არანაკლებ საინტერესოა და კვიმატი ე.წ. „კახური იუმორიც“. მაგრამ, ამ იუმორის მეტად სპეციფიკური სიღრმის გამო, მისი ხალხურ ფოლკლორთან დიდი ძირეული კავშირების გამო, არ შევუდგები მის ანალიზს. ერთი შეხედვით მძიმედაც მოგეჩვენოთ, მაგრამ თვითონ

კახელებიც ხომ ამბობენ „გამგები გაგვიგებსო“. მეტად საინტერესოა მე-20 საუკუნის ბოლო წლებში განვითარებული ე.წ. „სვანური იუმორი“, მაგრამ ამ იუმორსაც სიღრმეში ჩანვდომა სჭირდება, რათა „გაშიფრო“ მისი ხალხურობა... მართალია, პარლამენტში გვყავს ერთი ეთნიკურად სვანი დეპუტატი, რომელიც არ გვაძლევს საშუალებას, რომ მოვინყინოთ. მის უბადლო იუმორით დაჯილდოებულ მეტყველებას რომ არ წარმოექვა, ვერასოდეს გავიგებდით, რომ ეს ბატონი ე.წ. „...იაფფასიან მეძავეებთან კავშირს არასოდეს ამყარებდა“. მადლობა, ბატონო, რომ გვითხარით, თორემ ჩვენ ასე არ გვეგონა.

მართალი გითხრათ, არც მთიანეთია იუმორის ნიჭს მოკლებული. მით უმეტეს, ეს ყველაზე ნათლად გამოჩნდა, როცა პარლამენტში ბატონი თამაზ მექაური გამოჩნდა. რასაც ამბობს, თითქმის ყველაფერს იუმორით ამბობს, ის ხომ „...ბუნებით მაჟორიტარია“, როცა უნდა ესმის, როცა უნდა ყურს იყრუებს, სახის შესანიშნავი მიმიკით. „...რა ქნას კაცმა, მან მხოლოდ ერთი პირველი ნომერი პარტია იცის და ისიც მისი ძმაკაცის პარტია და ამაზე ნუ მოგკლავთ ახლა...“.

ეს, ჩემო ძვირფასო მკითხველო, რაც ზემოთ მოგიყვებით, რომ იტყვიან, სიტყვამ მოიტანა, „ვიხუმრე რა“, თორემ ეს სრულებითაც არ იყო ჩემი თხრობის ძირითადი მიზანი.

მსურდა, მომეთხრო ჩვენთვის ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ ქალაქ ქუთაისზე და მართლაც რაღაც განუმეორებელი ნიჭით დაჯილდოებულ მის მოქალაქეებზე, მის კოლორიტულ პიროვნებებზე. ჯერ ერთი, რად ღირს მხოლოდ ჩვენი სახელოვანი პარლამენტის წევრის ქუთაისელი ნიშნაინიძის გამოსვლა, რაც მათი იუმორის ნიჭის დიდ პოტენციალზე მეტყველებს, როცა სერიოზული სახით წამოაყენა წინადადება ქუთაისში საზღვაო პორტის მშენებლობისა. თან კარგი დროც შეარჩია — ისეა აყვავებული საქართველოს ეკონომიკა სინგაპურივით, რომ მხოლოდ ამაზელა დაგვრჩა საფიქრალი. შე კაცო, გაიხსენე, რას

უკეთებდნენ კომუნისტები ოპონენტებს, რომლებიც ბათუმიდან სტამბულამდე გვირაბის აშენებას ცდილობდნენ და გაჩუმდი, რაიმე ხიფათს არ გადაეყარო. ისე, იდეა ჭეშმარიტად გენიალურია. ვფიქრობ, ეს აზრი წინკილას პაციენტებს ალბათ თქვენზე ადრე მოუვიდათ თავში, მაგრამ მათ აბა ვინ მისცემდა ასეთი პიარის საშუალებას ტელევიზიასა და პრესაში, ამიტომაც იდეის ავტორობას არავინ შეგეცვილებათ. ისე, ჩვენი დაკვირვებით, ისიც გავიგეთ, რომ თქვენს თანამოქალაქეებსაც ძალიან მოეწონათ ეს იდეა, არავინ გააკარიტიკათ. არც ის უთქვამთ: „იხუმრა კაცმა, თავი დაანებეთო“. სწორედ ამაშია იუმორის ძალა!

ქუთაისელებს ძალიან უყვართ ქალაქური ანეგდოტები და ამაცობენ კიდეც თავისი ენამოსწრებულობით. თბილისელს შეეკითხნენ, რა განათლება გაქვს მიღებული და მასაც დიდი ფიქრის შემდეგ ამოუღერღია — ოთხი წელიწადი ქუთაისის ვცხოვრობდიო. ასე ბატონო, ამ კაცმა მხოლოდ ეს წლები თუ დაჰყო ქუთაისში და ამ „განათლებით“ გააქვს თავი, იქ იქ დაბადებული და დაბერებული ბრძენია, აპა არა?

ეს ყველაზე კარგად ალბათ ჩვენი ერის სასიკადაულო მწერალმა ქუთაისელმა რევაზ ჭეიშვილმა იცოდა, რომელმაც ესოდენ დიდად გაუთქვა სახელი თავისი ლიტერატურულ-იუმორისტული ნიჭით მშობლიურ ქალაქს.

როგორც იქნა მივადექით ჩვენი თხრობის მთავარ გმირს, ქუთაისელს ძირითა და ფუძით, თავის ქალაქზე უზომოდ შეყვარებულ მილიციის ზემდეგ ჩიტიანს, ამ „ბუმბერაზ“ ქუთაისურ კოლორიტს ბატონ ჩიტიანს. ისეთი სიტყვისა და იუმორის პატრონს, როგორც ბატონი რევაზი გახლდათ, რომელმაც იგი უყურადღებოდ არ დატოვა, მოიხსენია თავის ნაწარმოებში და მისი სცენარით დადგმულ კინოფილმში ეპიზოდური როლიც კი შეასრულებინა. და ამით, როგორც იტყვიან, უკვდავყო მისი სახე ქართულ კინემატოგრაფიაში. იმ ფილმში, რომელშიც თამაშობდა ისეთი გამორჩენილი ქუთაისელი ბურვილი (ფრანგი კომიკოსი) —

იპოლიტე ხვიჩია. მე მხოლოდ ერთ ეპიზოდს მოგიყვებით ამ სახელოვანი ქუთაისელის ცხოვრებიდან, რომელთანაც საქმის მიმდინარეობის გამო მომინია შეხება როგორც ქუთაისის უშიშროების სამსახურის უფროსს...

შეგახსენებთ, ბატონებო, ერთგვარი სიამაყითაც, რომ 70-იანი წლების დასაწყისში 3,5 წელიწადი ვცხოვრობდი და ვმუშაობდი საქართველოს სუკ-ის ქუთაისის განყოფილებაში, ანუ სათანადო ცხოვრებისეული განათლებაც მივიღე. უბრალოდ, ეს ეპიზოდი არ გამიხმაურებია მისი კონფიდენციალობის გამო. თუმცა, ამ ეპიზოდის მოქმედი პირების რაოდენობა რამოდენიმე ათეულ ადამიანს მოიცავდა და ამიტომაც მის „გასაიდუმლოებას“ არანაირი აზრი არ ჰქონდა, ისიც ქუთაისში, სადაც ყველამ ყველაფერი იცის...

ერთ მშვენიერ დღეს თბილისის სუკ-იდან შეგვატყობინეს, რომ ქუთაისში უნდა ჩამოვიდეს ცნობილი (არ ვხუმრობ!) გასაიდუმლოებული დაზვერვის მუშაკი გენერალ-მაიორი ივანე ივანოვიო (რა თქმა უნდა, გვარი ან მოსკოვში მოუფიქრეს ან თბილისში). ბატონ ივანოვს წყალტუბოში უნდა დაესვენა „საომარი მოქმედებების დროს მიღებული ჭრილობების მოსაშუშებლად“. ბატონი ივანოვი დღის მეორე ნახევარში ჩამოვიდა, უკვე ბინდდებოდა. თბილისიდან ჩამოყვა საკმაოდ მაღალი რანგის საქართველოს სუკ-ის თანამშრომელი. იმავე დღეს ხომ არ გავუმვებდით წყალტუბოში ასეთ საპატიო სტუმარს. არ იქნებოდა ეს ქუთაისური სტუმართმასპინძლობა. შევთავაზე ერთი საათით დაესვენა სასტუმრო „ქუთაისში“, შემდეგ კი ვახშამზე დაგვწვეოდა. რაზეც ბატონი ივანე მცირე ყოყმანის შემდეგ სიმოვნებით დაგვეთანხმა. ასე რომ სალამოს წყალტუბოს აბაზანების ნაცვლად რესტორან „გოგი სვანიძეებში“ აღმოვჩნდით სტუმრები, ქალაქის პარტიული და ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა, სულ რაღაც ათი კაცი. თამადად, რა თქმა უნდა, მონვეული იყო ქუთაისის ცნობილი თამადა ენამოსწრებული და იუმორით სავსე სოსო (სოსოია) ხარაბაძე, რომელიც, წარმოიდგინეთ, შესანიშნავ

ვად ფლობდა რუსულ ენას. კითხვაზე, თუ სად ისწავლა ასეთი კარგი რუსული, კვიმატად გვიპასუხა, 10 წელიწადი ვიცხოვრე მოსკოვში, სადაც სამჯერ ვიყავი ჩასიძებულო და ეს ყველაფერი ნატაშას, ლიუბოჩკასა და ვალიას დამსახურებააო.

შესანიშნავი საღამო გავატარეთ, ვამხიარულეთ სტუმარი, როგორც ქართულ სუფრას უხდება ხანდახან „შემთხვევით“ მუსიკოსებიც შემოიხედავდნენ — თუ ქეიფია, ქეიფი იყოსო. შუალამისას სტუმარი სასტუმროში დავაბინავეთ, ტკბილი ძილი ვუსრვეთ და შევთანხმდით, რომ დილის ათ საათზე მივაკითხავდით და გავაცვილებდით წყალტუბომდე.

რა დამავინწყებს იმ მეორე დილის უარყოფით ემოციებს. რომ მცოდნოდა რა მოხდებოდა, სასტუმროდან ფეხს როგორ მოვიცვლიდი, ალბათ, იქვე სასტუმროს ნომრის შესასვლელში გავათენებდი ღამეს, რომ „ძვირფასი“ სტუმარი გვერდიდან არ მომეშორებინა.

დილით, როგორც შეთანხმებული ვიყავით, მივედი სასტუმროსთან. დაახლოებით ერთი საათი ველოდით მე და თბილისელი მეგზურები ივანოვის ჩამოსვლას სასტუმროს ვესტიბიულში, მაგრამ ამაოდ. თერთმეტი საათი სრულდებოდა სასტუმროს დირექტორთან ერთად რომ ავედით მის ნომერში. გავადეთ კარი, შევედით და ჰოი საოცრება, ლუქსის ფანჯრები ღია იყო, ლოგინი აშლილი, სტუმრის ჩემოდანი, მისი პიჯაკი, შარვალი, ფეხსაცმელები და სხვა ნივთები „გარდერობში“ იყო ჩამოკიდებული ან სკამზე გადადებული, მაგრამ, რაც მთავარია, ჩვენი „ძვირფასი“ სტუმარი არსად ჩანდა. დამერწმუნეთ, ნამდვილად მიჭირს ახლა იმ უარყოფითი ემოციების გახსენება (ორმოც წელზე მეტია გასული). მართალი გითხრათ, მაშინ ასე თუ ისე მშვიდი სიტუცია იყო ქვეყანაში და არანაირი კრიმინალური თავდასხმა ჩვენს სტუმარზე ეჭვად არ ამიღია. ტერორიზმი, გატაცება, გაქურდვა, გაძარცვა თითქმის გამორიცხული იყო. თანაც ყველა ნივთი ადგილზე იყო, საათიც, საფულეც,

ტანსაცმელიც. ასეთი ბიოგრაფიის მქონე ადამიანზე, თუმცა მაშინ ცოტა რამ ვიცოდი მისი პროფესიულ-სამსახურო-ობრივი სტატუსის შესახებ, ვინმეს თავდასხმა განეხორციელებინა ან გაეტაცა, ეს ფანტასტიკური აზრი თავში არც მომსვლია... შვიდი-რვა წლის შემდეგ, როცა მოსკოვში, სუკის ცენტრალურ აპარატში სამუშაოდ გადამიყვანეს, ასე თუ ისე გავერკვიე მის ბიოგრაფიაში. შევებულებიდან მოსკოვში დაბრუნებისთანავე გავიგე, რომ დანიშნეს საბჭოთა დაზვერვის (პირველი მთავარი სამმართველოს) ერთ-ერთი წამყვანი სამმართველოს უფროსად. მოსკოვში მუშაობისას არაერთხელ შევხვედრივარ. იყო მეტად თავმდაბალი პროფესიონალი მზვერავი, ნამსახურევი იყო რამდენიმე ე.წ. „ცხელ ნერტილში“, რამდენიმეჯერ მისი სიცოცხლე ბენვის ხიდზე ეკიდა. ასეთი ადამიანი, რა თქმა უნდა, უცხოეთია დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ყურადღების ცენტრში იქნებოდა მუდამ. მაგრამ იქ თუ რაიმე ხიფათი ემუქრებოდა მის სიცოცხლეს და გადაურჩა, აქ კი დღისით და მზისით გაუჩინარდა, ვერ გამეგო, რისთვის მიმენერა. სამსახურო-ობრივი მოვალეობა მავალდებულებდა, რომ სასწრაფოდ შემეტყობინებინა ამ ინციდენტის შესახებ თბილისისთვის. ამაზე ფიქრი ტვინს მიღრღნიდა და საგონებელში ვიყავი ჩავარდნილი. ჩემთვის ალბათ ყველაზე სარისკო გადამწყვეტილება მივიღე, ჯერჯერობით არ აცჩქარებულისყავი. თანამშრომლებს განვუცხადე, რომ ყოველგვარ პასუხისმგებლობას მე ვიღებდი. თუ ეს ადამიანი ორ საათში არ გამოჩნდება, დავრეკოთ თბილისში და რაც მოსახდენია ის მოხდეს-მეთქი. რა თქმა უნდა წინააღმდეგობა არავის გაუწევია.

გამოვკითხეთ სასტუმროს მუშაკები, ადმინისტრაცია, გავედით ეზოში, დავათვალიერეთ სხვენები, სარდაფები. ქუჩაში მეეზოვემ მითხრა, დილის შვიდი საათისთვის სასტუმროდან კაცი გამოვიდა სპორტულ ფორმაში (დინამოს ემბლემით), კედებში და ბულვარისკენ გაიქცა და ამის შემდეგ აღარ მინახავსო. გავედით ბულვარში (ამასობაში

საათნახევარიც გავიდა), რა სწრაფად მიდი დრო როცა არ გინდა ან წერვიულობ! ჰოი საოხრება, რა არის ბედი... აკაკის ძეგლთან არმისული, დაახლოებით 10-15 მეტრში, არ „გამოგვეჯგვიმა“ მილიციის ზემდეგი ჩიტიანი, აგვხედ-დაგვხედა, გვიცნო თითქმის ყველა პარტიის ქალაქკომის პირველი მდივნიდან დანწყებული აღმასკომის თავმჯდომარით და მილიციის უფროსით დამთავრებული. ერთი უცნაურად გაიღიმა და მილიციის უფროსს დაეკითხა, მოხდა რამეო? ვინმეს ხომ არ ეძებთო?

...შენი კითხვებილა მაკლდაო, შეუღრინა უფროსმა, სუკის სტუმარი დაგვეკარგა, დილით მეეზოვეს დაუნახავს, ბულვარისკენ მოდიოდაო.

ჩიტინმა კიდე ერთხელ გაიღიმა და უფროსს მოახსენა, ხომ გახსოვთ, დილით რომ მოგახსენეთ, ერთი პიროვნება დავაკავე ბულვარში, რომელიც სირბილით წრეებს არტყამდა და უცნაურად აცეცებდა თვალებს აქეთ-იქით. ერთხელაც აკაკის ძეგლთან ჩაცუნცულდა. მივხვდი რომ შარდავდა, მეორედ რომ მოინდომა გაემეორებინა ეს თავხედობა, ვწვდი ქერში და არ ვაპატიე ჩვენი დიდი მგოსნის უპატივცემულობა. მაშინვე წამოვიყვანე КПЗ-ში, მორიგეს მოვახსენე და „კუტუზკაში“ ვუკარი თავიო. ზემდეგი რომ დაგვიტხეთ, გაგვიჩნდა იმედი, რომ ის „არამზადა ხულიგანი“ ჩვენს რუს სტუმარს ჰგავდა. მაშინვე მივირბინეთ მილიციის განყოფილებაში, ჩავირბინეთ სარდაფში, გავაღეთ „კუტუზკის“ კარი და ჰოი საოცრებავ, ხელში შეგვრჩა ჩვენი სტუმარი, დაზვერვის გენერალ-მაიორი „ნახიშტარი და ნაომარი“ „ათას“ სიკვდილის ცეცხლში გამოვლილი ივან ივანოვი, რომელმა თითქმის ოთხი საათი ქუთაისის წინასწარი პატიმრობის საკანში გაატარა დრო. ამხანაგი ივანოვი, როგორც მოგახსენეთ, ფრიად განონასწორებული, დინჯი პიროვნება გახლდათ. შეგვამჩნია, რომ აღელვებულები ვიყავით და აქეთ დაგვინყო დამშვიდება „Ну полно товарищи, все в порядке, мне никто не угрожал, словестно и физический обиду не наносил, так что, забудем, все в порядке“. ...დამშვიდდით ამხანაგებო, ყველაფერი წეს-

რიგშია, ჩემთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა არავის მოუყენებია, მოდით დავივინყოთ, ხომ გითხარით ყველაფერი წენსრიგშია-მეთქი. აქ შესანიშნავად გრილ-და, ხელს არავინ მიშლიდა მშვენივრად დავიძინე კიდევ ორი საათი. მაპატიეთ, წუხელ საღამოს ალბათ ბევრი სითხის დაღევა (სხვათა შორის, მართლაც საკმაოდ ბევრი ალკოჰოლი მიირთვა, მაგრამ სიმთვრალე არ შეტყობია. ესეც ალბათ მისი პროფესიული, როგორც მზვერავის ჩვევა იყო) მომიწია.

მერე ცალკე გამიყვანა და მითხრა, რომ ალბათ მილიცონერმა იმიტომ დამაკავა, რომ რომელიღაც ძეგლთან ბურჩებში მოგშარდეო, დიდხანს ვაკვირდებოდი ძეგლს, ვიფიქრე ან მარქსი ან ენგელსი იქნებოდა შუახნის წვერებიანი მამაკაცის ბიუსტიო. იქვე ლენინის ბიუსტიც იყო, ვლადიმირ ილიჩი ვიცანი და იქ როგორ ვიკადრებდი მოშარდვასო. ვუთხარი, რომ თბილისისთვის არაფერი მომიხსენებია, რაც ძალიან მომიწონა „...Это банальный случай, ну и посмеялись бы московские товарищи...“-ო. „...ეს ბანალური გაუგებრობაა, ხომ დაიხოცებოდნენ სიცილით ჩემი მოსკოველი ამხანაგებიო.

მე ავუხსენი თუ ვის ძეგლთან მოშარდა. ვუთხარი, რომ აკაკი წერეთელი ჩვენი დიდი მგოსანი, ლექს „სულიკოს“ ავტორი გახლდათ. აბა სულიკო ვინ არ იცოდა. მგონი, ეს სიმღერა უფრო დიდი პოპულარობით სარგებლობდა რუსეთში ვიდრე საქართველოში. ერთ გულიანად ჩაიცინა და სულიკოს მოტივით დაამღერა: „...Я мою любимую искал, никак не смог найти“-ო. ასეთ მაჟორულ ხასიათზე ვისაუზმეთ და შემდეგ ჩავიყვანეთ წყალტუბოში ე.წ. КГБ-ს სანატორიუმში, სადაც 40-იან წლებში თვით სტალინი ისვენებდა. რამდენიმეჯერ ჩავაკითხე წყალტუბოში, ჩამოვიყვანე ქუთაისში, დავათვალიერებინე გელათი, წყალყითელის წმინდა ძმები მხეიძეების სამლოცველო. ერთ თვეში პირდაპირ გოგი სვანიძეების რესტორნიდან გავაცილეთ კოპიტნარში და გამოჯანმრთელებული გავამგზავრეთ მოსკოვში. შემდეგში მოსკოვში ერთი-ორჯერ პრივატული

შეხვედრების დროს, როგორც ჩემს ოჯახში ისე მასთანაც გავიხსენეთ ეს ჩემთვის სანერვიულო და მისთვის სასაცილო ეპიზოდი.

შემდეგ მილიციის უფროსმა მომიყვა: „დილას რომ მომასხენა ჩიტინმა, ვილაც ხულიგანი დავიჭირეო, რომელმაც ორჯერ მოშარდა აკაკის ძეგლთან, გუმანით მივხვდი, რომ მთლად ხულიგანი არ უნდა ყოფილიყო. შევეკითხე კიდევ, „ამხანაგო ჩიტინო, ხომ არ მოგეჩვენა, ნამდვილად მიაშარდა ამ ხულიგანმა აკაკის ძეგლს-მეთქი?“ კი ბატონო, ერთხელ ვერ მივუსწარი და მეორედ ჩავუსაფრდი და ჩემი თვალით ვნახე მოშარდვის პროცესიო. აქ კი ნერვები ამეშალა, წადი და ჩააყუდე ის გარენარი „კუტუზკაში“, იცოდე რომ ქუთაისში, ბულვარში და ისიც აკაკის ძეგლზე მიფსმა არავის ეპატიებაო“.

ამის შემდეგ, მილიციის უფროსს რომ შევხვდებოდი, ყოველთვის ვეკითხებოდი: „...რა გაიგე, ნამდვილად მოშარდა?“ ისიც ღიმილით მპასუხობდა: „კი, ბატონო, ჩემი თვალით ვნახეო“. ასე რომ, ეს ფრაზები ანეგდოტად გადაიქცა.

ამ ინციდენტიდან ორწელიწადნახევარში ჯერ თბილისში დამაბრუნეს სამსახურში, შემდეგ კიდევ ორ წელიწადში მოსკოვში სუკ-ის ცენტრალურ აპარატში გადამიყვანეს სამუშაოდ. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ქუთაისში გაიმართა ქალაქის დეპუტატთა არჩევნები, რომლის კანდიდატადაც დაუსახელებიათ (ისე გაუხმა მათ თავი) ქალაქის პარტიულ კომიტეტს მილიციის ზემდეგი ჩიტინი.

ქალაქში ხმა დაირხა, რომ ამა და ამ დღეს ქუთაისის ქარხნის კლუბში იმართებოდა შეხვედრა დეპუტატობის კანდიდატ ჩიტინთან. იმ დღეს კლუბი მთლიანად გავსებულია ქუთაისის ბომონდის წარმომადგენლებით, ახალგაზრდებით, რომლებიც განსაკუთრებულ „რეპრესიებს“ განიცდიდნენ მკაცრი პოლიციური (მაპატიეთ, მილიციური) შეტევების გამო. თურმე ერთ წუთს არ აჩერებდა ქუჩაში ახალგაზრდას. წადით, დაიშალეთ, წიგნში ჩაიხედეთ და ა.შ. არასოდეს არავის აპატიებდა ხუიგნობას, ვისი შვილიც არ

უნდა ყოფილიყო სამართალდამრღვევი. ერთი სიტყვით ქუთაისელი ჟაველი (ვ.ჰიუგოს რომანის „საბრალონის“ პერსონაჟი პოლიციელი).

ჯერ ერთი შეკრებილ აუდიტორიას არ მიუცია საშუალება (დაუნყიათ ფეხების ბრაგუნი და ბზუილი) სიტყვა წარმოეთქვა დეპუტატობის კანდიდატის სანდო პირისთვის. როგორც ყვებიან, ამ ხმაურსა და აურზაურს ოლიმპირი სიმშვიდით შეხვედრია შეკრების პრეზიდენტში მჯდომი ამხანაგი ჩიტინი. მისი გამოსვლაც ფეხების ბრაგუნითა და ბზუილით დაწყებულია, რამდენჯერმე შეჩერებულა დეპუტატობის კანდიდატი მოხსენების კითხვისას, რომელიც ალბათ პარტიის ქალაქკომში დაუნერეს. შემდეგ ეს მოხსენება გვერდზე გადაუდია და თავისი სიტყვებით დაახლოებით (როგორც მომიყვნენ) ასე უთქვამს: „...მე მიყვარს ჩემი მშობლიური ქალაქი ქუთაისი, მინდა რომ იყოს სუფთა და ლამაზი, არ იყოს ქალაქში ხულიგნობა, ძარცვა და ქურდობა. ვიდრე ცოცხალი ვარ, ყოველთვის ამისთვის ვიბრძოლებ, ვიქნები თუ არა მილიციის მუშაკი. არანაირი პირადული გრძნობა ნებისმიერი თქვენგანის მიმართ არ მამოძრავებს. პირიქით, ყველა მიყვარხართ ჩემო ახალგაზრდა თანამოქალაქეებო. ჩვენ ერთად უნდა ვიბრძოლოთ ამ ქალაქში წესრიგის დასამყარებლად“. შემდეგ გაჩერებულა რამოდენიმე წამით და უთქვამს: „...ისე კაცმა რომ თქვას, რას აბრაგუნებთ ფეხებს და ბზუით, როგორიც (რაფერიც) თქვენა ხართ ამომრჩეველები ისეთი (იმფერი) დეპუტატიც ვარ მე“. ამ სიტყვებმა თურმე დარბაზში შოკი გამოიწვია. არავინ იცის, რამდენ ხან იდგა დარბაზში სამარისებური სიჩუმე. შემდეგ აუდიტორიამ დაიწყო ნელნელა ფეხზე წამოდგომა. რამდენიმე წამში ყველა ზეზე იყო და რამდენიმე წუთს მქუხარე ტაშით აჯილდოვებდა ქუთაისის ქალაქის დეპუტატობის კანდიდატს ამხანაგ ჩიტინს (რა თქმა უნდა, კრების პრეზიდენტის გარდა). ერთშიც დარწმუნებული ვარ, რომ ამ გაბედულ იუმორულ ნათქვამს საბჭოეთის არჩევნების სინამდვილეზე არავინ აპატიებდა დეპუტატობის კანდიდატს. ისე არც დაიჭერდნენ და

გააციმბირებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ სხვა დრო იყო, მაგრამ ერთი კი უცილობელია, არავინ არ აირჩევდა და სამსახურიდანაც გააძევებდნენ. მაგრამ ასე არ მოხდა... ჩიტინს შერჩა. ის კი არა, ეს „ფაქტი“ იყო დიდი იუმორის განხილვის საგანი და თუ აქამდეც პატივს სცემდნენ ზემდეგ ჩიტინს, ახლა მისი ავტორიტეტი, როგორც ნამდვილი ქუთაისელი კოლორიტული პიროვნებისა ათმაგად გაიზარდა.

დასასრულს, მთელი პასუხისმგებლობით მოგახსენებთ, რომ აქ მონათხრობი მზვერავის დაპატიმრებისა და ჩიტინის დეპუტატობის, სრულებითაც არ არის ჩემიმ მწერლური ფანტაზიის ნაყოფი და ნამდვილად შეეფერება სინამდვილეს.

ერთსაც კატეგორიულად ვიტყვი, იმ დღეს ქარხნის კლუბში დეპუტატობის კანდიდატ ჩიტინის გარშემო მომხდარ ინციდენტში ქუთაისის სუკ-ის განყოფილებას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, მისი დეპუტატად წარდგენაში არ ჩარეულა და არ მისი დეპუტატად არჩევაში (დანიშვნაში) არ მონაწილეობდა. ერთ სიტყვით, არც არანაირი რეპრესიული ზომების ჩატარების მომხრე ყოფილა. ვინაიდან და რადგანაც ჩვენ უფრო სერიოზული საქმით ვიყავით დაკავებული, კაპიტალიზმის შპიონებისგან ვიცავდით ქალაქს. და ამხანაგ ჩიტინის გაბედული „ბჟუტურისთვის“ ყურადღება არ მიგვიქცევია. ასე რომ, თქვენ განსაჯეთ, ვინ უფრო დასაჭერი და გასაციმბირებელი იყო მაშინ, ჩიტინი თუ? ამიტომაც თანდათანობით ხუხულასავით დაგვემხო თავზე საბჭოეთი ბოლშევიკური იმპერია.

როგორც ჩანს, კარლ მარქსის სიტყვები რომ მოვიშველიოთ: „...ევროპაში კომუნიზმის აჩრდილი დადისო“, ალბათ, საბჭოთა იმპერიაში მეტნაკლებად, ხოლო საქართველოში უფრო შესამჩნევად გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების შუალედში „კაპიტალიზმის აჩრდილი ფეხს იკიდებდა...“

რუსი „მაჰიდი“ აფხაზეთში (1978 წელი, აგვისტო)

1978 წლის ზაფხულია. აფხაზეთში, კერძოდ, გაგრის სამრეწველო ზონაში და სოხუმში დაიწყო აფხაზი ეროვნების მოსახლეობის ე.წ. სეპარატისტული გამოსვლები — „სახალხო“ კრებები გაგრისა და სოხუმის სტადიონზე. ამ გამოსვლების პარალელურად იმართებოდა ქართველი მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლებიც აფხაზეთში მათი სამოქალაქო უფლებების დარღვევის ფაქტების გამო. ორივე ე.წ. საპროტესტო აქციების ძირითადი კერა მაინც გაგრამ იყო. საქართველოს სუკმა სასწრაფოდ მიავლინა გაგრამ ოპერატიულ-სამძებრო მუშაკთა ბრიგადა (დაახლოებით 10-12 კაცის შემადგენლობით), ამას დაემატა მოსკოვის საკავშირო სუკის თანამშრომლები, ალბათ 7-8 კაცის შემადგენლობით, ე.წ. „შუამავლები“, რა თქმა უნდა, ჩვენს მიერ დაგეგმილი ოპერატიული ქმედებების კონტროლისათვის. ეს მოსკოვეური ბრიგადა, რა თქმა უნდა, ვითომდა „ნეიტრალიტეტს“ იცავდა. სინამდვილეში, შეუიარაღებელი თვალთაც ჩანდა მათი „ნეიტრალიტეტის“ აბსურდულობა. ამ საკავშირო ჯგუფის ხელმძღვანელი გახლდათ საკავშირო სუკის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, არმიის გენერალი ფილიპ ბობკოვი, საკავშირო სუკის კონტრდაზვერვის უფროსის მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი ა. კონდრატიევი და ე.წ. პოლიტიკური სამძებრო მე-5 სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე კონსტანტინე ტერენტიევი და სხვა პასუხისმგებელი პიროვნებები, საქართველოს სუკის თავმჯდომარის მოადგილე, გენერალ-მაიორი ნოდარ მაისურაძე. თუ პატარა ანალიზს გავაკეთებთ აქ ჩამოთვლილ პიროვნებათა თანამდებობრივ მდგომარეობაზე, ადვილი მისახვედრი იქნება, თუ ვინ იყო და ვინ იქნებოდა ადვილზე არსებული ოპერატიული სიტუაციის დომინირებული წარმ-

მართველი — რა თქმა უნდა, საკავშირო სუკის ხელმძღვანელობა, ჩვენ კი საქართველოს სუკის თბილისიდან მივლინებული თანამშრომლები და ადგილობრივი აფხაზეთის სუკის თანამშრომლები, მხოლოდ მომსახურე პერსონალის როლს ვთამაშობდით. რაც უნდა დამამცირებელი იყოს ამის აღიარება, ეს მართლაც ასე იყო. არ შევუდგები ამ სეპარატისტული საპროტესტო აქციების გამომწვევი მიზეზებისა და ფიქტიური მიზეზების ახსნას. მე, ჩემი შესაძლებლობის გათვალისწინებით ყოველივე ეს აღწერილი მაქვს ადრე გამოცემულ წიგნში „შავი სათვალე ეკეთა“ (ჩეკისტის მემუარები გვ. 198-211), მხოლოდ ერთს კიდევ მოგახსენებთ: როგორც შემდეგში შევისწავლე და გავაანალიზე, ასეთი ე.წ. აფხაზური სეპარატიზმის გამოვლინებები — მოყოლებული 1932 წლიდან, როდესაც აფხაზეთის რესპუბლიკა შევიდა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის შემადგენლობაში როგორც ავტონომიური რესპუბლიკა, თითქმის 1937 წლიდან, როდესაც პირველი რეპრესიები ჩაატარა სახელმწიფომ აფხაზეთში, როდესაც დააპატიმრეს და დახვრიტეს „ანტისაბჭოთა“ ქმედებებისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი ლაკობა და მისი ანტიპარტიული ჯგუფი (სეპარატისტული დაჯგუფება), ამის შემდეგ ასეთი სეპარატისტული გამოსვლები აფხაზეთში თითქმის 8-10 წლის პერიოდულობით ყოველთვის მეორდებოდა, ასე იყო 1947-1948 წელს, 1958 წელს, 1967-1969 წ.წ. ში, 1978 წელს (რომელსაც ჩვენ ახლა შევეხებით) და შემდეგშიც, რა თქმა უნდა, ე.წ. გარდაქმნისა და დაჩქარების პოლიტიკის წლებში — 1988-1991 წლებში, გორბაჩოვისა და რუსული ე.წ. „ბარდავის“ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირი მარტივ მამრავლებად დაიშალა. შემდეგ სამოქალაქო ომები, სისხლიანი დაპირისპირებები და მრავალი სხვა. ოღონდ ამ დროს და მის პოლიტიკურ ანალიზს სულ სხვა თხრობა სჭირდება...

ჩვენ ჩვენი თხრობის საგანს თუ დავუბრუნდებით, შევეცდები ავხსნა, თუ რატომ ხდებოდა ეს ე.წ. სეპარატიზმის გამოვლინებები ასე „სტაბილურად“ ყოველ ათწლიან ციკლში. ჩემი ანალიზით ყოველ ასეთ ციკლოიდურ პერიოდში აფხაზეთში რუსეთის უმაღლესი სასწავლებლებიდან ბრუნდებოდნენ სამშობლოში საკავშირო მთავრობის მიერ ე.წ.

ლიმიტირებული წესით სასწავლებლად მივლინებული ახალგაზრდები (რა თქმა უნდა, აფხაზური ეთნოსის მატარებლები) და რა თქმა უნდა იქ — რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში გარკვეულწილად სეპარატისტული განწყობილებით გაჟღენთილები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებდნენ იმაზე, რომ დანიშნულიყვნენ პრესტიჟულ პარტიულ და სამთავრობო სტრუქტურებში, რისი განხორციელებაც თითქმის შეუძლებელი იყო, რადგან ეს თანამდებობები უკვე დაკავებული იყო არანაკლებ ამბიციური, მეგრული (გააფხაზეთული) ეთნოსის ან ქართველების კადრებით, ასევე სომხური და რუსული დიასპორის წარმომადგენლებით. აი, აქ იყო დამალული განხეთქილების თავი და თავი. სტალინური და ბერიას მმართველობის პერიოდში ასეთი სეპარატიზმი რეპრესიების ჩატარებით მალე იხშობოდა. ასე მოხდა 1937 წელს, 1948 წელს, ხოლო შემდეგში ხრუშჩოვისა და ბრეჟნევის ე.წ. პოლიტიკური „დათბობის“ პერიოდში, მან სულ სხვა, უფრო აგრესიული სეპარატიზმის სახე მიიღო.

ისე, 1978 წლის აფხაზური მოვლენების უკეთესად გაანალიზებისთვის ერთი შტრიხიც უნდა გავიხსენოთ. დაახლოებით ორი-სამი დღის შემდეგ, რაც აფხაზეთში მივლენებით ჩავედით საქართველოს და საკავშირო სუკის ზემოთ ჩამოთვლილი მუშაკები, კერძოდ, გაგრის სამხედრო ბომბორის აეროდრომზე დაეშვა სამთავრობო თვითმფრინავი საკავშირო კომუნისტური პარტიის პოლიტიბიუროს წევრის, კომპარტიის იდეოლოგიური მდივნის სუსლოვის თავმჯდომარეობით. ამის შემდეგ ჩვენი საკავშირო სუკის თავმჯდომარის პირველი მოადგილე არმიის გენერალი ფ. ბაბკოვი თითქმის ყოველდღე სტუმრობდა ბატონ სუსლოვს და ყოველდღე იღებდა მისგან ე.წ. დირექტივებს, თუ როგორ ემართათ მიმდინარე პროცესები.

1978 წლის აფხაზური სეპარატიზმის და აფხაზეთში მცხოვრებთა ქართული პროტესტების ციკლი კი ე.წ. კომპრომისით დასრულდა. მოსკოვიდან (აბა ამაში თბილისს ვინ შეეკითხებოდა) ჩამოვიდა განკარგულება სამი ათეული (თუ მეტი, არ მახსოვს) საკადრო საშტატო ადგილების შექმნის შესახებ, სადაც განამწესეს აფხაზი ეთნოსის სეპარატისტული მოძრაობის ლიდერები... სამინისტროში თუ სამთავ-

რობო დეპარტამენტებში, სუკსა და შინაგან საქმეთა სამინისტროში... ე.ი. სამთავრობო და პარტიული სტრუქტურები განაზავეს აფხაზური ეთნოსის წარმომადგენლებით.

1978 წლამდე, როგორც წესი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სუკის თავმჯდომარეები, შინაგან საქმეთა მინისტრები და სხვა სამთავრობო სტრუქტურების ხელმძღვანელები თბილისში ინიშნებოდნენ, ახლა ეს პრეროგატივა საკავშირო სტრუქტურებს გადასცეს. კომპრომისის წესი რომ დაეცვათ — დააპატიმრეს აფხაზური სეპარატიზმის ორი ლიდერი — ინალიფა (სკოლის დირექტორი) და ხიყუბა (ადვოკატი). რადგან აფხაზები დააპატიმრეს, რუსულმა მხარემ საჭიროდ მიიჩნია დაეპატიმრებინა ქართული მოსახლეობის საპროტესტო აქციის ლიდერები — გაგრის „საქტარას“ უფროსი მალრაძე და ქართული სკოლის დირექტორის მოადგილე მდინარაძე. თუ აფხაზებს ბრალად დასდეს ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდის მუხლი (ანუ პოლიტიკური მუხლი), ქართველები — კერძოდ, მალრაძე დააპატიმრეს ჯერ იარაღის უკანონო შენახვისა და ტარების მუხლით, ანუ ღიად ჩაუდეს იარაღი მის კუთვნილ ავტომანქანაში, რომელიც საღამოს მისი ეზოს გარეთ იყო გაჩერებული, ხოლო დაკავების შემდეგ აღძრეს საქმე მისი სამსახურეობრივი გაფლანგვის მუხლით „საქტარაში“. ამ მიზეზით და არა მარტო ბატონ მალრაძის, არამედ საბჭოთა სახელმწიფოს ვაჭრობის ყველა მუშაკის დაპატიმრება შეეძლო, ვინც კი ცოტაოდენ ჩახედულია ამ ე.წ. ტარის მიღებისა და ჩაბარების საქმეში, ალბათ დამერწმუნება. სკოლის დირექტორის მოადგილე ასევე გაფლანგვის მუხლით დააპატიმრეს. ეს გაფლანგვა კი მომხდარა იმ პიონერთა ბანაკში, რომელიც გათავსებული იყო მის სკოლაში და სადაც ის წლების განმავლობაში პიონერთა ბანაკის უფროსი გახლდათ. დამერწმუნეთ, ასეთივე მიზეზით თუ საბაბით თითქმის მთელ საბჭოეთში არსებული პიონერთა ბანაკების დირექტორის დაპატიმრება შეიძლებოდა, ყველამ კარგად უნყოდა, რომ პიონერთა ბანაკებში იპარავდნენ ყველა არსებულ პროდუქტს დაწყებული პურიდან, დამთავრებული კანფეტით...

ამით იმის თქმა მსურს, რომ ქართველები დააპატიმრეს როგორც ქურდბაცაცები, გამფლანგველები, ხოლო აფხა-

ზებს პოლიტიკური სარჩული მისცეს. თუმცა, ბატონებს — მალრაძესა და მდინარაძეს საბჭოთა სამართლიანმა სასამართლომ და ძიებამ დანაშაული ვერ დაუმტკიცა. ვერ დაუმტკიცა?.. არ დაუმტკიცა?.. თუ არ სურდა დაემტკიცებინა?.. ამ სამ კითხვაზე პასუხს ჩემზე არანაკლებ კომპეტენტურ პასუხს მკითხველი გასცემს (ისე, ჩემი აზრით, ეს ინციდენტი საბჭოთა სინამდვილეში უპეცენდენტო იყო).

იმავე დღეს, როდესაც ქართველები „გამოყარეს“ ციხიდან, მოსკოვიდან მოვიდა დირექტივა საკავშირო სუკისა და საქართველოს პარტიის ცკ შეთანხმებით — აფხაზი სეპარატისტების ლიდერები ამნისტიით შეიწყალეს და ისინიც „გამოყარეს“ საპატიმროდან.

ახლა კი ნება მომეცით, მივუბრუნდე ჩემი ნოველის სათაურში აღნიშნულ თხრობის შინაარსს...

ერთ მშვენიერ დღეს, ერთი კვირა იქნებოდა, რაც გაგრაში მივლინებით გახლდით, გამომიძახა საკავშირო სუკის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და მიბრძანა სამ მუშაკთან ერთად ქალაქ ტყვარჩელში გავმგზავრებულყავი მივლინებით, სადაც მისი ინფორმაციით რაღაც არეულობა და მუშების დაუმორჩილებლობის ფაქტები დაფიქსირებულა ტყვარჩელ-ქვანახშირის სამმართველოს სისტემაში. ნაბრძანები გვექონდა გავრკვეულიყავით სიტუაციაში, მოგვეხსენებინა პატაკით ხელმძღვანელებისათვის და თუ საჭირო შეიქმნებოდა, დახმარებას შეგვპირდა. რომ იტყვიან ჯარში „приказы не обсуждают“ —ო და ჩვენც ჩემი ხელმძღვანელობით გავემგზავრეთ ტყიბულში. შექმნილი საგანგაშო სიტუაცია კი შემდეგში მდგომარეობდა: ტყვარჩელის I „ქვანახშირის საბადოს უფროს ამფეთქებელს — გვარად და სახელად — ლეონიდ სიდოროვს, დაუმზადებია ჯერ კიდევ მაშინ უცნობი, ახლა კი ყველასთვის ცნობილი ტერმინი „შაჰიდის“ სარტყელი, მაშინ იმ დღეებში ჩვენ მას უბრალოდ თვითაფეთქების სარტყელი ვუწოდებთ „ПОЯС НАЧИНЕННЫЙ ВЗРИВЧАТКОЙ“, ალბათ დამერწმუნებით, რომ ასეთი ფეთქებადი სარტყელი ალბათ არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელს მსოფლიოშიც საერთოდ არ გახმაურებულა და ამიტომ ამხანაგი სიდოროვი ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს ამ ბარბაროსული იარაღის ექსკლუ-

ზიურ გამომგონებლად, ანუ პატენტის მფლობელად. დაუმზადებია ბატონებო ეს ქამარი, დაუტანებია მისი ჯიბეები ასაფეთქებელი ნივთიერებებით, შეუერთებია ისინი ელექტროგაყვანილობით, ჯიბის არეში განუთავსებია ელექტროკონსტრუქციული დეტონატორები და დილის ათი საათისთვის შეუფერხებლად შესულა ტყვარჩელ-ქვანახშირის სამმართველოს ორსართულიან შენობაში, შესულა სამმართველოს უფროსის ამხანაგ დ. ჯოჯუას კაბინეტში, სადაც კვირაში ორჯერ თურმე იმართებოდა სანარმოო თათბირი სამმართველოს მუშაკთა მათდამი დაქვემდებარებაში შახტების უფროსების შემადგენლობით; სულ, როგორც შემდეგში გავარკვიეთ, დაახლოებით 90-100 კაცის შემადგენლობით. თათბირს არ ესწრებოდა არცერთი ქალი, ამ შემთხვევაში ქალთა დისკრიმინაციამ სასურველი შედეგი მოგვცა... კაბინეტი საკმაოდ ვრცელი გახლდათ, ასე 160-180 კვადრატული მეტრი. კაბინეტის ხუთი ფანჯარა (მეორე სართულზე ყველა გაღებული იყო, რადგან ქალაქში იმ დღეს საკმაოდ დიდი ტემპერატურა იყო).

შევიდა კაბინეტში ამხანაგი სიდოროვი, რომელიც ბევრმა იცნო როგორც შახტების ქანების აფეთქებათა დიდოსტატი, ასევე საპატიო სიგელისა და ჯილდოს კავალერი და წყნარად გამოუთქვამს შემდეგი წინადადება „**товарищи соблюдайте спокойствие, без паники, сейчас вас гнид буду взрывать**“—ო, რაც ქართულად ასე ითარგმნება: „... ამხანაგებო, დაიცავით სიცნარე, პანიკის გარეშე, მე ახლა თქვენ ნაგვებო ყველას აგაფეთქებ“. გაუხდია (გადაუნევია პერანგი) და უნახებია მათთვის ტანზე შემოხვეული ასაფეთქებელი ნივთიერებებით გატენილი ქამარი. თათბირზე შეკრებილებს დიდი ახსნა არ დასჭირვებიათ იმის ახსნისთვის, რომ მიხვედრილიყვნენ თუ რა ელოდათ ამ ქამრის აფეთქების შემთხვევაში. როგორც შემდეგ გაირკვა, ამ ქამარში ჩამონტაჟებული იყო დაახლოებით 2-3კგ ასაფეთქებელი ნივთიერება — ეს კი ძალიან დიდი რაოდენობაა, ალბათ შენობის მთელ მეორე სართულს ნალეკავდა და გამოიწვევდა დიდ ხანძარს და ა.შ.

შემდეგში დაკითხულმა კაბინეტში თათბირზე მყოფმა პირებმა აჩვენეს, რომ არავის არ ახსოვს როგორ აღმოჩნდნენ გახსნილ ფანჯრებთან, არავის არ უცდია ან დაემშვიდე-

ბინა ან რაიმე ყურადღება მიექცია ამხანაგ სიდოროვისთვის. მოხდა ზოგისთვის შეიძლება სასაცილო, ზოგისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო წამების ათვლა... ხალხმა დაიწყო პანტა-პუნტით ფანჯრებიდან გადმოხტომა. იმასაც ამბობენ, რომ კაბინეტი სარეკორდო დროში სულ რაღაც წამების თუ ერთი-ორი წუთის განმავლობაში დაიცალა. ამას ხელი შეიწყო იმანაც, რომ ამხანაგ სიდოროვს თურმე რამდენიმეჯერ უცდია კონტაქტების შეერთებაც, მაგრამ ეტყობა ასაფეთქებელი სისტემა მწყობრიდან იყო გამოსული. რადგან აფეთქება არ შედგა, თავზარდაცემული თუ ფსიქიკურ შოკში მყოფი სიდოროვი კი თურმე ბუტბუტებდა „**без паники, без суеты, я сейчас починю систему**“ — პანიკის გარეშე, დაწყნარდით, ახლავე შევაკეთებთ სისტემასო.

როგორც მოგახსენეთ, ასაფეთქებელი სარტყლის დაზიანებამ საშუალება მისცა ხალხს ასე თუ ისე დაეტოვებინათ კაბინეტი ანუ შესაძლო აფეთქების ზონა.

როგორც მოგახსენეთ, კაბინეტი მეორე სართულზე იყო განთავსებული — მაღალი ოთხმეტრიანი აგურით (ალბათ, ასეთივე სიმაღლის პირველი სართულით, ასე რომ გადმოხტომის სიმაღლე დაახლოებით 6-7 მეტრი იქნებოდა, როგორც შემდეგ გაირკვა. სხვადასხვა სახსრების ტრავმით დაშავდა 15-20 კაცი, ყველაზე უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ყველაზე მკვირცხლი მხტომელები, ანუ ისინი, ვინც პირველ რიგში გადმოხტნენ. მათ თავზე ახტებოდნენ შემდეგი „სპორტსმენები“ და ორმაგ ტრამვებს აყენებდნენ ქვეშ მიყოლებულებს. ბევრმა სცადა იქვე ფანჯარასთან აშოლტილ ჭადრებზე შემხტარიყო და იქ ეპოვა თავშესაფარი. როგორც ამბობენ ჩიტებივით იყო შეფენილი ხეებზე. სიკვდილის საშიშროება რომ არ ყოფილიყო და ეს კადრები, ახლა ვიდეოზე გვენახა, ბევრს ვიცინებდით, მაგრამ იმ ხალხს მაშინ სასაცილოდ საქმე სრულებითაც არ ჰქონდა.

როგორც ადრე მოგახსენეთ, დილის 4 საათისთვის ჩვენი ოპერატიული ბრიგადა ტყვარჩელში გაემგზავრა, გზაში ოჩამჩირის სუკის განყოფილების უფროსიც შემოგვიერთდა, რომლის ოპერატიული მომსახურების ზონაშიც იმყოფებოდა ქალაქი ტყვარჩელი. 2 საათში ტყვარჩელში ვიყავით. საქალაქო სუკის შენობაში მცირეოდენი თათბირის შემ-

დეგ, გავემგზავრეთ ტყვარჩელ-ქვანახშირის შენობასთან, იქვე მიმდებარე მილიციის განყოფილებაში, საიდანაც კავშირი იყო დამყარებული ტერორისტთან, პატარა თათბირი ჩავატარეთ. ჩვენს ჩასვლამდე სურათი საკმაოდ გარკვეულიყო. მას შემდეგ, რაც კაბინეტი დაიცალა, ჩვენი ტერორისტი ბატონ ჯოჯუას თბილ მოხერხებულ ტყავის სავარძელში ჩამჯდარიყო და იქიდან იტყობინებოდა, რომ ასაფეთქებელი მოწყობილობა უკვე აღედგინა და იმუქრებოდა — თუ ვინმე შევიდოდა მის კაბინეტში, იმავე ნუთს ააფეთქებდა მოწყობილობას. მთლი სადამო მიდიოდა მიმდებარე ტერიტორიის მოსახლეობის ევაკუაცია, შენობა განთავსებული იყო მშვენიერ მწვანეში ჩაფლულ პარკში, თავისი მოედნით. ამ შენობას არც ერთი საცხოვრებელი სახლი არ ემიჯნებოდა და ამიტომ მოსახლეობის ევაკუაციას დიდი დრო არ დასჭირვებია. მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მე დავლაპარაკებოდი პირადად ტერორისტ სიდოროვს, დამემშვიდებინა და შევპირებოდი ყველა მის საყოფაცხოვრებო პრობლემების გადაწყვეტაში, ისიც უნდა მეთქვა, რომ შესაძლებელია მისი აღგენა ძველ სამსახურში (საიდანაც ის მოუხსნიათ) ვერ მოხერხებულიყო, მაგრამ სხვა სამსახურში აუცილებლად მოვანყობდი და ა.შ. შედგა ჩვენი პირველი საუბარი, რომელი დაახლოებით 10-15 წუთი მიმდინარეობდა. პირველად სიდოროვმა თავის მუქარა გაიმეორა იმის შესახებ, რომ ასაფეთქებელი სისტემა აღდგენილი ჰქონდა და ცოცხალი თავით არ დაგვინებდებოდა. მე გავაცანი თავი, ავუხსენი ვინც ვიყავი, რა უფლებამოსილებით ვესაუბრებოდი და რით შემედლო მისი დახმარება, რომ კომპრომისული შთანხმებისათვის მიგვეღწია. ამის მოფიქრებისთვის მან ერთი ან ორსაათიანი ე.წ. ტაიმაუტი ითხოვა. ამაზე შევჯერდით. ამასობაში გაირკვა ის ბანდიტური მიზეზი, რამაც გადაწყვეტინა სიდოროვს მიეღო ეს საბედისწერო გადაწყვეტილება ე.ი. ტერორის გზაზე დამდგარიყო. ისტორია კი შემდეგში მდგომარეობდა: დაახლოებით ორი თვის წინ სიდოროვის შვილი უნდა წასულიყო პიონერთა ბანაკში დასასვენებლად ადლერში. სიდოროვი მისულა ჯერ ბრიგადირთან, შემდეგ შახტის უფროსთან და უთხოვია ერთი დღით გაეთავისუფლებინათ იგი, რათა

წაჰყოლოდა ქალიშვილს (12-13 წლის გოგონას) სოხუმში, საიდანაც ის ბავშვი სხვებთან ერთად მატარებლით გაემგზავრებოდნენ ადლერში. როგორც სიდოროვმა ჩემთან საუბარში განაცხადა, რომ ბრიგადირი მას არ სწყალობდა, ვინაიდან ლოთი და უღირსი **ПОДОНОК**-ი იყო. მას თურმე არც მოუსმენია სიდოროვისთვის, გაულანძლავს და ისე გამოუგდია კაბინეტიდან. შემდეგ სიდოროვი შახტის უფროსს ეახლა და მას აუწყა თავისი თხოვნა. შახტის უფროსი უკვე ინფორმირებული ყოფილა ბრიგადირისაგან და მასაც გაულანძლია სიდოროვი და პირადი სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფაც მიუყენებია. მეორე დღეს ამხ. სიდოროვი წასულა ტყობულშახტის სამმართველოში და უთხოვია სამმართველოს უფროსთან მიღება, სამდივნოში მისი თხოვნა ყურად არ უღიათ და გამოუძევებიათ მისაღებიდან. დღის მეორე ნახევარში სიდოროვი ისევ მისულა სამმართველოში და ძალით შესულა ამხ. ჯოჯუას კაბინეტში. სამმართველოს უფროსს არც კი მოუსმენია მისთვის, ისე შემოცვენილან სამმართველოს თანამშრომლები და გამოუთრევიათ სიდოროვი კაბინეტიდან. ახლაც მესმისო, ყვებოდა სიდოროვი, ჯოჯუას გინება და ყვირილით „...**бездельник, интриган, пяньчужка**“-ო. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობამ არ გაათავისუფლა სიდოროვი სამსახურიდან, მან მეორე დღეს მაინც გააცდინა და გააცილა შვილი სოხუმიდან პიონერთა ბანაკში. როცა მესამე დღეს სამსახურში მივიდა, სიდოროვი კადრების განყოფილებაში დაიბარეს და გადასცეს ბრძანება მისი სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ, იმ მოტივით, რომ იგი სისტემატურად აცდენდა სამსახურს, დროულად და კეთილსინდისიერად არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს და ა.შ. ამის შემდეგ თითქმის ორი თვე დადიოდა ამხანაგი სიდოროვი ინსტანციიდან ინსტანციამდე და ითხოვდა მისი პრობლემების გადაჭრას ანუ სამსახურში აღდგენას. მაგრამ არავინ არ იყო ყურად მისი თხოვნა, სამმართველოში შენობის მეორე სართულზეც არ უშვებდნენ. ჩავიდა სახუმში, იყო მინისტრთა საბჭოში, იქიდან წერილი გამოგზავნეს ტყვარჩელში, მაგრამ ამას არავითარი დადებითი რეაქცია არ მოჰყოლია. ამას ისიც დაემატა, რომ დედა გარდაეცვალა,

ცოლი არ მუშაობდა, თვითონაც არ მუშაობდა და ორი ბავშვი ჰყავდა შესანახი. ხანდახან დროებით მტვირთავად მუშაობდა სასურსათო მაღაზიაში და ამით იტანდა თავს. ყოველივე ამ უსამართლობამ, გაუსაძლისმა საყოფაცხოვრებო პირობებმა მიიყვანა იგი გადანყვეტილებამდე, რომ დაესაჯა მისი ე.წ. მწვალე-ბლები და ჩაიდინა ის, რაც ჩაიდინა — აღმოჩნდა ბატონ ჯოჯუას კაბინეტში ასაფეთქებელი ქამრით.

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს ის გარემოებაც, თუ რატომ იყვნენ ასე ნეგატიურად განწყობილი ამხ. სიდოროვის მიმართ I შახტის მესვეურები. რატომ და მხოლოდ იმიტომ, რომ სიდოროვი უბრალოდ თვითონ არ იპარავდა და არც სხვას აპარინებდა ასაფეთქებელ ნივთიერებებს (საფანტი, დეტონატორი, სპეცმავთულები, დეტონატორის „შურები“). ასეთი ჩვენება მისცა არაერთმა დაკითხულმა მეშახტემ და მუშამ. ერთი სიტყვით, მოუსყიდველი და პატიოსანი მუშაკის სახელი ჰქონდა დამკვიდრებული. ზოგიერთმა ისიც აჩვენა, რომ მისი კეთილსინდისიერება ფანატიზმამდე იყო ასული, არადა, ვინ უშლიდა რომ მოეპარა ეს ნივთიერებები, გაეყიდა და, რაც მთავარია, ყოველ თხოვნაზე ხელმძღვანელებისა, უსიტყვოდ მიერთმია მათთვის ეს დეფიციტური მასალა, რომელიც შესანიშნავად იყო გამოყენებული ბრაკონიერობისათვის. ერთი სიტყვით, ეს ამხანაგი „არც თვითონ ჭამდა და არც სხვას აჭმევდა“, ამიტომ იგი ყველას ათვალნუნებული ჰყავდა და ზურგს უკან „несчастный дурак, фанатик“-ს ეძახდნენ. აი, ეს იყო მიზეზთა მიზეზი მისი უბედურებისა — მხოლოდ და მხოლოდ კეთილსინდისიერებამ და დისციპლინამ გარიყა ეს კაცი ხელმძღვანელებიდან და კოლექტივიდანაც, რადგან ყველას უფრო აწყობდა მეორე დევიზი — ასე გამეფებული საბჭოთა სინამდვილეში — „შენც ჭამე და ჩვენც გვაჭამეო“. მაგრამ რას იზამ თურმე მაშინაც ყოფილან მართალია გამონაკლისი, მაგრამ მაინც ღირსეული პიროვნებები. იმან, რომ ის თავისი ქმედებით ვერ შეეწყოს სისტემას, კატასტროფამდე, სიკვდილამდე მიიყვანა...

დაახლოებით ორი საათის შემდეგ დაუკავშირდი ისევ ტერორისტს და შევთავაზე კომპრომისული გადანყვეტილება, მოეხსნა ე.წ. ასაფეთქებელი ქამარი, გამოსულიყო

შენობიდან, ჩვენ მას ჩავსვამდით მანქანაში და ჩემთან და მის უფროს ძმასთან ერთად გავამგზავრებდი მის სოფელში, მივიყვანდი მის სახლში. მეშახტეთა დაბა დაახლოებით 8-10 კმ-ში მდებარეობდა ტყვარჩელიდან. ამ წინადადებაზე სიდოროვმა მოფიქრებისთვის კიდევ ერთი საათი ითხოვა. ერთი საათის შემდეგ თვითონ დაგვიკავშირდა და გვითხრა, ამოდით ჩემთან თქვენ და ჩემი ძმა ეგორიო. აქ დავილაპარაკოთ და შევთანხმდეთ, ოღონდ ერთი პირობით გამოვალ შენობიდან — ამ ასაფეთქებელ ქამარს მხოლოდ სახლში მისვლისას მოვიხსნი, იქვე განვმუხტავ და გადმოგცემთო. თუკი შეთანხმება ჩვენს შორის მიღწეულია, შენთან ამოსვლას რა აზრი აქვს-მეთქი, იქ მანქანაში დავილაპარაკოთ-მეთქი. რაზეც მივიღეთ მისი თანხმობა. შენობის მთავარ შესასვლელთან მივედით ე.წ. სამხედრო ჯიპის მარკის მანქანით, სადაც ვიჯექით მე და მისი ძმა ეგორი. არ გასულა 2-3 წუთი, რომ სიდოროვმა დარეკა და გვთხოვა ერთი ჯიპით მე და ჩემი ძმა გაგვიშვით, თუ თქვენ გსურთ, მეორე ჯიპით გამოგვყევითო. მისი აზრით ეს უფრო უსაფრთხო იქნებოდა როგორც მისთვის, ისე ჩვენთვისაც. რა თქმა უნდა, მისი ეს გადანყვეტილება არალოგიკური იყო, ვინაიდან თუ მასთან მანქანაში ვინმე ჩვენგანი იჯდებოდა თითქმის მძევლის სახით ეს მის უსაფრთხოებას უფრო უზრუნველყოფდა, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ მას ძმასთან მარტო ყოფნა უნდოდა, ალბათ ვიფიქრე, რაღაცის თქმა უნდა და ეშინოდა ჩვენ ამ საუბარის აუდიოჩანაწერი არ განგვეხორციელებინა, ასე თუ ისე ამაზეც მივეცით თანხმობა, რადგან ამ სიტუაციაში ზედმეტად ვაჭრობაში არ ჩავებით.

ასეთი ორი მანქანის ექსკორტით სულ რაღაც 5 წუთში დავიძარით მეშახტეთა დაბის მიმართულებით. ჩვენი მანქანა სულ რაღაც 50-70 მეტრის დაშორებით მიჰყვებოდა ძმების მანქანას, რომელსაც ტერორისტის ძმა მართავდა.

ტყვარჩელიდან რომ გამოდინხარ მანქანით, გზა გადის თითქმის ტყის მასივში, უფრო სწორად პატარა წინვოვანი ხეებით და ნაძვნარით დაფარულ პატარა ბორცვებში. შესანიშნავი სილამაზეა, მაგრამ ბუნებით ტკობის არც თავი, არც დრო არ მქონდა. დაახლოებით 10-15 წუთში შევედით შედარებით უფრო დაბურულ ტყის მასივში. ამ

დროს გაისმა საბედისწერო სროლა ტყის მასივიდან, ორივე მანქანა დამუხრუჭდა. არ ვიცოდი რა მეფიქრა — ვერ ვაზრებ თუ საიდან გაისმა ეს გასროლა. ერთადერთი ვარაუდი, რომელიც წარმომეშვა და ახლაც ამ აზრზე ვარ, ალბათ სამხედრო ნაწილის მეთაურმა, რომელიც განლაგებული იყო ქალაქ ტყვარჩელში, თვითნებურად თუ ვილაც ზემო სამხედრო ინსტანციების გავლენით ჩვენი გადაადგილების გზაზე მთის ბორცვებზე განლაგეს ე.წ. „სამეთვალყურეო პუნქტები“ რა თქმა უნდა გამოუცდელი წვევამდელი სამსახურის ჯარისკაცებიდან. არ ვიცი და ვერც მაშინ ვაკვირე, ვინ ისროლა? ვინ ესროლა ტერორისტის მანქანას ტყვია, ჩასაფრებულმა სნაიპერმა თუ რომელიმე ჯარისკაცს ნერვებმა უმტყუნა და უნებლიედ დააჭირა სასხლეტს ხელი (პირველი ვერსია უფრო დამაჯერებლად მიმაჩნია ვიდრე მეორე), ეს ინციდენტი სალდაფონობის პოზიციათა შეუთანხმებლობის სავალალო შედეგი გახლდათ. სრულიად არ გამოვრიცხავ, რომ იმ სამხედრო ნაწილის იდიოტ მეთაურს მოუვიდა ეს თავში. მომხდარმა კი საპირისპირო ეფექტი გამოიწვია. ეგორმა მანქანა დაამუხრუჭა, გადმოვიდა მანქანიდან, დაათვალიერა და 50-70 მეტრში ჩვენ გარეშე მანქანაში მჯდომთ გამოგვძახა, „**В нас стреляют эти ебаные, мы так не договаривались**“. როგორც შემდეგ ექსპერტიზით დამტკიცდა, ტყვია მანქანის „კაპოტს“ მოხვდა, იქ სადაც მას ე.წ. მინა უერთდება. ე.ი. სავარაუდოდ ვილაც ბრუციანმა სნაიპერმა ისროლა. ძლივს დავამშვიდეთ ეგორი, როგორც იყო ძმასთან გავუშვით, რომ ისიც დაემშვიდა და გზა გაგვეგრძელებინა. რამდენიმე წუთში სიდოროვის და ჩვენი მანქანაც დაიქოქა და გზა განვაგრძეთ. ჩემი ვარაუდით 20-25 წუთში მეშახტეთა დასახლებას უნდა მივახლოვდებოდით. სულ რაღაც 10-15 წუთში ისევ ტყის და ბორცვების მასივში ვიმყოფებოდით, რომ ერთ-ერთი ბორცვიდან გაისროლეს გარემოს გასანათებელი მამხალა. ეს კი მეტისმეტი იყო ისედაც დაძაბული სიტუაციაში... ეგორის მანქანა ისევ გაჩერდა, ჩვენც ასევე 80 მეტრში ვაჩერდით, სიჩუმემ დაისადგურა. ასე ხუთი თუ მეტი წუთი ვიყავით გაჩერებული. უცებ ტერორისტის მანქანიდან ეგორი გადმოხდა და სირბილით გამოიქცა ჩვენი

მანქანისკენ, თან გამუდმებით და სასონარკვეთილად გაჰყვიროდა „...**Все, все кончилось, он принял окончательное решение, не хочет жить, т.к. ему покоя никогда не дадут в этой стране**“ — „გათავდა, ყველაფერი გათავდა. მან გადაწყვეტილება მიიღო, სიცოცხლე არ უნდა, ვინაიდან ფიქრობს, რომ ამ ქვეყანაში მას მაინც არ აცხოვრებენ“-ო. ეგორი შემოგვიხტა მანქანაში, მძღოლს უბრძანა: „**поворачивай машину обратно или дай задний ход, в нашем распоряжении пять минут**“-ო „...**а потом он взорвет себя и машину**“. მძღოლი უსიტყვოდ დაემორჩილა, აბა ფიქრისა და საქმის გარჩევის დრო სად იყო, მადლობა ღმერთს, ერთი თუ ორი მანევრით შემოვატრიალეთ მანქანა და მაქსიმალური სიჩქარით უკან გავეშურეთ. არ ვიცი რამ დრო გავიდა ამ აუტანელი მოლოდინისა, იმისა, რომ მანქანა აფეთქდებოდა და მართლაც გაისმა აფეთქების გამაყრუებელი ხმა. უნებლიედ უკან მოვიხედე, ცას გავხედე და რაც მაშინ ვნახე, ალბათ ვერასოდეს ნახავს ადამიანი. დაახლოებით რამდენიმე ათეული (შესაძლებელია აფეთქების ეპიცენტრში ასეული მეტრით) ჰაერში დაფრინავდა მანქანის გასისხლიანებული ნაწილები, საბურავები და სხვა. რაღაც ნაწილები ჩვენს ახლოსაც დაეცა...

მართლაც გათავდა ყველაფერი... რამდენიმე წამს გახევებული და შოკირებული ვიყავით... შემდეგ მანქანა მოვაბრუნეთ და აფეთქების ეპიცენტრში მივედით. ტერორისტის მანქანა თითქმის განახევრებული იყო, ზედა ნაწილი სულ მოცლილი ჰქონდა და ერთადერთი უკანა საბურავი ინვოდა. მანქანის ძარაზე შევნიშნე ლეონიდ სიდოროვის ორი კიდური და ფეხსაცმელები, რომლებიც სისხლით იყო გაჟღენთილი. ერთი სიტყვით, რაც იქ ვნახეთ, ალბათ თავისი შემზარავი სანახაობით ენითაუნერელი იყო. თვით ტერორისტის სხეული მანქანაში არ იყო, იყო მისი სისხლი, სისხლი და სისხლში არეული მისი ორგანიზმის შიდა ნაწილები თავის ტვინის სითხესთან ერთად...

აი, ასე ტრაგიკულად დასრულდა ეს ისტორია. ალბათ უფრო ტრაგიკულად დასრულდებოდა, თუკი ტერორისტი შეძლებდა ასაფეთქებელი ე.წ. „მაჰიდის“ სარტყლის ბატონ ჯოჯუას კაბინეტში აფეთქებას, რისი მცდელობაც ჰქონდა

და ამასვე ადასტურებდნენ უმრავლესად თვითმხილველები. ღმერთის წყალობით ეს არ მოხდა... დალუპულთა რაოდენობა ალბათ ათეულს და მეტს გადააჭარბებდა...

ისედაც ზამბარასავით დაჭიმულმა ნერვულმა სისტემამ უმტყუნა ტერორისტს. არ შევუდგები იმის გარჩევას, თუ მართლაც რა ბედი ეწეოდა მას, მართლაც სახლში რომ მიგვეყვანა და ხელისუფალთ ჩაბარებოდა. ალბათ ესეც იფიქრა სიკვდილის წინ. რა თქმა უნდა, არავინ შეინყალებდა. დასჯიდნენ მაშინდელი უმაღლესი სასჯელით, რა თქმა უნდა, ციმბირიც არ აცდებოდა, მაგრამ მაინც იყო იმის იმედი, რომ სასჯელის უმაღლესი ზომას — სიკვდილს არ მიუსჯიდნენ. ეს ჩემი ვარაუდია, თორემ ისე ვინ იცის? ვინ იცის, როგორ წარმართებოდა შემდეგში საქმე... ამ სიტუაციაში არანაკლებ საცოდავად გამოიყურებოდა ეგორ სიდოროვი (ტერორისტის ძმა) ჩემთვის უბრალოდ ამაზრზენი სისხლით გაუღენთილი სანახაობა, მისთვის სრული ტრაგედია იყო... ერთ ხანს გაშტერებული უყურებდა გადამწვარ მანქანას. ალბათ ეძებდა ძმის დამწვარ სხეულს, მაგრამ ამოდ. იქ ის ვერაფერს იპოვიდა, გაუაზრებლად იყურებოდა გარშემო, შემდეგ თითქოსდა წაბორძიკდაო, თავი შეიმაგრა, რომ არ დაცემულიყო. იქვე მანქანასთან ჩაიცუცქა, სახეზე ხელები აიფარა, რამდენიმე წუთს ჩუმად იჯდა, შემდეგ კი ტირილი, უფრო სწორად, ქვითინი აღმოხდა. მე და ჩემი მძლოლი არანაკლებ შოკში ვიყავით, მახსოვს, რომ მივუახლოვდი, ხელი ბეჭზე დავადე, თითქოს მინდოდა რაღაც სანუგეშებელი მეთქვა, მაგრამ რომ იტყვიან — კრიჭა შემეკრა — ხმა ვერ ამოვიღე. ერთი კი ამომხედა და დაახლოებით ეს თქვა: „Мой брат, бедный мой брат, он мне поручил присмотреть за его семьей, за его дочерьми... смогу ли я это, смогу ли я это“. ვერაფერი ვუპასუხე, ან რა უნდა მეთქვა. ყველაფერი ლიტონი სიტყვები იქნებოდა. „ჩემი ძმა, ჩემი საყვარელი ძმა... მან მთხოვა რომ მივხელო მის ოჯახს, მის ქალიშვილებს... შევძლებ კი?.. შევძლებ მე ამასო?“...

ცოტა ხანში, სულ რაღაც 10-15 წუთში, თითქოსდა ელოდნენ ამ მოვლენათა დასასრულს, ადგილზე გამოცხადნენ ქალაქ ტყვარჩელის ხელმძღვანელი პირები, სამხედროები, მილიცია, შემდეგ აფეთქების ზონა გამოყვეს, საზღვარი

დაანესეს... მე უკვე იქ არაფერი მესაქმებოდა და დავბრუნდი ტყვარჩელში. სასტუმროში მივედი დალილი-დაქანცული. მახსოვს, ენერგია გამოფიტული მქონდა, ისიც გამახსენდა, რომ ამ ორი დღის განმავლობაში თითქმის საკვებიც არ მქონდა მიღებული, მაგრამ ეს ვის ახსოვდა. ჩამოვჯექი სავარძელზე და ცოტა ხანში ჩამძინებია. როგორც მითხრეს, 15-16 საათი მეძინა. იქაურ მასპინძლებს უნდოდათ ვახშამზე თუ სადილზე დავეპატიყე, მაგრამ ამის არც განწყობა მქონდა და არც ფიზიკური ძალა. საჩქაროდ გამოვემზავრე გაგრაში. გზაში ვისადილეთ მე და ჩემმა კოლეგამ ოჩამჩირის უშიშროების უფროსმა ბატონმა ბელქანიამ...

ჩავედი გაგრაში და ჯერ სიტყვიერად, ხოლო შემდეგ ოპერატიული წერილობით მოვახსენე ყველაფერი საკავშირო უშიშროების თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ბატონ ბობკოვს. მეორე დღეს დილით გავემზავრეთ ე.წ. სამთავრობო დაჩაზე, სადაც საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცეკას მდივანი, პოლიტბიუროს წევრი სუსლოვი „ისვენებდა“. ბობკოვმა ასე მითხრა: „...უმჯობესია გამომყვეო, შეიძლება რაღაცის დაზუსტება მთხოვოს ამხანაგმა სუსლოვმა და იქვე იქნებო“. პირადად მე სუსლოვი არ მინახავს. შევიდა მის აპარტამენტებში ბობკოვი და ერთი საათის შემდეგ გამოვიდა. უკან რომ ვბრუნდებოდით, მხოლოდ ეს მითხრა — „ამხანაგმა სუსლოვმა ბრეჟნევთან დარეკაო, შემდეგ ანდროპოვსაც ესაუბრაო“, მიღებულია გადამწყვეტილება, რომ ამ ტერორისტის საქმეს ფრიად საიდუმლო გრიფი დაედოსო. ამის შესახებ არსად, არც პრესაში, არც ტელევიზიაში არავითარი განცხადება არ იქნება გამოქვეყნებული. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ რა სწორი ყოფილა ამხანაფი სტალინი, როდესაც ამბობდა — „არის ადამიანი, არის პრობლემაო, არ არის ადამიანი, არ არის პრობლემაო“. ასე რომ, სტალინის მონათვეებმა გააქრეს ადამიანი, გააქრეს მისი არსებობა, მისი ტრაგიკული ბედი. არანაირი გამოძიება ამ საქმის გარშემო არ ჩატარებულა. ჩემს ოპერატიულ ცნობას გრიფი „ფრიად საიდუმლო“ დაადეს. მერე ამ ცნობას მეორე გრიფიც მიანიჭეს — „გაიხსნას მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში“, ჩადეს კონვერტში, დალუქეს და სუკის საიდუმლო საბუთთა არქივს

ჩააბარეს. ასეთი იყო მაშინ სუკის შიდაგანაწესი.

ამ ტერორისტული აქტის, უფრო სწორად, მცდელობის ფაქტიდან თითქმის 38 წელი გავიდა...

არაერთხელ გამხსენებია და წარმოსახვაში აღმიდგენია ის მძიმე საათები, რაც მაშინ პირადად მე გადამხდა ტყვარჩელში. გამხსენებია ტერორისტი ლეონიდ სიდოროვი, მიფიქრია მის ტრაგიკულ ბედზე. არ დაგიმაღავთ, ხანდახან შემცოდებია კიდეც, მაგრამ ეს ჩემი ჰუმანური სისუსტე მალე უგულველყოფილა, გამახსენდებოდა, რომ მან რამდენიმეჯერ, ვიმეორებ, რამდენიმეჯერ ჩართო ასაფეთქებელი სისტემა, რომელიც ღმერთის წყალობით (მისი პროფესიონალური თუ ნერვიული დაძაბულობის გამო, რამეთუ მან იცოდა შესანიშნავად, როგორც თავისი საქმის სპეციალისტმა, თუ რა დამლუპველ შედეგს მოიტანდა ეს მისი ქმედება — დაილუპებოდა საერთოდ უდანაშაულო ხალხი. აი, ამის უფლება მას კი არ ჰქონდა, ეს უკვე დიდი დანაშაული იყო... ამიტომ, რა შეცოდებაზე შეიძლება აქ საერთოდ საუბარი, ეს უბრალოდ, მკრეხელობაა. საცოდავი ის კაცი იყო, რომელმაც საბჭოთა სისტემაში თავისი კეთილსინდისიერი მუშაობით, პროფესიონალიზმით, საწარმოო დისციპლინის დაცვის გამო ადგილი ვერ იპოვა. იგი გარიყული აღმოჩნდა მისსავე მუშათა კლასის საზოგადოებაში, რომელიც იმავე სისტემული ავადმყოფობით იყო დაავადებული, რითაც სისტემა. ამ ხალხმაც ვერ გაუგო, თუ რატომ არ იპარავდა იმას, რისი მოპარვის უფლება თუ არა, საშუალება ჰქონდა და შემდეგ ამ მოპარულს რატომ არ ჰყიდდა და ამით ოჯახს რა, უფრო კარგად არ შეინახავდა?!. მაგრამ მან ეს ვერ შეძლო და ამიტომაც ასე ტრაგიკულად აღესრულა...

ჩიქვილა

დღეს შვილიშვილმა, დიტომ დამირეკა:

— ბაბუ, შენთვის სიურპრიზი მაქვს, გთხოვ, მოხვიდე საბავშვო თეატრში ათონელზე, სადაც ამ დღეებში საბავშვო სპექტაკლების ფესტივალი ტარდება. 55-ე სკოლის თეატრალური დასი ნოდარ დუმბაძის „ჰელადოსს“ ვდგამთ და მიინდა, აუცილებლად დაესწრო.

აბა, უარს როგორ ვეტყვი და დანიშნულ დროს თეატრში მივდი. ჩემი დიტო ჯემალის როლს ასრულებდა, ეამაყებოდა, შენს თანამოსახელეს განვასახიერებო.

„ჰელადოსი“ ჯერ კიდევ ყმანვილმა წავიკითხე ჟურნალ „ცისკარში“. მოვიხიბლე ამ თითქოსდა საბავშვო თხზულებით, რომელიც სინამდვილეში დიდი ადამიანური დრამა გახლდათ. ასე სჩვეოდა ნოდარ დუმბაძის შემოქმედებას და ისიც მგონია, რომ ამ მოთხრობაში ტრაგიზმი ლამის შექსპირის პიესების დონემდე აიყვანა მწერალმა.

არ უნდოდა და ვერ გაეგო პატარა იანგულის თავისი წინაპრების ზღაპრული ქვეყნის სიდიადე და მშვენიერება. მისი სამშობლო სოხუმი, შავი ზღვა და აქაური მეგობრები იყვნენ და კიდეც შეენირა ამ სულიერ რყევებს.

წარმოდგენას მთელი ჩემი ოჯახის წევრები ესწრებოდნენ. სპექტაკლის შემდგომი აპლოდისმენტებიდან გარკვეული წილი ჩემს დიტოსაც ერგებოდა.

გამოვედით თეატრიდან, რაღაც მოვიმიზეზე, გამოვეთხოვე ჩემს ჯალაბობას და ფეხით გაფუყევი გზას მშრალი ხიდისაკენ, შემდეგ აღმაშენებელზეც გავიარე ფიქრებში გართულმა... მაშინ, როდესაც ეს ნოველა წავიკითხე, ასეთი დამთრგუნველი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ეტყობა, ბევრი რამ შეიცვალა ჩემში ამ ნახევარი საუკუნის გან-

მავლობაში. ახლა სულ სხვა ქვეყანაში ვცხოვრობთ, სხვა ადამიანებით, სხვა რიტმითა და ემოციებით, მაგრამ ადამიანური ცხოვრების ტრაგიზმი ყველა გადასახედიდან ერთნაირი ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, „ჰელადოსს“ თავისი აქტუალობა არ დაუკარგავს...

იქნებ იმიტომ, რომ ბავშვობაში ყველას ჰყავდა თავისი იანგული, ისეთი მეგობარი, ჯერ კიდევ პატარას რომ ეწვინია მშობლების შეცდომები; მისი ბავშვური ფსიქიკა ვერ გარკვეულიყო უფროსების რებუსებში, თვითონ ვერ ამოეხსნა, სხვებს კი ვერ მოეცალათ საამისოდ და ჯერ კიდევ მყიფე სულიერი სამყაროს ასეთი მიმონყდომანი საბოლოოდ ტრაგიკულად დასრულებულიყო.

1951 წელს მაგადანში მამაჩემის ტრაგიკული გარდაცვალების შემდეგ ჩემი ოჯახი რის ვაი-ვაგლახით თბილისში დაბრუნდა. მე სწავლა დავეინყე მაშინდელ კოლმეურნეობის მოედანთან მდებარე 37-ე სკოლაში. მაგადანში გამგზავრებამდე 1 საშუალო სკოლაში დავდიოდი, მაგრამ ახლა ვინ იყო იქ ჩემი მიმყვანი, დედა შეუძლოდ გახლდათ და ყველასთვის ასე აჯობებდა.

მახსოვს, პირველ დღეს გვერდით მივუჯექი საკმაოდ სიმპათიურ, გამონკეპილ და საგულდგულოდ დავარცხნილ ბიჭს, თვალშისაცემად ლამაზი პერანგი, სპორტული შორტები და ფეხსაცმელი რომ ეცვა. ყოველი მესამე გაკვეთილის შემდეგ სკოლაში მოდიოდა დედამისი, მაშინდელ სოციალურ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, საკმაოდ გამოპრანჭული ქალი, მიჰყავდა შვილი სკოლის კანცელარიაში (ასე ერქვა დირექტორის მისაღებს) და გამოკვებავდა ხოლმე — ფუნთუშით, ნამცხვრით თუ მანვნით.

ასეთი „პრივილეგიებით“ კლასში კიდევ ორი-სამი ბავშვი სარგებლობდა და მათ „დედიკოს შვილებს“ ვეძახდით.

მართალია, სკოლა დედაქალაქის ცენტრში მდებარეობდა, მაგრამ სრულებითაც არ იყო პრესტიჟული. ჩემს კლასში თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ ისეთი ოჯახების შვილები,

ბი, რომელთაც მატერიალურად ულხინდათ...

ერთ-ერთი შესვენების დროს ჩვენი კლასის „ყოჩი“ ანზორი უხეშად შეეჯახა ზაურს. პასუხად მანაც ხელი ჰკრა. ალბათ ანზორსაც ეს უნდოდა და თავხედური ღიმილით მიაძახა:

— რა იყო, შორტებიანო დედიკოს შვილო, ხომ არ გენყინა რამე?

სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ მისკენ მთელი სისწრაფით გაექანა ზაური და თავი მუცელში უთაქა. ამას უკვე ანზორი არ ელოდა და იატაკზე გაშხლართა. სასწრაფოდ მოეგო გონს, წამოხტა და... დაიწყო ხელჩართული ბრძოლა, რომელშიც კლასის ყოჩი სჯაბნიდა „დედიკოს შვილს“. მერე ზაურს ცხვირიდან სისხლი წასკდა და თეთრი პერანგი დაესვარა... ამასობაში მოჩხუბარნი გავაშველეთ, შესვენებაც დამთავრდა და მონაფეები კლასებს დაუბრუნდნენ.

ასე დასისხლიანებული ზაური სკოლაში ვერ დარჩებოდა და საპირფარეოში გავეყვი მოსანესრიგებლად, შემდეგ კი, ჩემი დაჟინებული თხოვნით, სკოლიდან გამოვიპარეთ და სახლამდე მივაცილეთ.

საბედნიეროდ, შინ არავინ დაგვხვდა.

კარის მეზობელმა მიბარებული ბინის გასაღები გადასცა და ზაურმა დედის მოსვლამდე დაბანა და გამოცვლა მოასწრო.

აბა, დედა რის დედა იქნებოდა, ვერ მიმხვდარიყო, რალაც ხიფათი რომ შემთხვეოდა შვილს. ზაურს კი წარბიც არ შეუხრია, ისეთი ტყუილი შეთხზა ექსპრომტად:

— ბოლო გაკვეთილი გაგვიცდა. მე და ჯემალი გამოვედით სკოლიდან, კოლმეურნეობის მოედანზე ვიღაც ხულიგნები გადაგვეყარნენ და პატარა ჩხუბი მოგვივიდაო.

შეიცხადა, მაგრამ რა შეიცხადა დედამისმა. თუმცა მეგობარს უღალატო „მონმედ“ დავუდექი და, საბოლოოდ, დედამისიც დამშვიდდა, დაგვაპურა და მადლიერიც დამრჩა, რომ გაჭირვებისას მისი შვილი არ მივატოვე.

— კარგი ბიჭი ჩანხარ, შვილო, მეგობრობაც ასეთი უნდა,
— მითხრა და თავზე ხელი გადამისვა.

ასე მოგვნათლა მისმა ტკბილმა სიტყვამ „მეგობრებად“.

მართლაც ამ დღიდან დაიწყო ჩვენი ბავშვური მეგობრობა. მალევე ისეთი ნდობა მოვიპოვე დედამისის თვალში, რომ ზაურთან ერთად ხშირად ვსტუმრობდით დედაჩემს კინოთეატრ „ოქტომბერში“, სადაც იგი ადმინისტრატორად მუშაობდა; რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებში ვნახეთ სპექტაკლები „პეპო“ და „ურთელ აკოსტა“ და შემდეგ ჩვენებურად ვმსჯელობდით მსახიობებზე, პიესებზე, ნანახსა და განცდილზე. ყოველ შემთხვევაში, წინგადადგმულ ნაბიჯად მიგვაჩნდა, რადგან მანამდე ლამის იძულებით ვესწრებოდით მოზარდმაყურებელთა თეატრის წარმოდგენებს: „პავლიკ მოროზოვი“, „ზოია კოსმოდემიანსკაია“, „ნაცარქექია“ თუ „კომბლე“...

იმ ჩხუბის შემდეგ ზაურისათვის აღარავის დაუძახია „დედიკოს შვილი“. ამასობაში სასწავლო წელიც მიიწურა. ზაურის დედამ დედაჩემის გაცნობა მთხოვა. შედეგი კი ის იყო, რომ 1954 წლის ზაფხული არმაზში, ზაურის ბაბუის სახლში გავატარე. ასე შევასხით ხორცი მე და ჩემმა მეგობარმა ჩვენს ჩანაფიქრს.

დედა, ჩემი საყვარელი დედა, რა გულუბრყვილო იყო ხანდახან!..

ჩვენთან ერთად ზაურის დაც გახლდათ, მედეა, ალბათ 5-6 წლით უფროსი ჩვენზე, შავი თვალწარბით, წელამდე დაფენილი მუჭის სისქე ნაწნავებით, სულ მუდამ მხიარული და სიცოცხლით სავსე. თავს ევლებოდა უმცროს ძმას და, როგორც ამ ასაკის გოგო-ბიჭებს სჩვევიათ, დიდობდა, მე და ზაურს პატარა ბავშვებივით გვეპყრობოდა, ჭკუას გვარიგებდა და ყოველთვის ჰქონდა ჩვენთვის გადანახული ნამცხვარი ან კანფეტი. თავაზიანობის გამო ვიტანდით ამ „დამცირებას“, თორემ თავი ჩვენც კაცებად მიგვაჩნდა, ნამდვილ ყარამან-ყანთელებად.

ასეთია ადამიანის ფსიქიკა: ვიდრე ბავშვი ხარ, ყმა-

წვილკაცობას ნატრობ, რომ გაიზრდები — დავაჟკაცებას, მერე კი... ისე უცებ შემოგეპარება სიბერე, ხვდები, რა მოკლე ყოფილა წუთისოფელი, თურმე ჩიტივით გაფრენილა ცხოვრება...

არმაზში თითქმის თვე-ნახევარი ვიყავით.

არასოდეს დამავინწყდება ზაურის დედის მზრუნველობა და ყურადღება ჩემ მიმართ. განონასწორებული ქალი გახლდათ ქალბატონი თამარი. ამდენი ხნის განმავლობაში არ გამიგია მისი ხმამალალი სიტყვა. დავგტუქსავდა, მაგრამ ამასაც ისეთი სითბოთი აკეთებდა, არასოდეს მწყენია. ღირსეულად ასრულებდა სიტყვას, რომელიც დედაჩემს მისცა: გამატანე შვილი, ბავშვებს უყვართ ერთმანეთი. პირობას გაძლევ, დედასავით მოვუვლიო.

ალბათ ვებრალებოდი კიდეც, რაკი უმამოდ ვიზრდებოდი; და ჩვენი ხელმოკლედ ცხოვრების შესახებაც იცოდა.

ზაურის მამა ყოველ კვირას ჩამოდიოდა არმაზში. ორჯერ თუ სამჯერ სათევზაოდაც წაგვიყვანა. არაგვში გვაჭყუმპალავა. ენაწყლიანობით არ გამოირჩეოდა, უფრო ხშირად დუმილს არჩევდა, თითქოს მუდმივად რალაც ფიქრებში იყო ჩაძირული. სითბოს არც შვილებთან გამოხატავდა და არც მეუღლესთან, რასაც მაშინ ვერ ვხსნიდი. რაც მამა აღარ მყავდა, სულ ვაკვირდებოდი ჩემი მეგობრების მამებს, მამაჩემს ვადარებდი, მასთან მსგავსებას ვეძებდი.

დადგა სექტემბერი და დაიწყო ახალი სასწავლო წელი.

მე და ზაური ისევ ერთ მერხთან ვისხედით.

ვერ ვიტყვი, რომ სწავლაში სიბეჯითით გამოირჩეოდა, მაგრამ დედამისის, დის და, ალბათ, ჩემი მზრუნველობითაც, ცუდადაც არ სწავლობდა. თუმცა იმ ზაფხულის შემდეგ უცნაურად შეიცვალა, ფიქრიანი მეჩვენებოდა. ჩემს წინადადებაზე — წავსულიყავით, კინოში ან თეატრში — უარს მეუბნებოდა. ერთხელ ისიც მომადახა:

— არ დამანებებ თავს?! მოგცლია შენც, შენი კინოთი და თეატრითო.

აღრე თუ დღე არ გავიდოდა, შინ არ დავეპატიჟებინე,

ახლა გაკვეთილებიდან გაპარვა დაიწყო. შემდეგ ორი-სამი დღე დაიკარგებოდა და გამოჩნდებოდა სულ სხვა ზაური, თითქოს გადაღლილი, გონებაგაფანტული, საერთოდ არ აინტერესებდა, რა ხდებოდა სკოლაში. ჩაცმულობითაც შეიცვალა, ისეთი მონესრიგებული აღარ დადიოდა.

ერთხელ თუ ორჯერ ვკითხე: რა ხდება შენს თავს-მეთქი? არაფერი მიპასუხა. შემდეგ კი, „აბეზარი“ კითხვების ასარიდებლად, სულაც ბოლო მერხზე გადაჯდა. იყო თავისთვის. არ აქტიურობდა სასწავლო პროცესებში. ხშირად ერთ წერტილს მისჩერებოდა ჭერში და ვატყობდი, სული კბილით ეჭირა ზარის დარეკვამდე, რომ რაც შეიძლება სწრაფად გასცლოდა ამ „კატორლას“.

პირველ ხანებში დედა და და აკითხავდნენ, მორიგეობაც დაანესეს, მაგრამ დიდხანს არც ეს გაგრძელებულა. ერთ დღეს ყური მოვკარი კლასის დამრიგებლის ნათქვამს: ზაურის დედა ძლიერ ავად არისო... დიდი უსიამოვნება აქვთ ოჯახშიო.

ბევრს ვერაფერს მივხვდი.

დედას გაუფიხარე ჩემი დაკვირვებები, მას კი თურმე ყველაფერი სცოდნია:

— აბა, რა გითხრა, შვილო, ზაურის მამა ნავიდა ოჯახიდან, საყვარელი ჰყოლია და მასთან გადავიდაო.

— საყვარელი რა არის-მეთქი? — გაკვირვებულმა რომ ვიკითხე, მრავალმნიშვნელოვნად გადმომხედა და: აბა, ახლა არ დამიწყო ზედმეტი კითხვები, გაიზრდები და მიხვდებიო.

ძალიან მიყვარდა დედა, მაგრამ მის ბრძნულ დარიგებას ამჯერად ვერ გავიზიარებდი, ვერაფრით ვერ დაველოდებოდი გაზრდას, გავედი უბანში და იქ ამიხსნეს, რასაც ნიშნავდა „საყვარელი“.

კითხვები კიდევ მქონდა, მაგრამ გაჩუმება ვარჩიე, ვიფიქრე, მთლად „ჰარიფად“ არ ჩამთვალონ უბანში-მეთქი და უჩუმრად გავეცალე იქურობას.

ზაური ისევ აცდენდა გაკვეთილებს, ხანდახან კვირაო-

ბით არ მოდიოდა სკოლაში. ერთ მშვენიერ დღეს კლასის დამრიგებელმა მითხვა, მივსულიყავი მათთან ოჯახში, მომეკითხა მეგობარი და სკოლაში სიარულზე დამეყოლიებინა. ისიც მითხრა, რომ თვითონაც არაერთხელ უციდია დალ-აპარაკება ზაურთანაც, დედამისთანაც და დასთანაც, მაგრამ... უშედეგოდ.

გაკვეთილების შემდეგ მივედი.

კარი დიდხანს არავინ გამოიღო. რამდენიმე წუთის შემდეგ გავიგე ყრუ ხმა: რომელი ხარო?

კარი დეიდა თამარმა, უფრო სწორად, მისმა ლანდმა გამოიღო. ძალიან გამხდარი იყო, ფერმკრთალი და დაუვარცხნელი. როგორც კი დამინახა, ატირდა:

— ვიცოდი, რომ გამოჩნდებოდი, ის ხომ შენი მეგობარია. სულ შეიცვალნენ ჩემი შვილები, ვერც მედეას ვცნობ და ვერც ზაურს. ასეთი ჯიუტები და უხეშები არასოდეს ყოფილანო.

როგორც შემეძლო, ვამშვიდებდი, ვეფერებოდი. აფუსენი ჩემი მისვლის მიზეზიც. ამან უფრო ააღელვა: რა ვქნაო, მე ლოგინად ვარ ჩავარდნილი და ვერაფერს ვაკონტროლებო; აღარ მემორჩილებიანო.

საათზე მეტი ვისაუბრეთ.

არც ზაური გამოჩენილა და არც მედეა. მერე მოკრძალებით გამოვეთხოვე და წამოვედი.

არც ჩემს მისვლას გამოუღია შედეგი.

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო — ზაური იმავე კლასში დატოვეს.

ხომ იცით, როცა ერთ მერხთან სხედხართ და ყოველდღიური ურთერთობები გაქვს მეგობართან, სიახლოვეც მეტია და მის ყოფასაც უკეთესად იცნობ, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ხანგრძლივმა უნახაობამ, ახალი სასწავლო წლის შემდეგ კი სულაც სხვადასხვა კლასში აღმოჩენამ თავისი დალი დააჩნია ჩვენს მეგობრობასაც. რამდენჯერმე დერეფანში შეხვედრისას მივედი მასთან, მაგრამ მივხვდი, რომ არავითარი სურვილი არ ჰქონდა ჩემთან ლაპარაკისა და

შევეშვი.

დეიდა თამარი იმ დღის მერე არ მინახავს. მოგვიანებით გავიგე, ფილტვებით ყოფილა დაავადებული, შემდეგ კი სხვა განუკურნებელი სენიც დამართნია. შვილების ასეთი განწირულ მდგომარეობითა და საკუთარი სასონარკვეთით ფსიქიკაშერყეულს რამდენჯერმე თავის მოკვლაც უცდია, მაგრამ გადაურჩენიათ. საუბედუროდ, ფიზიკურად დასუსტებული და სულიერად გატეხილი ველარ მორევია დაავადებას და ერთ დღეს, მე ზობლებთან კონფლიქტისას, ექიმებსა და მილიციას იძულების წესით გადაუყვანიათ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. ამან უფრო დაუძძიმა მდგომარეობა. თურმე შვილებს ნატრობდა, არაერთი პირობა დაუდია ექიმებთან, რომ არავის არაფერს დაუშავებდა, ოღონდ კი შინ წასვლის ნება მიეცათ, მაგრამ ასეთ დანესებულებაში მოხვედრის შემდეგ ნორმალურ ცხოვრებაში დაბრუნების ნაკლები შანსი არსებობდა. მხოლოდ მედეა არ მოშორებია საბრალო დედას, დღენიადაგ მასთან იყო და ცდილობდა, შეემსუბუქებინა ტანჯვა.

— როგორ გაგანვალე შვილო? სადაა ჩემი ზაურიო? — ამ ფრაზებს იმეორებდა თურმე მუდმივად.

ერთ დღეს მედეა პალატაში არ შეუშვეს, რენიმაციიაში გადავიყვანეთ, წუხელ ძალიან შეუძლოდ შეიქნაო. თურმე დეიდა თამარს საკუთარი ბალიშით დაუხრჩვია თავი.

ასე დარჩა და-ძმა მარტო.

ძალიან განვიცადე მისი გარდაცვალება, მაგრამ იმასაც ვერ ვხვდებოდი, 15-16 წლის ყმანვილს რა უნდა გამეკეთებინა, ან რითი შემეძლო დახმარება...

გავიდა ორიოდ წელი.

ზაურზე აქა-იქ თუ მესმოდა ამბები.

ერთხელ ყური მოვკარი, რომ ჩხუბისა და დებოშის გამო უკვე ორჯერ თუ სამჯერ დაეპატიმრებინათ. რამდენჯერმე დავინახე ქუჩაში ზაურის და, მედეა. ერთ დროს სულ ღიმილიანი და ლამაზი, ახლა შეცვლილი და გატეხილი მეჩვენა. აღარაფერი შერჩენოდა ძველი ხიბლისაგან. ბოლო

შეხვედრამ კი საერთოდ დამზაფრა, ძლივს ვიცანი — ძალიან ფერმკრთალი იყო და სახე მოყვითალო-მონითალო ლაქებით ჰქონდა დაფარული, შუბლის არეში კი თითქოს თმა გასცვენოდა. შინ მისულმა დედას ვუამბე, მან ერთი ამოიხვნეშა და:

— მტერს ის ავადმყოფობა, რაც მაგ საბრალოს სჭირსო.

გადამეტებული ნერვიულობის გამო კანის დაავადება დამართა, რომელსაც ხალხში შუშის დაავადებას უწოდებენ... იღუპება სანყალი გოგო, არადა, ჯერ 22 წლისაც არ არისო.

ამ შეხვედრის შემდეგ ორი წელი მაინც გავიდა...

მიდიოდა ცხოვრება თავისი გზით, წლები მემატებოდა, რაღაც ინტერესები მიჩნდებოდა... მართალია, ჯიბეში ფული არ მიჭყაოდა, მაგრამ იდეებს არ ვუჩიოდი, მიყვარდა სიცოცხლე და, რომ იტყვიან, „ცა ქუდად არ მიმაჩნდა და დედამინა ქალამნად“. რამდენჯერმე გამახსენდა ზაური, მისი ოჯახი, ის მძიმე ტრაგედია, რაც მათ თავს დატრიალდა. რა თქმა უნდა, თანავუგრძნობდი კიდეც, მაგრამ...

გაივლის წლები და ცხოვრება საკუთარ თავზე გამომაცდევინებს, რომ ადამიანი თურმე ყველაფერს უძლებს, შვილის სიკვდილსაც კი.

ასეთი ყოფილა თურმე ჩვენი ყოფა.

ერთ დროს გულითადი მეგობრებიც უკვე სხვადასხვა ცხოვრებით ვცხოვრობდით და ამასაც ჩვეულებრივ ეგუება თურმე ადამიანი, მით უმეტეს ბავშვობაში, როცა ღირებულებები ჯერ კიდევ არ განმტკიცებულა, სამყაროს უფრო მსუბუქად უყურებ და მისი რიტმიც სხვაგვარად გახვევს თავბრუს, მაგრამ... ბედს ალბათ სურდა, რომ ჩვენი გზები ისევ შეყრილიყო და ასეც მოხდა...

ჩემი დაბადების დღე იყო, კვირა.

დედამ მითხრა, შენთვის საჩუქრები მაქვსო. გამომანყო ახალ, მოკლესახლოიან პერანგში, მაუდის შარვალში და მთხოვა, მისი გიტარა ვერცხლის ქუჩაზე წამელო, ბიძია

იოსებთან, ვინც სიმების გამოცვლას შეპირებოდა.

ახალი ტანსაცმელი ნამდვილად გამიხარდა, მაგრამ გიტარით სიარული მთელ ქალაქში მაინცდამაინც არ მსიბლავდა, თუმცა დედას ხატრს როგორ გავუტყხდი, ჩავდე ხის ბუდეში და წავედი. ასე მეგონა, მთელი ქუჩა მე მიყურებდა, ტრავმაში კი ყველა მე მათვალისწინებდა. 50-იან წლებში ვიოლინოთი, გიტარით, კონტრაბასით და ა.შ. იშვიათად ნახავდით ვინმეს ქუჩაში. ასეთებს უბანში „დედიკოს ბიჭებს“ ვეძახდით.

შევუხვიე ვერცხლის ქუჩაზე. იქვე, სულ რაღაც 70 მეტრში, ბიძია იოსების სახელოსნო იყო. ნახევარიც არ მქონდა გავლილი, თითქოს ჩემს გამოჩენას ელოდნენო, იქური ბირჟის ბიჭები წამომეწივნენ. გავიხედე და... ზაურია:

— დაკვრა დაინყე, ჯემალ? — მეკითხება ძველი მეგობარი.

— არა, დედაჩემის გიტარაა, ბიძია იოსებთან გამომატანა შესაკეთებლად. ხომ იცი, დედა კარგად უკრავს, თუ უკვე დაგავინყდა?

— ხო, მაშ, დედაშენის გიტარა!.. გამოართვი, სიომა, — მიმართა ჩვენივე თანაკლასელს, — კი მინდოდა შემეთავაზებინა, რამე ემღერა ჩვენთვის, მაგრამ ვიცი, ისეთი ხმა აქვს, თუ ამოიღო, წამში დავიშლებითო.

თვითონ ზაურს მუსიკალური ოთხხლედი ჰქონდა დამთავრებული. ენა არ უგვალავდა, იუმორსაც სწაყოლობდა და ახლა ჩემთან გაყოყორებულიყო. ისე, კაცმა რომ თქვას, მართალს ამბობდა, ყოველთვის მინდოდა მემღერა, მაგრამ ღმერთს ჩემთვის ამის ნიჭი არ მოემადლებინა.

ზაურმა ამათვალისწინა ჩამათვალისწინა. შევატყვე, ჩემს გამონვევას ცდილობდა:

— ვა, ბიჭებო, ნახეთ ერთი, რა „ტობე“ (კარგი) პერანგი აცვია. აბა, სასწრაფოდ, შენი ხელით გაიხადე და მომეცი!

არასოდეს მქონია ზაურთან კონფლიქტი, ერთ ლოგინში გვანჯენდა დედამისი, შვილებივით გვივლიდა და მისმა უტიფრობამ ძალიან გამაკვირვა. ვერც იმას ვხვდებოდი,

რას მერჩოდა. ამ ფიქრებში ვიყავი, რომ გააგრძელა:

— მოდით, ვნახოთ, ბიჭებო, ეს ჩვენი ხუთოსანი ჯემალი ცხოვრებაშიც ისეთი მაგარია, როგორც სწავლაში? მგონი, ჩვეულებრივი ლაჩარი უნდა იყოს. აბა, ახლავე გაიხადე პერანგი და მომეცი!

ხმა არ ამომიღია. დაბნეული, გახევებული და შეურაცხყოფილი ვიდექი. ამ დროს ჯიბიდან „ბებუთი“ ამოიღო, პერანგი ცოტა ამინია, მუცელზე მომადო და შესძახა:

— სწრაფად, გააკეთე ის, რაც გითხარი, თუ გინდა, რომ ცოცხალი დაგტოვო!

ადგილიდან ვერ ვიძვროდი. შიშის გრძობა არ მქონდა, არც არაფერი მალეღვებდა, შეურაცხყოფის გარდა.

— რაც გინდა ის ქენი, პერანგს არ გავიხდი! — როგორც იქნა ამოვთქვი.

უკვე მარტო ზაურის გამო არ მიცემდა გული ყელში, გარშემო რაც ხდებოდა, ისიც ცეცხლს მიკიდებდა. ილრიჭებოდნენ, ქოთქოთებდნენ, იმანჭებოდნენ ახალ-ახალი სერიების მოლოდინში. ნაკლებად მჯეროდა, რომ ეს პერანგის (თუნდაც ახლისა და ლაზათიანის) გამო ხდებოდა ეს ყველაფერი. არა, პერანგი მიზეზი იყო, მაგრამ რისი?

ბებუთი ისევ მუცელზე მქონდა მოდებული. მერე დაცინვით ხან განევდა, ხან ისევ მომაბჯუნდა. არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ასე. უცებ ვიგრძენი, რომ მართლა გამისვა, შემდეგ გახევებული თვალეხი თვალში გამიყარა, დანა მინაზე დააგდო, შემოტრიალდა, ეს ვილაც გიჟიყო, ჩაილაპარაკა, თავის დამქაშებს რაღაც ანიშნა და იქაურობას გაეცალნენ.

რამდენიმე წამი ისევ ასე გაქვავებული ვიდექი. გონს რომ მოვეგე, „ბრბო“ დამლილიყო, გვერდით სიომა მედგა, დედაჩემის გიტარით ხელში.

— წამოდი, ჯემალ, ჩემთან. ხომ იცი, აქვე ვცხოვრობ და იოდს მაინც წაგისვამ, — მითხრა და წამიყვანა.

ლასლასით გაყევი. ფეხებს ჩვარივით მივათრევდი. ტანი არ მემორჩილებოდა. ვერ ვიხსენებ, რას ვფიქრობდი,

ან თუ ვფიქრობდი რამეს. აზრებს თავს ვერ ვუყრიდი. როდის და როგორ მივედით სიომასთან, ისიც არ მახსოვს. ნაჭრილობებზე იოდი წამისვა. ტკივილი არ მიგრძვნია. ფიზიკურ ტკივილს მაშინ ალბათ ვერც ვგრძნობდი, შიგნით მტკიოდა რაღაც, უფრო დიდი და გამოუთქმელი.

— კიდევ კარგი, ჭრილობა ღრმა არ არის, მალე შეგიხორცდებაო, — მითხრა და ბიძია იოსებთან გამომყვა, მერე კი სულაც სახლამდე მიმაცილა. გზაში რაღაცას მიაშობდა: სულ გადაირია ეგ უბედურიო; ხომ იცი, მის დას მძიმე სენი შეეყარა, ვერაფრით ვერ განიკურნაო; ბინის ნახევარი გაყიდეს, ებრაელებში ყიდულობდნენ წამალს, ისრაელიდან ჩამოტანილს, მაგრამ რად გინდა, არაფერმა უშველა იმ სანყალს, 7-8 თვე იქნება, რაც დავასაფლავეთო; ახლა სულ მარტო დარჩა ერთ პატარა ოთახში, სმა დაიწყო და როცა დაღვეს, ხან ტირის, ხან იცინის, მგონი, მთლად ვეღარ არის ჭკუაზეო; უბანში ყველა ერიდება, მოსიარულე შარიაო...

ეს ამბები არ ვიცოდი.

მისი ასეთი გადაგვარებაც თითქოს გასაგები გახდა.

თითქოს აღარც მომხდარი მწყინდა — წისქვილის ქვაც კი მის თავს დატრიალებულიყო და ასეთ ტრაგედიას ბავშვი კი არა, ზრდასრულიც ვერ გაუძლებდა.

ჩემმა გულთმისანმა დედამ მაშინვე იგუმანა, რომ რაღაც ხიფათს გადავყროდი. არ მახსოვს, თუნდაც პატარა შემთხვევა გამოპარვოდა ჩემს ცხოვრებაში. არა, „ძველი ბიჭი“ და ჩხუბისთავი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ იცოდა, არავის დავეჩაგვრინებოდი, არც უსამართლოდ მოპყრობას შევარჩენდი ვინმეს. შეიძლება დავმარცხებულიყავი, მაგრამ თავს არ დავხრიდი.

იმ საღამოს შეუძლოდ გავხდი. საშინლად მამცივნებდა, მაღალი სიცხე მქონდა. მთელი ღამე გავათენეთ. ცივ საფენებს მადებდა დედა, ძმრიანი წინდებიც ჩამაცვა. რიჟრაჟამდე რაღაც ბურუსში ვიყავი. ცოტას თუ წამთვლემდა, კომმარები მელანდებოდა — ისევ იქ ვტრიალებდი, იმ სახეებს ვუყურებდი, დამანჭულებს, დაღრეჯილებს,

წლების შემდეგ ესპანელი მხატვრის, ფრანსისკო გოიას „ღრეჭიებს“ (ტრიპტიხი. „გოიას უცნაური სამყარო“) რომ მივამგვანებ, იმ საღამოს კი გვერდიდან არ მომშორებია შეშინებული დედა. ორ დღეზე მეტი ვიყავი ასეთ აგონიაში, მერე კი, ღვთისა და დედის თბილი ხელის წყალობით, დავუბრუნდი ამ სამყაროს.

რამდენიმე დღეში სკოლაში გამიშვა დედამ.

საშინელი შურისძიების გრძნობით ვიყავი შეპყრობილი და სკოლაში წასვლა არც მიფიქრია, ჩავიდე ჯიბეში ელექტროტექნიკოსის „მკვნეტელა“ და იმ ბრბოში ყველაზე დიდ „ღრეჭიას“ — მერაბს ჩავუსაფრდი. შეეყვანე ერთ-ერთ სადარბაზოში, ისეთი გაავებული სახით, რომ ხვეწნა-მუდარა დამიწყო, მაპატიეო. მის მნახველს სიბრაზე გამიქრა, ის კი არა, შემეცოდა კიდევ. ერთი პანჩური ვუთავაზე და გავეცალე.

დავუბრუნდი ცხოვრების ჩვეულებრივ რიტმს.

მალე სტუდენტობასაც გავუგე გემო.

გადიოდა დრო...

ერთ დღეს ქუჩაში სიომა შემხვდა. მოვიკითხეთ ერთმანეთი, ცოლი მოვიყვანეო, ბავშვიც მყავსო, ახლა მე-3 მასივში ვცხოვრობო. გამომშვიდობებისას, თითქოს რაღაც გაახსენდაო:

— ზაურს ზეგ ეტაპით ციმბირში ასახლებენ, სამი წელი მიუსაჯეს, ვილაცა დაჭრა ჩხუბში, კიდევ კარგი, არ შემოაკვდა.

არაფერი მითქვამს, დავშორდით, მაგრამ უცებ რაღაც ძალამ შემაბრუნა და მათქმევინა:

— სანახავად ხომ არ მიდიხარ?

— ხვალ მინდოდა წასვლა და ალბათ წავალ, — მხრების აჩქევით მიპასუხა.

— მოდი, ერთად წავიდეო, — სადღაც შიგნიდან აღმომხდა.

ამას კი წამდვილად არ ელოდა, ნება შენიაო, მითხრა გაკვირვებულმა და გაბრუნდა.

მეორე დღეს ორთაჭალის ციხეში ვესტუმრეთ ზაურს.

თურმე პატიმრის სანახავად ერთი კვირით მაინც ადრე უნდა ჩაწერილიყავი, მაგრამ სიომამ „გაჩარხა“ საქმე და აღმოვჩნდით ციხის პაემანებისათვის განკუთვნილ დიდ ოთახში. არ ვიცი, როგორ აღწერო გაკვირვება, ზაურს რომ ალებეჭდა სახეზე. გადახვევით არ გადავხვევივართ ერთმანეთს, უბრალოდ ხელი ჩამოვართვით. რალაცნაირად დავიძაბეთ ორივე, პირადი საუბარიც ვერ ავანყვეთ... მერე სიომამ რალაც ანეკდოტი მოყვა, ბავშვობა გავიხსენეთ... ეგონა და ელოდებოდა, რომ იმ საშინელ დღეს გავიხსენებდი, მაგრამ კრინტი არ დამიძრავს. ბოლოს ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ.

— აბა, შენ იცი, ცოცხალი და ჯანმრთელი დაბრუნდი. ცხოვრება წინაა, ჯერ არაფერი დამთავრებულა-მეთქი.

ცოტა არ იყოს, გაკვირვებულმა შემომხედა, შემდეგ ტკივილიანი ღიმილით ჩაილაპარაკა: — ვისთვის წინაა და ვისთვის უკანო, — და ბადრაგს გაჰყვა.

ორ წელიწადში სიომასგან შევიტყვე, რომ საქართველოში დაუბრუნებიათ: ციმბირში წესრიგს არ არღვევდაო; საპატიმროში დურგლობა ისწავლაო; თავის სანარმოო გეგმას თურმე გადაჭარბებით ასრულებდა და ამიტომაც გამოამწესეს უკან, რუსთავის შრომა-გასწორების კოლონიაშიო.

იქაც ვინახულეთ.

მიამბო, როგორ დააფიქრა საპყრობილეში ყოფნამ ბევრ რამეზე, მათ შორის ჩემს სიტყვებზეც, კიდევ ერთ შანსზე ცხოვრებაში და ახალ იმედებზე...

მერე მე ინსტიტუტი დავამთავრე და ბაქოში გამანაწილეს, რაზეც შემდეგ ნოველაში მოგიხსნობთ, უკან დაბრუნებისას კი გავიგე, რომ გაუთავისუფლებიათ. რუსთავში ხის დასამუშავებელ ქარხანაში დაუნყია მუშაობა, იქვე უქირავებია ბინა და ახალი ცხოვრებას შესდგომია, მაგრამ, საუბედუროდ, ხანმოკლე გამოდგა მისი თავისუფლება. არ გასულა ორი თვე, საამქროში ჩხუბი ამტყდარა ბრიგადირსა

და მუშას შორის, ზაური მუშას გამოსარჩლება, ერთი თუ ორი მუშტიც უთავაზებია მუტრუკი ბრიგადირისათვის, რომელიც უსამართლოდ მოქცევია თავის ქვეშევრდომს. მოსულა საამქროში ქარხნის მთავარი ინჟინერი, დაუტუქსავს მუშები, მერე ზაურსაც გადაწვდომია:

— შენ, ეი, ნაცინარო, აქ ციხის წესებს ნუ მიმყარებო.

სიტყვას სიტყვას მოჰყოლია, შექმნილა ერთი განწევამონევა, ამ არეულობაში მთავარ ინჟინერს დედა შეუგინებია ზაურისთვის და...

სასამართლოში ვერც ერთმა მოწმემ ვერ გაიხსენა, როდის და როგორ გაჩნდა ზაური მასთან. ყველას მხოლოდ ძირს გაშხლართული მთავარი ინჟინერი ახსოვდა, რომელსაც ზაური ორივე ხელით ახრჩობდა — წუთითაც რომ დაგვეგვიანა, დაზარალებული უკვე საიქიოს გზაზე იქნებოდაო.

დააპატიმრეს.

მე და სიომა შევხვდით მის სახაზინო ადვოკატს, აფუხსენით ყველაფერი, ვუამბეთ მისი ტრაგედია, მაგრამ... მან ერთი ცალყბად, მაგრამ მრავალმნიშვნელოვნად გაგვიღიმა. ეს იყო და ეს.

ზაური გაასამართლეს განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით და 8 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

არ შევუდგები იმ სასამართლო პროცესის ფარსის აღწერას, რაც ასევე ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ მაშინ. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ყველაფერი იმთავითვე განსაზღვრული იყო და პროცესი მხოლოდ ფორმალურად ჩატარდა. ადვოკატი სიტყვით არ გამოსულა. როგორც შემდეგში განვიმარტა მე და სიომას, ზაურს მკაცრად აუკრძალავს მისთვის თავისი დედისა და დის ხსენება.

არავითარი საკასაციო საჩივარი ადვოკატს არ შეუტანია.

მისი თქმით, ამის წინააღმდეგაც თვითონ ზაური ყოფილა: არავითარი მნიშვნელობა ამას აღარ აქვს, ჩემთვის ყველაფერი დამთავრებულიაო.

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ სიომამ საშინელი ამბავი მოიტანა, გუშინ დილით ზაური საკანში ზენრით ჩამომხრჩვალნი იპოვესო.

როგორც ჩანს, ის უკანასკნელი იმედიც ჩამქრალიყო და ხელი ჩაექნია სიცოცხლეზე. ბოლო გაბრძოლება, ბედის უკუღმართობით, მარცხით დამთავრებოდა.

მეორე დღეს მე და სიომას ციხის მორგში განგვიმარტეს: გარდაცვლილ პატიმარს ჯერ ექსპერტიზა უტარდება, მერე ერთი კვირა მორგში ვაჩერებთ, შემდეგ კი, როგორც წესი, ციხის სასაფლაოზე ვკრძალავთო; ცხედარს ოჯახსა და ახლობლებს არ ვაძლევთ, თუმცა არის გამონაკლისები — ან გავლენიანი პატრონი უნდა გყავდეს, ანდა გარკვეული თანხა უნდა გადაიხადოთ, რომ ციხის ხელმძღვანელობამ ამის უფლება მოგცეთო.

გავლენიანი პატრონი არ გვყავდა, თანხა კი ისეთი დავისახელეს, 5-7-ჯერ რომ აღემატებოდა ინჟინრის მაშინდელ ხელფასს. თავს ზემოთ ძალა არ იყო. წამოვედით ყურებჩამოყრილნი, სასონარკვეთილნი ჩვენი უმწიკობით და ცოტა შეურაცხყოფილნიც. უსიტყვოდ დავშორდით ერთმანეთს, უჩუმრად ჩამოვართვით ხელი, ორივე ჩვენ-ჩვენი გზით წავედით და აი, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია აღარ შევხვედრივართ.

მეგონა, ამით დაესმეოდა წერტილი ჩემსა და ზაურის ურთიერთობას. მორჩა, აღარ იყო ადამიანი! აღარავის შეაწუხებდა! მხოლოდ ბავშვობის მოგონებათა ნაპირზე ჰქონდა თავისი ადგილი. მაგრამ... ჩემი ბედის მწერალს სხვაგვარად გადაეწყვიტა.

წლები გავიდა ამ მოვლენებიდან. მე და ჩემი მეუღლე ბიძაჩემს, მიხეილ ფოცხვერიას ვსტუმრობდით საიუბილეო წვეულებაზე. ღირსეული პიროვნება გახლდათ მიშა ბიძია, ალბათ მე-20 საუკუნის უკანასკნელი მოჰიკანი თავისი მასპინძლობით, ხელგამლილობით, თამაძობით, და დარდმანდობითაც; მაღალი, სპორტული აღნაგობის, კარგი სიტყვა-პასუხის პატრონი, დიდთან დიდი და პატარასთან პა-

ტარა. მასთან ქეიფი ქართული სუფრის, მჭევრ-მეტყველების უნივერსიტეტი იყო ჩემთვის. ხელმოკლეობაში გაზრდილს ასეთი ლხინი და ნადიმები არ მენახა და მემამაყებოდა ამ გარემოში ყოფნა, მით უმეტეს, რომ კარგი სიმღერაც იცოდა, ჩემი მეუღლეც აუნყობდა ხოლმე ხმას და მათ მოსმენას არაფერი სჯობდა. საჯილდაო ქვა კი მურმანის არია იყო ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“.

აი, ასეთი ქეიფისას იმ დღეს სტუმრად ეწვია ცოლ-ქმარი, რომლებსაც 10-11 წლის ბავშვი მოჰყვათ. მათ კიდეც ოთხი ადამიანი შეემატა და დროებით შეწყდა ლხინი სუფრის გადასახალისებლად. ბიძაჩემმა ჩემთვის უცნობი მამაკაცი გამაცნო:

— ეს ჩემი დეიდაშვილია, ანდრო. სხვა თუ არაფერი, მოკეთენი ხომ მაინც ხართ ჩემთან ნათესაობის გამო.

შევხედე და... გავშეშდი. ამ კაცს ადრე სადღაც შევხვედროდი, ოღონდ ვერ ვიხსენებდი, სად. ეგ იყო, უცნაურად დამბურძგლა. თავს ძალა დავატანე და გამოწვილ ხელს ხელი შევაგებე. მას ყურადღება არ მოუქცევია ჩემი დაბნეულობისათვის. ისიც ნათელი გახლდათ, რომ ვერ მიცნო. თანაც გართული იყო მეგობრებსა და ნათესავებთან შეხვედრა-მოკითხვებით.

მაღევე ახალი სუნთქვით გაგრძელდა ქეიფი. სხვები-სთვის გაგრძელდა, თორემ მე აღარაფერი მახსოვდა. ეს კაცი სადღაც მენახა — რალაც არასასიამოვნოც მაკავშირებდა მასთან — მაგრამ სად და როდის? და უცებ...

ეს ხომ ძია ანდრო იყო, ზაურის მამა, არმაზში დასვენებისას რომ გავიცანი.

ამჯერად არ გამოჩენია ეს ჩემი თვალთვალი. ერთი-ორჯერ შეიშმუშნა კიდეც, მერე, ეტყობა, იუხერხულა და ცდილობდა, ჩემსკენ აღარ გამოეხედა.

გუნება წამიხდა. ჩემს მეუღლეს, ლიას ვთხოვე: უქეიფოდ ვარ, დილით ადრე უნდა ავდგე და წავიდე-მეთქი.

ლიას სტიქია ქეიფი და სიმღერა იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ისეთი ხმა მქონდა, უჩუმრად გამომყვა. სტუმრებს არ

გამოვმშვიდობებივარ. ქეიფს რომ შევყოლოდი, ვიცოდი, სმას მივეძალებოდი და მერე არ ვიცი, როგორ მოვიქცეოდი ზაურის მამასთან, თან ბიძაჩემის ოჯახში. ამიტომ სასწრაფოდ გაცლა ვამჯობინე.

მეორე თუ მესამე დღეს ისევ ვესტუმრე ბიძაჩემს. ამას ხშირად ვაკეთებდი, ამიტომ არავის გაჰკვირვებია. ბებიამ მასადილა და საუბარს შევყევით. შეუმჩნევლად, ვითომდა სხვათა შორის ვკითხე დისშვილზე, ძია ანდროზე. მან კი მიაბზო, რომ ანდრო რაჭიდან 30-იანი წლების დასაწყისში ჩამოუყვანიათ და მზარეულის თანაშემწედ მიუბარებიათ. ცოტა ხანში შესანიშნავად დაუფლებია ხელობას. მერე ცოლიც უთხოვია და ქალ-ვაჟიც შესძენიათ. რაც მეტი ფული უშოვნია, მით უფრო აუცრუებია გული ცოლ-შვილზე.

— მერე კი სულაც მიატოვა, — ამოიოხრა საყვარელმა ბებიამ, — და კიდევ გაუბედურდა ოჯახიო.

ზედმეტი კითხვები არ დამისვამს.

ანდა რა საჭირო იყო — ამ ბედუკულმართი ოჯახის დრამის შესახებ ხომ ბებიამ უკეთ ვუნყოფი.

აი, აქაც დავსვამდი წერტილს, მკითხველო, კიდევ ერთი რამ რომ არ მქონდეს მოსაყოლი.

დაახლოებით 1993 წელს, იანვარში, 90 წელს გადაცილებული ბებია გარდაიცვალა. რაც თავი მახსოვს, ისე გონივრულად მართავდა ოჯახს, რომ დიდიან-პატარიანად — 70 წელს მიღწეული შვილები, რძლები და სიძეებიც — უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ.

მძიმე დრო იდგა საქართველოში, უშუქობა, უწყლობა, უსახსრობა...

მისი შვილები, ერთ დროს საზოგადოებაში გამორჩეულნი, ახლა უმუშევრად დარჩენილიყვნენ. დალბინებული ცხოვრებისას მის დაკრძალვას ალბათ უამრავი ხალხი დაესწროდა, მაგრამ ახლა ძალიან ვინრო წრე მიასვენებდა მის ცხედარს. ძია ანდრო არ ჩანდა და მოვიკითხე. ერთი წლის წინ გარდაიცვალაო, მითხრა ბიძაჩემმა. შემდეგ ნათე-

სავებისგანაც შევიტყვე, რომ 90-იანი წლების ბოლოს მისი ოჯახი ორჯერ დაუყარაღლებიათ. ყველაფერი ნულიათ, რაც კი გააჩნდათ. მერე მტკვრის სანაპიროზე მდებარე რესტორანიც დახურულა და უმუშევრადაც დარჩენილა. ნერვიულობის გამო მძიმედ დასწეულეულა, მიუტოვებია თბილისი და სოფელ არმაზში გადასახლებულა საცხოვრებლად, სადაც ცოლ-შვილი არ წაყოლია. თვალი აწუხებდა თურმე და მერე საერთოდაც დაბრმავებულა. სოფელში იშვიათად გამოდიოდაო; თუ გამოვიდოდა, ისიც თავის ძაღლთან ერთად, რომელიც მეგზურობას უწევდა კისერზე ეყვანგამოღებულყო.

ერთ ღამეს სოფელში გათენებამდე ისმოდა თურმე ძაღლის ყმუილი. შესაძლოა, ბევრიც შეწუხდა და შეშფოთდა, მაგრამ ვინ გაბედავდა, იმ უკუნეთ სიბნელეში გარეთ გამოსულიყო და მიზეზი გაერკვია. აკი გთხარით, ცუდი დრო იდგა — გამოფხიზლებულიყო საბჭოთა ხალხი, იმპერიული რეჟიმისაგან კი დაეღწია თავი, მაგრამ დაბნეული და გზაკვალარული, ძია ანდროსავით ხელისცეცებით ეძებდა ბილიკებს ახალი ცხოვრებისაკენ.

გარიჟრაჟზე უნახავთ სახლიდან ორ კილომეტრში ძია ანდროს ცხედარი. მდინარის ნაპირთან ახლოს, ძირს ეგდო თურმე თავგატეხილი. შინისაკენ მიმავალს ინსულტი დამართნია, კაციშვილი არ აღმოჩნდა სიახლოვეს, თორემ შეიძლება კიდევ გადარჩენილიყო.

მთელი ღამე თავზე ედგა თურმე ერთგული ძაღლი პატრონს და ლოკავდა. ამის გამო სისხლის ლაქები მხოლოდ ტანსაცმელზე ჰქონია შერჩენილი. ძლივს გამოუგლეჯიათ გაავებული ძაღლისათვის პატრონის გვამი. იქაურ მწყემსებს ისიც უთქვამთ, ძაღლი ძაღლად უკვე აღარ ვარგა, იმდენი სისხლი აქვს ნალოკი, შეიძლება კიდევ გაცოფდესო.

ასეთი სიკვდილი ხვდა წილად ძია ანდროს.

იმასაც ამბობდნენ: ცოდვამ უნია მაგ უბედურსო.

ამ ადამიანმა ხომ თავისი ოდესლაც საყვარელი ოჯახი დასალუჰად გაწირა და სამი უდანაშაულო ადამიანის

სიკვდილი ზიდა უმძიმეს ცოდვად.

ყმანვილკაცს ბებია ხშირად მეუბნებოდა:

— იცოდე, შვილო, ოჯახის შექმნა ადვილია, და არც დან-გრევას სჭირდება დიდი ჭკუა. თუკი კაცი გაექცევა ღვთის მიერ დაკისრებულ პასუხისმგებლობას, კარგი არაფერი დაემართებაო.

ცხოვრებამ ამ სიტყვების ჭეშმარიტებაშიც დამარწმუნა...

* * *

„ჰელადოსით“ დავინყე თხრობა.

შესაძლოა მკითხველმა იკითხოს, რა კავშირი აქვს ამ პიესას და იანგულის ტრაგიკულ ხვედრს ზაურის ცხოვრებასთანო.

იქნებ მართლაც ორი სხვადასხვა ისტორიაა, მაგრამ... ერთი რამ მაინც აქვთ საერთო: იანგულიც და ზაურიც იმიტომ დაიღუპნენ, რომ მამებს არ ეყოთ ძალა და პასუხისმგებლობა, საკუთარ მომავალზე კი არა, შვილების ფაქიზ ფსიქიკაზე ეფიქრათ, იმაზე, რა შედეგს გამოიღებდა მათი დაუფიქრებელი გადაწყვეტილება...

განათებულ აღმაშენებლის გამზირს მიუყვებოდი გულ-დამძიმებული.

რალაცნაირ, უცნაურ ტკივილს ვგრძნობდი შიგნიდან და იმ საღამოს კიდევ დიდხანს ვისეირნე თბილისის ქუჩებში.

* * *

რატომ დავარქვი ჩემს მოთხრობას ჩიქვილა?

ასე ვეძახდით მას ბავშვობაში, გვარის შემოკლებით, და ეს სახელი შერჩა ციხეშიც...

„ჩიქვილა“... ანდა რა აზრი აქვს ახლა მისი გვარის დანერგვას და აღნიშვნას. როგორც ვიცი, მას ნახევარძმა ჰყავს სულაც არ არის საჭირო, რომ იცოდეს მისი ძმის ტრაგიკული ბედის შესახებ. რა საჭიროა ეს ახლა? ან რას შეცვლის? მგონი არაფერს...

ნოველა უსათაუროდ

ორიგინალობად ნუ მიიჩნევთ, ამ ნოველას სათაური რომ არ დავარქვი, მერწმუნეთ, ბევრი ვიფიქრე, მაგრამ იმ ადამიანის ფსიქოლოგიური პორტრეტის გააზრებისას, ვის შესახებაც მინდა გიამბოთ, ვერაფრით შევარჩიე ისეთი მოკლე და ლაკონური შესატყვისი, ასე თუ ისე სათაურშივე რომ განსაზღვრავდა მის პიროვნებას. არადა, არაფრით არ მინდოდა, ჩემი უარყოფითი დამოკიდებულებით მისთვის თავიდანვე მიმეჩინა ეპითეტები, რომლებითაც, ჩვენდა საუბედუროდ, სავსეა ეს მაღლიანი და კეთილშობილი ქართული ენა.

ამიტომ მოდი, შევთანხმდეთ, მე გიამბობთ ყველაფერს, რაც გადამხდა ამ პიროვნებასთან ურთიერთობაში და შემდეგ თქვენთვის, მიუკერძოებელი მკითხველისათვის, მომინდია ამ ნოველისა და მისი გმირისათვის სახელის მოფიქრება. სრულებითაც არ გამოვრიცხავ, ვინმე გალიზიანდეს კიდევ ჩემი თხრობით, ან სულაც საკუთარი თავი ამოიცნოს ამ პიროვნებაში, არც ჩემი ნააზრევი მოეწონოს და, ამ ნოველის გმირის ნაცვლად, ჩემთვის ეძებოს სახელიცა და ეპითეტიც, თუმცა...

რა ვქნა, ამასაც ავიტან, თავს არ ვდებ, რომ მაინცდამაინც მე ვარ მართალი. ყველა ადამიანი ცალკე პიროვნებაა და საკუთარი აზრის გამოხატვის სრული თავისუფლება აქვს. საკითხავი ალბათ ის არის, ვის რამდენი მხარდამჭერი გამოუჩნდება.

ჩემი თხრობის სუბიექტი გავიცანი გასული საუკუნის 60-იანი წლებში, 1967 წელს, როდესაც ორივენი აგვისტოს ცხელ დღეებში აღმოვჩნდით ქალაქ მინსკის სუკ-ის სპეციალური დანიშნულების სასწავლებელში. კურსზე სულ ორი ქართველი ვიყავით. გაგვანანილეს ორ სხვადასხვა სას-

ნავლო ჯგუფში, მიუხედავად ჩვენი დაჟინებული თხოვნისა, ერთად გვესწავლა. მახსოვს, ხელმძღვანელებს სახეებზე მხოლოდ მრავალმნიშვნელოვანი ლიმილი გამოეხატათ, რა გულუბრყვილონი ხართ ეს ქართველები, ნუთუ ვერ ხვდებით, სად მოხვდით, თქვენ სუკ-ის სპეცდანიშნულების სკოლაში სწავლობთ, სადაც ემოციები გამორიცხულია და რა ქართველობა აგიტყდათო.

არ დავინწყებ მოყოლას, რას წარმოადგენდა ეს სკოლა. ამ ამბებზე მოთხრობილი მაქვს ჩემს ადრეულ მოგონებათა ნიგნში „შავი სათვალე ეკეთა“. გეტყვით უბრალოდ, რომ ასე თუ ისე ყველა ვუმკლავდებოდით სასწავლებლის შიდა-განაწესს და იმ სპეციფიკურ, კერძოდ, დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სასწავლო დისციპლინათა ათვისებას. ერთია, მთელი სამუშაო დღე თითქმის განერილი იყო საათებსა და წუთებში. ამ პიროვნებას კი პირობითად ფსევდონიმით მოვიხსენიებ, რომელიც ყველას გვექონდა სკოლაში. ამაში დასაძრახი არაფერი იყო.

ბესო რუსულ ენასთან ცოტა მწყრალოდ გახლდათ, ამიტომ უჭირდა სასწავლო პროგრამის ათვისება. ამ სპეცსკოლაში, რომელიც სუკ-ის სისტემაში სწავლების პირველი რგოლი გახლდათ (არსებობდა სხვა სკოლებიც მოსკოვსა და კიევში, სადაც სწავლების პროგრამები უფრო დატვირთული იყო, მაგალითად, ემატებოდა რომელიმე უცხო ენა, ერთი ან ორი. ამიტომ იქ უფრო სუკ-ის სადაზვერვო სისტემისთვის ზრდიდნენ ოპერატიულ მუშაკებს), სწავლის მეთოდიკასა და სპეციალური საგნების შესწავლას დიდი ყურადღება ექცეოდა, თუმცა რუსული ენის გრამატიკისა და მეტყველების შეცდომის გამო არავის დევნიდნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ სკოლაში საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკიდან მოევილინათ კურსანტები სასწავლებლად. იყვნენ ე. წ. მცირე ხალხების წარმომადგენლებიც და ამ „ბაბილონის გოდოლში“ ქართველები მთლად უკანასკნელ ადგილზე არ ვიყავით საიმპერიო ენის ცოდნით.

როგორც მოგახსენეთ, დამატებით სასწავლო საათებს ვუტარებდი, ვამეცადინებდი სპეციალურ თემებში, ამოცა-

ნების ამოხსნაში ვეხმარებოდი. ამას დიდი სიამოვნებით ვაკეთებდი, რადგან ვატყობდი, ჩემი ამხანაგი ძლიერ მონადინებული იყო.

ერთხელ, სასწავლებლის დამთავრების ბოლო დღეებში, უნებლიეთ შევესწარი ბესოს სატელეფონო საუბარს სიმამრთან. გავიგონე ფრაზა:

— ერთ კვირაში სწავლას ვამთავრებთ და იქნებ ყველაფერი გააკეთოთ იმისათვის, რომ სასურველ თანამდებობაზე გამანაწილონ. აქ სწავლობს ჩემი ამხანაგი, ჯემალი, რომელიც ჩემზე უკეთესი მაჩვენებლებით დაამთავრებს სკოლას და იმან არ გადამასწროსო.

ამ საუბრის მოსმენა დამთრგუნველი აღმოჩნდა ჩემთვის. მართალი გითხრათ, მაშინც ვერც წარმომედგინა, რომ ასეთი რამ შესაძლებელი იყო. ერთი უცნაურობა თავიდანვე ემჩნეოდა — ყველაფერში სურდა მოებოდა, აკვირდებოდა ჩემი ცხოვრების წესს, საუბარს, გამონათქვამებს... მაგრამ არსებითი მნიშვნელობა არც მაშინ და არც შემდეგ ამისთვის არ მიმინიჭებია. მისი ეს თვისება პიროვნულ სისუსტეს მივანერე.

დავბრუნდით საქართველოში.

მალევე მუშაობა დავინწყეთ: მე — სუკ-ის ცენტრალურ აპარატში, ის კი პროვინციაში გაამწესეს. იშვიათად თუ ვხვდებოდით ერთმანეთს. ორ-სამ წელიწადში თბილისში გადმოიყვანეს. სწორედ იმ დღიდან ცდილობდა ჩემთან დაახლოებასა და „მეგობრობას“.

ცხადია, ხელი არ მიკრია, მაგრამ ხომ ნათქვამია: ნათესავებს ღმერთი გვირჩევს, მეგობრებს კი ჩვენ თვითონ ვარჩევთო. ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ ძმაკაცური ურთიერთობა გვექონდა.

აღარც გამოგვივიდოდა ალბათ.

სამსახურში რა მიღწევები და წარმატებები ჰქონდა, ნამდვილად არც ვიცოდი და არც მაინტერესებდა. მითუმეტეს ისეთ დახურულ ორგანიზაციაში, როგორიც სუკ-ი გახლდათ. ჩემი ზედაპირული დაკვირვებით მივხვდი, რომ ხელმძღვანელობის კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობდა.

არ ვიცი როგორ, მაგრამ დაუახლოვდა სუკ-ის ერთ-ერთ „მთავარ“ კლანურ ჯგუფს. ამ სტრუქტურის თავმჯდომარის მოადგილეს თანამოაზრეთა ჯგუფი (ე.წ. კლანი) ჰყავდა, ხოლო ალექსი ინაურს — მხოლოდ აგენტურა თანამშრომლებში და მცირერიცხოვანი ფავორიტები (რომლებიც მის აგენტურიდან ირჩეოდნენ). მალევე გავიგე, რომ ბესომ დაახლოვდა ყველაზე გავლენიანი კლანის თავმჯდომარის მოადგილეს კადრების სფეროში, გენერალ შ. ზარდალიშვილის ჯგუფში. არ გასულა რამდენიმე თვე, რომ დამიბარეს კადრების უფროსთან და მიბრძანეს, ჩემი თანამდებობა და უფლებამოსილება გადამეცა ბესოსთვის.

ახლა რომ გითხრათ, გამიხარდა მისი წარმატება-მეთქი, ხომ არ დამიჯერებთ? ჰოდა, მართალიც იქნებით. უცნაური იყო ისიც, რომ თედო მაშინ ჩვენს სამმართველოში არ მუშაობდა და გადმოიყვანეს, თანაც ჩემს პოსტზე.

ბრძანებას შესრულება უნდოდა. ან რა უფლება მქონდა, არ დავმორჩილებოდი. გადამიყვანეს შედარებით მცირემასშტაბიან სამსახურში, მაგრამ რას ვიტყვოდი, ხომ გაგიგონიათ: ძალა აღმართსა ხნავსო. მეც დავმორჩილდი ბედს და ვაკეთებდი იმას, რაც მევალებოდა.

ერთსაც მოგახსენებთ:

როცა ბესოს საქმეებს ვაბარებდი, მის თვალებსა და გამომეტყველებაში გამარჯვებული კაცის იერი შევნიშნე, მაგრამ პირად განცდებს იქ ვერც ვერავის გავანდობდი და არც იყო საჭირო ამის გაკეთება.

სულ რაღაც ერთ წელიწადში შევამჩნიე, რომ განყოფილების უფროსი სულ უფრო და უფრო აღმაცერად მიყურებდა. დაიწყო ჩემი ოპერატიული მუშაობის შემოწმება, თათბირებზე ჩემი მუშაობის სტილის გაკრიტიკება და ა.შ. მივხვდი, საიდანაც მოდიოდა ეს ყველაფერი.

არსებობს გამოთქმა: ცხოვრებაში ყველაფერი შედარებითიაო და, ჩემი ღრმა რწმენით, დარწმუნებული ვიყავი, რომ განყოფილების საერთო ოპერატიული ფონის მიხედვით, ნამდვილად არ ვიმსახურებდი ასეთ შეფასებებს, თორემ, კაცმა რომ თქვას, არც მე მყავდა გამოვლენილი

ამერიკისა თუ ინგლისის შპიონები, თუკი ისინი საერთოდ არსებობდნენ თბილისში.

ერთ მშვენიერ დღეს დამიძახეს ისევე კადრებში და მითხრეს, რომ სხვა სამსახურს მთავაზობდნენ, ძველი სამსახურის თანაზომიერს, და საქმეები უნდა გადამეცა ბათუმიდან თბილისში გადმოყვანილი ოპერატიული მუშაკისათვის, რომელიც აჭარის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის გელავას ძმა გახლდათ.

რამდენიმე დღეში დავწერე პატაკი და მოვითხოვე სამუშაოდ სადმე, საქართველოს პროვინციაში გადასვლა. მართლაც, რამდენიმე თვეში გადამიყვანეს ქუთაისში, სუკ-ის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე, სადაც სამიოთხი წელიწადი ვიმუშავე. თბილისში 1978 წელს დამაბრუნეს. იმ დროს განყოფილების უფროსი უკვე სხვა იყო — ის ჩემი „კეთილისმსურველი“ სუკ-ში არსებულ კლანურ პაექრობას შეენირა და „ჩამოულაბორანტებიათ“ თბილისის ერთ-ერთი რაიონის განყოფილების უფროსად.

ჩემი „მეგობარი“ თედოც თბილისში, სუკის ერთ-ერთი პრესტიჟული რაიონის უფროსად მუშაობდა. მის კარიერას დიდი აღმავლობა გაველო. აბა, ტყუილად ხომ არ მიტმასვნიოდა სუკ-ში ყველაზე გავლენიან შ. ზარდალიშვილის კლანს.

პრესტიჟულ რაიონში-მეთქი, ვთქვი.

ეს რაიონი გამოირჩეოდა არა ადგილმდებარეობითა და ინფრასტრუქტურით, არამედ იმით, რომ ამ გარეუბანში თავმოყრილი იყო თბილისის და საქართველოს სავაჭრო-საბითუმო ბაზები, როგორც მსუბუქი, ისე კვების მრეწველობისა. მხოლოდ აქ შეიძლებოდა (თუკი ე.წ. „ბლატი“ გქონდა) უცხოური ტანსაცმლის, საკვებისა და სხვადასხვა დეფიციტური პროდუქციის შეძენა. ამ თანამდებობაზე სუკ-ისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილების მუშაკები და, რა თქმა უნდა, პარტიული ხელმძღვანელები შემთხვევითად არ ინიშნებოდნენ. საწყობების არსებობა პოსტს რეიტინგის მატებდა. წარმოიდგინეთ, რამდენი უნდა მოეპარათ იქაურ ვაჭრობის მუშაკებს,

რომ რაიონული თუ დედაქალაქის ხელმძღვანელობა დაეკმაყოფილებინათ, ხან სრულიად უსასყიდლოდ და ხანაც გაცილებით ნაკლებ ფასებში, თანაც თვითონაც ეცხოვრათ და საკუთარი უფროსობისთვისაც ყოველთვიური „ბეგარა“ გადაეხადათ.

არ გინდა, ნუ დაინყებ, მკითხველო, ამ კორუფციული რებუსის ამოხსნასა და გაშიფვრას, დროს ფუჭად დაკარგავ, მას თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ, შენ კი თავს გაიცხელებ.

აი, ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშნა პარტიამ და მთავრობამ ჩვენი ბესო და ისიც თავს არ ზოგავდა, ამარაგებდა და ამარაგებდა მფარველებს დეფიციტური საქონლით... მგონი, სსრკ რომ არ დაშლილიყო, საბჭოთა სუკ-ის სისტემაში უფრო დიდ და „პრესტიჟულ“ თანამდებობასაც მიაღწევდა, მაგრამ მუდმივი, მოგეხსენებათ, არაფერიაო, და 80-იანი წლების შუახანს ალექსი ინაურმა იძულებით პენსიაზე გაუშვა ბესოს მფარველი გენერალი შ. ზარდალიშვილი.

საერთოდ, ქალივით ეჭვიანი გახლდათ ამხანაგი ინაური, როგორც კი შეამჩნევდა რომელიმე მოადგილის ზედმეტ აქტიურობას, მოსკოვში ე. წ. „სვიაზების“ გაჩენასა და ამბიციებს მის სავარძელთან მიმართებით, ვის სად მოისროდა, არავინ უნყის: ზოგს „დანინაურებით“ — მაგალითად, ასე „დანინაურა“ გენერლები შადური და ქავთარაძე; ზოგს პენსიაზე გაშვებით — ამგვარად იზრუნა „საქვეყნო საქმით დაღლილ“ პოლკოვნიკ კაციტაძეზე; გენერალი გივი ჯორბენაძე კი სულაც ავღანეთში საომრად მიავლინა, რადგან „საბჭოთა სახელნიფოს სჭირდებოდა ასე“. ერთადერთი მოადგილე, რომელიც ბოლომდე შემორჩა, გენერალი ნოდარ მაისურაძე გახლდათ, რადგან მოკრძალებული სურვილები ჰქონდა და არც თანამდებობისკენ სწრაფვა შეუნიშნავს მისთვის.

იმას გიამბობდით, თბილისში რომ ჩამოვედი სამუშაოდ.

არ მახსოვს, როდის და სად შევხვდი ჩემს ყოფილ უფროსს, გოჩას, რომელიც დაქვეითების გამო „ფრთებ-

ჩამოყრილი“ მომეჩვენა. გავისაუბრეთ, ბოდიში რა საჭირო იყო, ისედაც ეტყობოდა, ნანობდა, უსამართლოდ რომ მომექცა მაშინ. სიტყვაც არ მითქვამს. ხომ იცით, ზოგჯერ დუმილი უფრო მეტს რომ მეტყველებს.

მოხდა ისე, რომ რაღაც ყოფითი პრობლემები შეექმნა. როცა გავიგე, მივედი და დახმარება შევთავაზე. უახლოეს ხანში შევასრულე კიდეც დანაპირები.

შინ მიმინვია.

ორნი ვიყავით.

დედასა და მეუღლეს სუფრა გააშლევინა. ოთახში მართო რომ დავრჩით, რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ მეგობრობისა შევსვი. ავხსენი, როგორ წარმომედგინა მეგობრობა. ისიც ვთქვი, რომ ერთმანეთთან ყოველთვის მოზომილი და, მეგობრული თუ არა, კარგი, ამხანაგური ურთიერთობა გვქონდა. მერე არ ვიცი, რა „შავმა კატამ“ გადაირბინა ჩვენ შორის-მეთქი...

ოთახში რამდენიმე წამს სიჩუმე ჩამოვარდა.

გოჩას ხმა არ ამოუღია. ერთი შემომხედა, მერე უცებ წამოდგა და სასწრაფოდ გავიდა ოთახიდან.

ვინანე, ნამდვილად ვინანე: რატომ გავისხენე ეს ამბავი, თანაც მაშინ, როდესაც რაღაც სიკეთე გავაკეთე, ახლა ხომ დაყვედრებასავით გამომივიდა-მეთქი... ამ ფიქრებში გართულმა ვერც შევნიშნე, რომ უკვე შემოსულიყო ოთახში, მაგიდასთანაც დამჯდარიყო და რაღაც კონვერტს მანვლიდა: ნაიკითხეო!

გავშალე და დავინყე კითხვა.

სასკოლო რვეულის, დაახლოებით, 14-15 ფურცელი იყო შევსებული.

ხელნაწერი მაშინვე მეცნო — სუკ-ის ერთ-ერთი აგენტი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი წერდა.

ორიოდე სიტყვით რომ მოგახსენოთ, მთლიანად ცილისნამება იყო: რომ მე თურმე პლიტექნიკური ინსტიტუტის უამრავ კორუფციულ საქმეში ვყოფილვარ ჩართული და ამას ვახერხებდი „ინსტიტუტის რექტორის, ბუაჩიძისა და პარტკომის, ნაცვლიშვილის ნაყრუების ფონზე“; რომ უცი-

ლობლად ვმონანილობდი მისაღები გამოცდების ქრთამე-
ბის განაწილებაში; კომისიაში გარიგებული ვიყავი მათემ-
ატიკოს თოფურასთან, ფიზიკოს რუსაძესთან და ა. შ. ის
კი არა, თურმე წილებს ვიღებდი იმ მშენებლობებიდან,
რომლებსაც სპი-ი თაოსნობდა; რომ ვმეგობრობდი კათე-
დრებისა და ფაკულტეტების დეკანებთან; ინსტიტუტის ის
პროფესორ-მასწავლებლებიც ჩამოეთვალა, რომლებთ-
ანაც, მაშინდელი ტერმინით, „È ãĖ í ģđđđđ ħ-è ģĖ ħ ħāyğĖ“
ჩამეთვლებოდა. ეს კი ჩვენი მაშინდელი სინამდვილისათვის
დამლუპველი შეიძლება გამომდგარიყო.

თუმცა ერთიც უნდა ითქვას, ამ დიდ პასკვილში არ სახ-
ელდებოდა ჩემ მიერ ჩადენილი თუნდაც ერთი კონ-
კრეტული კორუფციული ფაქტი.

ახლა გთხოვ, ნარმოიდგინო, მკითხველო, რა შეიძლებო-
და განმეცადა ამის კითხვისას. მტერსაც არ ვუსურვებ.
მენყინა, მეტკინა, შეურაცხყოფილი ვიყავი, აღშფოთებუ-
ლიც... ამ ხელნაწერის ავტორისათვის იმდენი სიკეთე მქონ-
და გაკეთებული, შეხვედრისას სულ მეგობრობას მეფიცე-
ბოდა...

და მთავარი: ეს დასმენის წერილი სუკ-ში მიუტანია ჩემს
„მეგობარ“ ბესოს, ვისაც წლების წინათ პურსა და მარილს
ვუყოფდი, ყველანაირად ვეხმარებოდი და გვერდში ვედე-
ქი.

გოჩამ გამომართვა რვეული, დახია და პურის დასაწყობ
რკინის ლანგარზე ფურცელ-ფურცელ დაწვა.

თითქმის უხმოდ ვისხედით.

ერთი კი ჩაილაპარაკა გოჩამ:

— შევცდიო, ერთ ადამიანთან შენზე აუფი ვთქვი, მან კი
თითქმის ზეპირად მომახსენა, რაც აქ ეწერაო. ვუბრძანე,
მოეთანა ეს აგენტურული წერილი და ასე აღმოჩნდა ის ჩემს
ხელშიო.

მეტი აღარ შემეძლო.

ქუჩაში გამოვედი. არ ვიცოდი, სად წავსულიყავი. წამო-
მაგონდა 4-5 წლის წინანდელი ამბები.

როგორც მოგვიანებით შევიტყვე, იმ დღიდან, რაც ჩემი

„მეგობარი“ ბესო სპი-ში მისულა ოპერატიულ მუშაკად,
რაც კი უარყოფითი ინფორმაცია შეიძლებოდა შეგროვილ-
იყო ჩემზე, ყველაფერს დებდა, რათა შემდეგ ხელმძღვ-
ანელობისათვის წარდეგინა ჩემთვის სახელის გასატეხად.

იმაზეც დავფიქრდი, თუკი რამე ხელჩასაჭიდი ჰქონდათ,
რატომ კანონით არ ამიფრიალეს წინ-მეთქი, თუმცა, აკი
მოგახსენეთ, ყველაფერი ფაქტების გარეშე, აბსურდული
ჭორების დონეზე დაენერათ.

კაცმა რომ თქვას, ისიც იყო, რომ ჩემთან ერთად კო-
რუფციულ საქმეებში რექტორატი და პარტკომიც გაერი-
ათ, რაც უკვე საკმაოდ მძიმე დანაშაული იქნებოდა საბჭო-
თა ქვეყანაში და, შესაბამისად, ასეთი პასკვილის გა-
მომზეურებას სათანდო მტკიცებულებათა შეგროვება
დასჭირდებოდა. ამას კი ვერავინ შექმნიდა.

ამ ამბებიდან რამდენიმე დღეში გოჩასთვის „წყალი
შეუყენებიათ“, დაუქვეითებიათ და გადაუყვანიათ სხვა სამ-
სახურში. მე ქუთაისში გამამწესეს, „დამანინაურეს“. წლებ-
ის შემდეგ კი გოჩამ ეს წერილი სასმელით, ემოციებით, მად-
ლიერებისა თუ სინანულის განცდით არეულმა წამაკითხა.
აღბათ ისიც მაგრძნობინა, აი, რა მამხილებელი მასალა
მქონდა შენზე და არ მივეცი გზა ზემოთო.

მადლობას თუ ელოდა ჩემგან, მე კი... ავდექი და უხმოდ
წამოვედი.

ამ მოვლენათა შემდეგ საკავშირო სუკ-ის მოთხოვნით
გადამიყვანეს სამუშაოდ მოსკოვის ცენტრალურ აპარატ-
ში.

ხშირად მიფიქრია, რა მოხდებოდა გოჩას ეს აგენტურუ-
ლი შეტყობინება ხელმძღვანელობისათვის რომ გაეცნო?
დანაშაულებრივი ქმედების დამტკიცებას ვერ შეძლებდნენ,
მაგრამ მაშინ ისეთი ატმოსფერო იყო გამეფებული სუკ-ის
სისტემაში, რომ არა მარტო კონკრეტული დანაშაული-
სათვის, ცრუ დასმენის საფუძველზეც ხსნიდნენ ხალხს სამ-
სახურიდან. ამ სისტემის კარი და ქვეყნის საზღვარი
გეკეტებოდა და თანაც ვერასოდეს გაიგებდი, რატომ და
რისთვის, აგენტურულ შეტყობინებას ხომ არ წაგიკითხავდ-

ნენ?! არა, ბატონო, უბრალოდ კომპარტიის ცეკას წერილს გაუგზავნიდნენ, ამა და ამ პირის თანამდებობაზე ყოფნა-დანაშინა და საზღვარგარეთ გამგზავრება სამუშაოდ თუ ტურისტად საქართველოს სუკ-ს მიზანშეუწონლად მი-აჩნიაო... და თუ პატრონი არა გყავდა ცეკაში და პირადი პასუხისმგებლობით მხარს არ დაგიჭერდა, განწირული იყავი.

სამართლიანობა მოითხოვს და უნდა ითქვას, რომ ამ პასკვილს მაინც შეეძლო ჩემთვის პრობლემების შექმნა. უნდა მემტკიცებინა, რომ, მაგალითად, აქლემი არ ვარ. დოქტორ გებელსისა არ იყოს, „მოდი, ჩვენ შევაფურთხოთ, იმან კი შემდეგ ინმინდოს და ინმინდოს სახეო“.

ერთიც უნდა იცოდეს მკითხველმა, ეს წერილი „მსგ-ლელობის გარეშეც“, უბრალოდ ისეც რომ ჩაეკერებინათ სუკ-ის მუშაკის პირად საქმეში, 1981-82 წლებში, როდესაც საქართველოს ცეკაში იხილებოდა ჩემი გადაყვანა საკავ-შირო სუკ-ის ცენტრალურ აპარატში, დარწმუნებული ვარ, თუნდაც „თავის დაზღვევის მიზნით“, სამუშაოდ არ მიმავლინებდნენ, მე კი ვერასოდეს გავიგებდი, რატომ.

ცნობისათვის:

სუკ-ის სისტემაში თითოეულ ოფიცერზე არსებობდა ორი ტომი პირადი საქმისა. პირველი მხოლოდ ოფიციალ-ური მეთოდით შეგროვილი ცნობებით იყო აკინძული — ბიოგრაფია, ოჯახი, სწავლა-განათლება, ჯილდოები, ნახ-ალისებანი, საყვედურები და სხვა გახსნილი მასალა; მეორე ტომში კი გროვებოდა მხოლოდ ოპერატიული გზით მოპ-ოვებული ინფორმაცია ოფიცრისა და მისი ახლობლების შესახებ. სუკ-ის თანამშრომელი, ჩვეულებრივ, 2-3 წელი-ნადში ერთხელ მონმდებოდა გარე მეთვალყურეების, ტელეფონზე მიყურადებისა თუ სხვა აგენტურული გზებით. საზღვარგარეთ მივლინებისას ან სამუშაოდ გამგზავრები-სას იკვლევდნენ არა მარტო ოფიცერს, არამედ მის ახლო გარემოცვასაც, მშობლებს, მეუღლეს... 18 წელს გადაცილე-ბულ შვილებსაც. ეს ცნობებიც მეორე ტომში იკვრებოდა და რაც უნდა დიდი თანამდებობისათვის მიგელნია სუკის

სტრუქტურაში, ამ ტომს ვერასოდეს გაეცნობოდი, თუ არ გახდებოდი საკავშირო სუკის კოლეგიის წევრი, ვისაც თან-ამდებობრივად მიუწვდებოდა ხელი აღნიშნულ მასალაზე.

ისიც ფაქტია, რომ ამ დოსიეს, პირველ ტომთან ერთად, სამუდამოდ ინახავდნენ საკავშირო სუკ-ის ბრძანებით; სავსებით ლოგიკურია, რომ როდესაც შეიქმნა საშიშროება ამ არქივის გატანისა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შეიარაღებულ დაჯგუფებათა მიერ, ეს ტომები სასწრაფოდ გაზიდეს მანქანებით შორეულ ჩრდილოეთში, რათა ე.წ. ფორსმაჟორული ვითარების შექმნისას თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი შედეგები — მოქმედ ოფი-ცრებზე არსებული ოპერატიული ინფორმაციის წარმატე-ბით გამოყენება მათ წინააღმდეგ, შანტაჟისა თუ გადმობი-რების მიზნით...

დავუბრუნდები ჩემს ამბავს და გეტყვი, რომ გოჩას მოცემული წერილის შესახებ არავისთვის გამიმხელია, ამას აზრიც არ ჰქონდა საბჭოთა კავშირისა და საკავშირო სუკ-ის პირობებში;

არც მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირი და — შესაბამ-ისად, საკავშირო სუკიც — დაიშალა.

მისი გამომხეურების გადანყვეტილება მივიღე იმ დროს, როცა დავწერე მოგონებათა წიგნი „შავი სათვალე ეკეთა“ (ჩეკისტის მოგონებები). იქაც ბოლომდე არ გამიხსნია ბრჭ-ყალები. ახლაც იმიტომ მოგიხსნობთ, რომ იცოდეთ, როგორი იყო დასმენისა და ურთიერთქიშპობის ასპარეზი სუკ-ის კოლექტივში. ეს აპარატიც ყველა იმ „სენით“ იყო შეპყრობილი, რითაც საბჭოთა წყობის სხვა სტრუქტურე-ბი. ბოლოსდაბოლოს, სუკ-ი ხომ კომუნისტური პარტიის ავანგარდი გახლდათ.

ადრეც მოგახსენეთ და ახლაც ვიმეორებ, სუკ-ში ხშირ-ად მიდიოდნენ სამუშაოდ სხვა სისტემაში ხელმოცარული პიროვნებანი, ჩვეულებრივი „ნეუდაჩნიკები“, და დასმენი-თა და ოპერატიული ცნობების მოპოვებით იკვლევდნენ გზას კარიერისაკენ. ჩემი აზრით, სწორედ მათ რიგებს მიეკუთვნებოდა ჩემი ამბის „გმირიც“.

თითქმის 30 წელიწადი საიდუმლოდ ვინახავდი ამ ინფორმაციას, თუმცა ყოველთვის მქონდა მისი გამჟღავნების სურვილი. მოთმინებითა შენითა მოიპოვე სასუფეველი შენით, უთქვამს ქართველ კაცს და მეც ვითმენდი. ზემოხსენებული წიგნის გამოქვეყნების შემდეგ კი იმაზეც ვიზრუნე, რომ ნაეკითხა იმ კაცს, ვისთვისაც დაინერა.

თითქმის 8 წელიწადი გავიდა, მაგრამ არავინ შემხმინებია.

სულ რაღაც ერთი თვის წინათ სუკ-ის გენერალმა ანზორ მაისურაძემ შემეცნებინა, რომ ჩვენი საერთო ნაცნობი, უშიშროების ყოფილი მაღალჩინოსანი, ვანო ყულიჯანაშვილი გარდაცვლილიყო: კვირას დასაფლავებაა და ხომ არ წამოხვალო.

ბატონი ვანო ჩემი მეგობარი არ იყო, მაგრამ საერთოდ ღირსეული პიროვნება გახლდათ, გულდია და კაცთმოყვარე, რაც იმ სისტემაში განსაკუთრებით დასაფასებელი იყო, ამიტომ წავედი პანაშვიდზე საბურთალოს სასაფლაოს წმინდა გიორგის ეკლესიაში.

მორღუბლული დღე იყო.

წამოწვიმა კიდევ.

უსიამოვნოდ ცრიდა. ეკლესიის ეზოში თანდათან ხალხი იკრიბებოდა. დიდხანს ვიდექი მარტო, თითქმის ვერავინ შევიცანი მოსულთა შორის. მიკვირდა კიდევ, რადგან ბატონი ვანო 7-8 წლით უმცროსი იყო და მეგონა, ბევრს თუ არა, რამდენიმე ნაცნობს მაინც შევხვდებოდი სუკ-ის ძველ მუშაკთაგან. თუმცა ალბათ იმის გამოც, რომ სხვადასხვა ქვეგანყოფილებაში ვმუშაობდით, ის — თითქმის მთელი კარიერის განმავლობაში ტრანსპორტის ოპერატიული მომსახურების სამმართველოში, მე კი მეხუთე მიმართულებით, პოლიტიკურ კონტრდაზვერვაში.

დაახლოებით ნახევარი საათი ვიდექი ეზოში ჩემს ფიქრებში გართული, რომ ნაცნობი ხმა შემომესმა:

— ჯემალ, როგორ ხარ? როგორც იქნა, გნახე.

მოვიხედე და დავინახე ჩემი ხნის, საკმაოდ სადად ჩაცმული, საშუალო ტანის კაცი, რომელმაც მეგობრულად

გამიღიმა, წამოვიდა ჩემკენ, გადამეხვია, გადამკოცნა და ისევ თბილად მკითხა:

— როგორ ხარ, როგორ არის შენი მეუღლე ლია?

რაღაც ვუპასუხე. გადახვევით გადავეხვიე, კოცნით მეც ვაკოცე, მაგრამ რაღაც უხერხულობის გრძნობა დამეფლა. მეგონა ჭინჭრით დამსუსხეს (ნეტა ქრისტე რას გრძნობდა იუდას კოცნისას).

გაოგნებული ვიდექი. ალბათ ზოგად და არაფრის-მთქმელ ფრაზებს ვლულულუღებდი უხერხულობისაგან თავის დასაღწევად. ჩემი გონების ყოველი კუნჭული ცდილობდა იმ გამოცანის ახსნას, რომელიც იმ წუთას იდგა ჩემ წინ. მეცნობოდა, ოღონდ...

რამდენიმე წუთს ერთად ვიდექით.

თითქოს ვსაუბრობდით, თუ ამას საუბარს დაარქმევ.

ამასობაში ეზოში ხალხმა იმატა, ვიღაც გამოელაპარაკა ჩემს ნაცნობს, შემდეგ სხვებიც გამოჩნდნენ. ორი-სამი ადამიანის გარემოცვაში აღმოჩნდა. ამით ვისარგებლე და ნელ-ნელა, ტაქტიანად გამოვეცალე. გავედი ეზოს იმ კუთხეში, საიდანაც შეიძლებოდა მისი შეთვალეერება. ვცდილობდი, აღმედგინა ხმა, ნაკვთები, მოვლენები, წარმომესახა გარემო, სადაც შეიძლებოდა შევხვედროდი მას და უცებ... ეს ხომ ბესოა, „ჩემი“ ბესო, ყმანვილობის „მეგობარი“, ჩემი თანაკურსელი სპეცსკოლაში და, რაც მთავარია, ესოდენ „კეთილისმსურველი“, რომლის დასმენამ და ლალატმა კინალამ დალუპა ჩემი კარიერა. თუმცა, კარიერას ვილა ჩივის, ჩემი ოჯახის ყოფნა-არყოფნის საკითხიც დადგებოდა... ერთი სიტყვით, მწირავდა.

რაც ეს ინფორმაცია შევიტყვე, პასუხი ვერ გამეცა ერთი კითხვისათვის: მაინც რა უნდა დამეშავებინა ამ ადამიანისათვის ისეთი, რომ მსგავსი ბოღმა ეტარებინა გულში ჩემ მიმართ?

ალბათ კაცი იყო და გუნება, ვერ იტანდა გვერდით თავის მჯობნს, რომელიც ვერასოდეს გახდებოდა მისნაირი, ვერასოდეს უპასუხებდა მისივე მეთოდებით, თუმცა კიდევ რომ ეპასუხა, განა შურიან ადამიანთა მრავალრიცხოვან

გაღწერას მოაკლდებოდა რამე?

მახსოვს, სპი-ის პროფესორი, კათედრის გამგე და მისი მეუღლე გამოვამკარავე, კობახიძეები, თითქმის 2-3 წელიწადი რომ უნერდნენ ანონიმურ ცილისმნამებლურ წერილებს სპ-ის რექტორებს და კარის მეზობელს, დოცენტ ბახტაძეს, კორუფციისა და მექრთამეობის შანტაჟით. ამ არაკაცმა საბოლოოდ ასეთი წერილი მისწერა მეზობელს, რომელთანაც „მეგობრობდა“ კიდეც:

— თუ ამა და ამ დღეს ვაკის პარკში მითითებულ ადგილას 1000 მანეთს არ დადებ, მოგკლავენო.

ყველაზე საზიზღარი პროცესი ჩემთვის იყო ამ პიროვნების დაკითხვა, როდესაც მან აღიარა:

— მე და ჩემი მეუღლე მხოლოდ იმიტომ ვწერდით ანონიმურ წერილებს, რომ გვშურდა ბახტაძეებისაო.

იმ ბახტაძეებზეა საუბარი, რომელთაც ხუთიოდე წლის წინათ დიდი ტრაგედია გადაეტანათ — ერთადერთი ქალიშვილი გარდაცვლიათ. კობახიძეები ამ გოგონასთან მეტად დაახლოებულნიც ყოფილან და უყვარდათ კიდეც, რადგან თვითონ 25 წელიწადი დაქორწინებულნი იყვნენ, მაგრამ შვილი არ ჰყავდათ.

გაუბედურებულ ცოლ-ქმარს ტრაგედიის შემდეგ ძალა მოუკრებია, პატარა გოგონა უშვილიათ და ზრდიდნენ.

სწორედ ეს ვერ აეტანათ მოშურნეებს.

ვერ შეგუებოდნენ იმას, რომ მათ მეზობლებსა და მეგობრებს მეტი სულიერი ძალა და სიმხნევე აღმოსჩენოდათ.

მე მაშინ ვერაფერი გავიგე, მკითხველო, ამ ახსნა-განმარტებისა.

წარმოუდგენელი ამბები მომესმინა, მაგრამ ეს რაღაც გაუგონარი იყო.

დაკითხვისას ჯერ ჩუმიად ატირდა, შემდეგ ლამის იყო ღრიალებდა და მოთქვამდა. ძლივს დავაწყნარე. შემდეგ ვუთხარი, რომ რამდენიმე დღეში კიდე შევხვდებოდით და ვთხოვე, ჩვენი საუბრის შესახებ არავისთვის ეთქვა, ცოლისთვისაც კი.

ხელმძღვანელობას ჩატარებული სამუშაოს შესახებ

მოვასხენე. გადავეცი ანონიმური წერილების ავტორის აღიარებაც და ახსნა-განმარტებაც და გამოვთქვი აზრი, რომ ეს ამბავი არ გაგვემჟღავნებინა, რადგან შესაძლოა ტრაგედია ორ ოჯახში დატრიალებულიყო, ყველაზე მეტად კი ის ნაშვილები პატრა დაზარალებოდა.

ხელმძღვანელობის ნებართვით, დოცენტ ბახტაძეს შევხვდი და ავუხსენი, რომ ანონიმური წერილების ავტორი გამოვლენილი იყო; რომ მან არა მარტო აღიარა დანაშაულებრივი ქმედება, არამედ ნანობდა კიდეც და აღარასოდეს ჩაიდენდა უღირს საქციელს, ოღონდ მის ვინაობას ვერ გავუმჟღავნებდი, რადგან დამნაშავეს დეპრესიული შეტევები ჰქონდა და არ მინდოდა, რამე გაუთვალისწინებელი ჩაედინა.

ბახტაძე არ შემწინააღმდეგებია — თუ ასე მიჩნევთ საჭიროდ, დაე ასე იყოსო. კობახიძე კი დავარწმუნე, რომ ამ ამბავს არ გავახმაურებდი საზოგადოებაში, და რომ მის ავტორიტეტს კი არა ბახტაძეების პატარა, ნაშვილებ გოგონას ვუფრთხილდებოდი; ვურჩიე, ბახტაძეებთან ურთიერთობაში თავი დაეოკებინა, მეგობრული თუ არა, მეზობლური ურთიერთობა მაინც შეენარჩუნებინა და ის პატარა გოგონა, რომელმაც საქვეყნოდ თავის მოჭრისგან იხსნა, ხიდად ქცეულიყო მათ შორის.

მაპატიე, მკითხველო, მაგრამ ამ პიროვნებათა გვარები შევცვალე. თუკი მაშინ არ გავამჟღავნებთ, ახლა ამის საჭიროება სრულებითაც არ არსებობს. ერთს კი გეტყვით: დაახლოებით 1971-72 წლები იყო.

მაშინ ბახტაძეები და კობახიძეები 50-55 წლისანი იქნებოდნენ.

არ ვიცი დღეს ცოცხლები არიან თუ არა, ის პატარა გოგონა კი ახლა 44-47 წლის ქალბატონი უნდა იყოს, შეიძლება დედაცაა და ბებიაც... ღმერთმა სიკეთე მისცეს...

ერთი სიტყვით, პანაშვიდზე ვარ ისევ და... უცებ გორჩა გამოჩნდა.

ვიცანით ერთმანეთი, თუმცა არცერთი არ წაენუღვართ გადასახვევად და გადასაკოცნად. შევხვდით, რომ

იტყვიან, „ნელთბილად“. რამდენიმე წუთი ვისაუბრეთ, შემდეგ ვილაც გამოვლაპარაკა და მეც გამოვეცალე. დიდხანს საუბრის სურვილი არც მე მქონდა და ალბათ არც მას. თუმცა დანამდვილებით ვიცი, ჩემი წიგნი „შავი სათვალე ეკეთა“ ნაკითხული ექნებოდა, რადგან ჩემს ამხანაგს, გენერალ ანზორ მაისურაძეს ვაჩუქე, ვინც ნამდვილად გადასცემდა წასაკითხად.

პანაშვიდი სრულებითაც არ იყო ადგილი, სადაც ასეთ საკითხებს არჩევენ, ამიტომ არც მას უკითხავს რამე. ვინ იცის, შეიძლება თავს გმირადაც მიიჩნევდა ამ პასკვილის გადმოცემისა და ჩემ თვალწინ დაწვის გამო. თუ ასე ჰგონია, ეგონოს, მაგრამ... რა ვუყოთ იმას, რაც იმთავითვე ცხადზე ცხადი გახლდათ ჩემთვის — ეს „დოკუმენტი“ ხომ სწორედ მისი დავალებით შექმნილიყო, რათა საჭირო დროს ჩემ წინააღმდეგ გამოეყენებინა.

პანაშვიდი დამთავრდა.

მიცვალეზული გამოასვენეს.

ისევ უსიამოვნოდ ცრიდა. ხალხი სასწრაფოდ ავტომანქანებში გადანაწილდა და სასაფლაოსკენ დაიძრნენ.

კვლავ მარტო დავრჩი.

ფეხით დავუყევი დაღმართს, რომ უნივერსიტეტის ქუჩაზე გავსულიყავი და შინ დასაბრუნებლად საჭირო ტრანსპორტი მომიძებნა.

სულ რაღაც ასიოდე მეტრი მრჩებოდა მთავარ მაგისტრალამდე, რომ ჩემ წინ მანქანა გაჩერდა. გადმოვიდა „ჩვენი“ ბესო და ნაყვანა შემომთავაზა.

ორმაგი გრძნობა დამეუფლა.

რამდენიმე წამით გავხევედი, შემდეგ თავს ძალა დავატანე და მანქანაში ჩავჯექი. რებუსი უკვე ამოხსნილი მქონდა და ვიცოდი, რასაც ვაკეთებდი. მანქანაში ერთი ახალგაზრდა კაციც დამხვდა, როგორც ბესომ გამაცნო, ჩვენი ძველი თანამშრომლის შვილიშვილი. საჭესთან მძღოლი იჯდა, როგორც ჩანს, ისევ „ბობოლა“ კაცი იყო ჩვენი ბესო.

ორიოდე წუთი სიჩუმე სუფევდა, ამასობაში თავის მოსულელება გადავწყვიტე. დარწმუნებული ვიყავი, რომ ბე-

სოს ეგონა, ვერ ვიცანი. ჩამოვარდა საუბარი ძველ ნაცნობებზე სუკ-იდან. ვუთხარი, რომ ვანოს გარდაცვალება გენერალმა მაისურაძემ შემატყობინა და რომ პანაშვიდზე სულ ორი კაცი შემხვდა ჩვენი ნაცნობებიდან: თქვენიანად სამი იქნება-მეთქი.

ამ თამაშში ისე შევიჭერი როლში, რომ ვკითხე: ბოლო დროს ბესო ხომ არ გინახავთ-მეთქი?

რამდენიმე წამს სიჩუმე ჩამოვარდა.

ჩემ გვერდით მჯდომი ახალგაზრდა შეიშმუშნა, მაგრამ გაჩუმება არჩია; საჭესთან მჯდომი მძღოლი შეტოკდა. სიჩუმე კი ბესომ დაარღვია და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ეხ, ბესო!.. ბესო!.. დიდი ხანია გარდაიცვალა...

— დასანანია... ისე წავიდა ის კაცი, რომ სათქმელი, რომელსაც თითქმის 40 წელიწადი ვატარებდი, ვერ ვუთხარი-მეთქი.

ჩემს სიტყვებზე ბესო შემოტრიალდა და მკითხა:

— ასეთი რა უნდა გეთქვა?

ხმა არ ამომიღია... კითხვა გამიმეორა.

აქ კი მიმტყუნა გამძლეობამ და მოთმინებამ, ასე ნაწრ-თობმაც კი, და ღიმილით ვკითხე:

— რაში გჭირდება, ბესო, ეს ცოცხალი კაცი თავს რად იკლავ-მეთქი?

ვერ გეტყვით, რომ შეცბა — ჩუმად, გახევებული იჯდა... გაკვირვებული და შეცბუნებული სახეები უფრო მეტად მძლოლსა და ჩემ გვერდით მჯდომ ახალგაზრდას ჰქონდათ. ვერაფრით ვერ გაეგოთ, რა ხდებოდა ჩვენ შორის.

გავიდა კიდევ ორიდე წუთი და:

— ისეთი რა უნდა გეთქვა ბესოსთვის?..

კიდევ რომ ჩამძიებოდა, აუცილებლად ვეტყოდი, პირში მივახლიდი: რატომ და რა მიზნით მიიტანე სუკ-ში გოჩასთან 14-15 ფურცელი ცილისწამება ჩემზე, თითქოს კორუფციული ჯგუფის თანამონაწილე ვიყავი, თითქოს სუკის ოფიცრისათვის შეუფერებელი გარემოცვა, ამხანაგები და მეგობრები მყავდა... ნუთუ არ იცოდი, რომ მწირავდი? და თანაც ეს მაშინ გააკეთე, როცა მეგობრობასა და ძმობას

მეფიცებოდი?... ან როგორ ცხოვრობდი ამის მერე მშვიდად, მე აგერ 40 წელიწადია, მოსვენება მაქვს დაკარგული-მეთქი...

ჰო, მინდოდა ამის თქმა, მაგრამ... აღარ ჩამძიებია.

უნდა დამიჯერო, მკითხველო, რამდენიმე წუთით, რომ-ლებიც ზამზარასავით გაინელა, მანქანაში სიჩუმემ დაისადგურა. მერე კი...

— მე იმ დოკუმენტთან არავითარი შეხება არ მქონიაო, — ჩაილაპარაკა ბესომ.

არაფერი მიპასუხია. მან კი ისევ, ოღონდ უკვე ყრუდ გაიმეორა:

— მე იმ დოკუმენტთან შეხება არ მქონია.

მერე მისი სიტყვები თითქმის აბსურდის თეატრს დამსგავსა. რაღაცას ლულულულებდა:

— სად არის ახლა ის ბესოო...?!

თბილისის საქარხნო რაიონის სუკ-ის განყოფილების უფროსი, შემდეგ მცხეთა-მთიანეთის უშიშროების სამსახურის უფროსი, თავდაცვის სამინისტროს „ი იმ ან ე ი ბაბე“-ს უფროსი და პოლკოვნიკი ბესოო... სად არის და სად არისო... გარდაიცვალა, მაშ რა ჰქვია ამასო... აი, ასე წარიმართა ჩემი ცხოვრება, ამხანაგო გენერალოო... ალბათ ცოდვამ მიწია და, ხომ გახსოვს, ოთხი ძმანი ვიყავით, ახლა კი მარტო დავრჩი, სამივე გარდამეცვალაო. ისინი შენი შვილის, გიას საფლავთან ახლოს დავკრძალეო. ხშირად ავდივარ სასაფლაოზე, შენი ბიჭის სამარესთანაც ვჩერდები და ვლოცულობო...

მძლოლს ვთხოვე, მანქანა გაეჩერებინა.

არ მახსოვს, დავემშვიდობე თუ არა მანქანაში მსხდომთ, მგონი უხმოდ გადმოვედი, როგორც მაშინ, როცა გოჩას სახლის კარი გამოვიხურე და აღარასოდეს შემიღია.

ასე მიმაჩნდა ახალგაზდობაში და ახლაც, როცა წლები მომეძალა, ასევე ვფიქრობ:

ძნელია, ძალიან ძნელია მეგობრის ღალატი. ზურგში ხანჯლის ჩაცემას ჰგავს.

ღმერთმა გაშოროთ ყველას ის მძიმე განცდები, ათეუ-

ლი წლები ჩემად რომ ვატარე გულში და არ კი გამწვლებია. ახლა?..

ახლა სათქმელი ვთქვი, მაგრამ...

მომეშვება კი?..

დავმშვიდდები ვითომ?..

ან განა თქმასა და გულიდან ამოღებას შეუძლია, სახელი დაარქვას იმას, რაც გიამბუთ და პასუხი გამცეს კითხვაზე:

მაინც რატომ... რატომ წირავენ ადამიანები ერთმანეთს?

P.S.

როცა კი მახსენდებოდა ეს ეპიზოდი ჩემი ცხოვრებიდან, არაერთხელ დავფიქრებულვარ, რა უფრო აჯობებდა: ის რომ, იმ დღეს გოჩამ წამაკითხა ის საშინელი წერილი ე.წ. „მეგობრის“ ღალატისა, თუ ის, რომ იმ დღეს ისე დავშორებოდი ერთმანეთს, რომ არაფერი ეთქვა და ამ წერილის არსებობის შესახებ არაფერი მცოდნოდა?

დამერწმუნეთ ჩემი გაგებით და აღქმით, ალბათ, უკანასკნელი აჯობებდა. ამ ფაქტმა უდიდესი ტრავმა მომაცენა. დღემდის ვერ ამიხსნია, რა დონემდე შეიძლება დაეცეს ადამიანი, რომ ასეთი ე.წ. „დოკუმენტი“ შექმნას. ვერ გავიგე, რაში დასჭირდათ ეს?.. რა სულიერი დაკმაყოფილება მიიღეს?..

ნოველის მთავარი „გმირის“ სახელი შეცვლილია. ამ ადამიანს, როგორც ვიცი, შვილები ჰყავს და არ მინდა, მათ ტრავმა მივაყენო. თუმცა მინიშნებები არსებობს. მკითხველი, თუ მას ჩემთან და ბესოსთან შეხება ჰქონია, მიხვდება, ვისზეც ვსაუბრობ. ეს სრულიად საკმარისია როგორც ჩემთვის, ისე ამ თხრობის „გმირისთვის“!

კახა!

1975 წლის სექტემბერში „დამანინაურეს“ და სამუშაოდ გადამიყვანეს ქუთაისში უშიშროების განყოფილების უფროსის მოადგილედ. ეს იყო ჩემი პირველი სამსახურეობრივი გადაადგილება ჩემს საკარიერო ბიოგრაფიაში, როგორც აღმოჩნდა, პირადად ჩემთვის მეტად სასარგებლო, ოპერატიული გამოცდილების შექმნის თვალსაზრისით. მაინც სულ სხვაა, როცა ცენტრალულ აპარატში მუშაობ, სადაც, რომ იტყვიან, სამსახურეობრივი იერარქიით საკმაოდ ბევრი სტრუქტურაა ე.წ. ოპერატიული მუშაობის მაკონტროლირებელი. და სულ სხვაა, როდესაც, პირველად ხელმძღვანელობ საკმაოდ დიდ ოპერატიულ აპარატს თითქმის 25 კაცის შემადგენლობით და ემორჩილები მხოლოდ ერთ ადამიანს (განყოფილების უფროსს). თუმცა ეს ჩემი პირველი გამოცდილება აპარატის ხელმძღვანელობისა არც თუ ისეთი „ნარმატებული“ აღმოჩნდა კარიერული ზრდისთვის. საბჭოთა ბიუროკრატის დაუნერვლი კანონი იყო და ეს კი ვერ გავითვალისწინე (მით უმეტეს სამხედრო სამსახურში) უფროსის მიმართ 100% მორჩილება, მისი „დირექტივების“ უსიტყვო შესრულება. აი აქ, ამ სფეროში საკმაოდ „მოვიკოჭლებდი“. რატომღაც მეგონა, რომ რაღაც საკითხები, რომლებიც არ იყო ისეთი „სტრატეგიული“ მნიშვნელობისა, თვით მე გადამენწყვიტა და შემდეგ, რა თქმა უნდა, მომეხსენებინა ყოველივე უფროსისათვის. ამ დამოუკიდებლობამ მალე შემიქმნა საკმაო უხერხულობები, რაც გამოიხატა უფროსის ეჭვიანობაში, რომ მის ძალაუფლებას ვზღუდავ, ანონიმურ წერილებში ჩემი მუშაობის სტილის შესახებ, და რაც ჩემთვის ყველაზე მტკივნეული იყო, ზოგიერთი მუშაკების ე.წ. „პროვოკაციული“ ქმედ-

ბები, რომლებიც თურმე განაწყენებული იყვნენ იმით, რომ უფროსის მოადგილედ თბილისიდან გამოავაზვნეს ადამიანი, მაშინ როდესაც ისინი თურმე ამ თანამდებობაზე თვით აცხადებდნენ პრეტენზიას. ერთი სიტყვით, ჩემს სამსახურს ქუთაისში გარდა იმ ოპერატიული ნარმატებისა, რაც იქ მუშაობის რეორგანიზაციით მოხდა, ახლდა გარკვეული ჩრდილოვანი მხარეებიც.

მაპატიეთ! სულ სხვაგან „გავაჭენე“, არადა, ჩემს მაშინ ჯერ კიდევ სულ პატარა 4-5 წლის კახუნაზე უნდა მოგიყვებოდა და მის „გმირულ“ საქციელზე, რომელიც მდინარე ჩხარის ნაპირებთან ჩაიდინა...

სოფელი ჩხარი! ამ სოფელმა, მას შემდეგ რაც მე და ლია შევეუღლდით, განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ჩვენს ახალშექმნილ ოჯახის ცხოვრებაში. ამ სოფელში ცხოვრობდნენ ამირანაშვილის გვარის წარმომადგენლები, ამ სოფელში დაიბადნენ და გაიზარდნენ ჩვენი (ქართველების) სასახელო შვილები, გამოჩენილი მსოფლიო ბანი პეტრე ამირანაშვილი და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი, პროფესორი, შალვა ამირანაშვილი (მამაჩემის დეიდაშვილი). მართლაც პატარაა საქართველო. ლიას ბაბუა მიხაკო ამირანაშვილი გახლავთ ბიძაჩემის შალვას ბიძა. მიხას და მისი მეუღლის უჯახში გაიზარდა ჩემი სიდედრი მარიამ ვარდოსანიძე, შემდეგ პატარა ლიამ დაიკავა დედის ადგილი, ლიას შემდეგ ამ კეთილშობილმა ცოლ-ქმარმა აღზარდა ჩემი ცოლის ძმა ენგუზი... ამაზე არ შეჩერებულა მათი აღმზრდელობითი საქმიანობა, ჩემი გია და კახაც მიხაკო და ვეროჩკა ამირანაშვილების ოჯახში გაიზარდნენ... ამ თითქოსდა უშვილო ოჯახმა საერთო ჯამში სხვადასხვა თაობის ხუთი შვილი გაზარდა. დაწყებული ჩემი სიდედრიდან და დამთავრებული ჩემი შვილებით. ასეთი შეხმატკბილებული და მოსიყვარულე ოჯახი, როგორც მათ ჰქონდათ, მე არ მინახავს. დილის ექვს საათზე ამდგარი მოხუცებულები ერთმანეთს ასწრებდნენ საქმიანობას. წარმოიდგინეთ, თუმცა შეიძლება ძნელი წარ-

მოსადგენიც იყოს, მაგრამ ასე იყო, მიხაკო ბაბუა ხშირად საღამოებს უთენებდა ჩემს შვილებს (აქაოდა ვეროჩკა არ შენუხდესო), გათენებისას ახალი გამონველილი რძით უმასპინძლებოდა პატარებს. ამ ამაგის დავინწყება როგორ შეიძლება. ამ ოჯახს, ბაბუასა და ბებუას შესანიშნავად ახსოვდათ მათთან ანუ მათ ბიძაშვილებთან ბიძია შალვას ოჯახში ბაბუაჩემის, ლეონტი ფოცხვერიას და ბებიაჩემის ალექსანდრა ჩხენკელის სტუმრობა. ისინი პირველნი იყვნენ, ვინც თავიანთ შთაბეჭდილებებს მიზიარებდნენ ჩემი საყვარელი და საამაყო წინაპრების შესახებ. ახსოვდათ მამაჩემის და მამიდაჩემის მათ სოფელში ყოფნის ეპიზოდები, რომლებიც დეიდასთან ასინეთ ჩხენკელთან იყვნენ ჩასულები დასასვენებლად... აი, ასეთ თბილ სასიყვარულო გარემოცვაში მოვხვდი მე დაოჯახების შემდეგ. ახლა რომ მახსენდება, ჩემთვის, ახალგაზრდა კაცისთვის დიდი საყოფაცხოვრებო გამოცდილების მისაღებად, რომ იტყვიან დიდი უნივერსიტეტი იყო მათთან (ბებუასთან და ბაბუასთან) ურთიერთობა, მათი თბილი, ყოველთვის გამოზომილი პატივისცემა ერთმანეთისა და სიბერემდე შენარჩუნებული ურთიერთსიყვარული. ჩემთვის, რომ იტყვიან ქალაქში გაზრდილი ბავშვისთვის, „ასფალტზე ფეხადგმული-სათვის“, არასოდეს უცხო არ ყოფილა მათთან თანაარსებობა, პირიქით, როცა მათ თითქმის მარტო მათ დავუტოვებდით ბავშვებს, არა მქონია რაიმე ფიქრი მათ ჯანმრთელობაზე და იმაზე, რომ სოფელში რაიმე ხიფათი შეემთხვეოდათ. მე და ლიანამ ვიცოდით, რომ ისინი მოსიყვარულე, თბილ გარემოში იმყოფებოდნენ. ჩემი შვილს გიას ადრეულ ნოველებში შესანიშნავად არის აღწერილი მისი ჩხარში გატარებული ცხოვრების ეპიზოდები... ჩემთვის ბავშვობაში არასოდეს იყო პრობლემატური თუ სად გავატარებდი სკოლის საზაფხულო არდადეგებს. რომ იტყვიან „მოდებული“ ვიყავი ქვეყანას, ხან მამიდას ვესტუმრებოდი ქუთაისში, ხშირად დეიდას ჯერ ფოთში და შემდეგ ბათუმში, უფრო ადრეულ ბავშვობაში ნათლიამ, ვანო ლო-

მიძემ (ჩვენმა კარის მეზობელმა) წამიყვანა დასასვენებლად გავაზში (ყვარლის რაიონის, სოფელ ახალსოფელში), შემდეგ სენაკში ჩემ თანაკლასელ იურა მარშანიას ვსტუმრობდი, უფრო ადრე კი დაახლოებით ალბათ 4-5 კლასში ვიყავი, როდესაც თანაკლასელ „ჩიქვილას“ ვსტუმრობდი მცხეთაში, ორჯერ ე.წ პიონერთა ბანაკშიც „ვისვენებდი“ ნალვერსა და ქობულეთში, ასე რომ ბავშვობის შთაბეჭდილებები ბევრი მაქვს...

ფაქიზია და მგრძნობიარე ბავშვის გონება, ყველაფერს მელნის საშრობივით ისრუტავს. ხშირად უფროსები ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევენ, რაშიც დიდ „დანაშაულს“ ჩადიან. ისინი უგულვებელყოფენ იმ გარემოებას, რომ ბავშვები ყველაფერს, ვიმეორებ, ყველაფერს აღიქვამენ. შეიძლება, მაშინ, როცა წყენა ან შეურაცხოფა განიცადეს, მთლიანად, მთელი გონებით ვერ აღიქვამენ, მაგრამ შემდეგში, რომ იზრდებიან, რა თქმა უნდა, იხსენებენ ამ მძიმე ეპიზოდებს. განიცდიან და შეიძლება, ლოდად აწვეთ მათ მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ამას ამიტომ ვამბობ, რომ გაგიზიაროთ, მოგიტხროთ მძიმედ გასახსენებელი ეპიზოდი ჩემი ბავშვობისა დაახლოებით 1945-46 წლებში. მომხდარი სამეგრელოს შესანიშნავ სოფელ ხიბულაში, სადაც ბებუამ მართა ჩიქოვანმა ნაგვიყვანა სტუმრად მისი დის, ანასტასია ჩიქოვანის ოჯახში დასასვენებლად. პირველი სტუმრობა ამ ოჯახში ერთი წლით ადრე შედგა. ომი ალბათ სულ ერთი წლის დამთავრებული იყო, ჩიქოვანების ოჯახს ორი ვაჟი დაუბრუნდა ომიდან (ე.ი. ბებიაჩემის დისშვილები). არასოდეს დამავიწყდება ის სიხარული, რაც ოჯახმა განიცადა. იმ მატერიალურად მეტად მძიმე პერიოდშიც კი, როდესაც სახელმწიფოში ჯერ კიდევ ე.წ. პურზე „სატალონო“ სისტემა მძვინვარებდა, ოჯახში დეკლუვი დაკლეს, რამოდენიმე დღე ზეიმობდნენ შვილების დაბრუნებას და ამ სასიხარულო პროცესში თითქმის მთელი სოფელი იყო ჩართული. აი, ასეთი ამაღლებული ემოციებით დავბრუნდით ხიბულადან იმ წელს ბებია, ჩემი ძმა ანზორი და მე

თბილისში. მომავალ წელს დედას დიდხანს არ უფიქრია და დიდი გაჭირვებით შეგვიგროვა გზის ფული და ისევ ხიბულაში გაგვამგზავრა თავის დეიდასთან და დეიდაშვილებთან „დასასვენებლად“.

თითქოს გუშინ მოხდა, ისე მახსოვს ჩემი ბავშვური ფსიქიკისათვის ავად სახსენებელი გამგზავრება. სოფელში ჩასვლისთანავე ვიგრძენი რალაც შინაგანად, რომ მასპინძლები საკმაოდ გულცივად შეგვხვდნენ. იგრძნობოდა რომ ის მეგრული სიტბო რაც მათ ჩვევიათ სტუმრის მიღებისას, რალაც მოჩვენებითი იყო. მე თუ ეს შევნიშნე ბავშვმა, აბა ბებო, ჩემი საყვარელი თავმოყვარე ბებია მართა ამას ვერ შენიშნავდა? რა თქმა უნდა, არამარტო შენიშნა, არამედ დიდად განანყენდა, მაგრამ ალბათ როცა წარმოიდგინა, რა გაჭირვებით შეაგროვა დედამ გამგზავრებისა და უკან დასაბრუნებელი ფული, დაიოკა წყენა, რადგან მისთვის უკან დაბრუნება ასეთი „დანახარჯების“ შემდეგ მომაკვდინებელი იქნებოდა ჩვენი მწირი საოჯახო ბიუჯეტისთვის. სულ რალაც 5-6 დღე არ იყო გასული ჩვენი სოფელში ჩასვლის შემდეგ, რომ ანზორმა (მაშინ ალბათ 10-11 წლისამ) რალაც „დააშავა“, როგორც მახსოვს, მეზობლის ბავშვთან ერთად სხვის ხეზე ავიდა და რალაც ხილი მიირთვა. ამ მეზობელმა მასპინძლებთან გვიჩივლა და აქ მოხდა ის, რაც ჩემი ბავშვური ფსიქიკისათვის ალბათ ყველაზე მტკივნეული დარტყმა იყო. ეზოში ვიყავით მე და ბებია მართა, რომელიც არ მახსოვს რას მიყვებოდა და ამ დროს მოგვიახლოვდა მისი დისშვილი, ასე 30-35 წლის კაცი, ჩოხა ეცვა საკმაოდ გაცვეთილი, ქამარზე ხანჯალი ეკეთა. იკითხავთ ასეთი დეტალები როგორ გახსოვსო. მახსოვს, რადგან ასე გამონყობილი ბიძაჩემი არასოდეს მინახავს. ბებიასა ბიძაჩემს შორის შევატყვე, რომ არასასიამოვნო საუბარი დაიწყო. რა თქმა უნდა, ისინი მეგრულად საუბრობდნენ. მე ახლაც არ ვიცი კარგად მეგრული და მაშინ მით უმეტეს არაფერი გამეგებოდა, რამოდენიმე სიტყვა თუ გავიგე. მახსოვს, რომ ბიძაჩემმა რამდენჯერმე ახსენა ანზორი, მეზობელი და

კიდევ სხვა. ვერ ვიტყვი და ვერ ავიღებ ცოდვას ჩემს თავზე, ვთქვა, რომ ბიძია ბებიაჩემს თავხედურად ესაუბრებოდა, მაგრამ ის, რომ ბებიაჩემისთვის ეს საუბარი მეტად გამაღიზიანებელი იყო, ეს კი ვიგრძენი და შევნიშნე. აცახცახებული და შიშის გრძნობით შეპყრობილი ვიდექი ბებიას ტანთან მიტმასნილი. მახსოვს ბებიაჩემს უჩუმრად მოუსმინა დისშვილის ე.წ. დიალოგს, შემდეგ ის კი გავიგე, რომ სიტყვა დაახლოებით ასე დაამთავრდა: ერთ საათში ჩემი ფეხი და ჩემი შვილიშვილების ფეხი არ იქნებაო თქვენს ეზოშიო. სასწრაფოდ შემიყვანა ოდაში, დაუძახა ანზორს, ჩაგვაცვა. რომ იტყვიან სახელდახელოდ შეგკარით ჩვენი მწირე „გარდერობი“ და ურმით გავუდექით სენაკისკენ გზას. რამდენიმე საათი ველოდეთ მშვივრები და მწყურვალნი მატარებელს, როგორც იყო ისიც გამოჩნდა და გამოვემგზავრეთ თბილისში. მთელი ამ მგზავრობის დროს ბებიას ხმა არ ამოუღია, მხოლოდ რამოდენიმეჯერ წამოცდა სასონარკვეთილს მეგრულად: „ვაი, სკანი ცოდვა, მართა ჩიქოვანი, ეს რა დღე დაგიდგაო. სახე სულ გაფითრებული ჰქონდა. მატარებელში მე და ანზორს ჩაგვეძინა, რალაც გუმანით დილით გარიჟრაჟზე გამეღვიძა. მიმოვიხედე, ანზორს ჯერ კიდევ ეძინა, გავიხედე ბებიასკენ და დავინახე, ჩუმად ხვნეშოდა და ტიროდა...

ამ ეპიზოდის შემდეგ თითქმის 70 წელი გავიდა, მაგრამ დღემდე არ დამვიწყებია იმ უსუსურობის განცდა, რომელიც დამეუფლა, არასოდეს არ მინახავს ჩემი ზვიადი, ამაყი, რომ იტყვიან „ქვის ნერვის მქონე“ ბებია მართა ასეთი დამცირებული და დაჩაგრული. ბევრი მიფიქრია და როცა გამხსენებია ეს სცენა, რომელიც მატარებელში განვიცადე, ჩემი აზრით, ბებია ალბათ თავის ფიქრებში „ჩაიძირა“, გაახსენდა თავისი უზრუნველი ფუფუნებაში გატარებული ახალგაზრდობა, შემდეგ საკმაოდ საპატივცემო ოჯახის შექმნა, შემდეგ ერთადერთი ვაჟიშვილის 24 წლის ვალოდიას უეცარი სიკვდილი, 1937 წელს დახვრეტილი უფროსი შვილის დავით გაბუნის დახვრეტა, მამაჩემი, რომელიც იმ წლებ-

ში უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა და ახლა ამ ორ ობლად დარჩენილ შვილიშვილს რომ გვივლიდა, ალბათ ცრემლსა და გოდებაში გაატარა მთელი ღამე. სასწრაფოდ დავხუჭე თვალი, დაძინება ვცადე, მაგრამ რა დამაძინებდა, არ ვიცი როგორ არ გასკდა ეს გული იმ უარყოფითი ემოციებით, რაც მაშინ მატარებელში განვიცადე. იმ დღის შემდეგ ჩვენს ოჯახში არასოდეს გამიგია ბებიაჩემის დისა და მისი ოჯახის ხსენება, სად იყვნენ, რას აკეთებდნენ? ამ ინფორმაციაზე, რომ იტყვიან, „ტაბუ“ იყო დადებული.

დაახლოებით 30 წლის შემდეგ, ასე ალბათ 1973-1974 წლის ზაფხულში ჩვენი ოჯახი დავითაშვილის ქუჩაზე ცხოვრობდა. სამსახურიდან დავბრუნდი, ვივარდნი, შევატყვე რალაც ნერვიული დაძაბულება ოჯახში, დედა მეზობელთან იყო გასული და ლიანა მომიყვა, დღეს ასე 4-5 სთზე სტუმრები გვეწვივნენო (როგორც შენ ყვებოდიო) სოფელ ხიბულადან დედის დეიდაშვილი და მისი ვაჟიო, რალაც ძღვენიც მოიტანესო. როგორც კი გავარკვიე, ვინ იყვნენ სტუმრები, დავინწყე დედის დამშვიდება, რადგან ძლიერ აღელვებული იყო, მივხვდი შენი მონაყოლებიდან ვინც იყვნენო. დედა ძალიან გულგრილად შეხვდა, მე რაც შემეძლო ვითარების განმუხტვას შევეცადეო, მაგრამ არაფერი გამომივიდა, მინდოდა რალაცით მაინც გავმასპინძლებოდიო სტუმრებს, მაგრამ დედამ ამიკრძალა, ერთი მითხრა, შვილო, შეიძლება მე ამ მომენტს 30 წელიწადი ველოდიო და გთხოვ, არაფერში არ ჩაერიოო.“ ეს ჩემი პირადი საქმეაო. მეც გავეცალე აქაურობას და მეგობართან წავედიო. შემდეგ დედა შემოვიდა, ჩემს სიტყვებზე თუ რა მოხდა, როგორც სჩვეოდა, ამაყად მიპასუხა: ჩემი დეიდაშვილი ჩამობრძანდა ხიბულადან თავის ვაჟიშვილთან ერთად, შენ გეახლენ, წელს მისი ბიჭი უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებას აპირებსო. გაუგიათ შენ მისაღები კომისიის წევრი ხარო და თხოვნით მოვიდნენ. მე მას ვუთხარი ის, რასაც წლების განმავლობაში ვატარებდი, ერთი სიტყვით, ამოვიღე მთლიანად იმ დამცირებისა და წყენის ისტორია,

რაც თქვენ გადაგხდათ, მაშინ 1946 წელს მასთან სტუმრობისასო. ერთიც გავახსენე, შენ იცი, ახლა ვისთან მიხვედი დახმარების სათხოვნელადო? იმ ბავშვებთან მოხვედი, რომლებიც 30 წლის წინ არ შეიკედლე, არ გაათბე და დამამცირებლად გამოუშვი შენი სახლიდანო, რა ნამუსით მოხვედით მასთან? ეს ის ბავშვია, რომელიც შენგან მოყენებული სულიერი ტრამვის შემდეგ თითქმის რამდენიმე თვე, მის უახლოეს მეგობართან ერთად მასთან ჩახუტებული, ამშვიდებდა ბებიას და მასთან ერთად ტიროდა და განიცდიდა შეურაცხყოფას, რომელიც შენ მაშინ მიაცენეო. ისიც არ ვიცი ახლა, რომ მოვიდეს, რა დაემართება, როგორ შეგვვდება ან რას იტყვის? გაპატიებს თუ არა მისი საყვარელი ბებიას ასეთ შეურაცხყოფას. ერთი სიტყვით, ყველაფერი ვუთხარი, რაც აქამდე გულში მქონდა შენახულიო. ამით მე მგონი ბებიაშენიც ცხონდა საფლავში. ის ძღვენი, რომელიც მოგვართვეს, უკანვე გავატანეო და ისე გავაბუნძულე სახლიდანო. დაუფუქე დედას გვერდზე, ვამშვიდებდი რაც შემეძლო, ვეუბნებოდი, რომ არ იყო მისი ქმედება სწორი, არ შეიძლება ასეთი მიუტყვებლობა. ალბათ, მეტი მოთმინება იყო საჭირო. ისიც ვუთხარი, რომ არანაირ აგრესიას არ გამოვიჩენდი იმ კაცის მიმართ და აუცილებლად დავეხმარებოდი მის შვილს, რომელიც არაფერში არ იყო დამნაშავე. მაგრამ ვერაფრით დავამშვიდე. შევატყვე, რომ მას თავისი აზრი ჰქონდა და სხვაგვარად ვერ წარმოედგინა.

ამიტომ ვამბობ და ვიმეორებ, უფროსებს დიდი სიფრთხილე გვმართებს, როცა ბავშვებთან ურთიერთობას ვამყარებთ, ნუ ვუყურებთ მათ მხოლდ უსუსურ არაფრის შემძლე არსებებად, უნდა გვახსოვდეს ყველას, რომ გავა სულ ცოტა ხანი ბავშვი წამოიზრდება, დავაჟკაცდება და მის მიმართ ჩადენილი არაობიექტურობა თუ შეურაცხყოფა წინ დაგვხვდება, ცხვირში ამოგარტყამს. მაგრამ რას იზამ, ამის შეგნება ბევრს არა აქვს...

მოგანწყინეთ მკითხველო ამ ჩემი თხრობის გადახვევებით. იკითხავთ საიდან დაიწყო და სად „გაუბერაო“. დიას!

მაპატიეთ, ასეთია ალბათ ჩემი თხრობის სტილი და მანერა... იმედი მაქვს არ გამიბრაზდებით.

ახლა კი ნება მომეცით, დავუბრუნდე ისევ ჩვენს სოფელ ჩხარს, და ჩემს მაშინ სულ პატარა ხუთი წლის კახუნას... ახლა უკვე 190სმ სიმაღლის, სულ მალე 45 წლის ასაკში სამი შვილის მამა გახდება.

ერთ მშვენიერ გაზაფხულის დღეს ლიანამ მთხოვა ჩხარში გამიშვი მანქანითო, კახასაც წავიყვან, ბაბუა და ბებია მონატრებულნი არიანო და გაიხარებენ, დამპირდნენ ხვალ ჩამოვალთო, ქუთაისიდან ჩხარამდე 50 კილომეტრი იქნება, ასე რომ არავითარ ხიფათს არ ველოდი და დავეთანხმე.

თერჯოლა გაუვლიათ, ჩხარს უახლოვდებოდნენ. ჯუმბერს (ჩემს მძღოლს) უთქვამს აქ ჩხარულა არ არის ღრმა და სულ რაღაც 4-5 მეტრ სიგრძის წყალს, ერთ წუთში გადავალთ და თითქმის 2-3 კილომეტრს მოვიგებთო გზაში. ლიაც დაეთანხმა, აბა მძღოლთან ხომ არ გაარჩევდა საქმეს რა გზა აერჩიათ სოფლამდე. შესულან წყალში და დაახლოებით 2-3 მეტრის გავლის შემდეგ, მანქანის წინა ბორბლები რაღაც ღრმულში გაჩერდა, რაც უფრო მეტად ცდილობდა მძღოლი გაზის მიცემით ან უკანსვლით დაეღწია თავი ამ წინააღმდეგობისთვის, მანქანა თანდათანობით უფრო ეფლებოდა წყალში. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი მძღოლი ჯუმბერი საკმაოდ მძიმე წონის პიროვნება გახლდათ (წლების განმავლობაში, ქუთაისში ქეიფსა და პურმარილს მიჩვეული) მისი კოორდინაციაც შეზღუდული გახლდათ (მოზრდილი ღიპი პირდაპირ საჭესთან ჰქონდა მიბჯენილი). აი, აქ კი გარკვეულ პანიკას მისცემიან ჯუმბერი და ლია, მათი გადაბმული მსჯელობისა და შექმნილი ვითარებიდან გამოსვლის დროს, ჩვენს კახას დედისგან შემჩნეულად მანქანის ფანჯარა გაუღია, არ ვიცი და (ექსპერიმენტს ხომ არ მოვანყობდი შემდეგ) ამომძვრალა ეს ჩვენი კახა მანქანიდან, რაღაც ჩემთვის ახლაც გაურკვეველი ხერხით, მანქანის სახურავზე ასულა, იქ მუსლიმანივ-

ით წამოსკუპებულა მანქანის სახურავზე და იქიდან დედასა და მძღოლს მოესმა ბავშვის განწირული ხმა „...Люди помогите, люди помогите“ —ო. აი, რას ნიშნავს, როცა მზრუნველი მშობლები რუსულ საბავშვო ბაღში ზრდიან ბავშვს. კახას ამ ყვირილზე ჩვენს ჯუმბერისა და დედამისს, ყოველგვარი მცდელობა მანქანა დაეძრათ შეუწყვეტიათ, აქაოდა ბავშვი არ ჩამოვარდეს სახურავიდანო. ის კი შეუწყვეტლად გასძახოდა ხალხს „...помогите, помогите“-ს ამ ხმაზე ხალხიც შეკრებილა, ვიღაც ღვთისნიერ ადამიანს ტრაქტორი მოუყვანია და, რომ იტყვიან, პატარა კახუნას ხელმძღვანელობით ამოუთრევიათ მანქანა ჩხარულადან. არ ვიცი რამდენი ხალხი მეხვეოდაო, მამა, გარშემო, მანქანა რომ ამოათრეის, მე ტაში დამიკრესო, შემდეგ სულ მეხვეოდნენ და მკოცნიდნენო, — ამაყად მიყვებოდა პატარა კახა. დედამისი კი გაფითრებული, შიშისგან მისუსტებული, გულში იხუტებდა მის გადამრჩენელ შვილს. რომ იტყვიან მთელ სოფელს მოედო კახუნას ეს „გმირობა“. მაგრამ ამ შემთხვევის შემდეგ ერთი კი მოხდა, დედამისი მანქანის ფანჯარასთან აღარასოდეს აჯენდა...

ამ ინციდენტმა უქმად არ ჩაიარა, ალბათ ეს „უშიშრობა“ შემდეგ ყმანვილობაშიც გამოჰყვა. გამოუმუშავდა შიდა დისციპლინა, საქმისადმი პასუხისმგებლობის უნარი, მიცემული სიტყვის არ გატეხა. თითქოსდა ბავშვობაში გადახდენილი ინციდენტი ეს მოყოლილი ეპიზოდი, მაგრამ ასეთ პატარა ეპიზოდებიდან ყალიბდება ადამიანის ხასიათი და უნარ-ჩვევები.

ბაბუა, ბულა და დეკეული

ადრეც მოგახსენეთ და ახლაც ვიმეორებ, სოფელი ჩხარი ჩემთვის, ქალაქში გაზრდილი ყმანვილისთვის, პირველი სოფელი იყო, სადაც, რომ იტყვიან, თავი საკუთარ სახლში ვიგრძენი. ლიანას ბაბუა და ბებია ყურადღებას არ გვაკლებდნენ, მუდამ ზრუნველობაში ვიყავით გარემოცული მე და ჩემი ოჯახი. ხუთ ნელზე მეტი საზაფხულოდ მათთან ავდიოდით დასასვენებლად. პირველსავე ზაფხულს შევამჩნიეთ, რომ სოფელში „დასვენება“ სრულებითაც არ იყო რომელიმე სანატორიუმში, ან ზღვაზე პიონერთა ბანაკში დასვენება, სადაც მთელი დღე „პლიაჟზე“ ატარებდნენ, საღამოს კინოთეატრში წახვალ და მეორე დღის მოლოდინში ლოგინში ნებივრობ, არავითარი მოვალეობა არ გაქვს და მთელი დღე შენს თავს ეკუთვნის. სოფელში სულ სხვაა „დასვენება“, ჩემი დაკვირვებით ამას უფრო ე.წ. „აქტიური დასვენება“ ჰქვია. პირველსავე წელიწადს რომ ვსტუმრობდით, ბაბუა ზამთრისთვის მომზადებული შეშის ხერხვას შეუდგა, დაახლოებით 8-10 კუბომეტრ შეშას იმზადებდა ის ზამთრისთვის. აბა რა მოგასვენებს ახალგაზრდა კაცს, როცა ხედავ, რომ შენი გულუხვი, მოსიყვარულე ხანშიშესული მასპინძელი მარტომისდგომია შეშას და ხერხავს...

ამის ატანა, ჩემი აღზრდიდან გამომდინარე, ნამდვილად ვერ შევძელი, შევთავაზე დახმარება და ამის შემდეგ, რომ იტყვიან, ხერხი ხელიდან არ გამიშვია. დაახლოებით ერთ თვეს (ანუ მთლიან ჩემს შვებულებას) ვანდომებდით მე და ბაბუა შეშის ხერხვას. ქალაქელ ყმანვილს აქ პირველად გამიჩნდა ხელისგულებზე ჯერ წყლულები, რაც შემდეგ მუშა კაცის მაზოლებად ჩამოყალიბდა. თბილისში რომ ვბრუნდებოდი, როგორც კი ხელს ჩამოვართმევდი ვინმეს, გაკვირვებული მიყურებდნენ „მტვრითველად მუშაობო“, ხელისგულებს მითვარიელებდნენ. მეც სიამოვნებით

ვუჩვენებდი მათ ჩემს შრომით „მაზოლებს“. სოფელში ვისწავლე ბევრი რამ: მარანში ჭურის მოხდა, ჭურიდან ღვინის ამოღება, ჭურების გარეცხვა, ერთია, თოხნა ვერ ვისწავლე, რადგან ბაბუა თვითონაც არ თოხნიდა, ამისთვის ყოველთვის დაქირავებულ ხალხს იხმარდა. სოფელში საქმეს რა გამოლევს? როგორც შემეძლო ვეხმარებოდი ბაბუას მის ე.წ. პატარა ფერმის წარმართვაში. სამაგიეროდ, საღამოს დაღლილს შესანიშნავად მეძინა.

ერთი ამბავი მინდა მოგიყვებო, თუ არ გამკიცხავთ. ერთხელ ბაბუამ გამოგვიცხადა მე და თენგოს (ჩემს ცოლისძმას) ხვალ დილას სირაძეებთან უნდა წავიდე ბულა ამოვიყვანო. ენაკვიმატმა თენგიზმა კითხვა არ დააყოვნა „...ამ მოზვერისთვის ვერ მოგვივლია და ახლა ბულაც იყიდო“. არც ბაბუას „უგვალავდა“ ენა „...შე შტერო, ახლა კამეჩი და ბულა მთელ სოფელში 2-3 ოჯახს თუ ჰყავსო, შენ რა ნიკოლოზის დრო ხომ არ გგონია. ის ოჯახი, რომელსაც სახლში ბულა ჰყავს, კარგი შემოსავალი აქვთო. ყოველ 2 ან 9 დღეს გაქირავებული ჰყავთ ბულა, რომელიც დღეში 5-10 მანეთი ღირსო. ამ კამეჩს ან ვირივით ამუშავენენ ყანაში ან დეკეულების დასამაკებლად იყენებენო.“ აი, აქ კი ყურები ვცქვიტეთ მე და თენგიზმა, მივხვდით უკვე ბაბუას მიზანს. „მაპატიეთ ბაბუა (მე როგორც გაზრდილი ახალგაზრდა თქვენობით ველაპარაკებოდი ბაბუას), მანამ იმ ბულას ამოიყვანთ, ხომ არ აჯობებს ჩვენს დეკეულს დავეკითხოთ, სურს თუ არა მას იმ უცნობ ბულასთან ოჯახის შექმნა-მეთქი?“ ერთი კი გადმომხედა ეშმაკურად ბაბუამ და მიაყოლა „...თქვენ ქალაქელებმა ალბათ უფრო იცით მათი ენაო და ამიტომ მაჭანკლებად გამომადგებითო.“

ახლა უკვე თენგიზის დროც დადგა, რომ ჩვენს კეთილშობილ საუბარში ჩართულიყო „...ბაბუა, რამდენადაც ვიცი სირაძეები ჩვენი სახლიდან ასე 5-6 კილომეტრში ცხოვრობენ. რად გინდათ, ასე შორს რომ არ წახვიდეთ და ინვალოთ, აგერ არა გვაყვანან რაინდი და ამირანი (ძმები ამირანაშვილები, ბაბუას ძმისშვილიშვილები და მეზობლები... 17-18 ყმანვილები.) რამდენადაც ვიცი, ჩემი დაკვირვე-

ბით, ისინი ღირსეულად გაუმკლავდებიან ამ „საპატიო“ საქმეს და არც ქირის ფულს მოგვთხოვენო... ვაი, შენ პატრონსო, ჩვენს გვარს რომ ეტაკე, ასეთი ხალხი სხვა გვარში მოიკითხეო“, — დიპლომატიურად უპასუხა ბაბუამ, რადგან გვარი არ დაუსახელებია. „...რა იყო, ბაბუა, მე უბრალოდ ვფიქრობდი, კარგი რჩევა მოგეცით, არ მეგონა რომ გენყინებოდაო. „...ვერ მოგიწონებ მაგ რჩევას, თენგიზ, რადგან, როგორც ვიცი, სხვადასხვა (ადამიანისა და ძროხის) შეჯვარებით შეიძლება დამაკლდეს ცხოველი, მაგრამ ასევე ვიცი „მეცნიერული განათლებით“ ამ შემთხვევაში გაურკვეველი ტიპის „მუტანტი“ შეიძლება დაიბადოს, და ახლა კიდევ ერთი მუქთახორა „მუტანტი“ რაში სჭირდება ბაბუას-მეთქი.“ „მუტანტი“ რაღა ჯანდაბა არისო? შემეკითხა ბაბუა. მე, რაც შეიძლება გარკვეულად ავუხსენი, რომ ეს ცხოველი იბადება სხვადასხვა სახეობის ცხოველების შეჯვარებით, არა ყოველთვის, მაგრამ იშვიათად-მეთქი.“

აი, მაგალითად, გერმანიის ბერლინის ზოოპარკში შეაჯვარეს მაიმუნი და ადამიანი და რაღაც საშინელება დაიბადა-მეთქი. „...ვაი თქვენს პატრონსო, გამოჩნდნენ აქ პროფესორები, მაიმუნები ამ სოფელში ისედაც ბევრი არიან და მათი გამრავლება რა საჭირო არისო. „...ვატყობ, თქვენ მეტი საქმე არა გაქვთ, გაილექსეთ ახლა და ენას აქავებთო და ცოტა არ იყოს განანყენებულმა მიგვატოვა.“

დილას, ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, ბაბუა რომ ადრე ადგა და წავიდა სირაძეებთან. ასე 8-9 საათი იქნებოდა, რომ დაბრუნდა სახლში მათ ბუღალსთან ერთად. მე და თენგიზი სულმოუთმენლად ველოდით, შევეგებეთ, გამოვართვით ბუღალს. ბაბუამ სული მოითქვა თუ არა, სახლის ზემოთ ჭასთან პატარა ვაკე ადგილი იყო. იქ გაგვიძღვა და ბუღალს მოიყვანა. იქვე სოლზე დააბა „...არ გაიქცეს ეს შობელქაღლიო“. „...ისე მართალი ხარ, ბაბუა, შეიძლება საპატარძლო არ მოიწონოს და გაიქცესო“, — თქვა თენგიზმა. დააყენე ეგ ენა და თუ გინდა დამეხმარე, თუ არადა წადი აქედანო“, — შეეპასუხა ბაბუა. ბაბუამ მე დამავალა საპატარძლო მისია, რათა ბოსელიდან მომეყვანა ჩვენი საყვარელი საპატარძლო. ამოვიყვანე დეკეული... ბაბუამ ისიც გრძე-

ლი თოკით სოლზე მიაბა. შემდეგ მე და თენგიზი და ბაბუამ მინდვრის არენა სამ ნაწილად დავეყავით და დავუდექით სადარაჯოდ, რომ ცხოველები არ გაქცეულიყვნენ. დეკეული თითქოსდა დუმილით მიხვდა, რასაც უპირებდნენ და გაქცევა არ უცდია, რომ იტყვიან თავისი დინჯი, ჭკვიანი თვალებით აკვირდებოდა ბუღალს. ბაბუამ მოხსნა ბუღალსოლიდან და დეკეულთან მიიყვანა. ერთი სიტყვით, სიტუაცია მეტად დაიძაბა. მე და თენგიზი მივედით სეირის სანახავად, მაგრამ, რომ იტყვიან, კოვზი ნაცარში ჩაგვივარდა. დეკეულთან მიყვანილმა ბუღალს, ისე რომ არ შეუხედავს მისთვის, ბალახის ძოვა დაიწყო... წამოვიყვანა ბაბუამ უკან ბუღალს, ერთი კარგად შეუკურთხა და ისევ დეკეულთან მიიყვანა, მეორედაც იგივე სცენა დატრიალდა, ბუღალს ისევ ბალახის ძოვა დაიწყო. აქ კი გაბრაზებულმა ბაბუამ მე და თენგიზს შეგვძახა: „...მოდით, თქვე მასხარებო, აქ ჩემთანო, მივიდა ბუღალსთან, მოჰკიდა ხელები მის წინა ფეხებს და „...დამეხმარეთ, ბუღალს უნდა შევსვით დეკეულზეო“. აბა ჩვენც რა გვინდოდა, მთელი ჩვენი ახალგაზრდული ძალითა და ღონით დავეხმარეთ ბაბუას ამ „კეთილშობილურ“ საქმეში. როგორც იყო შევსვით ბუღალს დეკეულზე. აქ კი სიტყვა არ მყოფნის და ვერც მეყოფა, „...ქიში, ქიში, ქიშის ძახილით რაღაცას უბრძანებდა თუ სთხოვდა ბაბუა ბუღალს. მაგრამ შენც არ მომიკვდე, როგორც კი შევეშვებოდი ბუღალსთან ჯაჯგურს, მშვიდად ჩამოხტებოდა დეკეულიდან და აგრძელებდა ბალახის ძოვას... ასე განმეორდა სამჯერ თუ ოთხჯერ. რომ იტყვიან, სამივეს სიქა გაგვიძვრა. ბაბუამ ცხოველები ისევ დააბა სოლებზე და იქვე მდელიზე ჩვენც წამოვჯექით. მახსოვს, ორ-სამ წუთს სიჩუმემ დაისადგურა... შემდეგ „ბრძენმა“ თენგიზმა თქვა ისე, რომ პირადად არავისთვის მიუმართია „...მე მგონი, ბუღალს ამ საქმისთვის (სქესობრივი კავშირისთვის) ჯერ მზად არ არისო.“ ბაბუამ სიჩუმე არჩია, ეტყობა ძლიერ დაილაღა, ხუმრობა ხომ არ იყო, მაშინ 80 წელს მიღწეული იყო. მე კი გადავხედე თენგიზს და ასევე წყნარად ვუთხარი „...შენ რა იცი, ამ ბუღალს მეტრიკა ხომ არ გვაქვს-მეთქი, ან რა იცი, ისინი ამ საქმისთვის როდის მნიფდებიან-მეთქი. ისიც დავაყოლე,

იქნებ ცოტა დავასვენოთ ეს ცხოველი, შემდეგ გავიკითხოთ მეზობლებში, შეიძლება რაღაც საშუალება (ბალახები) არსებობს, რომ ვაჭამოთ მისი სექსუალური პოტენციალის გაღვივებისათვის.“ აბა ვიაგრის შესახებ მაშინ ვინ რა იცოდა! აქ მოხდა რაღაც ჩემთვის წარმოუდგენელი რამ, ჩვენი წყნარი, ყოველთვის განონასწორებული, მშვიდი ბაბუ უცებ წამოხტა, ამ ბუღას ერთი ბეჭებში უთაქა და ისეთი ეპითეტებით დაიწყო მისი ლანძღვა, რასაც არასოდეს არ ველოდი და ისიც რატომღაც რუსულ ენაზე „შე პიდარასტო შენაო“, „შენ კი არა, შენი პატრონები არიან პიდარასტებიო, პიდარასტები იყვნენ და პიდარასტებად დარჩებიანო, აბა რაჭიდან კარგ ხალხს ვინ გამოაძევებდაო... ერთი რამდენიმე რუსული გინებაც მიაყოლა... გამიკვირდა, საიდან იცის ბაბუამ ასე კარგად რუსულად გინება-მეთქი. თენგიზმა ყურში მიჩურჩულა: ბაბუა პირველ მსოფლიო ომში ჯარში იყო განვეული, მოვლილი აქვს მთელი ევროპა და ეს სანიმუშო „განათლება“ იქ მიიღო.

უცებ დაწყნარდა ბაბუ, ხელი ჩაიქნია, და წავიდა სახლში. ჩვენ ავსენით საქონელი და ბოსელში დავაბინავეთ. სახლში აივანზე რომ ავედით ჩვენს „**ЗОЛДАТ**“ ბაბუას უკვე ეძინა (ყოველდღე თორმეტიდან სამ საათამდე ეძინა ხოლმე). თენგიზს და მე „შეგვეცოდა“ ბაბუა და დიდი თხოვნის შემდეგ დავითანხმეთ, რომ დილას ჩვენ ჩავუყვანდით სირაძეებს მოზვერს. მართალი გითხრათ, იმის იმედიც არ გვქონდა, რომ სირაძეებთან ბაბუას შეხვედრა მშვიდობით დამთავრდებოდა. გავიდა ოთხი-ხუთი დღე. დილით რომ ავდექით, სახლში არც ბაბუა და არც მოზვერი არ დაგვხვდა. ბებუამ გვითხრა, საპატარძლო დეკეული აქვე სამ-ოთხ კილომეტრში წაიყვანა აბულაძეებთანო, როგორც უთხრეს, ამ აბულაძეებს ყოლიათ საკმაოდ განსწავლული და პრაქტიკაში გამოცდილი მოზვერიო. მართლაც ერთ-ორ საათში დაბრუნდა სახლში. სახეზე მოზვერსაც და ბაბუასაც დიდი „კმაყოფილება“ ეტყობოდათ, რაც იმაში გამოიხატა, რომ ცხრა თვეში ჩვენმა საყვარელმა ძროხამ შესანიშნავი ბოჩოლა მოიგო. რითაც გაგვახარა მთელი ოჯახი.

ძველი, თბილისური ჩანახატები

*ედღვნება ჩემს შვილიშვილებს:
ნიკოლოზს, დიტოს, ანამარიას,
და მათ შვილებსა და შვილიშვილებს...
ღმერთი გფარავდეთ, ჩემო საყვარელო ხალხო!
ყოველგვარი ხიფათისა და განსაცდელისაგან
გიხსნათ უფალმა... ამინ!..*

თქვენი ბაბუ, ჯემალ ფოცხვერია

*დეკემბერი, 2014 წელი
თბილისი*

მართლაც რომ უცნაური, შეიძლება ითქვას, განუმეორებელი ბავშვობა გაატარა ჩემმა თაობამ, დაბადებულმა გასული საუკუნის 30-40-იან წლებში.

არ მახსოვს ჩემი თანატოლების — და არც არავის — ხელში მაშინ რაიმე სათამაშო, მალაზიაში რომ იქნებოდა ნაყიდი...

ეს ახლაა გადაჭრელებული მარკეტები ათასგვარი გასართობით, ინტელექტუალური, ბავშვის განვითარებისათვის შექმნილი კონსტრუქტორებით და... რა ვიცი, რითი აღარ.

ის კი არა, მახსოვს, ხანდახან დედას მივყავდი ასეთ მალაზიებში, მაგრამ სათამაშო იქაც არ მინახავს თაროებზე.

გოგონები თვითონ კერავდნენ გაცვეთილი ნაჭრებისგან თოჯინებს, მაგრამ... მათ მხოლოდ ბავშვურ ფანტაზიაში თუ დაერქმეოდა „თოჯინა“... ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მაშინ სათამაშოები საერთოდ არ არსებობდა. ცხადია, იყო, ოღონდ მხოლოდ იმ მალაზიებში, რომლებზეც ე.წ. პრივილეგირებული კლასისა და პარტიული ნომენკლატურის

წარმომადგენლებს მიუწვდებოდათ ხელი. შესაბამისად, თოჯინებიცა და სხვა გასართობებიც მათი ბავშვების ფუფუნება გახლდათ, მე და ჩემს მეგობრებს კი მათთან საერთო არაფერი გვქონდა... როგორც ყოველთვის და ყველა დროში, თანასწორობის იდეებით გამსჭვალულ საბჭოთა ეპოქაშიც არსებობდა საზოგადოების კლასობრივი ფენები, რომელთაც გარემოც განსხვავებული ერგებოდათ და გარემოცვაც. მოგვიანებით მივხვდი, რომ ასეთივე მატერიალური „პრივილეგიებით“ სარგებლობდნენ ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს მუშაკთა ოჯახებიც და, ალბათ, მათი შვილებიც.

იმასაც მოგახსენებთ, რომ დიდად არ განვიცდიდით ჩემი უბნის ბავშვები მითებში გამოხვეული სათამაშოების უქონლობას...

ჩვენ ჩვენი გამომგონებლები გვყავდა ამ სფეროში.

ზოგიერთი სათამაშო შეიძლება უფროსი თაობის შექმნილიც ყოფილიყო, რადგან ჩვენი მამების უმრავლესობაც ასეთივე სიდუხჭირეში გამოეზარდათ მშობლებს — რას იზამ, ქვეყანაში სოციალიზმი შენდებოდა და ჩვენთვის, უბრალოდ, არავის ეცალა.

ასეთი თამაშობებიდან — მით უმეტეს 1941-45 წლებში — ყველაზე გავრცელებულად ითვლებოდა „ომობანა“. ურთიერთშეთანხმების შემდეგ, რაც ძალიან ძნელი მისაღწევი იყო, ბავშვების ჯგუფი ორად იყოფოდა. პირველი — წითელი არმიის მებრძოლებად ან პარტიზანებად და მეორე — გერმანულ-ფაშისტთა მეომრებად. აი, აქ ატყდებოდა ხოლმე ყველაზე დიდი კამათი და ხმაური — არავის უნდოდა გერმანელი ფაშისტი ყოფილიყო.

დიდი „მოლაპარაკებებისა“ თუ „კომპრომისების“ შემდეგ მაინც იწყებოდა „ომი“.

ჩავფრებოდით ტანკსაწინააღმდეგო თხრილებში — მაშინდელი თბილისის ქუჩებში ასეთი ორმოების პოვნა ძნელი არ იყო — ე.წ. „აკოპებში“ და ვუშენდით ერთმანეთს პატარა ქვებს და მინის ბელტებს, ანუ ყუმბარებს, შემდეგ

„ურაას“ დახილით, „ხელჩართულ ბრძოლებში“ ვიპყრობდით „გერმანელთა“ პოზიციებს. „მტერი“ დიდ წინააღმდეგობას არ გვინევდა. აბა, ფაშისტები ხომ არ გაიმარჯვებდნენ?! მოგებულები ტყვეებს წამოვიყვანდით და დაკითხვას ვუწყობდით...

ახლა თქვენთვის ალბათ გაუგებარია, რა საბავშვო გასართობი ეს იყო, მაგრამ ჩვენ კი გულიანად ვხალისობდით, იმითაც ამაყნი, რომ „მტერი“ ჩვენს ბრძოლის ველზე დავამარცხეთ.

თუ თამაშის გაგრძელება გვინდოდა, ჩვეულებრივ, მოთამაშეები საპირისპირო პოზიციებს ვიკავებდით, რადგან ორჯერ არავის სურდა გერმანელობა და ფაშისტობა. ყველაზე სასაცილო ისაა, რომ წარმოდგენა არ გვქონდა, ვინ და რა იყო ფაშისტი, ყველამ მხოლოდ ის ვიცოდით, რომ საბჭოთა ქვეყნის მტრები იყვნენ, რომელთაც ჩვენი მამები წამდვილ ომში ებრძოდნენ.

ერთი ადამიანური დეტალი უნდა გავიხსენო: ომში დაღუპულ მეომართა შვილებს არასოდეს ვთავაზობდით ფაშისტთა რაზმში ყოფნას...

გამორჩეულად მაინც „კოჭობანას“ თამაში გვიყვარდა.

თითოეულ ჩვენგანს, დაახლოებით, ათამდე კოჭი ჰქონდა. ყველაზე მეტად ის ყოყონობდა, ვისაც „საუკეთესო“ „ჯილა“ კოჭი მოეპოვებოდა. ის ნახევარი მეტრის სიმაღლიდან უნდა აგეგდო და მიწაზე „ჯილად“ ანუ გამართულად დაცემულიყო. თუ მონინააღმდეგის კოჭი ბრტყლად დაეცემოდა, მოგებული იყავი და, შეთანხმების მიხედვით, წაგებულს კაკალი ან თხილი უნდა მოეცა. მეორე სახეობა „კოჭაობისა“ ასეთი იყო:

მიწაზე განლაგებულ 5, 7 ან 10 კოჭსა თუ კაკალს 5-6 მეტრით უნდა დავშორებოდით და ჩვენი „ჯილა“ დამიზნებით გვესროლა ამ მწკრივისათვის. მთავარია, კოჭთა ან კაკალთა რიგი ისე დაგვეშალა, რომ რაც შეიძლება კარგად მიმოფანტულიყო. აგებდა ის, ვინც ააცილებდა...

ამ თამაშის თავისებურება ის გახლდათ, რომ ჩვენი

დედები და ბებიები „კრიმინალურად“ მიიჩნევენ და ამით გართობა ნებადართული არ გვქონდა. ამიტომ „არალეგალურად“, მიმდებარე ე.წ. „ოხერ“ ბაღში, მალულად ვიქცევდით თავს „კოჭაობით“. მე მქონდა საგანგებო სამალავი, სადაც ვინახავდი მოგებულ კოჭებს ან კაკალს. ღმერთს არ ექნა და... ბებია მართას არ ენახა, თორემ აუცილებლად სამაგალითოდ დამსჯიდა. დასჯის უმაღლესი ფორმა კი იყო ფრაზა:

— შენ ჩემი შვილიშვილი აღარ ხარ!..

ამ „ჩაჩნებთან“ (ასე ეძახდა ყველა არაქართველ ბავშვს. აქ ბებია ნამდვილად სცოდავდა თავისი ე.წ. „ნაციონალისტური“ გამოხტომებით. როგორც შემდეგში გავიგე „ჩაჩნები“ ჩეჩნებს ნიშნავდა, რომლებიც ზუგდიდში ჩადიოდნენ სეზონურ სამუშაოებზე) როგორ გაბედე თამაში, შენც მათნაირი ხარო, — და მერე რამდენიმე დღე, როცა ველაპარაკებოდი, ამაყად და პირქუშად დამყურებდა, არაფრით არ გამიცინებდა, არ მომეფერებოდა, მე კი მისი ზღაპრები და ალერსი ძილის წინ ყველაფერს მერჩივნა. ამიტომ ვეშმაკობდი და, რაკი „კრიმინალურ“ თამაშს ვერ ველეოდი, საშალავში ვჩურთავდი „მონაგებს“.

ხანდახან იმდენი კაკალი მიგროვებოდა, ერთ ქვაბსაც ვიყვანოდა, მაგრამ სული არასოდეს ნამძლევი და არ მიჭამია — ბევრი მაინც — ეს მოგებული კაკლები. ბებოსთან თავის მოწონება ძალიან მიყვარდა, მაგრამ ამ „ნარმატებით“ ნამდვილად ვერ დავიტრაბახებდი.

რა თქმა უნდა, მაინც შემომირიდებოდა...

მე კი... გავიდოდა ხანი და ისევ „ვცოდავდი“.

მრავალჯერ დავარღვიე მისთვის მიცემული პირობა და არაერთხელ „გადააბიჯა სიამაყეს“ უმძრახად მყოფმა, განწყენებულმა ბებომაც. რას იზამ, ასეთი იყო ცხოვრება.

ჩვენი დროის ბავშვურ თამაშობათა გამორჩეული ნიმუში, რომლის გამოგონების სახელი და გვარიც, სამწუხაროდ, არ შემოგვრჩა, იყო „ავჭალურით კენწლაობა“ (ახლა ეს ტერმინიც აღარ არსებობს ქართულ ენაში).

ავჭალურის „ბურთს“, დაახლოებით, 12-14-სანტიმეტრიანი ნაჭერი სჭირდებოდა — საუკეთესო შემთხვევაში, მაკაცის უკვე უფარგისი, გადაჭრილი წინდა: ერთ მხარეს შიგნიდან გამოვკერავდით, შემდეგ ჩავყრიდით სახლიდან „მოპარულ“ ლობიოს ან სიმინდის მარცვლებს — ერთი მუჭა საკმარისი იყო — ოსტატურად ამოვკემსავდით შიგნიდანვე და მივიღებდით 10X40X50 სმ-ის ე.წ. „ავჭალურს“, რომელსაც ვაკენწლავებდით ფეხით:

ა) წინ გამონვდილი ტერფით; და

ბ) ტერფის შებრუნებული ნაწილით.

„ოსტატობის“ მწვერვალად მიიჩნეოდა ორივე ფეხის სინქრონული მოძრაობით კენწლაობა. ამის დიდოსტატი გახლდათ ჩემი მეზობელი, გურამ კოდუა.

მონაწილეთა რაოდენობა განსაზღვრული არ იყო. გამარჯვებულად ითვლებოდა ის, ვინც უფრო ბევრჯერ აკენწლავედა ბურთს. თამაშის შემდეგ „ავჭალური“, სპორტული ინვენტარის ეს იშვიათი ნიმუში, გამარჯვებულს ჯილდოდ გადაეცემოდა. მახსოვს, საშუალოდ 100-200 ან მეტ „კენწლს აკეთებდა“ თითოეული მოთამაშე...

ქუჩაში ჩვენს სეირნობასა და ხეტიალს — ცხადია, თუ ნაჭრის ბურთი არ გვქონდა — სავსებით ავსებდა „სიპი“ ქვით (ანუ Салка-თი) თამაში. ორ, სამ ან მეტ მოთამაშეს სპორტულ არსენალში ყოველთვის გვქონდა ბრტყელი, ოვალური ქვა, რომელიც ასეთი ფორმის გამო კარგად გაცურდებოდა, მითუმეტეს ასფალტზე. ჯერ ერთი მოთამაშე გააცურებდა ქვას, რაც შეიძლება შორს, მეორე მოთამაშეს კი უნდა ეცადა, მისი ქვა გასრიალებისას პირველს მოხვედროდა და კიდევ გადაადგილებულიყო, ასე 5-7 მეტრით მაინც. თუ ამას მიაღწევდი, ნაგებული იძულებული გახლდათ, ზურგზე შეესვა მოგებული და ასე დაეფარა მანძილი ქვებს შორის.

როგორც მახსოვს, ყველაზე „შეურაცხმყოფელი“ ის იყო, რომ მონაწილედ გე ზურგზე შეგდომისას ფეხებს მხიარულად აფართხალებდა და გაჰყვიროდა: აჩუ, აჩუ ვიროოო.

თუ ხუთი-შვიდი ბავშვი მაინც შევიკრიბებოდით, „გრძელი ვირის“ თამაში არ აგვცდებოდა: თამაშის წესი „ბარბაროსული“ იყო. სამ-ოთხ მოთამაშეს, რომლებიც წელში მოხრილები ერთმანეთს გადაექდობოდნენ, ზურგზე შეახტებოდა მეოთხე, ისე, რომ თავი შეეკავებინა და „ვირიდან“ არ გადმოვარდნილიყო. თუ ვერ შეძლებდა, „ვირის“ რიგებს შეავსებდა. ასეთი ერთსაათიანი გართობის მერე ნამდვილად წელი გეტკინებოდა და თამაშს წყვეტიდა...

ვისაც ლახტი არ უთამაშია, მგონია, ბავშვობა არ უგრძვნია-მეთქი. ეს არის ძალიან დინამიკური, კომუნიკაბელური თამაში, რომელიც სისხარტისა და მოქნილობის გარდა, არტისტიზმსაც მოითხოვს. როგორც მახსოვს, მისი სანყისები წინა საუკუნეებიდან შემორჩენია ქართულ მეხსიერებას და სპორტულ გამოცემებშიც არის მოხსენიებული, ამიტომ წესების ახსნით თავს არ შეგანყენთ, ერთს კი გეტყვით, რომ საკმაოდ დამღლელია, ემოციური და შთაბეჭდილებებით სავსე და წაგების შემთხვევაში გვარიანადაც აგიჭრელებენ სარტყლით მუხლებს. თუ მოწინააღმდეგეებმა ჩაგიგდეს ხელთ და შენი გამოთრევა უნდათ ლახტის წრიდან, მაშინ ვაი, შენს დღეს, აქედან ფეხებში გწვდებიან საკუთარი თანაგუნდელები და ლახტის წრის შიგნით შეთრევას ცდილობენ, იქიდან მოწინააღმდეგე ჩაგჭიდებიან თავში და მთელი ღონით გარეთ გექაჩებიან...

არა, ნამდვილად არ მახსოვს, ვინმე გაეხლიჩოთ ამ განვე-გამონევაში, თუმცა „დაჭერილი“ მოთამაშე იგრიხებოდა, იკლაკნებოდა, სტკიოდა და გაჰყვიროდა: გამიშვიოთ ხელი, ნუ მომკლავთო. ეს კი მოწინააღმდეგეთა და მათგან ბელთა დიდ მხიარულებას იწვევდა. ამასობაში კარგად ამოიგანგლებოდი მტვერში, შეასაძლოა ტალახშიც, ამიტომაც მშობლები გვიკრძალავდნენ ამ ჩვენი ისედაც მწირი გარდერობისთვის საზარალო თამაშს — ჩვენი ერთადერთი შარვალი და მაისური ნაფლეთებად რომ არ ქცეულიყო.

მე თუ მკითხავთ, „ლახტს“, ამ ეროვნულ თამაშს, ახლაც სჭირდება პოპულარიზაცია. ჩვენს ზეზეულად მძინარე

შვილიშვილებს ცოტა მაინც გამოაფხიზლებდა. ვფიქრობ, შესანიშნავი იქნება, თუ ოლიმპიური თამაშების სახეობადაც დანერგავენ. აქ შეიძლება გადავაჭარბე, მაგრამ „ლახტის“ თამაშის სიყვარულმა გადამძლია. ისე „ლახტი“ ძველი საუკუნეების მათიანებშიც არის მოხსენიებული და ამიტომ მხოლოს ქართული ფენომენი უნდა იყოს. ამდენად, ვიდრე მეზობელ, ჩვენზე გადაკიდებულ „მეგობარ ერს“ მიუსაკუთრებია, ჯობს, ალბათ, დავაპატენტოთ!

ერთი გართობაზეც გიამბობთ, რომელსაც „ფოლაქობა-ნა“ ერქვა. ყველას მაინც ვერ ჩამოვთვლი და ალბათ არც არის საჭირო. ქალაქი კი იტანს ყველაფერს, წერე და წერე რაც გინდა და რამდენიც გინდა, მაგრამ თქვენს მოთმინებას ვუფრთხილდები, მკითხველო...

არ ვიცი საიდან და რა მანქანებით, მაგრამ ყველა ბავშვს გვექონდა სხვადასხვა ზომისა და რაოდენობის ლილები — ფოლაქები. როგორც ვიცი, არც ამ თამაშის ავტორია ცნობილი, მაგრამ თუ ვინმეს ამისათვის ძეგლს დაუდგამენ — რა ვიცი, ათასი ჭკუის კაცია ამ ქვეყანაზე და შეიძლება რომელიმე ოლიგარქის თავში ასეთი აზრიც მომწიფდეს — ერთ-ერთი მომხრე მეც ვიქნებოდი.

პრინციპი ასეთია:

ორი ან მეტი მოწინააღმდეგე, რომლებსაც ჯიბეში აქვთ გარკვეული რაოდენობის ლილები, არჩევს კედელს — უმჯობესია, ქვით ამოშენებულს — რომელთანაც ითამაშებენ. როგორც წესი, ქვაზე შემორტყმული ბრტყელი, ნიკოლოზის დროინდელი შაურიანი ან სპილენძის ფული კარგად აისხლიტება და დაახლოებით 1-1,5 მეტრზე ვარდება. ჯერ პირველი მოთამაშე შეასრულებს ამ ილეთს, მეორემ კი ისეთი ოსტატობით უნდა შემოარტყას სპილენძის ან ფოლადის ფული კედელზე, რომ მოწინააღმდეგის მონეტასთან ახლოს დავარდეს. მიხვალ, დააზომავ მტკაველს და თუ შენი თითები ორივეს შეეხო, მოგებული ხარ. შეთანხმების მიხედვით, ყულაბა ერთი, ორი ან მეტი ლილით შეგვესება. ამ თამაშში ოსტატობის მწვერვალია, თუ კედლიდან ასხლეტილი მონ-

ეტა, რომელსაც ბავშვები **копца**-ს ვუნოდებდით, ზუსტად მონინალმდევისას დაეცემა. ეს სამმაგ მოგებას ნიშნავს და ამის დიდოსტატებიც ბევრი გვყავდა უბანში. მათი პაექრობა დიდ ინტერესს იწვევდა. თამაში დამთავრებულად ითვლებოდა, როცა ერთ-ერთ მოთამაშეს ღილები გაუთავდებოდა. ჩემი „რეკორდი“ მაშინ დავამყარე, როდესაც ბავშვობის მეგობარს, ოთარ კობრეიძეს, თამაშის გასაგრძელებლად რამდენჯერმე ჩამოვატანინე სახლიდან ღილები. შემდეგ უფროსი ძმა თამაზი წამოეხმარა, მაგრამ, ეტყობა, იმ დღეს ფორტუნა ჩემს მხარეს იყო — ორივე „დედიშობილად“ გავფცქვენი. გამარჯვებით გაყოყონებული დავბრუნდი შინ, სამალავში მოვათავსე მონაგარი და ბებიას მორთმეულ სადილის შევექცეოდი, ეზოს კარიდან რომ მომესმა ძმების ხმა, ჩამოდი, თამაში გავაგრძელოთ... თავი რომ არ შეგანწყინოთ, გეტყვით, რომ საჩქაროდ მივაშურე ჩემს სამალავს და გავუტანე მათი წაგებული ფოლაქები, რადგან თუკი შინ რამე ტანსაცმელი ჰქონდათ, მათ შორის მშობლების, ყველაფერზე აუჭრიათ ღილები...

— თავი დამანებეთ, ბებია არ გაიგოს თქვენი მოსვლის მიზეზი-მეთქი, — ვუთხარი და სასწრაფოდ ამოვბრუნდი შინ, რადგან მის თვალში ამ თამაშსაც „კრიმინალური“ იარაღი ჰქონდა აკრული.

შემდეგ, ყმანვილკაცობაში, არა ერთხელ იუმორით მომიყოლია ძმების თანდასწრებით, რა დღეში ჩავყარე მაშინ კობრეიძეები და ბევრიც გვიცინია ბავშვობის მოგონებებზე... ერთი სიტყვით, მთელი ოჯახის გარდერობი ღილებ-ბაჭრილი დავტოვე!

ისე, დიდი გამომგონებელი ბებია მყავდა, მართა ჩიქოვანი.

სამი-ოთხი წლის ვიქნებოდი, ბანქოს, ნარდის, ჭადრაკის თამაში რომ შემასწავლა და მზად იყო, მთელი დღე ამით შევექცეო, ოღონდ, როგორც მოგახსენეთ, ქუჩაში არ გავსულიყავი, „იმ ჩაჩან ბავშვებთან“.

როცა წამოვიზარდეთ, ასე 14-15 წლიდან, თუ წვიმიანი

ამინდი იყო, ტურნირებს ვმართავდით ჭადრაკში, ბანქოში, ნარდში. ეს ჩვენი ინტელექტუალური გასართობი გახლდათ...

ეზოში თითქმის ყველა ერთ კლასს — მატერიალურად ხელმოცარულთა ფენას მივეკუთვნებოდით. უმეტესობას თითო ოთახი გვებადა საცხოვრებლად და რაც მეტი კვადრატული მეტრისა იყო, მით უფრო დიდი ბინის პატრონად ითვლებოდი.

საპირფარეშო ერთი გვექონდა ორსართულიან სახლში, ერთი ცივი წყლის ონკანით თითოეულ სართულზე, სადაც დაახლოებით 11-12 ოჯახი ცხოვრობდა, საერთო ჯამში, 35-40 ნევრით...

ახლა თვითონ წარმოიდგინეთ ჩვენი საცხოვრებელი და სანიტარული პირობები. საბედნიეროდ, არცერთი ბავშვი არ დაავადებულა რაიმე ინფექციური სნეულებით, რადგან იმაში მაინც გაგვიმართლა, რომ აბანოთუბანში ვცხოვრობდით და რამდენიმე კაპიკის საფასურად გოგირდის ცხელი აბანოები კვირაში ერთხელ ან ორჯერ ჩვენს განკარგულებაში იყო...

უკვე გითხარით, რომ მაშინ ბიჭებს, ბურთი რა იყო, ისიც კი არ გვექონდა. დაახლოებით 40-იანი წლების დასასრულამდე ფეხბურთის სათამაშოდაც ნაჭრის ბურთებს ვკერავდით.

ასეთი ბურთების მკერავი და შემკონინებელი გახლდათ ჩემი ძმა ანზორი. სადღაც მონახავდა გადაყრილ ნაჭრის ან შალის ნინდებს, დატენიდა ნაპოვნი, გამოუსადეგარი ქსოვილებით და დიდი გულმოდგინებით ცდილობდა, მრგვალი ფორმა მიეცა. შემდეგ ვინმე ღვთისნიერი მეზობელი, ან სულაც ბებია, გვათხოვებდა ნემსსა და ცოტაოდენ ძაფს, რომ შეძლებისდაგვარად ამოგვეკერა ეს „ხელოვნების ნიმუში“ — მოგესხენებათ, ნემსი და ძაფიც დეფიციტი იყო მაშინ და ყველა ქალი უფრთხილდებოდა. ცხადია, ასეთი „ბურთი“ ვერაფრით მიიღებდა სრულყოფილ ფორმას, მაგრამ რა გვექნა, ამითაც ვკმაყოფილდებოდით... ყოველ

შემთხვევაში, იმ დროისათვის ესეც „სპორტული დიზაინის“ მწვერვალი გახლდათ.

ახლა წარმოიდგინეთ ამ „ბურთით“ თამაში უსწორმასწორო, ხრეშიან, აგურის ნატეხებით და აქა-იქ წყლის გუბეებით მოფენილ გზაზე. ფეხბურთი ასეთ „მოედანზე“ შეიძლება დღეს ფანტაზიის სფეროც ეგონოს ვინმეს, მაგრამ ჩვენთვის ეს ასპარეზობა სიხარულისა და სპორტული ჟინს დღესასწაული იყო. ისიც უნდა ითქვას, რომ ფეხსაცმლის დასაზოგავად, ფეხშიშველნი ვაგორავებდით ამ „ბურთს“ და „კომბინაციური“ ხრიკებით კარშიც კი გაგვექონდა. ვისაც თვითონ არ უთამაშია, ვერ წარმოიდგენს, ეს რას ნიშნავდა. ყველაზე მტკივნეულ ტრავმას მაშინ იღებდი, თუ მოქნეული ფეხი ბურთზე აგიცდებოდა და შიშველი თითებით მთელი ძალით ხრეშს მიეხეთქებოდი. ჰო, სული გვიმწარდებოდა, მაგრამ ამის გამო ფეხბურთის თამაში არავის მიუტოვებია. ის კი არა, გუნდში მოხვედრა კონკურსით განისაზღვრებოდა. „მონინალმდეგენი“ ჯერ კაპიტნებს ვირჩევდით, ისინი კი „ფეხბურთელებს“ ჩვენ შორის...

ამ ამბავმა გამახსენა კალკუტის ფეხბურთელთა გუნდი, გასული საუკუნის შუა 50-იან წლებში რომ ჩამოვიდნენ თბილისში ფეხბურთის ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად თბილისის „დინამოსთან“. აბა, ასეთ საერთაშორისო მნიშვნელობის მატჩს უბნის ბიჭები როგორ გავაცდენდით და თითქმის ყველანი წავედით თამაშის სანახავად. 15-16 წლამდე არ მახსოვს, მატჩზე დასასწრები ბილეთი მეყიდოს. ავირჩევდით სტადიონზე „შეპარვის“ მეთოდს, რომლებზეც ქვემოთ მოგახსენებთ და, საფეხბურთო ბატალიების დანყებად, მზესუმზირით ვიქცევდით თავს.

როგორც იქნა, გაისმა ყველასათვის ცნობილი, საბჭოთა ფეხბურთის დანყების შესავალი მელოდია და ძველი სტადიონის გვირაბიდან, რომელიც მაშინ განთავსებული იყო აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ტრიბუნათა გასაყარზე, გამოჩნდნენ თბილისის „დინამოსა“ და კალკუტის საფეხბურთო გუნდები. გამოჩენით კი გამოჩნდნენ და მიიზინეს

მოედნის ცენტრში, მაგრამ...

ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ კალკუტის გუნდი თხუთმეტწუთიან მოთელვაზე არ გამოსულა, რამაც ძალიან გაგვაკვირვა, თუმცა ეს პირველი გაოცება სადღა გვახსოვდა, როცა დავინახეთ მოედნის ცენტრში ჩამწკრივებული ინდოელი ფეხბურთელები... ჰოი, საოცრებავ, ფეხშიშველნი — არც ერთს ბუცები არ ეცვა.

საყოველთაო სიცილმა და ხარხარმა აიტანა მთელი სტადიონი.

გაოცებულნი ახლა უკვე ეს „სანყალი“ ინდოელები იდგნენ. ვერ გაეგოთ, რა ხდებოდა. როგორც იქნა, მოედანზე გამოჩნდა თარჯიმანი, რომელიც გამალებით უხსნიდა რალაცას, ისინი კი თავს აქეთ-იქით ატრიალებდნენ, ხელებსა და ფეხებს იქნევდნენ...

თამაშის დანყება რამდენიმე წუთით გადაიდო.

ინდოელი „ფეხბურთელები“ გასახდელში დააბრუნეს.

ალბათ 15-20 წუთში გამოჩნდნენ კვლავ მოედანზე, ოღონდ ამჯერად ყველას ბუცები ეცვა. რადიომ გვამცნო, რომ ინდოელები თავიანთ ქვეყანაში ფეხბურთს, როგორც წესი, ფეხშიშველნი თამაშობდნენ..

აბა, ამის შემდეგ რა „ფეხბურთი“ უნდა გვენახა. ინდოელები ისე

გამოიყურებოდნენ, როგორც საქართველოს ნაკრები ჰოკეიში, პირველად რომ ჩააცვეს ციგურები და მხოლოდ პირდაპირი გზით სვლა ასწავლეს, ისიც ჰოკეიჯოხზე დაყრდნობით.

სწორედ ასეთი ჰოკეის გუნდი შექმნეს საქართველოს სპორტის მესვეურებმა 60-იანი წლებში, ათამაშეს საბჭოთა კავშირის რომელიღაც „ჭ“ ჯგუფში, სადაც ყველა მატჩი ასტრონომიული ანგარიშით წააგეს.

ასეთი ფაქტებიც მომხდარა საქართველოს სპორტის ისტორიაში.

ახლა დავუბრუნდეთ ჩვენს ინდოელ ფეხბურთელებს.

საბრალონი, ძლივს მოძრაობდნენ მოედანზე, ბუცებს

მიუჩვეველნი ხშირად ეცემოდნენ. აბა, რა ფეხბურთი გამოვიდოდა, მით უმეტეს, რომ მაშინდელი თბილისის დინამო საკმაოდ ძლიერი ძალა იყო საბჭოთა ფეხბურთში, დიდოსტატი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული: მარლანია, ძიაპშა, შავგულიძე, ანთაძე, ჯეჯელავა, პაიჭაძე, ლოლობერიძე და სხვები.

ასე რომ, სპორტული თამაში ვერა, მაგრამ სპორტული შოუ კი ნამდვილად ვნახეთ. სიცილსა და ხარხარში ძლივს მიიტანეს ინდოელებმა ორჯერ ჩვენს კარამდე ბურთი და კალკუტელებს დიდი ანგარიშით — მგონი 15:2 — მოუფეთა.

შემდეგ, როდესაც გავიზარდე და ასე თუ ისე გავეცანი ფეხბურთის წარმოშობის ისტორიას, გამიკვირდა. ინდოეთი ხომ ასწლეულების განმავლობაში იყო სპორტის ამ სახეობის სამშობლოს, ინგლისის კოლონია და ნუთუ ვერ ასწავლეს საბრალოთ, როგორ უნდა ეთამაშათ ფეხბურთი ბუცებით. საბჭოთა პროპაგანდა, ალბათ, კაპიტალიზმისა და იმპერალიზმის ხრიკებად განიხილავდა ამას. თუმცა, როგორც მერე გავიგე, ამ გუნდს მოსკოვშიც ჰქონია შეხვედრა, მაგრამ ვერსად მივაგენი საინფორმაციო წყაროს, ვისთან ითამაშეს და როგორ, საბჭოთა ფეხბურთის ისტორიიდან უბრალოდ ამოღებულია ინდოელ ფეხბურთელთა „ვიზიტი“ სსრკ-ში. ისიც გასაკვირი იყო, რატომ „აგვიგდეს“ ასე იქ, „ზემოთ“, ასეთი გუნდი რომ გვაკადრეს.

დავუბრუნდები ჩვენს ბავშვობისდროინდელ „ბურთს“ და პირველ

ნაბიჯებს დიდ ფეხბურთში.

არ მახსოვს, რამდენი წელიწადი ვთამაშობდით ნაჭრის ბურთით, თუმცა ჩვენი უბნის თანაგუნდელთაგან სამმა შემდგომში პროფესიონალურ ფეხბურთში გააგრძელა კარიერა, ერთმა — თბილისის ლოკომოტივში, ორმა კი რუსეთის პირველ ლიგაში.

დაახლოებით 50 წლების შუახანს გამოჩნდა ახალი ე. წ. „ლოსის“ ბურთი, რომელიც ნაჭრისასთან შედარებით პროგრესული რამ იყო, ოღონდ ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა —

წვიმის დროს თუ დასველდებოდა, საშინლად იცვლიდა ფორმას, ალაგ-ალაგ იბურცებოდა, ელიფსისებრ, 10-15-კილოგრამიან საზამთროს დაემსგავსებოდა და შუა თამაშისას სკდებოდა, იფუშებოდა ისე, რომ აღდგენას აღარ ემორჩილებოდა. თანდათანობით გაჩნდა ტყავისებრი მატერიის ბურთებიც, რომლებიც რეზინის კამერით იბერებოდა. ყოველი თამაშის წინ უნდა გაგებერა და შუაში თასმებით შეგეკრა, მაგრამ რად გინდა — რეზინის კამერა ხრეშიან მოედანზე გორაობისას ან ეკალ-ბარდებში გადავარდნისას იჩუტებოდა ხოლმე. შემდეგ ვისწავლეთ ამ კამერის დანებება, რათა ცოტა ხანგრძლივად გამოგვეყენებინა.

60-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა იმ დროისათვის საუკეთესო ტყავის ბურთი, რომლითაც უკვე ყმანვილკაცები ვთამაშობდით საქალაქო, სარაიონო, საინსტიტუტო ტურნირებზე, მაგრამ ეს უკვე სხვა ფეხბურთი იყო და დროც სხვა იდგა დედამიწაზე. შვილები რომ შემეძინა, რანაირი ბურთი არ მქონდა შინ — ზოგი ნაყიდი, ზოგიც სახელოვან ფეხბურთელთა ნაჩუქარი, რომლებსაც 70-იანი წლების დასაწყისში დავუმეგობრდი, მაგრამ უკვე სხვა ვითარება იყო, ჩვენი შვილები აღარ სწყალობდნენ უბანსა და ქუჩას და ეს ბურთებიც მხოლოდ სუვენირებად ამშვენებდა ოთახის ინტერიერს.

„შატალო“ ბავშვობისდროინდელი გართობისა და დროსტარების ერთ-ერთი საშუალება გახლდათ, განსაკუთრებით ორშაბათობით, როცა კინოთეატრებში ახალი ფილმი გადიოდა. თუ კინოდარბაზს არა, მაშინ თბილისის ზღვას, კუს და ლისის ტბებს ვსტუმრობდით, ან ტრამვაიზე ჩამოკიდებულნი ვმგზავრობდით.

სატრანსპორტო საშუალებანი მაშინ ძალზე მწირე იყო. ხშირად ფეხით ავუყვებოდით ხოლმე გზას ვაკის პარკის ბორცვებიდან კუს ტბამდე ან საბურთალოს აღმართიდან ლისის ტბამდე. თბილისის ზღვაზე, ალბათ, საათში ერთი ავტობუსი ადიოდა და გაჩერებაზე დიდი მარიფათი უნდა გამოგეჩინა ტრანსპორტში მოსახვედრად. იყო ერთი გან-

ევ-გამონევა, ხანდახან ჩხუბიც... მერე კი ავტობუსში ასი თვალი უნდა გქონოდა, რომ კონდუქტორის თვალსაწიერში არ მოხვედრილიყავი — აბა, ბილეთის ფული სად გვექნებოდა. საუბედუროდ, ასეთი უბილეთო მგზავრობის მსურველი არცთუ ცოტა იყო და, თუ კონდუქტორი გამოგიჭერდა, ავტობუსიდან ან ტრამვაიდან ჩამოსმა არ აცდებოდა.

მრავალფეროვანი კი იყო ჩვენი ბავშვობის სპორტული ცხოვრება.

თუკი სურვილი გქონდა, თავისუფლად ჩაენერებოდი რომელიმე სპორტულ სექციაში. ასე მოვიარე ფარიკაობის წრე — ფრანგული ფილმის „სამი მუშკეტერის“ ნახვის შემდეგ — ცოტა ხანს ცურვაზეც დავდიოდი, შემდეგ კალათბურთმა გამიტაცა და ა.შ. თუმცა ფეხბურთი ჩვენი ბავშვობის ყველაზე საყვარელი თამაში გახლდათ.

ხშირად დავდიოდით ვერის, მაშინდელ კიროვის პარკში, სადაც იმართებოდა თბილისის დინამოს კალათბურთელთა მატჩები. როგორც მახსოვს, მაშინ საკავშირო პირველობა კალათბურთში ეტაპობრივად მიმდინარეობდა სხვადასხვა ქალაქში. ჩამოდიოდა 5-6 გუნდი და იწყებოდა წრიული თამაშები. 40-იანი წლების დასასრულის კალათბურთის შედარება დღევანდელთან თითქმის შეუძლებელია. ტურნირი ღია ცის ქვეშ, წვრილად დაფხვნილ აგურის-საფარიან მოედანზე ტარდებოდა. არავითარი დროის შეზღუდვები ბურთის ტარებისას არ იყო დაწესებული, ასეთ დუნე თამაშში, ცხადია, იმარჯვებდა ის გუნდი, რომელსაც უფრო ტანმალალი კალათბურთელები ჰყავდა...

თუმცა, ამან მაინც ვერ უშველა ალმაატის „დინამოს“ კალათბურთელებს, რომელთა რიგებშიც ყველაზე ტანმალალი კალათბურთელი უვასი ახტაევი თამაშობდა (2 მ. და 35 სმ. სიმაღლის).

ერთმა კაცმა გაზაფხული ვერ მოიყვანა.

სპორტულ შოუს წააგავდა მათთან თამაში, რომელიც მრავალრიცხოვანი მაყურებლის დასაკმაყოფილებლად თბილისის ჩოგბურთის კორტებზე ჩაატარეს. რა თქმა უნდა,

ჩვენ, ბავშვები, მერცხლებივით თუ მტრედებივით შემოსკუპულნი ვადევნებდით თვალს ამ სანახაობას. ყველას მაინც ახტაევის თამაში აინტერესებდა, ხუმრობა ხომ არ არის, მაშინ მსოფლიო კალათბურთშიც არ იყვნენ ასეთი სიმაღლის მოთამაშენი. იწყებოდა თითქმის საცირკო ნომერი — ბურთის გამოტანა ალმაატელ კალათბურთელთა მიერ. ისინი ცდილობდნენ, მარჯვნივ და მარცხნივ გადათამაშებით დრო მოეგოთ, რათა ახტაევი სირბილით კი არა, ბაჯბაჯით მიახლოებოდა თბილისის „დინამოელთა“ კალათს და იქ დალოდებოდა, არავითარი სამწამიანი ზონა არ არსებობდა როდის ჩაანოღებდნენ მაღალ ბურთს, და თუ ამას მოახერხებდნენ, ხელის უბრალო აწევით ჩატენიდა კალათში, რომელსაც თავით სწვდებოდა.

მოგვიანებით გავიგე, რომ გიგანტური სიმაღლისა და დიდი წონის გამო ფეხები დაავადებია, არც ისე დიდხანს უთამაშია კალათბურთი და ძლიერ ახალგაზრდა გარდაცვლილა.

მაშინ კი მაინც ვერ მოუგეს „დინამოელებს“.

ჩვენს გუნდში თავი იჩინეს კალათბურთისათვის ტანდაბალმა მოთამაშეებმა, ჯორჯიკიამ, კილაძემ და სხვებმა, რომლებიც ოსტატობითა და სპორტული ეშმაკობით გაცილებით აღემატებოდნენ ალმაატელებს და გათამაშებისას პირდაპირ ცხვირწინ აცლიდნენ ბურთს. ახლა წარმოიდგინეთ, ახტაევი თბილისის დინამოელთა კალათთანაა, კილაძემ ბურთი ააფცქვნა მოწინააღმდეგეს, სწრაფი გადაცემა ქორქიას და... ბურთი კალათშია. სანყალი ახტაევი მოლასლასებს მოედნის ცენტრისკენ, რომ გადაკვეთოს და საკუთარ მინდორზე აღმოჩნდეს, შემდეგ ისევ ბაჯბაჯით მიიწევს წინ და რა... ეს შედარებით დაბალტანიანი ქართველები ააცლიან ვილაცას ბურთს, გაძვრებიან-გამოძვრებიან და... „უყარე მერე კაკალი“.

თუ ახტაევის დაცვაში დააყენებდნენ, მაშინ პირიქით, ქართველთა მიერ ნატყორცნი ბურთი ხვდებოდა მის ხელში, მაგრამ... რამდენ ხანს გინდა ასეთი კალათბურთი ითა-

მაშო... სხვათა შორის, ქართული კალათბურთის ვარსკვლავი ოთარ ქორქია სიმალლით მეტრი და 91 სანტიმეტრი იყო, მისი თანაგუნდელები კი უფრო დაბლებიყ.

დღევანდელ დინამიკურ კალათბურთთან საერთო არაფერი ჰქონდა იმ თამაშს, აი, ქართული კალათბურთის სასახლოდ კი უნდა ითქვას, რომ თბილისის „დინამო“ წამყვან გუნდად ითვლებოდა, მისი გამობრწყინების ზენიტი კი იყო ევროპის ჩემპიონთა თასის მოპოვება 60-იან წლებში — საბჭოთა კალათბურთში პირველად.

იუმორით მახსენდება ერთი ამბავი ამ თასის მოპოვებასთან დაკავშირებით:

მოსკოვიდან თბილისში მოვემგზავრებოდი ჩემს მეგობართან და თანაკლასელთან, ჟორა ზონენაშვილთან ერთად. თვითმფრინავში რომ ჩავსხედით, აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენთან ერთად მოფრინავდა იტალიის კალათბურთელთა გუნდი, რომელსაც თბილისში საპასუხო გადამწყვეტი მატჩი უნდა ეთამაშა — თუ სწორად მახსოვს, იტალიაში პირველი შეხვედრა „დინამოს“ გამარჯვებით დამთავრებულიყო, არცთუ ისე დიდი სხვაობით. თბილისში პაექრობას უნდა გადაეწყვიტა, ვინ გახდებოდა იმ წელს ევროპის საკალათბურთო ტურნირის მთავარი პრიზიორი. იტალიელებს მოსკოვში დახვდა თბილისის „დინამოს“ აღმასრულებელი დირექტორი, თუ არ ვცდები, გვარად სართანია, რომელიც ჩვენი სავარძლების უკან განთავსდა. დაახლოებით საათ-ნახევარი იყო გასული აფრენიდან, რომ მგზავრებმა შევატყვეთ, ამინდი ძალიან შეიცვალა, დაიწყო წვიმა, ერთი-ორჯერ სეტყვამაც დაიგრუხუნა.

მგონი, აპრილი ან მაისი იყო.

არასასიამოვნოდ შეყანყალდა თვითმფრინავი. სალონში საყოველთაო სიჩუმემ დაისადგურა. ვერ ვიტყვი, პანიკა დაიწყო-მეთქი, მაგრამ შემზარავი სიჩუმით დაიმუხტა სივრცე, ავისმომასწავებელმა განცდამ გააქვავა ხალხი. არ მახსოვს, რამ მათქმევინა ასეთი სისულელე, მაგრამ ჟორას გადავულაპარაკე:

— ჩემო ჟორა, არ ვიცი რა დაგვემართება ახლა, მაგრამ როგორც რუსები იტყვიან, „нет худа без добра“-მეთქი.

გაფითრებულმა ჟორამ გაკვირვებით შემომხედა, რას გულისხმობო.

— ახლა რომ დავიღუპოთ, იტალიელებსაც წავიმძღვარებთ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ თბილისის „დინამო“ უბრძოლველად გახდება ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი-მეთქი.

ჟორამ ცინიკურად გადმომხედა, ერთი კი გავიგე, ვაი, შენს პატრონსო, მაგრამ მთავარი შემდეგ დაიწყო:

უკანა სავარძელზე მჯდომი ამხანავი სართანია ზამბარასავით წამოხტა სავარძლიდან, მწვდა ყელში თუ მხარზე და ერთი-ორჯერ გვარიანად შემაჯანჯლარა.

მივბრუნდი და დავინახე ასე 45-50 წლის გააფთრებული, სახეშეშლილი კაცი, რომელმაც შემომყვირა ისტერიკულად:

— ამას რას ამბობ, შე სულელო, ჯანდაბას წაუღია თბილისის „დინამო“ და ჩემპიონთა თასი, შენ ალბათ ამოწყვეტილი ხარ დედაბუდიანად, მე კი შინ ცოლ-შვილი და შვილიშვილები მელოდებიან, აქ რას როშავო. არავითარ აგრესულ პასუხზე არ მიფიქრია... ალბათ უფრო შემრცხვა ჩემი საქციელის. ის კი, წარმოთქვა თუ არა ეს მონოლოგი, სასონარკვეთილი დაეხეთქა სავარძელს, ორივე ხელი თავზე შემოირტყა და დადუმდა.

არ გასულა რამდენიმე წამი, რომ რეპროდუქტორმა გამოაცხადა: „ამინდის გაუარესების გამო თვითმფრინავი წყვეტს ფრენას და 15-20 წუთში მინვოდის აეროპორტში დავეშვებით“.

მართლაც მშვიდობიანად დავეშვით მინვოდში, სადაც, დაახლოებით, 7-8 საათი ველოდეთ თბილისისკენ გამოფრენას. ჩვენი იტალიელი სტუმრები კომფორტულ ავტობუსებში ჩასვეს და ქალაქში გაამგზავრეს, რადგან აეროპორტში მათი დასვენებისა და სადილობისათვის შესაფერისი რესტორანი არ აღმოჩნდა.

4-5 საათში გავიგეთ, რომ აფრენა შესაძლებელი იყო,

მაგრამ იტალიელებს ველოდებოდით. როგორც იქნა, გამოჩნდნენ. მე და ჟორა კი ლამის შიმშილით დავიხოცეთ, თან კაპიკი ფული არ გვქონდა, აბა, მოსკოვიდან ფულით რომელი ახალგაზრდა ბრუნდებოდა?!

ასე ვიყავით აეროპორტსა და მის შემოგარენში მშვიდმწყურვალნი და ნერწყვებს ვყლაპავდით. ეს ახლაა, ასეთ დროს მგზავრებს უფასოდ რომ ასადილებენ, თორემ მაშინ, 60-იანი წლების დასაწყისში, ამაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. რალაც სტენდთან ვიდექით, ვილაცამ მხარზე ხელი რომ დამადო. მივიხედე და... „დინამოს“ ხელმძღვანელი. მართალი გითხრათ, დავიძაბე. მოსალოდნელი თავდასხმისათვის მოვემზადე, მან კი ჩაიცინა და:

— ალბათ, დიდხანს გალოდინეთ, ბიჭებო. რა მექნა, იტალიელების ხასიათი ხომ იცით, ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამინა ქალამნად, — შემდეგ თითქოს რალაც იგუმანა, — აბა, წამომყევით, — და ხელკავით კაფეში შეგვიყვანა, კათხა ლუდითა და სოსისებით გაგვიმასპინძლდა, — კარგი ყმანვილები ჩანხართ, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ჩვენს თვითმფრინავში მგზავრი არ დარჩენილა, ბილეთი არ ეთხოვა ჩემთვის, თქვენ კი გაჩუმებულხართ. ხვალ მოდით სპორტის სასახლეში და პირველ სალაროში თქვენთვის ორი ბილეთი იქნება დატოვებული, — შემდეგ მე მომმართა, — თხოვნა მაქვს... თბილისის აეროპორტში დაფრენამდე არავითარი კომენტარი არ გააკეთო, ღმერთმა ქნას, ცოცხლები ჩავიდეთ. ამ სტუმრების მასპინძელი რომ არ ვიყო, აქედან მატარებლით წავიდოდით...

ჩვენმა უკვე კეთილმა ნაცნობმა დანაპირები შეასრულა და დეფიციტური ბილეთების მფლობელებად გვაქცია. ვუგულშემატკივრეთ, მარა რა ვუგულშემატკივრეთ. მახსოვს, ერთი კვირა ხმა გვქონდა ჩახლეჩილი. ისეთი სიხარული, იმ დღეს რომ სუფევდა სპორტის სასახლეში, არც მინახავს არასოდეს. ხალხი ერთმანეთს კოცნიდა, ეხვეოდა, ზოგს ცრემლიც უკიაფებდა თვალებში. პატარა ამბავი ხომ არ იყო — ამ ერთი ციციქნა ქვეყანამ იტალია დაამარცხა და ქართუ-

ლი კალათბურთის ფენომენი მსოფლიო სპორტის ისტორიაში შევიდა. და ეს მაშინ, როდესაც მოსკოვისა და რუსეთის კალათბურთის გუნდებს, „ცსკა“-სა და „დინამოს“, ამაზე ოცნებაც არ შეეძლოთ.

იმ დღეს ქართველმა კალათბურთელებმა და მაყურებლებმა სპორტული „დიდგორი“ მოვიგეთ და აი, დღემდე ეს წარმატება ჩემი თაობის, ამ დიდი ბრძოლის თანამონაწილე თაობის გამარჯვებად მიმაჩნია...

სწორედ იმხანად აღზევდა ქართული წყალბურთი.

ახლანდელი ვერის აუზის მოპირდაპირედ პატარა, გადაუხურავი აუზი იყო, ასე 200-250 მაყურებელზე გათვლილი. სწორედ აქ აღიზარდნენ ქართული წყალბურთის ისეთი დიდი სახელები, როგორებიც იყვნენ პეტრე მშვენიერაძე, გივი ჩიქვანაია, გვახარია, გოგოლაძე, ჩხიკვაძე (სახელები არ მახსოვს) და სხვები. ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდები ერთი თავით სჯობნიდნენ წყალბურთში ყველაზე სახელოვან მოსკოვის „დინამოს“ გუნდს. 50-იანი წლების დასასრულს საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდნენ, მერე უკვე არაერთგზისაც. ბოლოს დიდი მცდელობითა და ათასგვარი ხრიკით პეტრე მშვენიერაძე და გივი ჩიქვანაია მაინც „გადაიბირეს“ და მოსკოვის „დინამოში“ ამოაყოფინეს თავი. შესანიშნავი ბინებიც მისცეს ლენინგრადის პროსპექტზე, მანქანებიც აჩუქეს... აი, ქართული წყალბურთის მზე კი თანდათანობით ჩაესვენა, თუმცა მეორე-მესამე ადგილს საკავშირო პირველობებზე კიდევ დიდხანს არ ვთმობდით. გვახარიასთან, მშვენიერაძესა და ჩიქვანაიასთან გამარჯვება აღარ გვეწერა და, როგორც ისტორიულ წარსულში, ისევ და ისევ ქართველები თუ გვამარცხებდნენ.

80-იანი წლების დასაწყისში, როცა მოსკოვში გადამიყვანეს სამუშაოდ, სამუალება მომეცა, ახლოს გამეცნო პეტრე მშვენიერაძე და გივი ჩიქვანაია. გივის სულაც ახლობელ ადამიანად მივიჩნევ დიდი ხანია, მითუმეტეს, ისეთი საერთო მეგობარი იქცა ჩვენს შემაკავშირებელ ხიდად, როგორიც გახლდათ თვითნაბადი მოჭიდავე და დიდი

ქართველი, შოთა ლომიძე. არაერთხელ უამბია ჩვეული იუმორით, როგორ შემთხვევით მოხვდა საჭიდაო ხალიჩაზე ჯარში ყოფნის დროს და ორწლიანი სამხედრო მსახურებისას გაიარა გზა კიევის სამხედრო ოლქის ჩემპიონობიდან საბჭოთა კავშირის ჩემპიონობამდე. იხსენებდა, რით არ ცდილობდნენ მის დატოვებას რუსეთში, საცხოვრებლადაც და სპორტული კარიერის გასაგრძელებლადაც, მაგრამ:

— ჩემი საქართველო და ოფშკვითი ყველაფერს ვარჩიეო. შემდეგ კი იუმორით მოყვებოდა თავისი სოფლის ოფშკვითას ახალგაზრდობის თავგადასავლებს და პირველი სიყვარულის ისტორიას...

ოფშკვითელ 17-18 წლის გლეხის შვილს (შემდეგში ჭიდაობაში მსოფლიო და ევროპის ჩემპიონს, ოლიმპიური თამაშების ვერცხლისმედალოსანს) ჩვენს გმირს შოთას, შეჰყვარებია სოფლის ბიბლიოთეკის გამგის ქალბატონ ანას ქალიშვილი ციციხო, რომელიც მთელი გულით თანაუგრძნობდა მის სიყვარულს, მაგრამ შემაფერხებელი ფაქტორი ის იყო, რომ შოთას მომავალ სასიდედროს სულ სხვა გეგმები ჰქონია ქალიშვილის გათხოვებაზე — ციციხო უთათისში აგზავნიდნენ პედაგოგოიურ ინსტიტუტში სასწავლებლად, რათა შემდგომში დაეკავებინა დედის სოფლის ბიბლიოთეკის გამგის პრესტიჟული ადგილი. ერთ მშვენიერ დღს შოთას უქეიფია სოფლის მეგობრებთან, შემდეგ ბიბლიოთეკასთან გაუვლია, რათა შეყვარებულს შეხვედროდა, მაგრამ ციციხო შენობიდან ვერ გამოსულა დედის მეურვეობის გამო. გაბრაზებულ შოთას ბიბლიოთეკის მიმართულებით ქვა უსვრია და პანჯარა ჩაუშხვრევია. ამტყდარა ერთი ალიაქოთი, სასიდედროს მილიცია გამოუძახებია, უფრო სწორად, სოფელ ოფშკვითის მილიციის უბნის ინსპექტორი (საკუთარი ბიძაშვილი), რომელსაც ჩვენი შოთიკო დაუპატიმრებია და მოუთავსებია ოფშკვითის საპატიმროში (ანუ სოფლის კოლმეურნეობის სასიმინდეში). სამი დღე იმყოფებოდა ჩვენი გმირი ამ იმპროვიზირებულ ციხეში. როგორც იგონებს, იქ არ აკლდა არც დოქი ღვინო,

ერთი წველა ყველი, მოხარული ქათამი და მრავალი სხვა. გაიხსენებდა ეგნატე ნინოშვილის მოთხრობა „გოგია უიშვილი“ და ალბათ გული აგიჩუყდებათ. მიხვდებით თუ რა სასტიკად გაუსაძლის მდგომარეობაში უწევდა შოთიკოს პატიმრობა. არც ციციხოც პაემნები აკლდა, რომელიც თითქმის ყოველ ღამე თავის „რომეოს“ საპატიმროსთან იყო ატუზული. სამი დღის სოფლის „ქურდული“ გარჩევის შემდეგ სასიდედროს კატეგორიული მოთხოვნით ბატონი შოთა საბჭოთა არმიის რიგებში გაუმწესებიათ. იმ ვარაუდით, რომ „იქნებ ჯარში კაცად დადგესო“ — ასეთი იყო სასიდედროს ვერდიქტი. ოფშკვითის ციხეს ჩვენმა გმირმა ჯარში წასვლა არჩია. ჯარის სამსახურის მოსახდელად კიევის ოლქის სამხედრო ნაწილში გაუმწესებიათ. იქ ერთ კაპიტანს შოთა ჩაურთავს ჯერ პოლკის, შემდეგ დივიზიის, არმიის და საოლქო შეჯიბრებებში ჭიდაობაში, სადაც მას გამარჯვება მოუპოვებია. ამის შემდეგ გადაიყვანეს კიევის სპორტულ კლუბში, სადაც ერთ წელიწადში ოლქის სამხედრო ნაწილების ჩემპიონი გამხდარა ჭიდაობაში, ხოლო მომდევნო წელს საბჭოთა ჯარების სპორტული ორგანიზაცია „ЦСКА-ს“ ჩემპიონი. ჯარის ხელმძღვანელები, უკრაინის სპორტის მესვეურები ცდილობდნენ ბატონი შოთა კიევში დაეტოვებინათ, მაგრამ მას სამშობლოსა და ციციხოც სიყვარულმა სძლია და საქართველოში დაბრუნდა და ათი თუ მეტი წლის განმავლობაში იცავდა საბჭოთა საქართველოს სპორტულ ღირსებას. ქალბატონი ციციხოც ცოლად მოიყვანა, ეყოლათ სამი შვილი.

კინორეჟისორმა გურამ პატარაიამ, რომელთანაც შოთა მეგობრობდა, კინოფილმ „რეკორდის“ პროტოტიპად ის აიყვანა, ხოლო ხუტა უფროსის პროტოტიპად — ოფშკვითის ე.წ. „ციხის უფროსი“ (სიდედრის ბიძაშვილი). ერთია კი, რომ ბატონმა გურამმა მოქმედება სამეგრელოში გადაიტანა და გმირებიც მეგრული მენტალიტეტით აღჭურვა, რამაც, ჩემი აზრით, ფილმს მეტი ხიბლი მისცა.

გვიყვარს კი ხშირად მივყავდი მოსკოვის „დინამოს“ სა-

ცურაო აუზზე საერთაშორისო თუ საკავშირო ტურნირების სანახავად. თითქმის ათი წელი იქნებოდა, საბჭოთა წყალბურთის ფლაგმანს, მოსკოვის „დინამოს“ წვრთნიდა. სანახაობრივად შესანიშნავ მატჩებს ვესწრებოდი და ამ სანახაობის რეჟისორი ქართველი გივი ჩიქვანაია გახლდათ, შემსრულებლები სპორტულ „სცენაზე“ კი — ძმები მშვენიერაძეები და ერთი თუ ორი ისევ და ისევ ქართველი წყალბურთელი, რომელთა გვარებიც ახლა არ მახსენდება. გადაჭარბებდა არ ჩამითვალოთ, მართლაც საოცარი სანახაობა იყო. პეტრე მშვენიერაძის ვაჟები წყალში თავიანთი სისწრაფითა და ცურვის მანერით დელფინებს ჰგავდნენ, მითუმეტეს, როცა სწრაფი სვლისას 360 გრადუსით ტრიალდებოდნენ და ამგვარად იცილებდნენ აბეზარ მონინალმდეგეს.

აი, ასეთი სურათის მონმე ვიყავი, როცა რუსეთის გუნდი, დაკომპლექტებული ქართველებით, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ევროპის თასის მფლობელი თუ ევროპისა და მსოფლიო ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები ხდებოდნენ.

ერთხელ, ვინრო წრეში გაშლილ პურმარილზე პეტრე მშვენიერაძესა და გივი ჩიქვანაიას შევეკადრე — ალბათ ალკოჰოლის გამბედაობით — კარგი, მე სამხედრო ვარ და კაციშვილი არ მკითხავს,

სად უნდა გავიარო სამსახური, თქვენთვის კი დრო ხომ არ არის, საქართველოში დაბრუნდეთ ამ ძუ ლომებთან ერთად და ქართული სპორტი ასახელოთ-მეთქი?

რამდენიმე წუთით სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა, შემდეგ ბატონმა პეტრემ დაარღვია დუმილი და რუსულად მიპასუხა:

— А вы думаете, там нас кто-нибудь ждет? Мы им совершенно не нужны.

მინდოდა შევწინააღმდეგებოდი, მაგრამ მაგიდის ქვეშ გივიმ ისე ძლიერად დამაჭირა თავისი 47 ზომა ფეხსაცმელი, რომ ტკივილისაგან თვალებიდან ნაპერწკლები გადმომცვივდა. მივხვდი, რომ უნდა გავჩუმებულიყავი და

გავჩუმდი. ვიფიქრე, გივიმ უკეთესად იცის, რაც ხდება-მეთქი... მაგრამ ბატონი პეტრეს ტკივილიანი და მრავლმნიშვნელოვანი ნათქვამი ქართული სპორტის მესვეურთა თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს („დინამო“ მაშინ ამ სტრუქტურის სპორტსაზოგადოება იყო) მისამართით მაინც სულ მახსოვდა.

80-იანი წლების შუახანს თბილისში გახლდით შევბულებით და მაშინდელ მინისტრს, შოთა გორგოძეს, რომელთანაც ყოველთვის თბილი და ადამიანური ურთიერთობა მაკავშირებდა, ამ ყველაფრის შესახებ ვუამბე. თანაც ვიცოდი, რომ ქართული სპორტის — ცხადია, უპირველესად ფეხბურთის, მაგრამ არც სხვა სახეობებს ივინყებდა — ძალიან დიდი ქომაგი და ხელშემწყობი გახლდათ.

ერთი ჩაილიმა და მითხრა:

— ჯემალ, პატივს გცემ და შენს კითხვას უპასუხოდ არ დავტოვებ. მეც მინახავს პეტრეს შვილების თამაში მოსკოვში, გივი ჩიქვანაიამ წამიყვანა, და თანაც არა ერთხელ. მაშინ დამებადა ეგ აზრი, შევარჩიე დრო და საჭირო მომენტში „შეეუცურე“ კიდევ ეს საკითხი ცკ-ას პირველ მდივანს და თანხმობაც მივიღე მისი ამ საკითხზე სამუშაოდ.

როცა პეტრეს გადავეცი ყველაფერი, ყურადღებით მომისმინა. ბინები რომ უნდა მიგვეცა, მანქანები გამოგვეყო, გაზრდილი ხელფასი დაგვენიშნა, ეს — თავისთავად, მაგრამ მან ერთი პირობაც დაგვიერთო: მაშინ მილიციის პოლკოვნიკი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გადმოგვეყვანა მინისტრის მოადგილის რანგში, რის შემდეგაც, დაახლოებით 6 თვეში, მიენიჭებოდა უმაღლესი სამხედრო ნოდება — გენერალმაიორობა.

აი, ეს კი საქართველოს მთავრობისა და პარტიის ცკ-ს უფლებამოსილებაში არ შედიოდა და ვერც ვერავინ გაბედავდა საკავშირო ცკ-ს ფუნქციებში შეჭრას. ასე დამთავრდა ჩემი მოლაპარაკებაო.

რას იზამ, ცხოვრება ისეთი რამაა, ყველა ადამიანმა უნდა იფიქროს ალბათ მატერიალური მდგომარეობის გაუმ-

ჯობესებაზე, მაგრამ, არა სამშობლოს ხარჯზე.

„ასე მგონია მე ეს“! — როგორც იტყოდა დათა თუთაშხ-ია. ამას კი, ღინტუას მიხედვით, უბრალოდ ვაჭრობა ჰქვია.

ვაჭრობა, რომელსაც სპორტთან და პატრიოტიზმთან საქმე არასოდეს ჰქონია, თუმცა თანამედროვე ცხოვრებაში უკვე წესად იქცა და ამიტომაც გვყავს ახლა ქართული სპორტის „მამლუქები“ — ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონები ჭიდაობასა თუ ძალოსნობაში სხვა ქვეყნის დროშით ხელში. თუმცა, იმ დროის გაუსაძლისი საყოფაცხოვრებო პირობების გამო მათი გამტყუნება მიჭირს.

თუმცა აგერ, ერთი ძლიერი, პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსული სპორტსმენიც ხომ გვყავს, ევროპის ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელი, რომელმაც თავის გუნდს ორი ისეთი ლამაზი „თავური“ გაუჭედა ბურთი, რომ დამერწმუნეთ, ამ სტილის გამორჩეულ დიდოსტატსაც — ასეთი კი ცხონებული ზაურ კალოევი ვიცი — შეშურდებოდა.

ერთი სიტყვით, ახლა ყველაფერი პირიქით, უკუღმა შეტრიალებული უფრო პატივშია.

მახსოვს, 50-60-იანი წლების ბოლოს სპორტული ზეიმი ცხენოსნობაში. მისი კულმინაცია იპოდრომის მახლობლად მთის ფერდობიდან მოჯირითე ხევისურთა რბოლა იყო, რომელიც ზარზეიმით სრულდებოდა იპოდრომზე. დარწმუნებული ვარ, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ცხენბურთელთა ასპარეზობა, არასოდეს დაავინწყდება ეს მომხიბლავი სანახაობა, ქართული ვაჟკაცობის ზეიმი.

ამ ყველაფერს აგვირგვინებდა ძმებ დგებუაძეების შეჯიბრი მშვილდის სროლაში (ცხენით მოჯირითეს ბოძზე მოთავსებული სამიზნეებისათვის არ უნდა აგეცილებინა ისარი), ანდა ერთ მეტრზე დამაგრებული „ფაფახების“ ანუ ყიზილბაშთა თავების ხმლით კვეთა საბრძოლო ყიჟინით. ამ ზღაპრულ სანახაობათა მოწმენი ვიყავით 40-50-იანი წლების ბავშვები და ყმანვილკაცები.

ასეთი ზეიმის ხილვისას არც შიმშილი მახსოვდა და არც წყურვილი. ახლა ყოველივე ამას მოკლებულნი არიან ჩვე-

ნი შვილები და შვილიშვილები. არადა, ამგვარი ცხოვრების წესი უფრო წვრთნის ხასიათს, ვაჟკაცურ თვისებებს, სილალეს, თავისუფლების სიყვარულს და ეროვნულ ტრადიციებთან შერწყმის გრძნობასაც.

ჩემი ყმანვილობის სპორტულ სანახაობათა ნუსხა ვერ იქნება სრული — მისი ძირეული აღწერის პრეტენზია არც გამაჩნია, მხოლოდ იმაზე ვწერ, რისი თვითმხილველიც ვიყავი ჩემს ამხანაგ-მეგობრებთან ერთად — თუ არ გავიხსენებ გასული საუკუნის 60-იანი წლების მიწურულს ქართული ხელბურთის შექმნისა და მისი აღზევების ხანას. პირველი ოფიციალური თამაშები თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელთა გუნდმა, თუ მეხსიერება არ მღალატობს, 1957-58 წლებში გამართა, ერთ წელიწადში კი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ფლაგმანი გახდა და არაერთხელ მოიპოვა სსრკ-ს ჩემპიონის საპატიო სახელი. იყო დრო, საბჭოთა ქვეყნის ნაკრების მაისურებშიც არაერთი ქართველი ხელბურთელი გამოჩნდა. 1958-59 წლებიდან ამ სახეობას საქართველოში გულშემატკივარი არ აკლდა, თითქმის მთლიანად ივსებოდა მაყურებლით თბილისის სპორტის სასახლე. რა დაგვაავინწყებს პირველი და მომდევნო თაობების ხელბურთელთა თავგამოდებას, მათ სპორტულ ჟინს, თითქმის თავიდანვე გვყავდა შესანიშნავი მეკარე, შემდგომში საბჭოთა ნაკრების გოლკიპერი ჯემალ აბაიშვილი, ქართული კალათბურთის დიდი ამაგდარის შვილი; გუნდის კაპიტანი ანთაძე, გვერდითი ხაზის თავდამსხმელე-ბი იმედო ფხაკაძე და კარტოზია (არც ამის გვარი მახსენდება), შუახაზში მოთამაშე ანზორ ექსეულიძე, მაშინ ნიჭიერი საესტრადო მომღერალი ჯანო ბაგრატიონი... პირადად მე სულმოუთქმელად ველოდი იმ წუთს, როდესაც თითქოსდა ტანდაბალი იმედო ფხაკაძე მარჯვენა მხრიდან, კუთხურის კიდიდან რამდენიმე ნაბიჯის გარბენით ჩაუნვე-ბოდა, დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლეზე, გეგონა, იმ პოზიციიდან კარებსაც ვერ დაინახავდა. მეკარე ახლო კუთხეს ფარავდა, ჰაერში აფრენილი იმედო ასე ერთ-ორ

მეტრს ჩიტივით გაიფრენდა და... ბურთს მეკარისაგან შორეულ კუთხეში მოათავსებდა.

ისიც მახსოვს, ერთ-ერთმა მოსკოველმა გოლკიპერმა ჰაერში აფრენილი იმედო რომ დაინახა, იეშმაკა და კარის შორეული ბოძი „ჩაკეტა“. იმედომ წამებში შეაფასა შექმნილი ვითარება და მაყურებლის შეძახილთა ფონზე ბურთი მშვიდად შეუგორა კარის მარჯვენა მხარეს.

ვერ წარმოიდგენთ, რა ჟრიაბული გამოიწვია ამ გოლმა. შევატყვე, რომ მეკარე მერე სრულიად დაიბნა, გაითიშა და მწვრთნელს მისი შეცვლა დასჭირდა. თუმცა ამანაც ვერ უშველა მოწინააღმდეგე გუნდს, დიდი ანგარიშით დამარცხდნენ.

სწორედ მის ხელში აღიზარდნენ 60-იანი წლების მიწურულს ქართული, საბჭოთა და მსოფლიო ხელბურთის — ახლა უკვე აღარ მომერიდება ამის თქმა — მეგავარსკვლავები: ჯემალ ცერცვაძე და ალექსანდრე ანპილოგოვი. ანპილოგოვის სპორტული ჯილდოები თითქოს აღემატებოდა ჯემალისას (მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი და ჩემპიონი), თავისი მიზანსწრაფული და გონივრული თამაშით დიდი სარგებელიც მოჰქონდა გუნდისათვის, რაც, რა თქმა უნდა, ღირსია დიდი პატივისცემისა და თაყვანისცემისა, მაგრამ ჯემალ ცერცვაძე ხელბურთის ჯადოქარი იყო, ხელბურთის მიმა მესხი, თავისი ფანტასტიკური ფინტებით, გონებამახვილური, არაორდინარული გადაწყვეტილების მიღებით, განსაკუთრებით შეტევისას. თითქოს ზურგით იდგა მოწინააღმდეგის კართან, მაგრამ ელვისებურად, რაღაც ზებუნებრივი სისწრაფით 180 გრადუსით დატრიალდებოდა და მაყურებელმაც და განწირულმა მეკარემაც უკვე იცოდნენ, რომ ამ დროს ბურთი უკვე მის ბადეში ფართხალეობდა. ან როგორ შეიძლება მნახველს დაავიწყდეს მომენტი, როცა ჯემალი, გარშემორტყმული მოწინააღმდეგენით, სამი-ოთხი მეტრის რადიუსზე გასაქანს რომ არ აძლევდნენ, უცებ მეტრ-ნახევარზე ახტებოდა, თითქოს რამდენიმე წამით ჰაერში ჩამოეკიდებოდა და ისეთ „პასს“

მისცემდა პარტნიორს, იშვიათია, გოლი არ გასულიყო. ასეთი „ჰაერში ჩამოკიდება“ მსოფლიო კალათბურთის მეგავარსკვლავებს თუ ახასიათებთ. ევროპულ კალათბურთში ამის დიდოსტატი ერთი ბერძენი მოთამაშე მახსოვს — გალასი.

მაპატიე, მკითხველო, ამასობაში შორს გამიტაცა თხრობამ და სულ მიმავიწყდა დანყებული ამბავი, ქართული სპორტის თავიდათავი, ჩვენში ყველაზე პოპულარული სახეობა — ფეხბურთი. ზოგი რამ უკვე მოგახსენეთ, ზოგიც უკვე გამოქვეყნებული მაქვს, ახლა კი ორიოდ სიტყვით გეტყვით იმას, რითაც ალბათ უნდა ამაყოფინებ ჩემი თაობის მოქალაქენი.

თბილისში გულშემატკივართა თავშეყრის ორი ადგილი მახსოვს — კიროვის პარკი და დინამო სტადიონი. მარტო ფეხბურთის თამაშების დროს კი არ დავდიოდით იქ, არამედ მოცალეობისას გულშემატკივართა ბუდეს შევუერთდებოდით ხოლმე დინამოს ცენტრალურ შესასვლელთან. იქვე გამოფენილი იყო საკავშირო ჩემპიონატის შესანიშნავად გაფორმებული სატურნირო ცხრილები, ჩვენი მოთამაშეების ფოტოსურათები და ხანდახან მეგობრული შარჟებიც. სხვათა შორის, 40-იანი წლების ბოლოს გამოდიოდა პატარა, შთამბეჭდავი ბუკლეტები ასეთი შარჟებით და ფავორიტებისადმი მიძღვნილი ლექსებით. კეთილი შურითა და მადლიერებით ვივსები მათ მიმართ, ვისაც მოაფიქრდა და ეს გამოცემები შეინახა — დღეს ბიბლიოგრაფიული იშვიათობად ჩაითვლებოდა.

ამ „ბუდეში“ კი ყველა ასაკის ხალხი იკრიბებოდა, იყო ერთი სჯა-ბაასი, თამაშების გარჩევა, ფეხბურთელთა თამაშის კლასის შეფასება... იყვნენ ლიდერებიც, რომლებსაც ყველა საკითხზე თავიანთი ავტორიტეტული აზრი ჰქონდათ. მათ „პროფესორებს“ ეძახდნენ.

შესაძლოა არ დამიჯეროთ, მაგრამ გულშემატკივრებს ხშირად უერთდებოდნენ თვითონ ფეხბურთელებიც, პირადად მე ხელის განვდენაზე მინახავს მარლანია, ანთაძე,

გაგუა, შავგულიძე, ძიპშპა, ელოშვილი...

ასეთ შეკრებებზე გავიგე, რომ „დინამოს“ ჰყავდა თავისი „САПОЖНИК“-ი, ფეხბურთელთა ბუცებს შესაკეთებლად. იშვიათი იყო მოთამაშე, რომელსაც ორი ბუცი ჰქონდა — ერთი სავარჯიშოდ და ერთიც მატჩებისათვის. სპორტულ მაისურებს, ტრუსებსა და გეტრებს კი ცოლები ან დედები ურეცხავდნენ.

ეს ის დროა — ალბათ 1947-53 წლები — როდესაც თბილისის „დინამო“ რამდენჯერმე გახდა საბჭოთა კავშირის საფეხბურთო გათამაშების პრიზიორი, შემდეგ კი, 1953 წელს, ჩემპიონობაც მოიპოვა. თუმცა მოსკოვმა შეხვედრა გადაათამაშა — ძირითადი დროის მიწურულს მარლანია ელოშვილს ბურთი გაუგორა და მანაც ღირსეული, თუმცა ფეხბურთის ისტორიაში სამარცხვინო გოლი გაიტანა საკუთარ კარში, რითაც მთელ სისტემას დასცინა. ამას იმ შავბნელ დღეებში — სტალინი ახალი გარდაცვლილი იყო, ლავრენტი ბერია კი ახალი დაპატიმრებული — არა სპორტული, არამედ დიდ პოლიტიკური გამბედაობა სჭირდებოდა და ეს „გამოცდაც“ ჩააბარეს იმ თაობის ფეხბურთელებმა.

ვიდრე ცოცხალი ვარ, რა დამავინყებს 1948 წლის სეზონის გათამაშებას თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის ცსკა-ს შორის. 8-9 წლის ვიქნებოდი მაშინ, მაგრამ აბა, ასეთ ფეხბურთს როგორ გამოვტოვებდი — თბილისის „დინამოს“ ძველ საფეხბურთო მოედანზე განთავსებულ ნახევარსფეროიან თაღთან იყო რაღაც სივრცეები, სადაც დამალვა შეიძლებოდა. დაახლოებით 5-6 საათით ადრე შევიპარებოდით ხოლმე ბავშვები, ყმანვილკაცებიც, და თავს ანიკედოტებითა და თავგადასავლებით ვიქცევდით. როგორც კი მაცურებელი შემოსვლას დაიწყებდა, რეპროდუქტორში გაიჟღერებდა ჩვენი სასახელო მომღერლების, დები იშხნელების ლამაზი, გულშიჩმწვდომი სიმღერა — სტადიონის ხელმძღვანელობას, ჩანს, ძალიან უყვარდა ეს ფირფიტა — მესამე კომპოზიციად კი, ჩვენდა სასიხარულოდ,

ჩაირთვებოდა ცნობილი მელოდია „შემოდგომით თუ ჩვენს მხარეს გაგივლიაო“, სწორედ ამ დროს კარს შიგნიდან ჩაჭედებულ ლურსმნებს ამოვიღებდით და მესამე იარუსის ჩრდილოეთ ტრიბუნაზე ვაშას ძახილით გამოვცვივებოდით.

ცხადია, რაღაც საფრთხე მაინც არსებობდა, რომ მილიცია დაგვაკავებდა, მაგრამ ამას ვინ შეუშინდებოდა — ჩვენ აღმოსავლეთის ტრიბუნის ბატონ-პატრონნი ვიყავით. ბატონკაცებივით განვლაგდებოდით სკამებზე, რომლებსაც ერთმანეთისგან არავითარი ტიხარი არ ჰყოფდა. ისეთი პატარა ადგილი იყო განსაზღვრული ერთი ბილეთისათვის, რომ მაგალითად, ანზორ ლეჟავას ტანადობის კაცს, ალბათ, სამი ბილეთი მაინც დასჭირდებოდა. თუ სკამს ვერ შევინარჩუნებდით, კიბე ხომ ჩვენს განკარგულებაში იყო, თანაც „კანონიერი“ უფლებით — ასეთ მატჩებზე რამდენიმე ათასი ბილეთი უადგილო მაცურებლებისათვის იყო განკუთვნილი.

დაიწყო თამაში თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის ცსკა-ს შორის. ეს მატჩი სადებიუტო გახლდათ ჩვენი მეკარის — ვლადიმერ მარლანიასათვის. შუა პირველი ტაიმის დროს ჩვენებმა „ცსკას“ ბურთი გაუტანეს, არ მახსოვს ვინ, წყაროების ძებნა არ დამინყია, მხოლოდ იმას ვნერ, რაც მესხიერებას შემორჩა. მაშინდელ ცსკა-ში საბჭოთა ფეხბურთის ვარსკვლავები თამაშობდნენ — ბობროვი, სოლოვიოვი, სემიჩასტნი... — მათ კარს კი იცავდა საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ნაკრების გოლკიპერი, გვარად აკიმოვი.

დაიწყო მეორე ტაიმი.

თამაში მხოლოდ ერთ კარში მიდიოდა, აკიმოვი თითქმის მოედნის ცენტრში იდგა, მახსოვს ბობროვის განუმეორებელი შეტევითი თამაში ხან თავურით, ხან მარცხნიდან, ხან მარჯვნიდან. ძლიერი დარტყმებით თითქმის აუღებელი ბურთები მიფრინავდა ჩვენი კარისაკენ, მაგრამ რად გინდა, კატასავით სწრაფი, ზამბარასავით მომართული

მარლანია ყველას იგერიებდა. მსგავსი თავგანწირული, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მიმდინარე დაცვითი თამაშში შემდეგშიც არასოდეს მინახავს, და ალბათ ველარც ვიხილავთ, რადგან ასეთი ფეხბურთი, საერთოდ, არ მეორდება.

როგორც იქნა, დამთავრდა თამაში.

ხალხის ზღვა ტრიბუნებიდან ვერავითარმა მილიციამ ვერ შეაჩერა, თითქმის მთელი სტადიონი აივსო გულშემატკივრებით.

არა, არავითარი აგრესია „ცსკას“ ფეხბურთელების მიმართ არ გამოუჩენიათ, პირიქით, დიდი პატივისცემითა და ტაშით გააცილეს ხალხის მიერ შექმნილ კორიდორში, ისე, როგორც ახლა რაგბშია მიღებული, შემდეგ კი ეცნენ „დინამოელებს“, ხელში აიყვანეს და აპლოდისმენტებითა და გამარჯვების შეძახილებით წაიყვანეს გასახდელის გვირაბისკენ...

ერთიც უნდა გითხრათ: რაც ჩემს ბავშვობასა და ყმანვილკაცობაში ფეხბურთის სანახავად ვყოფილვარ, არასოდეს მინახავს, მაყურებლებს არეულობა შეექმნათ. თუმცა, ამისკენ ხშირად წაგაქეზებდა მიკერძოებული მსაჯობა. დღესაც მახსოვს ერთი ასეთი არბიტრი, გვარად ბალაკინი, სისხლი რომ გაგვიშრო გულშემატკივრებს. იმდენი ქნა, ფრთიან გამოთქმად დარჩა ქალაქს მისი სახელი და დიდხანს თბილისში ყველა არაობიექტურ სახელმწიფო მოხელეს მიაძახებდნენ ხოლმე, ნამდვილი ბალაკინი ხარო, რაც მაშინ დიდ შეურაცხყოფად მიიჩნეოდა.

არასოდეს დამავინწყდება თბილისის „დინამოსა“ და ბრაზილიის „სანტოსის“ ამხანაგური შეხვედრა, როდესაც გაოგნებულმა ბრაზილიელმა, მეოთხე ნომერმა, მიხილ მესხის ფინტებით თავგზაარეულმა და შეურაცხყოფილმა, მორიგ ეპიზოდშიც რომ ვერაფერი მოუხერხა ქართველ მოთამაშეს, გამოეკიდა და ხელში აიყვანა. იცოცხლე, აღნაგობით კი იყო გაცილებით დიდი. რას უპირებდა, აბა, რა გითხრათ, მაგრამ რამდენიმე წამში კი მიხვდა, რომ

არასპორტული საქციელი ჩაიდინა, დაუშვა ძირს და აკოცა. ახლა მიშა მესხი იდგა გაოგნებული არანაკლებ განცვიფრებული მაყურებლის წინაშე.

როგორ შეიძლება, ნამდვილმა გულშემატკივარმა დაივიწყოს თბილისის „დინამოსა“ და ინგლისის ლივერპულის მატჩი თავსხმა, კოკისპირულ წვიმაში, ჩვენთვის, ტექნიკური გუნდისათვის არასახარბიელო ამინდში, ინგლისელებისათვის კი ჩვეულებრივ გარემოში. მთელ მინდორზე თითქმის სულ ქართველი ფეხბურთელები აკონტროლებდნენ მატჩს. ეს ანგარიშზეც აისახა — 3:0 მოვიგეთ.

ცხადია, გვექონდა ჩვენი საფეხბურთო სიხარულები, საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა 60-იან წლებში, მერე კი 70-იანის ბოლოსაც, და ზენიტი ქართული ფეხბურთის აღზევებისა — ევროპის თასის მოპოვება. აი, აქ კი უნდა შევჩერდე, რადგან ამ თემაზე იმდენი დაწერილა და გამოქვეყნებულა, ერთ საბიბლიოთეკო თარო ვერ დაიტევს. თანაც არც სპორტულ ჟურნალისტიკაში გაჯიბრებას ვაპირებ ვინმესთან. ამ საქმეში მხოლოდ მოყვარული ვარ...

ათეული წლები გავიდა ბავშვობის შემდეგ და მხოლოდ ერთი რამ შემიძლია დავასკვნა:

იქნებ ამიტომ იყო ჩემი თაობა უფრო მიზანდასახული, უფრო მოტივირებული და, გარკვეულწილად, წარმატებულიც თავის კარიერულ თუ შემოქმედებით გზაზე. თავისუფალი, ლალი, ადამიანური ურთიერთობებით გათამამებული ბავშვი ხომ უფრო მეტად ყალიბდება პიროვნებად, იძენს შრომისა და განათლების მიღების ჟინსა და სურვილს. ამის ნათელი დასტურია გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისი, როდესაც ასპარეზზე გამოვიდა ჩემი ომგადახდილი თაობა, თავისი წარუშლელი კვალი რომ დატოვა ქვეყნის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ჩვენი თაობის მწერლებიც, პოეტებიც, მხატვრებიც, კომპოზიტორებიც და სპორტსმენებიც ხომ გამორჩეულად ჩაენერნენ საქართველოს და, გვინდა ეს თუ არა, იმ „დიდი საბჭოთა ქვეყნის“ მატთანაც...

წერილი შვილს მშობლებისაგან!

დღეს თებერვალია, შვილო, თბილისში, შენს საყვარელ სამშობლოსა და ქალაქში, არც ისე სუსხიანი, მაგრამ ჩემთვის მეტად ცივი თვე, რადგან უკვე ხნიერი ვარ (77 წლის). ახალგაზრდობაში ყოველი თვე ჩვენი ოჯახისთვის სასიხარულო იყო, ახლა კი ყველაფერი შეიცვალა... სამი მარტი მიყვარდა, რადგან ჩემი საყვარელი დედა დაიბადა ამ დღეს... შემდეგ 16 აპრილი — დედაშენის დაბადების დღე, 25 აპრილი — მართა ბებია (მართა ჩიქოვანის), ჩემი მეგობრისა და თავდგომის დღე, 3 აგვისტო და 16 აგვისტო — ჩვენი დაბადების დღეები, 15 ოქტომბერი — ჩვენი საერთო ზრუნვისა და სიყვარულის — კახას დაბადების დღე, ახლაც არის და იქნება ის დღეები, რომლებიც სიხარულის მომტანია შენი დის — ნატას, შენი ძმისშვილების — ნიკოლოზის, დიტოსა და ანამარიას დაბადების დღეები. ცხოვრებას ხომ თავისი დინამიური სვლა-გეზი აქვს და ისიც მიდის თავისი სვლით, ათავსებს რა ჩვენს ცნებაში მწუხარებასა და სიხარულს. ასე იყო და ასე იქნება. მხოლოდ მაყურებლები ხომ არ ვიქნებით ცხოვრების ბოხოქარი და წყნარი დინებისა... ამა ვერც ფიზიკურად და ვერც სულიერად შევძლებთ, შვილო, მე და დედაშენი.

დიახ, ძლიერ „უხვი“ გამოდგა თებერვალი ჩემთვის პიროვნული დანაკარგებით: თებერვალში გარდაიცვალა შენი საყვარელი ბიცოლა თამარ ბოჭორიშვილი, ზაზა, ჩვენი ზაზა, შენი ბიძაშვილი... ჩემი ბავშვობისა და ყმანვილკაცობის მეგობრები — მართა ბებია, ჯემალ სებუა, ანზორ კაჭახიძე... თებერვალში გარდაიცვალა შენი ნათლული, შენი სულიერი ძმა და მეგობარი სერ ბადმინტონი. რა ბედის ირონია იყო მისი წასვლა ამ ცხოვრებიდან, თითქმის თერთმეტ თვეში შენი სიკვდილის შემდეგ. როგორც გავიგე

უეცრად გარდაიცვალა (გულის სტენოკარდიული შეტევით). უკანასკნელად სერ ბადმინტონი შენს პანაშვიდზე ვნახე, შვილო, რუსულ მართლმადიდებელ სუროჟის ეპარქიის საკათედრო ტაძარში. არასოდეს დამავიწყდება მისი გახევებული სახე, ისეთი თანაგრძნობითა და მოწყალებით მიყურებდნენ მისი თვალები, რომ, ჩემი შოკური, ტრაგიკული მდგომარეობის მიუხედავად, მივედი მასთან თითქოსდა ვუთანაგრძნე, ვატყობდი, მაშინ მას არც სულიერი და არც ფიზიკური ძალა არ შესწევდა, ჩემთან მოსულიყო. რა ბედისწერა იყო მაინც, ახლაც ვერ გამიგია... სულ რაღაც თერთმეტ თვეში გარდაიცვალა და მისი წმინდა სული ზეცაში შემოგიერთდა. რა ვიფიქრო არ ვიცი, ნუთუ უშენოდ ვერ გაძლო აქ და ცაში აღევლინა, რომ შენს გვერდით ყოფილიყო. ეს მოვლენა შემთხვევითი რომ არ არის, ამაში დარწმუნებული ვარ. ყველა ადამიანის სულიერი სამყარო ინდივიდუალურია და ამიტომ, ალბათ, მისი სიკვდილი სრულებითაც არ არის შემთხვევითი. ასე მგონია (მაპატიე, ღმერთო), არ გიღალატა, არ მიგატოვა და წავიდა მისი სული თავის ნათლიასთან!..

და, საუბედუროდ, კიდევ მრავალი სხვა ადამიანი, ვინც ნამდვილად მიყვარდა და ვაფასებდი...

მაგრამ მარტმა, ჩემმა ოდესღაც საყვარელმა მარტმა, ბოლო მომიღო. 22 მარტის საღამო... 23 მარტის დილას რომ ვერ მიაღწიე და წახვედი ამ ქვეყნიდან მშვიდად და წყნარად... ვფიქრობ, შენი გონებისთვის წინასწარ გამოცხადებული სიკვდილით. რატომ, შვილო? რატომ არ მოუარე თავს? შეველა შენი სენისა ხომ შეიძლებოდა? ეს აზრი ამ ათი წლის განმავლობაში სულ მტანჯავს... რისთვის დაგვსაჯე მე და დედა? რატომ არ მოგვეცი საშუალება, შენს გვერდით ვყოფილიყავით და დახმარება გაგვეწია? არ ვიცი, ვერ გამიგია, რა ძალით ვართ ცოცხლები ამ საბედისწერო დარტყმის შემდეგ. ადამიანი ცხოველი ყოფილა? „...რად არ გაქრება ეს სხეული ესრეთ მაგარი, ან ბედისწერამ ჩვენ სიცოცხლე რად მოგვისაჯა“, ალბათ იმიტომ, რომ ვიტანჯოთ ჩვენ

ცოდვებში, პასუხგაუცემელ კითხვებში, ჩვენი ცხოვრების საბედისწერო შეცდომების განცდებში. აი, ასეთი განწირული სულიერი მდგომარეობა ხშირად მეუფლება, შვილო!

ალბათ, თვითდაჯერებულობამ დამღუპა. ხანდახან ჩემს პრივატულ ფიქრებში თურმე რა ძლიერ პიროვნებად მესახებოდა ჩემი თავი... არა, შვილო, ძალიან სუსტი ვყოფილვარ — ვერ გავთვალე და შევაფასე თავს მომდგარი ტრაგედიის ქარიშხალი. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, დღეს ცოცხალი მეყოლებოდი. მაპატიე შვილო, მაპატიე ეს ჩემი გამოუსწორებელი ცოდვა... ყოველ დილით და საღამოს ვლოცულობ, შვილო, შენს ანდერძში დანერილ თხოვნას მაინც ვასრულებ. სახლში გავაკეთე ჩემი სალოცავი. მაპატიე, რომ ღმერთის წინაშე შეიძლება ვმკრეხელობ. რა ვქნა, შვილო, მხოლოდ ამაში ვპოვე სიმშვიდეს და ეს შენმა წმინდა სულმა და მამაზეციერმაც უნდა მაპატიოს. ვერ დავიზეპირე ფიზიკურად და გონებრივად სხვადასხვა ლოცვები და ფსალმუნები მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურთა მიერ შექმნილი.

მე პირადად მუხლმოდრეკილი, მორჩილი ვკადნიერდები და პირადად ვესაუბრები ღმერთს, შვილს მისას იესო ქრისტეს და სულიწმინდას. ჩემი სიტყვებით, ჩემი განმარტებებით, ჩემი თხოვნით, რომ ჯანმრთელი მიმყოფოს შვილები და შვილიშვილები ჩემი, ოჯახი ჩემი, რომ აცხოვროს და გაანათლოს წმიდა სულები შვილთა ჩემთა (გიასი და ზაზასი), მშობელთა ჩემთა, წინაპართა, ნათესავთა, ახლობელთა და მეგობართა ჩემთა... და ეს ცოდვა გთხოვ, წმინდაო სულო ჩემი გიასი, მაპატიოს მაღალმა ღმერთმა. შენ ყოველთვის ჩემი გულის მესაიდუმლე, მეგობარი იყავი და ეს ცოდვა რომ არ გამეძხილა, ეს ეპისტოლარული წერილი გულწრფელი არ იქნებოდა. ამის გამხელა, დამიჯერე, ძლიერ სულიერ ძალისხმევას მოითხოვდა, დიდ გაბედულებასაც და ეს შეეძელი, გადავლახე ზღვარი და ახლა ცოტა გულზე მომეშვა... და თუ ამისთვის ღვთის რისხვა არ ამცდება, დამიცავი შვილო, დაიცავი ცოდვილი მამაშენი ღვთის წინაშე...

ცოდვის აღიარება და თხოვნა შეწყალებისა თუკი ე.წ. შემამსუბუქებელ გარემოებად ჩამეთვლება, მხოლოდ მაღლობას მოვხსენებ მაღალ ღმერთს და შენს წმინდა სულს, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, არ მივუტოვებოვარ და მაშველ ანგელოზად მევლინება ყოველდღე ჩემს ფიქრებში.

მაპატიე, შვილო გია, იქაც ცაში, შენს საყვარელ გარემოში (რომელსაც ასე ნატრობდი) შეგანუხე, მაგრამ რა ვქნა, შენს გარდა, როგორც შენი წასვლის შემდეგ მივხვდი (მე უბედური), არავინ მყოლია ჩემი დაბნეული სულიერი სამყაროს მესაიდუმლედ.

თუ ნებას მომცემ, გადავალ იმ რეალური ცხოვრების აღწერაზე, რომელიც შეიძლება გააჩნდეს უკვე თითქმის სამოცდაჩვიდმეტ წელს მიღწეულ ადამიანს. გულახდილობა მოითხოვს, ალბათ, ისიც აღვნიშნო, რომ მხოლოდ ღმერთის წყალობით ვცხოვრობ ამ ნლოვანების ადამიანი, მხოლოდ მისი სულგრძელობით მიდგას სული და ამისათვის მაღლობის მეტი რა მეთქმის.

გია, ჩემო გია, დავასრულე ნოველათა კრებული, სადაც, როგორც ამას ჩემი ე.წ. ლიტერატურული შესაძლებლობა მაძლევდა, დავამთავრე მოგონებათა ციკლი ჩემი ბავშვობისა, ახალგაზრდობისა... ვისთვის და როგორ იქნება ეს საინტერესო ნამდვილად არ ვიცი. შენ რომ ცოცხალი მყავდე, ვიცი და დარწმუნებული ვარ, გამოიყენებდი მათ შემდგომში შენს კინოსცენარებში. ბავშვობიდან დაწყებული დღევანდელი გადმოსახედით დამთავრებული, რომ იტყვიან, გავაშიშვლე ჩემი ცხოვრება. ერთსაც გეტყვი, ჩემო გია, რაც დავწერე იმაში არაფერის მოგონილი და შეთხზული. დამერწმუნე, ეს ყველაფერი, ჩემი შესაძლებლობის გათვალისწინებით, გულახდილი, წრფელი თხრობაა ჩემი ცხოვრების ავ-კარგისა, იმ მოვლენათა ნუსხაა და შფასებები, რის მოწმეც ვიყავი, ან პირადად გადამხდა. დედაჩემს ჰქონდა ერთი საყვარელი გამოთქმა: „...შვილო, ჩემს თავზე წისქვილის ბორბალს არ გადაუვლია, თორემ ისე მთელი ცხოვრების უკუღმართობა ვინვნიე“. შეიძლება ეს სიმართლეც იყოს ჩემი ცხოვრებისა. მოდი, ამის დასკვნის გამო-

ტანას ნურავის მოვახვევთ თავს. თუკი მკითველს ეყოფა ნებისყოფა და ნაიკითხავს ჩემს „ლიტერატურულ“ ქმნილებებს, მისთვის მიმინდვია ამ დასკვნის გამოტანა. იქნებ მათ შორის ვინმე დამეთანხმოს. ამაზეც დავკმაყოფილდები, არასოდეს მქონია დიდი ამბიციები.

ნიგნი მიუძღვენი პირადად დედაშენს, შენს საყვარელ დედიკოს და უფროს დაიკოს (როგორც ეძახდი ხუმრობით).

2006 წლის 23 მარტიდან (ჩვენი საბედისწერო დღიდან) ბევრი შეცდომისა და ცოდვის მიზეზებს ჩავწვდი. როგორც საცერში, ისე წარმომიდგა გასული ცხოვრება ცალკეულ კადრებად — ეს რა ცოდვებითა და შეცდომებით სავსე ყოფილა ჩემი ცხოვრება. სწორედ ამ გაუაზრებელმა ქმედებმა მიგვიყვანა ჩვენ ამ საბედისწერო ფინალამდე...

ახლა წუნუნნი და თავზე ნაცრის დაყრა რაღას მიშველის? არაფერს!

უნდა გავუძლო მე ცოდვილმა ყველაფერს! ღმერთის მიერ ბოძებული სიცოცხლე კახას და მის ოჯახს უნდა მივუძღვნა. ამაში ვხედავ ჩემი დარჩენილი წუთისოფლის მთავარ მიზანს. ისინი არიან ჩემი ერთადერთი მაცოცხლებელი წყარო!

მერთი იყოს, შვილო გია, შენს მინიერ ცხოვრებაში მთავარი დანატოვარის, შენი ძმის კახას, ნატოს, მათი შვილების (შენი ძმისშვილების — ნიკოლოზის, დიტოსა და ანა-მარიას) მფარველი. ნუ მიატოვებ, ჩემო წმინდა სულო გია ფოცხვერიასი, შენს ოჯახს, ყოველთვის მფარველ ანგელოზად მოვევლინე მათ, დაიცავი ყოველგვარი ხიფათისაგან.

ნახვამდის, შვილო! შეხვედრამდე...

ამინ!

*ჯემალ ფოცხვერია
25.02.2016 წ. თბილისი*

სარჩევი

გენერალსიმუსის პორტრეტი!.....	7
კამო და ლენინი.....	30
„ანტისაბჭოთა დივერსია“.....	39
ქუთაისი და მილიციის ზემდეგი ჩიტიანი!.....	50
რუსი „მაჰიდი“ აფხაზეთში.....	61
ჩიქვილა.....	77
ნოველა უსათაუროდ.....	97
კახა!.....	116
ბაბუა, ბულა და დეკეული.....	126
ძველი, თბილისური ჩანახატები.....	131
წერილი შვილს მშობლებისაგან!.....	162

ჭემალ ფოცხვერია
ვიღრე ღათჳს ეძინა

„ჩვენი მწერლობა“
თბილისი
2016



ჯემალ ზოცხვარიძე

დაიბადა 1939 წელს ქალაქ თბილისში.

1963 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიული ფაკულტეტი. 1966-95 წლებში მუშაობდა სსრკ-ს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სისტემაში; 1981 წლიდან გადაყვანილ იქნა სამუშაოდ ამავე კომიტეტის ცენტრალურ აპარატში; 1991-95 წლებში რუსეთის ფედერაციის უშიშროების მინისტრის მრჩეველად. ფლობს საერთაშორისო სამართლის იურისტის დიპლომს. 1995-98 წლებში არის კორპორაცია „მიკროდინი“-ს ვიცე-პრეზიდენტი უშიშროების საკითხებში; 1998-2003 წლებში კორპორაცია „ნორილსკი ნიკელის“ პრეზიდენტის მრჩეველი; 2003-11 წლებში კორპორაცია „პრეზიდენტ სერვისის“ ვიცე-პრეზიდენტი და რუსეთის ფედერაციის ტვერის ოლქის გუბერნატორის მრჩეველი. დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, მათ შორის საზღვარგარეთის ქვეყნებისა.

არის ავტორი წიგნებისა: „შავი სათვალე ეკეთა“, „როდემდის“, „Стихи“, „ლონდონი ჩვენი ბედისწერა“, „ჩემი ცხოვრების აღმართი“, „მემუარული ჩანაწერები“.